სახელმძღვანელო

ქართული საკვირაო სკოლებისათვის

მესამე საფეხური

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

თბილისი 2018

მესამე საფეხურის სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული საკვირაო სკოლების 6-14 წლის ასაკის მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელოს ახლავს კალიგრაფიის რვეული და მასწავლებლის რეკომენდაციები.

სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

სახელმძღვანელო ეძღვნება საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილეს.

100 წელი
საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის
დაარსებიდან

ავტორი: მაია მელიქიძე

რედაქტორი: მაია ბოჭორიშვილი

მხატვარი: მაკა ჯებირაშვილი

დიზაინერ-დამკაბადონებელი: თეონა კერესელიძე

ISBN 978-9941-8-0690-2

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2018 წელი

წინასიტყვაობა

ქართულ სახელმწიფოს, უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან მიმართებაში, მკვეთრად ჩამოყალიბებული და მიზანმიმართული პოლიტიკა გააჩნია. განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც „სახელმწიფო ზრუნავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5. პუნქტი 8).

2017 წელს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიასპორასთან ურთიერთობის მაღალი პასუხისმგებლობითა და დიასპორის წარმომადგენელთა მაღალი ჩართულობით შეიმუშავა სტრატეგიული დოკუმენტი სახელწოდებით „ერთიანი ძლიერი და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორა“, რომლის მიზანია დიასპორის ერთიანობის, სიძლიერისა და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის განვითარების უზრუნველყოფა.

ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, საკვირაო სკოლების საქმიანობის მხარდაჭერა საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. შესაბამისად, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა დაიწყო „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელება, რომლის ფარგლებშიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისათვის მოამზადა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც გულისხმობს ქართული ენის კურსის ფარგლებში სწორედ საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული კულტურის საკითხების სწავლებასაც გაერთიანებული სწავლების პრინციპით. ამ ინტეგრირებულ პროგრამაზე დაყრდნობით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით შეიქმნა სპეციალური სამსაფეხურიანი სახელმძღვანელოები, რომლებიც შეესაბამება ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამის მოთხოვნებს და განკუთვნილია 6-14 წლის მოსწავლეებისათვის.

სახელმძღვანელოები აგებულია თანამედროვე პრინციპების გათვალისწინებით და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სთავაზობს ისეთ სასწავლო მასალას, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისება-განვითარებასა და შესაბამისი საფეხურის მიზნების მიღწევას.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ საკვირაო სკოლების პედაგოგებსა და დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებს როგორც პროგრამის, ისე სახელმძღვანელოების მომზადების პროცესში აქტიური თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.

გისურვებთ წარმატებებს!

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

სარჩევი

პირველი ნაწილი

ვისწავლოთ წერა-კითხვა 2

მეორე ნაწილი

თემა 1

ეს ჩემი საქართველოა 31

თემა 2

ბურჯი ეროვნებისა 59

თემა 3

თბილისური ჰანგები 83

თემა 4

ფესვები 113

თემა 5

ადამიანი და საზოგადოება 145

თემა 6

ადამიანი და ბუნება 175

თემა 7

პარალელები 199

თემა 8

ფანტაზიის გაკვეთილები 229

დანართი

გრამატიკა 260

ტექსტები 290

გავიცნოთ ერთმანეთი

1. უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს.

ა) რა გქვია და რა გვარი ხარ?

ბ) სად და როდის დაიბადე? რამდენი წლის ხარ?

გ) რომელ სკოლაში სწავლობ? რომელ კლასში ხარ?

დ) აქ სად ცხოვრობ და ვისთან ერთად? როდის ჩამოხვედი აქ?

ე) ვინ გყავს საქართველოში?

ვ) ყოფილხარ თუ არა საქართველოში? ბოლოს როდის იყავი?

ზ) დაასახელე, რომელი კუთხიდან ხარ, მოძებნე რუკაზე და მიუთითე.

2. დაახასიათეთ საკუთარი თავი.

როგორები ხართ? რა გიყვართ და რა არ გიყვართ? რა გაინტერესებთ? რაზე ოცნებობთ? და ა.შ.

3. გაიხსენეთ საქართველოსთან დაკავშირებული საინტერესო ისტორია / ამბავი, რომელსაც უამბობთ ერთმანეთს.

ა) **ფოტოსურათის ან „ერთი ნახატის ისტორია“**

- მასთან დაკავშირებული ამბავი - როდის და რატომ დახატე ეს სურათი?
- სად და ვისთან ერთად გადაიღე ეს ფოტო?
- რა მოხდა იმ დღეს?

ბ) **ის, რაც (ან ვინც) ყველაზე მეტად გენატრებათ!**

- ჩემი მეგობრები;
- ახალი წელი საქართველოში; ჩემს სოფელში გატარებული არდადეგები;
- ჩემი სახლი საქართველოში და ა.შ.

ვისწავლოთ ხმოვნები



1. **წაიკითხეთ მასწავლებლის დახმარებით.**





აი ია **აი ხე** **აი უთო**

2. **წაიკითხეთ და მოძებნეთ ნახატის შესაბამისი სიტყვა.**



აი ეი ოი უი ია იე იო იუ

ხა ხი ხე ხო ხუ ახ იხ ეხ ოხ უხ

3. **მოძებნეთ ნაცნობი სიტყვები და წაიკითხეთ.**

ჭიამაია ხუთოსანი სახერხი თეატრი იადონი საათი

1. წაიკითხეთ და დააკავშირეთ ნახატებთან. რომელია ზედმეტი სიტყვა?

ია ხე თეა უთო თხა



2. შემოხაზეთ სწორად დაწერილი სიტყვები.

ა) თეა	ა) ეთო	ა) თხა	ა) ხუ
ბ) თუა	ბ) უთო	ბ) ხთა	ბ) ხე

3. განაცალკევეთ სიტყვები ხაზით.

იათხახეუთოთეაიახეთხაია

4. მოძებნეთ სახელი თეა და შემოხაზეთ.

თეაიათათაუთოთეააიიათიათეა

5. მოძებნეთ სიტყვები ცხრილში და შემოხაზეთ (ან გააფერადეთ უჯრები).

ია თეა ხე უთო თხა თითი

ჯ	ტ	მ	დ	წ	უ	თ	ო	ქ	ხ
ნ	კ	ი	ა	ბ	ზ	ც	ი	ხ	ე
თ	ფ	ე	მ	თ	ხ	ა	ო	ს	შ
ლ	თ	ე	ა	ქ	ფ	ც	ნ	ო	კ
ი	ო	პ	ტ	ც	თ	ი	თ	ი	რ

გაიხსენეთ ხმოვნები!

6. შეავსეთ კროსვორდში გამოტოვებული ხმოვნები ნახატების დახმარებით.





1	თ	ბ		ლ		ს					
2				ჯ	ვ		რ				
3						ქ	ვ		ვ	რ	
4				თ		მ		რ	მ		ფ
5					მ		რ		ნ		
6				რ		ს	თ		ვ		ლ
7				ჯ		ხ	ვ				
8		ღ	მ		შ		ნ		ბ		ლ
9	გ		გ		ბ		შ	ვ		ლ	
10				ფ		რ		ს	მ		ნ



7. დაასახელეთ ექვსმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სიტყვები.

ვისწავლოთ თანხმოვნები



ა**ი** **მ**ა**ი**მ**უ**ნ**ი**

ა**ი** **ნ**ა**ვ**ი



ა**ი** **თ**უ**თ**ა

ა**ი** **ვ**ა**ნ**ო

1. **მოისმინეთ ენის გასატეხები და გაიმეორეთ.**

მელამ მოგაგნო მამალო, მურას მოუხმე მალეო!

თეთრი თხა გავათხათეთრე.

ნანა ნინოს ბანანს ჩუქნის.

2. **დაასახელეთ საკუთარი სახელები, რომლებიც იწყება** მ თ ნ ვ **თანხმოვნებზე.**

3. **წაიკითხეთ და დაასახელეთ სწორი ვარიანტი.**

ა) ანო
ბ) ვანო



ა) თავი
ბ) მთა

ა) თმა
ბ) მთა

4. წაიკითხეთ, დაასახელეთ ზედმეტი სიტყვა და დაუსვით კითხვა.

მაია	ვანო	მაიმუნი	თომა
ნავი	თავი	თმა	ანო

თუთა	თათა	უთო	თითი
თავი	თითი	თმა	მთა

5. გამოყავით სიტყვები და წაიკითხეთ.

მთანავიმაიმუნითავითეონათითითუთაიავანოანო

6. წაიკითხეთ და დაასახელეთ შესაბამისი სიტყვები.

ა) მამა თავთავი თინათინი თმა მაიმუნი ვანო ნუნუ

ბ) მთა თმა თათა თითი თუთა თათი თავი თივა

გ) თომა ნოე მანანა თინა ივანე ნავი თუთა მათე

დ) მანანა თავთავი თომა თეონა მაია თამუნა ნოე

ა) ადამიანი
ბ) სხეულის ნაწილები
გ) ბიჭის სახელები
დ) ქალის სახელები

7. დაუბრუნდით წინ დავალებას. მოძებნეთ და დაასახელეთ:

სამმარცვლიანი და ოთხმარცვლიანი სიტყვები

8. გადაწერეთ მეექვსე დავალებაში მოცემული სამმარცვლიანი სიტყვები კალიგრაფიის რვეულში.

9. მოძებნეთ სიტყვა სიტყვაში და შემოხაზეთ.

თავთავი ათინათი მაია ვანო

10. გადმოწერეთ: მაიმუნი მამა თუთა ათინათი თავი ნავი

1. წაიკითხეთ და დააკავშირეთ ნიმუშის მიხედვით.

ვინ?

მთა
თავი
თომა
მაიმუნი
ნავი
თუთა
თამუნა
უთო
თითი
თათა
თმა
ვანო
მამა

რა?

2. მონიშნეთ შესაბამისი უჯრა წინა დავალების მიხედვით: ვინ ჰყავს, რა ჰყავს და რა აქვს?

	მამა	თავი	თმა	მაიმუნი	ნავი	თომა	თითი	უთო
მაქვს								
მყავს								

3. გადმოწერეთ წინა დავალების მიხედვით და წაიკითხეთ.

ვინ / რა გყავს:

რა გაქვს:

4. შეადგინეთ სიტყვები და დაასახელეთ. ვინ მეტ სიტყვას შეადგენს?

თა უ თი თუ თო

მა ი ნა ნი მუ ნო

ა ნო ვა ვი თა ნა

ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები



ა ი ბ უ

• • • •



ა ი ზ ებ რ ა

• • • • • •

ა ი ს ა ა თ ი

• • • • • • •

ა ი რ ვ ა

• • • • • •

5. მოისმინეთ ენის გასატეხები და ისწავლეთ.

ზარი ზანზარებს უზარმაზარი.
თეთრი თრითინა თეთრ თრთვილზე თრთოდა.

6. გამოყავით სიტყვები და წაიკითხეთ.

ბუბუზიბურთიიაიასამანისაათისურათიმზემზიაობობა

7. წაიკითხეთ, დაასახელეთ ზედმეტი სიტყვა და დაუსვით კითხვა.

ზარი	მზე	მზია	ზებრა
ბანანი	ნანი	ნავი	საათი

ბუ	ბუზი	ობობა	უთო
თევზი	თუთა	თათა	მთა

8. მოძებნეთ არასწორად დაწერილი სიტყვები ენის გასატეხში და მიუთითეთ. გადაწერეთ სწორად.

ზარი ზამზარებს უზარბაზარი.

1. მოძებნეთ სიტყვები ცხრილში და შემოხაზეთ (ან გააფერადეთ უჯრები).

ზებრა თმა ზარი სოსისი ბუზი მაიმუნი მზე საათი

ს	ო	ს	ი	ს	ი	ნ	რ	მ	ს
ზ	ბ	კ	ლ	ფ	ბ	ე	ვ	თ	ა
ს	მ	ა	ი	მ	უ	ნ	ი	ა	ა
მ	ზ	თ	მ	თ	ზ	ა	რ	ი	თ
ზ	ე	ბ	რ	ა	ი	ზ	ა	რ	ი
ა	რ	უ	მ	უ	ნ	თ	მ	ა	უ

2. შემოხაზეთ სწორად დაწერილი სიტყვები.

ა) მაიმუნი	ა) ზერბა	ა) ბანამი	ა) ობიბა
ბ) მამუნი	ბ) ზებრა	ბ) ბანანი	ბ) ობობა

3. მოძებნეთ ცხოველები და გადაწერეთ.

ზარი მზე მთვარე მთა ზებრა ბუზი მარიამი თემური მაიმუნი

4. მოძებნეთ სიტყვათა ჩამონათვალში ზედმეტი სიტყვა და გადახაზეთ.

თეთრი	თეთრი
თეთრი	თეთრი
თეთრი	თათარა
თეთრი	თეთრი

ზებრა	ზორბა
ზებრა	ზებრა
ზებრა	ზებრა
ზებრა	ზებრა

5. მოძებნეთ ყველა და შემოხაზეთ.

ბუ: ბუზი ბურთი ბულბული ბაბუა

ია: მაია ბებია მზია ბია თათია

ანი: ნანი ბანანი ანბანი საბანი

6. დააკვირდით სურათს და იმუშავეთ მასწავლებლის მითითებებით.

აღწერეთ სურათი: მიუთითეთ, ვინ არიან, სად არიან და რას აკეთებენ. რომელ საბავშვო გმირებს განასახიერებენ ისინი? რა იცით ამ გმირების შესახებ? საიდან იცით? რომელია თქვენი საყვარელი პერსონაჟი? და ა.შ.

7. ქვემოთ მოცემული სიტყვებიდან რამდენი შეგიძლიათ მოძებნოთ ნახატზე?

ბურთი თმა ბომბორა თითი მაიმუნი მზე ზებრა თავი

8. დაუსვით კითხვები - ვინ? რა? და მიუთითეთ, რომელია სულიერი და რომელი - უსულო.

9. მოძებნეთ და გადაწერეთ.

ერთმარცვლიანი სიტყვები:

ორმარცვლიანი სიტყვები:

ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები









აი დედა
• • •• ••

აი ლომი
• • •• ••

აი კუ
• • ••

აი ძუა
• • •• •

1. წაიკითხეთ ენის გასატეხები და ისწავლეთ.

რაკ-რაკ-რაკ, რაკრაკებს რუ.
ძეძვის ძირს მიძინებულმა ძლივს გაიღვიძა ენძელამ.
თეთრ თელასთან ფთილაა თუ თეოს თეთრი თრითინა თვლემს.

2. მოძებნეთ სიტყვა სიტყვაში და დაასახელეთ.

ბულბული კუდი კალია იასამანი ვანო ბაია ბურთი

3. მარცვლების შეერთებით ააწყეთ სიტყვები და გადაწერეთ (საწყისი მარცვალი გამუქებულია).

ლი **კე** დე



დი მინ **სი**



ლა ძე **ენ**



ნა მო **ლი** თი



4. მოძებნეთ სიტყვა სიტყვაში და დაასახელეთ.

ბორბალი ეკალი დათვი მამალი დედალი კუნძი

5. რომელია ზედმეტი სიტყვა? დაასახელეთ, რა არის.

ა) მზე მთვარე ვარსკვლავი მკლავი

ბ) დედა მამა მამალი და ძმა

გ) ლოკოკინა ბუზი კალია ობობა

6. დააკვირდით ნახატებს და დააკავშირეთ ერთმანეთთან. მოცემული ფრაგმენტების მიხედვით აღადგინეთ ერთი მთლიანი სურათი და გამოიცანით, რა ხდება.

ა) სად ხდება მოქმედება?

ბ) რა სიტუაციაში არიან?

გ) რას აპირებენ? და ა.შ.

7. მოძებნეთ სურათებზე და მიუთითეთ.

კუნძი კუდი თავი მზე კალათა სოკო თოკი

8. მოძებნეთ წინა დავალების სიტყვებში და დაასახელეთ სამმარცვლიანი სიტყვა.

9. მოძებნეთ და გადაწერეთ ორმარცვლიანი სიტყვები:

1. დააკვირდით მთლიან ნახატს და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები. შეასრულეთ მასწავლებლის მითითებები.

ა) <u>აღწერეთ სურათი</u> - დაასახელეთ, რომელი ცხოველი და ფრინველია სურათზე, რას აკეთებენ? როგორ გამოიყურებიან? რომელ ხილსა და ბოსტნეულს ხედავთ? რა არის, თქვენი აზრით, ქილებში? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე. აღწერეთ გარემო და დააკონკრეტეთ, წელიწადის რომელი დროა, საიდან ჩანს?

ბ) რა არის ნახატით გადმოცემული? - როგორ ფიქრობთ, ვინ არის ამ „მაღაზიის“ მეპატრონე? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.

გ) დაასათაურეთ ნახატი.

დ) მოისმინეთ რეპლიკები, მოძებნეთ - ვინ ვის ეუბნება და მიუთითეთ.

1. - დედიკო, ესენი ვინ არიან?
2. - სწრაფად ამოწიე, მამიკო, ძალიან მშია!
3. - როგორ ხარ, მეზობელო, ახალი კაბა იყიდე?
4. - შეხედე, სძინავს!

   - საწყალი, ალბათ, ბევრი იმუშავა და დაიღალა.

ე) შეადგინეთ მსგავსი რეპლიკები ზეპირად და მინიდიალოგები და გააცანით ერთმანეთს.

2. მოძებნეთ არასწორად დაწერილი სიტყვები ენის გასატეხში და მიუთითეთ. გადაწერეთ სწორად.

თეოს თეორი თრითიმა თრთის.

3. თქვენი აზრით, რა უწყვია პინგვინს ჩემოდანში? წაიკითხეთ ვარიანტები და შემოხაზეთ, რომელია სწორი. მოისმინეთ ლექსი და შეამოწმეთ.

რა უწყვია პინგვინს ჩემოდანში?

ა) ბანანები
ბ) ლოლუები
გ) თევზები

ტურისტი

აერია პინგვინს გზები,
მოდის საქართველოში,
ანტარქტიდის ყინული
წამოიღო თერმოსით.

- თერმოსით რას გეყოფა,
თბილისში ხომ იწვიან?
- ნუ იდარდებთ, ჩემოდანშიც
ლოლუები მიწყვია.

თეა თოფურია



4. შეავსეთ გამოტოვებული ასოები.

ლ ო ___ ___ ე ___ ი თ ე ___ ___ ო ___ ი

5. შეადგინეთ სიტყვები და დაასახელეთ. ვინ მეტ სიტყვას შეადგენს?

ბი კი ო ლო ნა კო

ნი ლა კა ლი მი ა

ბა და დე კე ლი

ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები



ა ი გ ალ ი ა

• • • • • • • • •

ა ი ხ ე

• • • •

ა ი ტ ა ფ ა

• • • • • •

ა ი პ ურ ი

• • • • • •

1. მოისმინეთ ენის გასატეხები და გაიმეორეთ.

ხევ-ხევ ხერხი მოცუხცუხებს, აცახცახებს ვერხვებს, მუხებს.
ტატას ბატი ფარფატა ტალახ-ტალახ ტანტალებს.
ნამნაპკური ნანას ყანა ტანს იმშვენებს თანდათანა.

2. მოძებნეთ სიტყვა სიტყვაში და დაასახელეთ.

ხერხი გუგული ხელი ალუბალი კუნძული მინდორი

3. დაასახელეთ, რა არის: პინგვინი, პეპელა, კატა, ზამბახი, ხურმა, ველოსიპედი?

4. მოძებნეთ წინა დავალებაში მოცემული სიტყვები და შემოხაზეთ.

კ	ო	პ	ყ	ც	ე	დ	ზ	წ	ი
ფ	პ	ი	ნ	გ	ვ	ი	ნ	ი	ტ
ვ	ე	ლ	ო	ს	ი	პ	ე	დ	ი
დ	პ	ს	ა	კ	ქ	ზ	ხ	ნ	ო
რ	ე	ღ	ზ	ა	მ	ბ	ა	ხ	ი
შ	ლ	ე	ბ	ტ	ნ	კ	ჟ	უ	ყ
ი	ა	ა	დ	ა	ხ	უ	რ	მ	ა
ქ	წ	ც	ჩ	ხ	ბ	ჰ	კ	ო	ი

5. აღწერეთ სურათები და დაასახელეთ მათ შორის მსგავსება და განსხვავება.

6. გაასწორეთ შეცდომები სურათების მიხედვით.

ა) პატარა და ეკლიანი არის კნუტი.

ბ) პირველ სურათზე არის მზე, ხე, პატარა გოგონა და გამხდარი თაგვი.

გ) მეორე სურათზე ხესთან დგას გამხდარი თაგვი და დიდი კატა.

დ) გოგონა მიდის პირველ სურათზე, ხოლო მეორე სურათზე ის დგას.

7. შემოხაზეთ სწორი დაწერილობა.

ა) ველოსიპედი	ა) სავრძელი	ა) კომპიუტერი
ბ) ველოსიპეტი	ბ) სავარძელი	ბ) კომპუტერი

8. მოძებნეთ არასწორად დაწერილი სიტყვები და მონიშნეთ. გაასწორეთ წინადადებები ზეპირად.

ა) ეს გიას ველოსიპეტია.

ბ) ლია და გია საზმთროს მირტმევენ.

გ) გია ლიას ხმაა.

დ) მარსკულავები ანათებენ.

9. სწორად გადაწერეთ წინადადებები კალიგრაფიის რვეულში.

გაიხსენეთ ნასწავლი ასოები!

1. წაიკითხეთ წინადადებები ხმამაღლა.

ეს არის გიორგი, ეს კი ხატიაა. გიორგი და ხატია მეგობრები არიან. გიორგის ბიძა მხატვარია, ხატიას ბიძა კი - გემის კაპიტანია.

გიორგი და ხატია პატარა მხატვრები არიან. აი, გიორგის ნახატი. ეს ნახატი კი ხატიასია. ხატიამ დახატა გრძელი ხიდი, ხიდზე თხა და თხის გვერდით პატარა თხუნელა. გიორგიმ კი დახატა დიდი თეთრი კატა, გამხდარი კატო და დაბალი კოტე. კატო და კოტე გიორგის მეზობლები არიან.

2. შეავსეთ კროსვორდი ნახატების დახმარებით და წაიკითხეთ, რა სიტყვა მიიღეთ გამუქებულ უჯრებში.



ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები



აი **შ**ეშა

• • • • • •



აი **ქ**ათამი

• • • • • • • •

აი **ღ**რუბელი

• • • • • • • • • •

აი **ფ**იფქი

• • • • • • •

3. წაიკითხეთ ენის გასატეხები და ისწავლეთ.

შარიშურა შინდიანში შტოზე შეჯდა შვიდი შაშვი.

ქრის, ქრის, ქრის ქარი სექტემბრის.

ფრთაფოფინა ფარშავანგი ფანტავს ფერად ფერებსაო,
ფრინველეთის დედოფლობას ფრიად შეიფერებსაო.

4. მარცვლების შეერთებით ააწყეთ სიტყვები და გადაწერეთ (საწყისი მარცვალი გამუქებულია).

ფარ გი ვან შა

ლი **ღრუ** ბე

ნი შა **შუქ** ნი

ღალ დი **ქა**

1. წაიკითხეთ და შემოხაზეთ.

ა) **ცხოველები:**

კურდღელი ბალი კოღო მელია ზღარბი ლეღვი ვაშლი

ბ) **ფრინველები:**

ქორი ღორი ქათამი ფარშავანგი ტახი იასამანი იხვი

გ) **მწერი:**

გედი კოღო ფუტკარი ღიღილო ბუზი ქოქოსი კალია

დ) **ყვავილი:**

ბალახი ღიღილო იასამანი იადონი გვირილა ენძელა შაშვი

ე) **ხილი:**

შოკოლადი ქლიავი ფაფა ლეღვი კომში მსხალი ლეკვი

2. მოძებნეთ და შემოხაზეთ (ან გააფერადეთ უჯრები).

ფ	ა	რ	შ	ა	ვ	ა	ნ	გ	ი	ტ
ჯ	ო	რ	ქ	ა	თ	ა	მ	ი	ყ	კ
კ	ო	ღ	ო	ე	ზ	ძ	შ	ლ	გ	ფ
ქ	ლ	ვ	ქ	ღ	რ	უ	ბ	ე	ლ	ი
ი	უ	ფ	ო	თ	ო	ლ	ი	ღ	ბ	ნ
რ	ღ	ტ	ს	თ	ე	ა	ლ	ვ	კ	მ
უ	ქ	ლ	ი	ა	ვ	ი	ო	ი	ტ	ბ

ფოთოლი
ფარშავანგი
ღრუბელი
კოღო
ქლიავი
ქათამი
ქოქოსი
ლეღვი

3. შემოხაზეთ სწორად დაწერილი სიტყვები.

ა) ფარშევანგი ა) ღრუბელი ა) საქათამე

ბ) ფარშავანგი ბ) ღრუბლი ბ) საქათმე

4. მოცემული მარცვლების გამოყენებით შეადგინეთ სიტყვები და დაასახელეთ.

ქა მე თა რი ღო მი ღა სა ვი თი

5. დააკვირდით ნახატებს და უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს.



ა) რა ხდება სურათზე?

ბ) დააკვირდით ფანქარს, რას აკეთებს ის ცალკეულ შემთხვევაში?

გ) თქვენი აზრით, ვინ არიან ეს უცნაური არსებები და რას აკეთებენ?

დ) აღწერეთ ნახატის პერსონაჟთა ემოციები ცალკეულ შემთხვევაში.







მხატვარი: ამირან ისიანი

6. ცალ-ცალკე დაამუშავეთ ილუსტრაციის პერსონაჟები ნახატების მიხედვით.



7. დანომრეთ ისინი თანმიმდევრულად ისე, რომ ამბავი გამოვიდეს.

8. შეადგინეთ პატარა ამბავი ზეპირად და გააცანით ერთმანეთს.

9. მოისმინეთ და შეადარეთ თქვენს ვარიანტებს.

ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები







აი ყარყატი **აი ჩანთა** **აი ციცინათელა** **აი წიწილა**

1. წაიკითხეთ ენის გასატეხები და ისწავლეთ.

ყანჩა - ყუნტა აყლაყუდა,
რიყე-რიყე წალაყუნდა.
აყიყინდნენ ბაყაყები,
- გადაყლაპავს ბაყბაყდევი!

ცივი ცვარი ცვივა ციდან,
სცივა, სცივა ციდა ცინდალს.
ცხიკ და ცხიკო! - აცემინებს,
ციცქნა ცხვირი გაუცივდა.

ჩუმად გამცალა ყვინჩილამ
ჩარდახში არა დამრჩა რა...
ჩირი, ჩურჩხელა, ჩამიჩი
ჩანთით შინ წააჩანჩალა.

წვიმიანში გაწეწილი
წისქვილის წინ წუხს წიწილი,
- წია, წია! - მწარედ წივის,
წნორის წნელზე წაჰკრა წვივი.

2. მოძებნეთ არასწორად დაწერილი სიტყვები და მიუთითეთ. სწორად გადაწერეთ წინადადებები კალიგრაფიის რვეულში.

ა) აყაყინდნენ ბაყაკები.
ბ) ცივი ცუარი ცივა ციდან.
გ) - ცია, ცია! - მწარედ წივის ციცილი.

3. განაცალკევეთ სიტყვები ხაზით.

ბაყაყიცხვირიცაცოცხიჩირიყანჩაწიწილაწყალიჩაქუჩიყვავი

4. მოძებნეთ სახელი უჩა და შემოხაზეთ.

უთოუჩაჩამჩაჩქუჩიუჩაქუჩაჩამიჩიცულიჩურჩხელა

5. წაიკითხეთ და გაასწორეთ წინადადებები.

ა) ყარყატი შინაური ფრინველია.
ბ) ყაყაჩო ყვითელი ფერის ყვავილია.
გ) ციცინათელა დღისით დაფრინავს.
დ) წიწილა ყვავის შვილია, ბახალა კი - ქათმის.

6. მარცვლების შეერთებით ააწყეთ სიტყვები და გადაწერეთ (საწყისი მარცვალი გამუქებულია).

ტყე ლა **ცი** სარ

ლა ჩხე **ჩურ**

ყელ ხვე ვი სა

მა **წა** ლი

7. წაიკითხეთ და დაასახელეთ, რა არის.

ა) ეს ქართული ტკბილეული ასე მზადდება: ძაფზე ასხამენ ნიგოზს ან თხილს და შემდეგ თათარაში ამოავლებენ. <u>რა არის?</u>

ბ) ამბობენ, თითქოს მისი სახელი სამი სიტყვისაგან შედგება: **ქვა, მთა** და **ისი.** ის საქართველოს მეორე მთავარი ქალაქია. <u>რომელია?</u>

8. ჩაწერეთ წინა დავალების პასუხები.

1. წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალებები.

თევზი

(იაკობ გოგებაშვილის მიხედვით)

თევზს ჰკითხეს:

- შე საწყალო, რას გაჩუმებულხარ, რატომ არაფერს ამბობ. ყველა შენ გმტრობს და გერჩის. შენისთანა უწყინარი სულიერი კი ქვეყანაზე არ მოიძებნებაო.

თევზმა უპასუხა:

- სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლით მაქვს სავსეო.

ა) <u>უპასუხეთ შეკითხვებს.</u>

ა) რა ჰკითხეს თევზს?

ბ) რატომ არის თევზი სულ ჩუმად?

გ) თქვენი აზრით, რა აქვს თევზს სათქმელი? თქვენ რომ თევზი იყოთ, რას იტყოდით?

დ) რას ნიშნავს - უწყინარი სულიერი?

ე) როგორ ადამიანზე ამბობენ - თევზივით წყალი აქვს პირში ჩაგუბებულიო?

ვ) სად ბინადრობენ თევზები? რა ჰქვია თევზის ნაშიერს - ლიფსიტა თუ ბარტყი?

ბ) <u>დააკავშირეთ ერთმანეთთან:</u>

ფრინველი	ბალანი
ცხოველი	ქერცლი
თევზი	ბუმბული

გ) <u>მოძებნეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები ტექსტში და დაასახელეთ.</u>

საბრალო - ? უვნებელი - ? სალაპარაკო - ?

ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები



აი ჯამბაზი

აი ჭიანჭველა



აი ჟირაფი



აი ჰამაკი

2. წაიკითხეთ ენის გასატეხები და ისწავლეთ.

ჭინჭრებს შუა ჭივჭავები
ჭანჭურს ჭამენ ჭიანაჭამს,
ჭრიჭინები გაჭყეპილან,
ჭინჭილებით სვამენ მაჭარს.

ჯანსუღმა და ჯმუხმა ჯარჯიმ
ჯადოქარზე გაიმარჯვეს,
ჯახი-ჯუხი აღარ გააქვს
ჯოხის ხმლებს და აბჯარ-ხანჯლებს.

ჟოლოს ჟვერიდან
ჟინჟღლი ჟონავს,
ჟანგისფერ ჟირაფს
შეაჟრჟოლა.

ენაჭიკჭიკა ელენე
ექვს სტუმარს ერთად ელისო:
ეკუნას, ელგარს, ექვთიმეს,
ევას, ემზარს და ელისოს.

3. განაცალკევეთ სიტყვები ხაზით.

ჯამიჯამბაზიჭიაბიჭიჭიანჭველახანჯალიჟირაფიჟოლოჯადოქარი

4. მოძებნეთ სახელი ჯარჯი და შემოხაზეთ.

ჯარჯიჯოხიჯემალიჯამიჯემალიჯარიაბჯარიჯარჯი

1. წაიკითხეთ ლექსები და დაასახელეთ, რა არის იქ სახალისო?

სახალისო ლექსები

(ცირა ქიტიაშვილი)

***

ამბავს გეტყვით სახითხითოს,
ამბავს გეტყვით სასაცილოს,
თურმე ნამცეცას ეძახის
ვეება შვილს დედა სპილო.

***

ჭიანჭველას შვილები ჰყავს,
დათვლაც უჭირს საწყალს მათი.
რა არ ჰქვიათ: ლომი, ვეფხვი,
დევკაცი და გოლიათი.

2. მოძებნეთ ლექსებში მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და მიუთითეთ.

ა) ძალიან პატარა, ანუ ___?___

ბ) საცოდავი, ანუ ___?___

გ) უზარმაზარი, ანუ ___?___ ___?___ ___?___

3. შეადარეთ ტექსტები ერთმანეთს და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

პირველი

ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა. ამ დროს მონადირისაგან შეშინებულმა კაკაბმა თავზე გადაუფრინა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა, ქორს კლანჭებიდან გაუსხლტა და თავს უშველა.

მეორე

ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა. ამ დროს შეშინებულმა კაკაბმა თავზე გადაუფრინა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა და ქორს გაუსხლტა. ქორმა ვერც კაკაბი დაიჭირა და იხვიც დაკარგა!

ა) წაიკითხეთ ის სიტყვები, რომლებიც არის პირველ ტექსტში და არ არის მეორეში.

ბ) წაიკითხეთ ის სიტყვები, რომლებიც დამატებულია მეორე ტექსტში:

გ) მოძებნეთ პირველ ტექსტში ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვა და გადაწერეთ კალიგრაფიის რვეულში.

დ) მოძებნეთ მეორე ტექსტში ფრინველების სახელები და გაუსვით ქვეშ ხაზი.

4. წაიკითხეთ სათაური, დააკვირდით სურათებს და ისაუბრეთ რევაზ ინანიშვილის მოთხრობის სავარაუდო შინაარსის შესახებ.

5. წაიკითხეთ პირველი ეპიზოდი და დააკავშირეთ სურათებთან. დაასახელეთ, რა განსხვავებაა სურათებსა და ეპიზოდის შინაარსს შორის.

ზეიმი სხვენში

1. - მოაქვთ, ბიჭებო, მოაქვთ!

რა მოჰქონდათ, ან ვინ იძახდა ამას, არ იკითხავთ? კაკლით სავსე ვეება ტომარა მოჰქონდათ პაპა სოლომონს და ბებია სალომეს სხვენში ასატანად, - „მოაქვთ, მოაქვთო“, - ამას კიდევ თაგვები იძახდნენ, რომლებიც იმ სხვენში ცხოვრობდნენ და ახლა ერთ ჭუჭრუტანასთან თავმოყრილნი გაფაციცებით ჩასცქეროდნენ ეზოში მომავალ პაპას და ბებიას.

- ოხ-ოხო! რამოდენა ტომარაა! - იძახდა თაგვი ბუძგა. - ბარაქა! ბარაქა! ღმერთო, ხელი მოუმართე ჩვენს პაპასა და ბებიას!

- ჰა, ბებო, ყოჩაღად, ყოჩაღად!

ბებია სალომეს ტომრისთვის პირში ჩაევლო ორივე ხელი, პაპა სოლომონი ყურებივით გამოცქვეტილი ბოლოებიდან ეწეოდა და ვაი-ვიშით, ერთმანეთის ქეზებით, - აბა ჰე, აბა ჰეო, - დერეფნისაკენ მოდიოდნენ.

დერეფანში ტომარა დადგეს, მაგრამ ის იყო ხელი შეუშვეს, რომ ტომარა გადაიქცა და კაკლებმა ჩხრიალი მოიღეს. ამ ხმაზე თაგვებს კბილები აუკაწკაწდათ, ტუჩები ააცმაცუნეს და ნერწყვი გადაყლაპეს.

- ოხ-ოხო! რა კაკალია! რა ზარივით ხმა აქვს! რა გული ექნება! - იძახდნენ და ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდებოდნენ, მიცუცუნებდნენ, მოცუცუნებდნენ, ერთმანეთს ახტებოდნენ, წრუწუნებდნენ, - ჩქარა, რაღას უცდით, ხალხო! ჩქარა, პაპა სოლომონ, ამოიტანეთ ბარემო.

პაპა სოლომონი და ბებია სალომე კი არ ჩქარობდნენ. ტომარა ისევ ფეხზე დააყენეს, ამოიხვნეშეს და დასასვენებლად ჩასხდნენ.

- წელს ეს კაკალი ბლომად მოგვივიდა, ძალიან გავახარებთ ჩვენს შვილიშვილებს! ბევრი გოზინაყი ექნებათ! - ამბობდა პაპა სოლომონი.

- ჩურჩხელები? ჩურჩხელებს აღარა სთვლი? ანდა მარტო ჩურჩხელები? რაღა არ კეთდება ნიგვზისა?!

- ენაცვალოს პაპა ჩვენს ავთანდილსა. რომ ჩავალ ქალაქში ჩემი ჭრელი ხურჯინითა და ჩავუჩხრიალებ ჯიბეში!

- ჩქარა, ხალხნო! - ვეღარ ითმენდნენ თაგვები.

1. დააკვირდით სურათს და დაასახელეთ - სად არიან და რას აკეთებენ თაგვები.

2. წაიკითხეთ მეორე ეპიზოდი და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რამ გადარია თაგვები?

ბ) რა გააკეთა ცაცხანამ და რამ შეაშინა დანარჩენები?

გ) რით დამთავრდა ცაცხანას სიმამაცე?

2. ბოლოს პაპა სოლომონი წამოდგა, კედელზე კიბე მიაყუდა, ზედ აბობღდა და სხვენში აძვრა. იქ, სხვენში, კავი მოძებნა, იმ კავზე კალათი ჩამოჰკიდა და ძირს დარჩენილ ბებიას ჩააწოდა. ბებიამ კალათი კაკლით გაავსო, პაპამ კავი ასწია, კალათი მაღლა აიტანა და სხვენის შუაგულში წამოაპირქვავა.

ამან ხომ მთლად გადარია თაგვები.

- ეუჰ, ეუჰ! - იძახდნენ კბილების კაწკაწით.

პაპა სოლომონი რომ კიბისკენ მიბრუნდა, ცაცხანა თაგვმა მეტი ვეღარ მოითმინა.

- მივდივარ, ბიჭებო!

- სად მიდიხარ, დადექი, რამ გაგაგიჟა?!

- გამიშვით, ხალხნო, რისა გეშინიათ?!

ცაცხანა გაუსხლტა აქეთ-იქიდან დაბღაუჭებულ თაგვებს, გავარდა, დასტაცა ერთ კაკალს პირი და გამოიქცა.

- ვახ! ოხ! - აღმოხდათ თაგვებს და ცაცხანას დაედევნენ, - ერთი გვაჩვენე, როგორი კაკალიაო. - მაგრამ ცაცხანა კოჭებს შორის მირბოდა და ჯავრობდა, - მე რას მომდევთ, ე, ოხრებო, წადით, თქვენ თვითონ ეცადეთო!

თაგვები გამობრუნდნენ და ისევ პაპა სოლომონს დაუწყეს თვალთვალი. პაპა სოლომონი ამოიტანდა სავსე კალათს, დასცლიდა სხვენის შუაგულში და გაშლიდა კალოსავით. ამოიტანდა და დასცლიდა. მალე ტომარაც დაიცალა. პაპა სოლომონმა კაკლის გროვას ირგვლივ შემოუარა, შემოამრგვალა, ზემოდანაც გადაასწორა და ძირს ჩავიდა.

3. წაიკითხეთ ბოლო ეპიზოდი და დაასახელეთ:

ა) რა უხაროდათ თაგვებს?

ბ) რას გამოხატავდნენ ისინი პაპა სოლომონისა და ბებია სალომეს მიმართ?

გ) როგორ ლოცავდნენ ისინი მოხუცებს?

3. ჩავიდაო, და ახლა კი ყველა თაგვი ერთად გამოვარდა სამალავიდან. ჯერ თითო-თითო კაკალი მოიტაცეს და გაიქცნენ. მერე გონს მოვიდნენ, - თითო-თითოს რას მივარბენინებთ, განა სულ ჩვენი არ არისო?! - ისევ გამოცვივდნენ და ზედ გროვაზე დაიწყეს კოტრიალი. ჭამა ვიღას ახსოვდა! იცინოდნენ, ბუქნაობდნენ, ერთმანეთს ებღლარძუნებოდნენ და ხმამაღლა გაიძახოდნენ:

- გაუმარჯოს პაპა სოლომონსა და ბებია სალომეს! ბარაქა იმათ სახლ-კარს! აავსოს, ააშენოს, ამრავლოს, გაუმარჯოს!

პაპა სოლომონი და ბებია სალომე კი ისევ დერეფანში ისხდნენ, ისევ იმას ლაპარაკობდნენ, როგორ გაახარებდნენ თავიანთ შვილიშვილებს ბროლაბროლა კაკლით, და არ იცოდნენ, რომ იმ კაკლით თავდაპირველად თაგვები ხარობდნენ და ახლა ისინი მთელი ქვეყნის გასაგონად ლოცავდნენ ამ კეთილ მოხუცებს.

- გაუმარჯოს პაპა სოლომონსა და ბებია სალომეს! ბარაქა იმათ სახლ-კარსა, რომელიც ჩვენი სახლ-კარიც არის, ბარაქა! დიდება შემოდგომას!

გაუმარჯოს პაპა სოლომონსა და ბებია სალომეს! გაუმარჯოს!

4. დააკავშირეთ სათაურები ეპიზოდებთან.

ა) მადლიერი თაგვები

ბ) კაკლის მოლოდინში

გ) ცაცხანას სულწასულობა

1. შეავსეთ კროსვორდი და წაიკითხეთ, რა წერია გამუქებულ უჯრებში.

1. უტყეო, სწორი და ბალახიანი ადგილი.
2. საქართველოს ძველი დედაქალაქი.
3. წელიწადის დრო, როცა ფოთოლცვენა იწყება.
4. ის, ვინც ასწავლის.
5. ქართველებით დასახლებული ქვეყანა.
6. კავკასიის ქედზე მიჯაჭვული გმირი ქართულ მითოლოგიაში.
7. ფრინველთა მეფე.



2. გადაახარისხეთ კროსვორდში მოცემული სიტყვები ცხრილში.

ვინ?	
რა?	
სულიერი	
უსულო	
საკუთარი	
საზოგადო	

3. მოიფიქრეთ და შეავსეთ ცხრილი მსგავსი სიტყვებით.

ეს ჩემი საქართველოა

უცხოეთში გადახვეწილთა ნოსტალგია

ნიკო ლორთქიფანიძის „გული“

საქართველო - უნიკალური ქვეყანა

მითები და რეალობა - არგონავტების გზით

„დროში გაცოცხლებული“ კარმიდამო

ისტორიის ფურცლები - საქართველო და აბრეშუმის დიდი გზა

საქართველოს ოქროს ხანა - აღმაშენებელი და თამარ მეფე

ომის ქრონიკები - ბასიანი და დიდგორი



ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- ინტერაქცია საქართველოს შესახებ;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრება - ტექსტის მთავარი თემა, აბზაცის ძირითადი აზრი, ტექსტში მოცემული ინფორმაციის ამოცნობა და ა.შ.;
- ფაქტის / მოვლენის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- საკუთარ ემოციებსა და განწყობილებებზე საუბარი;
- ფაქტებსა და მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა და დასკვნების გაკეთება;
- ფაქტებისა და მოვლენების შედარებითი ანალიზი; მოვლენების თანმიმდევრული გადმოცემა;
- ლექსის ანალიზი;
- გზამკვლევის შექმნა.

უცხოეთში გადახვეწილთა ნოსტალგია

„ქართველისთვის სამშობლო ფესვია, რომლისგან მოწყვეტა სულიერი სიკვდილის ტოლფასია“, - ქართველი ემიგრანტის დღიურიდან

1. დააკვირდით ფოტოებს, დაასათაურეთ ისინი და ისაუბრეთ მათ შესახებ.

დაახასიათეთ მათი შინაგანი სამყარო - თქვენი აზრით, რას ფიქრობენ და რას განიცდიან ეს ადამიანები?

2. წაიკითხეთ ჩანაწერები და დააკავშირეთ ფოტოებთან.



„უცხო ქვეყანაში ქუჩაში შემხვედრებში ნაცნობ სახეებს, სამშობლოდან მეზობლებს, ახლობლებს ეძებ - ის იმას ჰგავს, ეს - ამას. უცხო ადამიანებს იმისდა მიხედვით ახარისხებ, ვის გაგონებენ სამშობლოდან. ბოლოს შეიძლება გაგიჟდე. აი, ვთქვათ, ხომ გწყურია და წყალი გინდა, ესეც ასეა, - სამშობლო გშია! არაფერი არ შველის ამას სამშობლოში დაბრუნების გარდა“, - ემიგრანტი შვედეთიდან.

„აქ დღეც სხვანაირია, ღამეც, ვარსკვლავებიც... აქ მხოლოდ მონატრება და ლოდინია, დამქანცველი, ერთფეროვანი, უფერული, უღიმღამო, შემაწუხებელი და უსასრულო. აქ მხოლოდ სიზმრებია ფერადი და ისიც ხანმოკლე და სწრაფმავალი... მონატრებით დავიღალე, ხვალინდელ დღეზე ფიქრით დავიღალე და ასე ფიქრსა და მონატრებაში გავიდა წლები...“

“ვზივარ ზღვის ნაპირზე და თვალცრემლიანი გავცქერი დასალიერს. იქ, სხივების მიღმა, უსაშველოდ შორს, მეგულება ჩემი სამშობლო - საქართველო... ცამეტი წელია, ჩემს მშობლიურ მიწაზე ფეხი არ დამიდგამს. აქაურობა გასამოთხებული ჯოჯოხეთია ჩემთვის, ჩემი ბედკრული ქვეყანა კი გაჯოჯოხეთებული სამოთხე... არაფერი მახარებს უცხო მიწაზე. გარეგნულად თითქოს მხნედ ვართ ემიგრანტები და კარგად ვცხოვრობთ, სინამდვილე კი იმდენად შემზარავია, სულით ხორცამდე შეგძრავს კაცს: ფესვმოწყვეტილნი და გულგამოცლილნი ტანჯვით მივათრევთ ჩვენს ყოფას და რაც ყველაზე მთავარია, არ ვიცით, როდის გვეღირსება უკან დაბრუნება. წლები კი გარბის... ჩვენი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა თავისუფალი კატორღა, სულსა და გულს რომ ადებს მონატრების ბორკილებად”, - ქართველი ემიგრანტის დღიურიდან.

3. რა არის ნოსტალგია და რა იწვევს მას? დაასახელეთ ყველა სწორი ვარიანტი.

ა) ნათესავებისა და მეგობრების მონატრება

ბ) ავადმყოფობა

გ) სამშობლოს მონატრება

დ) ფიზიკური ტკივილის აუტანლობა

ე) რაღაცის დაკარგვით გამოწვეული სევდა

ვ) სამშობლოს სევდა

https://www.youtube.com/watch?v=Oeq5W50Irb8

4. წაიკითხეთ განმარტება და თავიდან უპასუხეთ წინა დავალებაში დასმულ შეკითხვას.

ბერძნულად: nostos - სახლში დაბრუნება, algos – ტკივილი, ტანჯვა. ეს არის სევდა სამშობლოსადმი. სამშობლოს საოცარი მონატრება, რაც ახასიათებთ ენდემური ფსიქოლოგიის მქონე ერების შვილებს.

5. დაუბრუნდით ემიგრანტის ჩანაწერებს და შეასრულეთ მასწავლებლის მითითებები რვეულში.

6. გაეცანით ფილმის ანოტაციას. როგორია თქვენი მოლოდინი?

ქართული დოკუმენტური ფილმი „მიწის სჯული“ სტუდია «გუთანმა» უწმინდესის ლოცვა-კურთხევით 2010-2011 წლებში ამერიკაში გადაიღო და ქართველ მაყურებელს ტკივილიან საფიქრალად შესთავაზა. ფილმში ქრონოლოგიური სიზუსტითაა გადმოცემული ქართველი ემიგრანტების პირველი, იმედიანი ნაბიჯები უცხო მიწაზე და წლების მერე... ახლობლების მონატრება, სამშობლოს ნოსტალგია, უცხო ქვეყანაში ყოფნით გამოწვეული ტკივილი.

როდესაც ფილმი საქართველოს პატრიარქმა ნახა, პირველი რეაქცია მისი ცრემლები იყო... და ბრძანა პატრიარქმა საოცარი სიტყვები: - *ჩვენ დავდექით უფსკრულის პირას და მეტიც, ამ უფსკრულში გადავიხედეთ. ასე თუ გაგრძელდა, თუ არ დაბრუნდნენ ჩვენი შვილები საქართველოში, გავა გარკვეული დრო და ისინი ქართველები აღარ იქნებიან...*

7. ნახეთ ფილმი და იმსჯელეთ პატრიარქის სიტყვებზე: ეთანხმებით თუ არა პატრიარქს?

1. გაეცანით ინფორმაციებს ნიკო ლორთქიფანიძის შესახებ და შეასრულეთ დავალებები.

1. „კაფანდარა იყო, სქელი ტუჩებით, მეჩხერი ულვაშითა და კოხტად შეკრეჭილი მოკლე წვერით. სათვალიდან დაღლილი იცქირებოდა, მშვიდი ნაბიჯით დადიოდა, სახეზე მუდამ ნაღვლიანი შთაგონება ეფინა და ჩუმი ირონიით შეფერილი „მწარე“ ღიმილი იცოდა. ძალზე თავისებური გარეგნობა ჰქონდა“, - პოეტი სიმონ ჩიქოვანი, ნიკოს მოსწავლე

2. ნიკო ლორთქიფანიძე 1902-1907 წლებში ავსტრიაში სწავლობდა. იქ ყოფნის პერიოდში მისი უშუალო მეთაურობით ქ.ლეობენში დაარსდა ქართული სათვისტომო „მიჯაჭვული ამირანის“ სახელწოდებით, რომელიც რვა-ათი კაცისაგან შედგებოდა. სათვისტომოში ხშირად იმართებოდა შეკრებები, სადაც სათვისტომოს წევრები ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებზე მოხსენებებს კითხულობდნენ.

3. პოეტი პაოლო იაშვილი აღფრთოვანებული იყო თავისი მეგობრის, ნიკო ლორთქიფანიძის, თავდაჭერილობით. ერთხელ სუფრასთან გაოცებულმა ჰკითხა ნიკოს: - რატომ არის, ნიკო ბატონო, რომ შემიძლია ყველას მეგობრულად მხარზე ხელი დავკრა, შენ კი - ვერაო. იმიტომ, რომ მე არასოდეს დაგიტყაპუნებ მხარზე ხელსო, - მიუგო ბატონმა ნიკომ.

ნიკო ლორთქიფანიძე, იმერელ თავადთა შთამომავალი, იმპრესიონისტული წერის მანერის დამამკვიდრებელი ქართულ მწერლობაში

დაბ. თარიღი - 17 სექტემბერი, 1880
დაბ. ადგილი - სოფ. ჩუნეში, წყალტუბოს რაიონი
გარდ. თარიღი - 25 მაისი, 1944 წ. თბილისი
დასაფლავებულია - დიდუბის პანთეონი
საქმიანობა - პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პროზაიკოსი და მწერალი

ა) <u>უპასუხეთ შეკითხვებს.</u>

1. როგორია საკუთარი მოწაფის თვალით დანახული ნიკო ლორთქიფანიძე?
2. როგორ ფიქრობთ, რა იყო ავსტრიაში ქართული სათვისტომოს დაარსების მთავარი მიზანი? საიდან ჩანს? დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია ტექსტის მიხედვით.
3. ნიკო ლორთქიფანიძის რომელ პიროვნულ თვისებას უსვამს ხაზს პაოლო იაშვილი? რა მაგალითი მოჰყავს მას ამის საილუსტრაციოდ?
4. როგორ ადამიანს ეძახიან „თავდაჭერილს“? შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:
   ა) ვისაც თავი ამაყად უჭირავს.
   ბ) ვინც თავის განცდებს, სურვილებს არ ამჟღავნებს.

ბ) <u>დააკვირდით პორტრეტს.</u> გამომეტყველების მიხედვით ისაუბრეთ ნიკო ლორთქიფანიძის შინაგან სამყაროზე. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება, რატომ ფიქრობთ ასე.

2. ქართული სათვისტომოს დაარსებას ძალზე უკმაყოფილოდ შეხვდნენ იქ მყოფი რუსი სტუდენტები და განსაკუთრებით გაილაშქრეს „მიჯაჭვული ამირანის“ სახელწოდების წინააღმდეგ. როგორ ფიქრობთ, რატომ? რა იგულისხმება ამ სახელწოდებაში?

3. წაიკითხეთ ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა „გული“ და დაასახელეთ განწყობა, რომელიც დაგეუფლათ. ახსენით თქვენი განწყობის მიზეზი.

გული

მოკვდა.

დის ნაზს ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი; იდუმალის მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს; ნაცნობებს არ მოუკითხავთ; უკანასკნელ წამს შენდობა არ მიუღია იმ მშვიდ, წყნარ ადამიანისაგან, რომლის ძალა აღარ სწამდა, მაგრამ დამამშვიდებელი სიტყვების მისგან გაგონება მაინც უნდოდა; დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები.

მოკვდა უცხოეთში.

- ათასი სნეულებით იყო ავად, არავითარმა წამალმა არ იმოქმედა, - იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი.

ცხედარი გაჭრეს.

პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

- შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!

ერთმანეთს შესცქეროდენ.

- ბატონებო, გული, გული, სადღაა?

გულის მაგიერ ფერფლი-ღა დარჩენილიყო.

დეპეშით გაგებული უბედურებისაგან თავზარდაცემული დედა შევიდა საყვარელ შვილის ობლათ დატოვებულ ოთახში. ქვითინებდა: ასე გამომიმეტე ქვრივი ოხერი? სადაა შენი კარგი გული, ამდენის ვაით და უით რომ ჩაგიდგი საგულეში?

კედლიდან პატარა რუქამ გასცა პასუხი:

- მე დავაჭკნე!

- მე დავწვი! - გახმაურდა სურათი მაგიდაზე.

სიტყვები არავის გაუგონია.

4. დაუბრუნდით ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რამ დააჭკნო და დაფერფლა ამ ადამიანის გული?

ბ) რა გახდა მისი სიკვდილის მიზეზი?

გ) რატომ ვერავინ გაიგო რუკის ნათქვამი?

დ) როგორები არიან ადამიანები, რომლებიც ხედავენ, მაგრამ ვერ აღიქვამენ? ესმით, მაგრამ ვერ იგებენ?

5. „მოკვდა უცხოეთში“, - ვკითხულობთ ტექსტში. თქვენი აზრით, როგორ უნდა გავიგოთ აქ „უცხოეთი“? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები ვარიანტი და დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.

ა) სამშობლოს გარეთ, უცხო ქვეყანა

ბ) გაუცხოება, მარტოსულობა საკუთარ სამშობლოში.

6. როგორ გესმით ფრაზა - უცხოეთი უფრო მწარეა, როცა ამ უცხოეთს გრძნობ შენს სამშობლოში **- ეთანხმებით თუ არა ამას? დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.**

საქართველო - უნიკალური ქვეყანა

1. გაეცანით მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ შეკითხვებს.



დროშა გერბი

დევიზი: ძალა ერთობაშია

მდებარეობა	ევრაზია, კავკასია, შავი ზღვის აღმ. სანაპირო
საზღვრები	ჩრდილოეთიდან რუსეთი, სამხრეთიდან თურქეთი და სომხეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი
დედაქალაქი	თბილისი
ოფიციალური ენა	ქართული, აფხაზური
ეთნიკური ჯგუფები (2014)	ქართველები - 86,8 % აზერბაიჯანელები - 6,2 % სომხები - 4,5 % სხვა - 2,8 %
ვალუტა	ლარი (GEL)
ეროვნული დღესასწაული	დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი (1918 წ) 9 აპრილი (1991 წ)

ა) რატომ ეძახიან საქართველოს ტრანსკონტინენტურ ქვეყანას?

ბ) რომელი ქვეყნები ესაზღვრება მას?

გ) რამდენია არაქართველი მოსახლეობის წილი ქვეყანაში?

დ) როდის აღინიშნება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე?

2. იმსჯელეთ მოცემული შეკითხვების გარშემო.

ა) საიდან მომდინარეობს სახელწოდება „საქართველო“?

ბ) რატომ ეძახიან საქართველოს „Georgia“-ს? რას ნიშნავს „Georgia“?

3. წაიკითხეთ და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

ქვეყნის სახელწოდება „საქართველო“ მომდინარეობს „ქართ“ ძირისაგან, რაც უძველეს სატომო სახელს „ქართუ, კარდუ, ხალდუ“-ს უკავშირდება.

ძველი ბერძნების სახელდებით კი საქართველო არის მიწის მუშაკთა - „გეორგიანთა“ ქვეყანა.

4. დააკვირდით რუკას და შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

ა) აღწერეთ რუკაზე მოცემული საქართველო.

ბ) მოძებნეთ და დაასახელეთ თქვენთვის ნაცნობი ან საინტერესო ადგილები, ღირსშესანიშნაობები და ა.შ.

გ) გაიხსენეთ საქართველოს კუთხეები და დაასახელეთ, რომელ რეგიონშია თოვლით დაფარული მწვერვალები? შავი ზღვა? კოშკები? საქართველოს დედაქალაქი - თბილისი?

5. თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველო უნიკალური ქვეყანა? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.

6. წაიკითხეთ და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

საქართველო ევროპისა და აზიის შესაყარზე – ორ ზღვას შუა, შავსა და კასპიის ზღვებს შორის, მდებარეობს. სწორედ ასეთმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი ბუნებრივი მრავალფეროვნება. აქ გვხვდება შავი ზღვის ქვიშიანი ნაპირები და მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალები, ნახევრად უდაბნოები, ჭაობები და ხშირი ტყით შემოსილი მთის ხეობები. ბუნების ასეთი მრავალფეროვნების წყალობით, შესაძლებებლია ზაფხულში თხილამურებით სრიალი და შემდეგ ზღვაში ბანაობა.

7. შეადარეთ საქართველოს ის ქვეყანა, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ:

ა) სად, რომელ კონტინენტზე მდებარეობს?

ბ) რას ნიშნავს მისი სახელწოდება და საიდან მომდინარეობს ის?

გ) გამოირჩევა თუ არა ბუნების მრავალფეროვნებით? მიუთითეთ კონკრეტულად.

1. გამოიყენეთ რუკა და შეავსეთ ცხრილი.

ისტორიული საქართველოს ტერიტორიები	დღევანდელი ადმინისტრაციული ერთეულები

2. დაუბრუნდით ცხრილის პირველ სვეტს და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

ა) განსაზღვრეთ კონკრეტული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტერიტორიის ადგილმდებარეობა დღევანდელ პოლიტიკურ რუკაზე.

ბ) მოძებნეთ რუკაზე და მიუთითეთ მისი ფიზიკური და გეოგრაფიული საზღვრები.

გ) აირჩიეთ ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, მოიძიეთ ინფორმაცია მის შესახებ ნიმუშის მიხედვით და გააცანით ერთმანეთს.

თორი - საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, ისტორიული მესხეთის ნაწილი. სახელწოდება წარმოდგება დაბა თორისგან. შუა ფეოდალურ ხანაში თორი ცალკე სადროშო იყო, რომელსაც სათავეში თორელთა საგვარეულო ედგა. შემდგომში ის ათაბაგების გამგებლობაში შედიოდა. XVI ს-ში ოსმალებმა დაიპყრეს. XVII-XVIII ს.ს.-ში თორი ქართლის სამეფოს დაუბრუნდა. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, თორი მოიცავს სამცხე-ჯავახეთის მხარის ბორჯომის რაიონის ტერიტორიას.

3. რა იცით ამ მიწაზე ქართველთა დასახლების შესახებ? გსმენიათ თუ არა მასთან დაკავშირებული ლეგენდები?

4. წაიკითხეთ ლეგენდები და უპასუხეთ შეკითხვებს.

სამყაროს შექმნის დროს ღმერთმა მოაგროვა ყველაზე მშვენიერი: თვალისმომჭრელი ცის ფერი, კრისტალივით სუფთა ჰაერი, ციცაბოდ დაშვებული მთის კალთები, ზღვის უძირო ყურეები და მარადმწვანე მცენარეები. ეს განძი გულზე მიიკრა და თავის სამფლობელოსაკენ გაეშურა. გზად იგი კავკასიონის მთებზე წაბორძიკდა და მთელი სიმდიდრე დაებნა. სწორედ ამ ადგილას წარმოიშვა საქართველო.

სამყაროს შექმნის შემდეგ ღმერთმა შეკრიბა დედამიწაზე მცხოვრები ყველა ერი და გადაწყვიტა, მათთვის დედამიწა გაენაწილებინა. დედამიწის განაწილებაზე ქართველებს დაჰგვიანებიათ. ღმერთს მკაცრად გამოუკითხავს დაგვიანების მიზეზი. ქართველებმა უპასუხეს, იმიტომ დაგვაგვიანდა, რომ შენს სადღეგრძელოს ვსვამდითო. ღმერთს სიმკაცრე ლმობიერებით შეუცვლია და უთქვამს, მიწები უკვე დავარიგე, მაგრამ რაკი აგრეა, იმ მიწაზე დაგასახლებთ, რომელიც ჩემთვის მქონდა გადანახულიო. მას შემდეგ ქართველები მიწიერ ედემში ცხოვრობენ და ღმერთს მადლობას სწირავენ.

ა) რა განსხვავებაა პირველ და მეორე ლეგენდას შორის?

ბ) როგორ გაჩნდა საქართველო პირველი ლეგენდის მიხედვით? მეორე ლეგენდის მიხედვით?

გ) რა განძი ჰქონდა უფალს პირველი ლეგენდის მიხედვით?

დ) რა ჰქონდა უფალს თავისთვის გადანახული მეორე ლეგენდის მიხედვით?

ე) კიდევ რას ეძახიან ედემის ბაღს?

5. გაიხსენეთ მეორე ლეგენდა და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა გადაწყვიტა ღმერთმა სამყაროს შექმნის შემდეგ?

ბ) ვის უნაწილებდა უფალი დედამიწას?

გ) სად იყვენენ და რატომ დაიგვიანეს ქართველებმა?

დ) როგორ მოიქცა უფალი, როცა ქართველების დაგვიანების მიზეზი შეიტყო?

6. განმარტეთ თქვენი სიტყვებით, რას ნიშნავს:

თვალისმომჭრელი? კრისტალივით სუფთა? ციცაბოდ დაშვებული? უძირო ყურე?

1. დააკვირდით სურათებს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ადრექართული სახელმწიფოები ძვ.ნ. 600-150 ა.ნ.
კოლხეთის სამეფო
იბერიის სამეფო
სარმატია
დიდოეთი
სვანეთი
კოლხეთი
ფაზისი
არგვეთი
კახეთი
ალბანეთი
ბერძენი
ბოსპორი
ტაოხეთი
ჰენიოხეთი
ბეხირები
ეგრისი
ზენდა
ეფესელი
ბერძენი
ეგეოსი
ეგეოსი
ეგეოს

3. დააკვირდით გზას, რომელიც გაიარეს არგონავტებმა.

4. გსმენიათ თუ არა „ახალი არგონავტების“ შესახებ, რომლებმაც სცადეს არგონავტების გზის გამეორება? მოისმინეთ ინფორმაციები მათ შესახებ და უპასუხეთ შეკითხვებს.

ქართველი „არგონავტები“ (1970 წ).

ინგლისელი „არგონავტები“ (1984 წ.)

ბერძენი „არგონავტები“ (2009 წ.)

1. სად დაიწყო ქართველი არგონავტების მარშრუტი და სად დასრულდა?
2. რამდენი თვე გაგრძელდა ქართველი არგონავტების მოგზაურობა?
3. ვინ ხელმძღვანელობდა ინგლისელ „არგონავტებს“?
4. რატომ მოინახულა ტივ სევერინმა სვანეთი?

5. შეეცადეთ, თანამედროვე რუკის დახმარებით „გაიაროთ“ ტიმ სევერინის მარშრუტი.

<u>**სტარტი ქალაქ ვოლოსიდან აიღეს.**</u> გაიარეს ეგეოსის ზღვა, გაცურეს დარდანელის სრუტე, შევიდნენ მარმარილოს ზღვაში, გაცურეს ბოსფორის სრუტე, საიდანაც მოხვდნენ შავ ზღვაში. შემდეგ გაუყვნენ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს (დღევანდელი თურქეთი) და მოვიდნენ ფოთამდე. ბოლოს ფოთიდან მდინარე რიონით ქუთაისში ჩავიდნენ.

„დროში გაცოცხლებული“ კარმიდამო

ეთნოგრაფიულ მუზეუმში სტუმრობა დროის მანქანით სარგებლობას ჰგავს, რომელიც საუკუნის წინანდელ და უფრო ადრინდელ პერიოდში გამოგზაურებს.

1. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა იცით ეთნოგრაფიული მუზეუმის შესახებ?

ბ) რით განსხვავდება ის სხვა მუზეუმებისაგან?

გ) ხართ თუ არა ეთნოგრაფიულ მუზეუმში ნამყოფები? სად და როდის?

დ) რამ მოგხიბლათ იქ განსაკუთრებით?

2. რომელია სწორი ინფორმაცია? წაიკითხეთ და შემოხაზეთ თქვენი ვარაუდები.

ა) მსოფლიოში პირველი ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ დაარსდა:

1. ნორვეგიაში 2. საფრანგეთში 3. შვედეთში

ბ) მსოფლიოში ღია ცის ქვეშ ყველაზე ცნობილი მუზეუმია:

1. ბრაზილიაში 2. იაპონიაში 3. შვედეთში

გ) კავკასიაში პირველი ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ დაარსდა:

1. აზერბაიჯანში 2. საქართველოში 3. სომხეთში

დ) საქართველოში ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ მდებარეობს:

1. თბილისში 2. ქუთაისში 3. თელავში

3. წაიკითხეთ დანართში მოცემული ტექსტი (გვ. 291) და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

4. გაეცანით თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის შესახებ ინფორმაციას და მონიშნეთ ცხრილში შესაბამისი უჯრა.

მუზეუმი წარმოადგენს საქართველოს მინიატურულ მოდელს და ასახავს მის მრავალფეროვან ეთნოკულტურას. ტერიტორია დაყოფილია 11 ზონად. მათგან ხუთ ზონაში აღმოსავლეთ საქართველოა წარმოდგენილი, ხუთში კი - დასავლეთი. მეთერთმეტე ზონა კი ეთმობა ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებს, რომელთა შორისაა ძვ. წ. II ათასწლეულის აფხაზური დოლმენი (საგვარეულო სამარხი).

აფხაზური დოლმენი

მესხური დარბაზი

ამჟამად აქ განლაგებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი 70-მდე საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების მქონე ნაგებობა და 8000-მდე უნიკალური ექსპონატი. არქიტექტურულ ექსპონანტებ შორის ყველაზე ადრეულია მე-17 საუკუნის მესხური დარბაზი, რომელიც გადმოტანილია ასპინძის რაიონის სოფელ ჭაჭკარიდან 1971 წელს. ის უნიკალურია თავისი ინტერიერითა და ერდო-გვირგვინიანი გადახურვით, რომელსაც სამცხე-ჯავახეთში *„მერცხლის ბუდურას“* ეძახიან.

გვირგვინის დამჭერ ხის ბოძებზე გამოკვეთილია ვერძის თავები. დარბაზის კედლები ნაგებია ხსნარის გარეშე. გვირგვინი ბოლოვდება ერდოთი, საიდანაც კვამლი გადის და სინათლე შემოდის.

	სწორია	**არ არის სწორი**	**არ ჩანს ტექსტში**
მუზეუმში დაცული ყველაზე ძველი ნაგებობა მე-17 საუკუნეს ეკუთვნის.			
მუზეუმი ღია ცის ქვეშ სულ 65 ჰექტარ მიწას იკავებს.			
ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებიდან მუზეუმში მხოლოდ აფხაზური დოლმენია დაცული.			
ყველაზე მეტ ზონას მუზეუმში დას. საქართველო იკავებს.			

5. გაასწორეთ წინა დავალებაში მოცემული მცდარი ინფორმაცია ტექსტის მიხედვით.

6. მოიძიეთ ინფორმაცია იმ ქვეყანაში არსებული ეთნოგრაფიული მუზეუმის შესახებ, რომელშიც ცხოვრობთ და შეადარეთ თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს.

ისტორიის ფურცლები

საქართველო და აბრეშუმის დიდი გზა

1. რა იცით აბრეშუმის გზის შესახებ?

ა) სად გადიოდა ეს გზა და რატომ უწოდებდნენ მას აბრეშუმის გზას?

ბ) რა საერთო ჰქონდა საქართველოს ამ გზასთან?

გ) რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ გზის არსებობას იმ ქვეყნებისთვის, რომლებზეც ის გადიოდა?

2. წაიკითხეთ და შეამოწმეთ.

I. საქართველო მდებარეობს იქ, სადაც ერთმანეთს ორი უდიდესი სამყარო - ევროპა და აზია ხვდება. შავი ზღვით საქართველო უკავშირდება შავიზღვისპირეთის ქვეყნებს, ხოლო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით - ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს. გიბრალტარის სრუტით შესაძლებელია კავშირი მთელს მსოფლიოსთან, მდინარე დუნაის მეშვეობით კი - აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან.

II. სწორედ ასეთი გეოგრაფიული მდებარეობის გამო გადიოდა საქართველოზე ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა მსოფლიოს უდიდეს ცივილიზაციებს: ჩინეთს, მონღოლეთს, ინდოეთს, საბერძნეთს, ბიზანტიას, ირანს, მესოპოტამიასა და რომს. ამ გზაზე კვეთდნენ ძვ. წ. 139-126 წლებიდან სავაჭრო ქარავნები ათასობით კილომეტრს და ჩინეთიდან ევროპაში, ძირითადად, აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი გადაჰქონდათ.



აბრეშუმის გზის მნიშვნელობა მხოლოდ აბრეშუმით ვაჭრობა არ ყოფილა. მისი როლი ბევრად უფრო ფართო და მრავალფეროვანი იყო: ქარავნებს არა მარტო გასაყიდი საქონელი შემოჰქონდათ და გაჰქონდათ, არამედ ხდებოდა კულტურული და პოლიტიკური სივრცეების დაახლოება. აბრეშუმის გზა ხელს უწყობდა ტექნოლოგიურ პროგრესსაც.

აბრეშუმის დიდმა გზამ მნიშვნელობა დაკარგა XVII საუკუნის მიწურულს, როდესაც ევროპელებმა საბოლოოდ აითვისეს საოკეანო გზა აფრიკის შემოვლით.

3. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა უპირატესობას ანიჭებდა საქართველოს შავიზღვისპირა მდებარეობა სამხრეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან - აზერბაიჯანთან და სომხეთთან შედარებით?

ბ) რაში გამოიხატებოდა ეს უპირატესი მდებარეობა?

გ) რატომ იყო, რომ „ვინც ფლობდა თბილისს, ის ფლობდა კავკასიას და ვინც კავკასიას ფლობდა, მას ის კარიბჭეც ეკუთვნოდა, რომელსაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეერთება ჰქვია“?

დ) რატომ უწოდა მე-19 ს-ის გერმანელმა გეოგრაფმა ფერდინანდ ფონ რიხტჰოფენმა ამ გზას „აბრეშუმის გზა“?

ე) როდის დაკარგა აბრეშუმის დიდმა გზამ მნიშვნელობა და რა იყო ამის მიზეზი?

4. გამოიყენეთ ტექსტი და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

ა) მონიშნეთ კონტურულ რუკაზე აბრეშუმის დიდი გზა;

ბ) ჩამოთვალეთ ქვეყნები, რომლებზეც აბრეშუმის გზა გადიოდა;

გ) ჩამოთვალეთ გეოგრაფიული ფაქტორები, რომლებიც განაპირობებდა აბრეშუმის დიდი გზის არსებობას.

დ) დაასახელეთ აბრეშუმის გზის ისტორიული მნიშვნელობა და მისი გავლენა აბრეშუმის დიდი გზის ქვეყნებზე.

1. გაეცანით ორივე მეფის შესახებ მოცემულ ინფორმაციას და შეადარეთ ერთმანეთს.



დავით IV აღმაშენებელი ხელში საკუთარი ანდერძითა და ტაძრის მაკეტით, გელათის მონასტრის ფრესკა.

საქართველოს მეფე 1089-1125 წლებში

წოდება	„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა“
დაბ. თარიღი	1073
დაბ. ადგილი	ქუთაისი
გარდ. თარიღი	6 თებერვალი, 1125
მეუღლე	1. უცნობი სომეხი ქალი 2. გურანდუხტი
შვილები	დემეტრე I თამარი კატაი ვახტანგი თამარ მრწემი
დინასტია	ბაგრატიონები
მამა	გიორგი II
დედა	ელენე

მოაწესრიგა სახელმწიფო მმართველობა. შემოიღო უმაღლესი სასამართლო დაწესებულება - „სააჯო კარი“.

სახელმწიფოს შიგნით დაამყარა მშვიდობა და ერთობა.

აღადგინა და გააძლიერა ქართული ქრისტიანული ეკლესიის ავტორიტეტი.

აღკვეთა თავგადასულ ფეოდალთა და უღირს სასულიერო პირთა თავნებობა.

შექმნა 45 000 კაცისაგან შემდგარი (5000 ქართველი და 40 000 ყივჩაღი) კარგად გაწვრთნილი მუდმივი ლაშქარი.

მტერთაგან სრულად გაათავისუფლა და გააერთიანა საქართველო.

განავრცო საქართველოს საზღვრები „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“.

განავითარა ვაჭრობა და ხელოსნობა. ააღორძინა სოფლები და ქალაქები. შეეწეოდა ტაძრებსა და მონასტრებს. დააარსა გელათის აკადემია.

საქართველო კავკასიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. ქართული სამეფო თავის გავლენას ავრცელებდა როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით.

შეიქმნა ტრაპიზონის იმპერია.

მნიშვნელოვნად განვითარდა ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა. გაიზარდა სავაჭრო ურთიერთობები არაბეთთან, ბიზანტიასთან და სხვა სახელმწიფოებთან.

მაღალ დონეს მიაღწია განათლებამ და კულტურამ. დაარსდა სკოლები და აკადემიები, სადაც ისწავლებოდა: გრამატიკა, ფილოსოფია, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მედიცინა, მუსიკა და ასტრონომია.

აიგო მნიშვნელოვანი ტაძრები და ციხე-სიმაგრეები.

ფართოდ განვითარდა საერო მწერლობა და პოეზია. დაიწერა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.



თამარ მეფე - გამოსახული ვარძიის მონასტრის ერთ-ერთ ფრესკაზე

საქართველოს მეფე 1184-1210 წლებში

წოდება - მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანთა და შაჰანშათა და მბრძანებელი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, დიდება ამა სამყაროსა და სარწმუნოებისა, მესიის მოვლენილი

დაბ. თარიღი	1160
გარდ. თარიღი	1210
მეუღლე	1. იური (გიორგი) 2. დავით სოსლანი
შვილები	გიორგი IV ლაშა რუსუდანი
დინასტია	ბაგრატიონები
მამა	გიორგი III
დედა	ბურდუხანი

ხელმოწერა

სამეფო სიმბოლო

2. დაუბრუნდით დავით აღმაშენებლისა და თამარის დროინდელ საქართველოს და შეადარეთ მისი საზღვრები თანამედროვე საქართველოს საზღვრებს.

3. დაასახელეთ დავითისა და თამარის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი პრიორიტეტები.

1. წაიკითხეთ თამარ მეფის (1160-1213 წწ.) სიტყვა, რომელიც მან მეფედ კურთხევის დროს წარმოთქვა და შეასრულეთ დავალებები.

„წმინდა მამანო, კეთილად გამოიძიეთ ყოველივე და დაამტკიცეთ სიმართლე, განდევნეთ უსამართლობა. დაუსჯელნი არ უნდა დარჩნენ ბოროტმოქმედნი. დაიწყეთ მართლმსაჯულების აღსრულება თუნდაც ჩემგან, თუკი დამნაშავე ვარ და რამეში მედება ბრალი.

გვირგვინი, რომელიც თავზე მადგას, ნიშანია მეფობისა და არა - ღვთის გმობისა და უსამართლობისა. ყურადღებას ნუ მიაქცევთ ნურც წარმომავლობასა და ნურც დიდკაცობას. სამართლიანად მოეპყარით ყველას - გლეხსაც და თავადსაც. ყველამ ერთად ვიმოქმედოთ ქვეყნის კეთილდღეობისათვის, თქვენ - სიტყვით, მე კი - საქმით; თქვენ - დარიგებით და მე - აღსრულებით ისე, როგორც წესი და რიგია, რათა ყველამ აღასრულოს კანონი!

უშიშრად დავეხმაროთ ერთმანეთს და თვალყური ვადევნოთ სამართლის აღსრულებას!“

ა) უპასუხეთ შეკითხვებს.

1) ვის მიმართავს თამარ მეფე? ვინ არიან „წმინდა მამანი“?
2) რისი სიმბოლოა გვირგვინი?
3) რის აღსრულებას სთხოვს თამარი წმინდა მამებს?
4) როგორია მეფის სამართალი?

ბ) განმარტეთ ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობა.

1) <u>კეთილად</u> გამოიძიეთ ყოველივე!
2) დაიწყეთ მართლმსაჯულების <u>აღსრულება</u> ჩემგან!
3) ნუ მიაქცევთ ყურადღებას <u>დიდკაცობას</u>!
4) <u>უშიშრად</u> დავეხმაროთ ერთმანეთს!

გ) დაადასტურეთ ან უარყავით მოცემული ინფორმაცია და დაასაბუთეთ შესაბამისი ფრაზით.

1) თამარ მეფე უპირატესობას არავის ანიჭებს. მისთვის ყველა თანაბარია.
2) თამარ მეფე მკაცრი და შეუპოვარია უსამართლობასთან ბრძოლაში.
3) თამარ მეფე სასულიერო პირებს უფრო მეტს სთხოვს, ვიდრე საერო პირებს. <u>თვალყური ვადევნოთ</u> სამართლის აღსრულებას!

დ) მოძებნეთ ტექსტში მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა და ამოწერეთ.

1) გააძევეთ, გაგდეთ: _____
2) კარგი, ბედნიერი ცხოვრება, კარგი ყოფა: _____

2. გაეცანით ძირითად ინფორმაციას და უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს.

თარიღი: 17 ივლისი, 1202

ბრძოლის ადგილი: ბასიანი (ახლანდელი ერზრუმი, თურქეთი)

ბრძოლის მიზეზი: რეგიონში უპირატესობის მოპოვება

ბრძოლის შედეგი: საქართველოს გამარჯვება - რუქნადინის გაქცევა

მხარეები	
რუმის სასულთნო, აბასიანთა სახალიფო, აიუბიდები, ღურიდები, ილდეღიზიდები	საქართველო
სამხედრო ძალები	
დაახლოებით, 400,000	დაახლოებით, 65,000
მეთაურები	
რუქნ ად-დინ სულეიმან-შაჰი	დავით სოსლანი, ზაქარია მხარგრძელი, შალვა და ივანე ახალციხელები

3. დააკვირდით მხარეების განლაგებას და ისაუბრეთ ქართველთა პოზიციებზე.

ა) რამდენნაწილიანი საბრძოლო წყობაა გამოყენებული?

ბ) რის მიხედვით არის ლაშქარი განლაგებული?

გ) სულ რამდენი სადროშო იყო თამარ მეფის საქართველოში?

4. გაეცანით სიტუაციასა და ცალკეულ დეტალებს, გამოიყენეთ მოცემული მხარეთა განლაგებაც და აღადგინეთ ბასიანის ბრძოლის სურათი თავიდან ბოლომდე.

სულთნის ლაშქარს ბუნებრივი სიმაგრეებით (მთიანი და ოღროჩოღრო გარემო) დაცული პოზიცია ეკავა. ამიტომ ქართველებმა ხერხს მიმართეს:

ა) მტრის ბანაკთან ღამით ჩუმად მისვლა;

ბ) ლაშქრის სტრატეგიული განლაგება;

გ) მოულოდნელი თავდასხმა განთიადისას და მტრის ბანაკში არეულობის შეტანა.

1. გაეცანით მეფე დავით IV აღმაშენებლის ანდერძს და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

1. გარდაცვალების, ამ წუთისოფლის დატოვების, წინ ბრძანებს და მოგახსენებთ მეფეთ მეფე დავითი, როგორც ერთი უბრალო, უღირსი ვინმე.

2. განდიდებასა და მეფობის პატივს ვესწრაფოდი და არ მახსოვდა ეს დღე – გარდაუვალი სიკვდილისა. სოფლისმოყვარემ ვერ დავთმე წუთისოფელი, ვიდრე თავად არ მიმატოვა საწუთრომ და წარვდექი მრავალი ცოდვით სულდამძიმებული და დამწუხრებული უფლის (მსაჯულის) წინაშე.



ანდერძი დაწერილია დავით აღმაშენებლის შირვანში ლაშქრობის წინ. მეფე ეწვია შიომღვიმის ლავრას კურთხევის მისაღებად.

3. ღმერთმა მრავალჯერ მომაგო თავისი წყალობა ამქვეყნად, რამეთუ მომცა ძე დემეტრე სიბრძნით, სიწმინდით, ახოვანებითა და სიძლიერით ჩემი მჯობი (ჩემზე აღმატებული). ჭეშმარიტად, მეფედ ღვთისგან მოვლენილი, ქრისტიანი (მართლმორწმუნე) ერის პატრონად.

4. მაგრამ დამძლია საწუთრომ და მაზღვევინა ჩემი და ჩემი წინაპრების ცოდვები, რომელთაც ზურგი შევაქციე, არად ჩავაგდე. და, აჰა, ასე გადაწყვიტა მართლმსაჯულმა უფალმა: მე მივყავარ თავისთან, ხოლო იგი [დემეტრე] მიიწვია მეფედ ჩვენი ბრძოლით მოპოვებული მამულისა, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან სოერად და არეგაწამდე.

5. ამ ყოველივეს მე წავუმძღვარე წმინდა ძელი ცხოვრებისა (ქრისტეს ჯვარი) და მასთან ერთად დროშა სვიანი (ღვთისაგან დალოცვილი, გამარჯვებული), ჩემი სამეფო იარაღი და მთელი განძი და ქონება.

6. ახლა ჩემმა ძემ, დემეტრე მეფემ, აღასრულოს ყოველივე საუკუნოდ და მას ნურაფერს მოაკლებს, რაც მიმიცია.

ნიკოფსია – ისტორიული ციხე-ქალაქი შავი ზღვის პირას, ქ. ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით. ქალაქს ადრე ლაზიკე ერქვა. ნიკოფსია პირველად მოხსენიებულია V ს-ის უცნობ ავტორთან. VIII ს-ის ბოლოს შევიდა ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში. XVI ს-დან თანდათან გამოეთიშა საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას. ფეოდალურ ხანაში იგი უკვე ნაქალაქარია.

დარუბანდი – (სპარს. დარ-კარი, ბანდ-ზღუდე) – ძვ. ჩორი, ქალაქი დაღესტანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე. ნავსადგური. ხშირად აიგივებენ ალექსანდრეს ლეგენდარულ ჭიშკართან.

სოერი – ადგილის სახელწოდება სომხეთში.

არეგაწი/არაგაწი – მთის მასივი სომხეთში, ერევნის ჩრდილო-დასავლეთით. სამხრეთ ფერდობზე შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხესიმაგრის ნანგრევები.

შარვანი/შირვანი – ისტორიული ქვეყანა, ამჟამად შედის აზერბაიჯანში.

წმიდა შიო – VI საუკუნეში ასურეთიდან ქართლში ქრისტიანობის განსამტკიცებლად ჩამოსულ ცამეტ წმინდა მამათაგან ერთ-ერთი [შიომღვიმის მონასტრის დამაარსებელი მცხეთის სიახლოვეს].

2. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) ვის მოიხსენიებს დავით აღმაშენებელი, როგორც „ერთ უბრალოსა და უღირს ვინმეს“?

ბ) რატომ მიიჩნევს მეფე თავს უღირსად? უპასუხეთ მე-2 და მე-3 მონაკვეთების მიხედვით.

გ) რაში ხედავს დავით აღმაშენებელი საკუთარ „სოფლისმოყვარეობას“?

დ) როგორ ახასიათებს ის საკუთარ ძეს - დემეტრეს?

ე) როგორ მამულს აბარებს აღმაშენებლი დემეტრეს?

3. როგორ გესმით ხაზგასმული სიტყვები? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.

„ახლა ჩემმა ძემ, დემეტრე მეფემ, აღასრულოს ყოველივე საუკუნოდ და მას ნურაფერს მოაკლებს, რაც მიმიცია“.

1125 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა 52 წლის მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰინშა, დავით IV აღმაშენებლად წოდებული. მეფე გელათში გადაასვენეს და, მისი სურვილისამებრ, კარიბჭეში დაკრძალეს.

4. წაიკითხეთ ანა კალანდაძის ლექსი - „ფეხი დამადგით“ - და შეასრულეთ დავალებები.

ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით...
საქართველოის ყოვლის მპყრობელმან
ვისურვე, დავით...
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტევნებით...
- ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,
მიუტევები?
ღირსმსახურობდი ქართულ მიწა-წყალს,
რაი გადარდებს?
გასწიე იგი „ნიკოფსიითგან
დარუბანდამდე“...
თუ, ეს მართალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით?
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,
რაღა ქნან ცოდვილთ
სული სიმშვიდის, სული სიმშვიდის
ვერსით მპოველთა?
- გულზე დამადგით, ფეხი დამადგით
გულზე ყოველთა...

დავით აღმაშენებელმა დაწერა „გალობანი სინანულისანი“, რომლის გამოძახილიც არის ანა კალანდაძის ეს ლექსი.

ა) გაიხსენეთ დავით აღმაშენებლის ანდერძი და დააკავშირეთ ის ლექსის პირველ ნაწილთან. რას ითხოვს მეფე? რის გამო ითხოვს ამას და რისთვის?

ბ) აღმაშენებელი წერს: „მე ვარ უფსკრული, რომელშიც ჩაედინებიან ცოდვის ღარები ... მე ჩემს ცოდვებს მონად მივეყიდეო“. თქვენი აზრით, როგორ ადამიანებს აქვთ ცოდვისა და ცოდვილობის ასეთი განცდა? რას უწოდებს ამას ანა კალანდაძე?

გ) ეს ლექსი ერთგვარი დიალოგია დავით აღმაშენებელსა და პოეტს შორის. როგორ ფიქრობთ, რა გვიქმნის მათ შორის გამართული დიალოგის განსაკუთრებულ, მძაფრ განცდას?

დიდგორის ბრძოლის ქრონიკა

1. წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ შესაბამისი ინფორმაციით.

როგორც დავითის ისტორიკოსი წერს, სპარსეთში (ისპაჰანში) მჯდარმა სელჯუკთა სულთანმა მთელი სამუსლიმანო გააერთიანა დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ. ათიათასობით სელჩუკთან ერთად ლაშქარში იყო 6-7 ათასი შირვანელი, 12 ათასი არაბი, 3 ათასი ქილიკიელი სომეხი, 1500 დაქირავებული ლიბიელი და სხვა მრავალი წვრილ-წვრილი საამიროს საჯარისო ნაწილები. გადაწყვიტეს, ერთიანი ძალით შეეტიათ საქართველოსათვის. ზღვის ქვიშასავით ურიცხვი ლაშქარი შეიკრიბაო, - წერს ქართველი მემატიანე. ისტორიკოსები 300 ათას მეომარს ვარაუდობენ, რომელთაც თურქი სარდალი და მხედართმთავარი ილღაზი მეთაურობდა. დავით აღმაშენებელმა მტრის წინააღმდეგ მხოლოდ 56 000-მდე მეომარი გამოიყვანა. სომეხი ისტორიკოსის ცნობით, დავითის ლაშქარს შეადგენდა 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაღი, 500 ალანი (ოსი) და 200 ფრანგი (ევროპელი) ჯვაროსანი.

1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე ქართველთა ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. დიდგორის ომს ქართველმა ისტორიკოსმა „ძლევაი საკვირველი“ უწოდა. მეფის გონივრული სამხედრო სტრატეგიის წყალობით, დიდგორი დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის ბრძოლის, ერთიანობისა და ქვეყნისათვის თავდადების სიმბოლოდ იქცა. საქართველომ საბოლოოდ დაიმკვიდრა რეგიონის უძლიერესი სახელმწიფოს სახელი.

თარიღი: _____

ბრძოლის ადგილი: _____

ბრძოლის მიზეზი: _____

ბრძოლის შედეგი: _____

მხარეები	
თურქ-სელჯუკები:	საქართველო:
სამხედრო ძალები	
მეთაურები	

„ძლევაი საკვირველი“

> მტერი „მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელიც თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა... და იყო სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა“, -
>
> დავით აღმაშენებლის
> ისტორიკოსი

1. სელჩუკების ლაშქარი ცალკეულ რაზმებად იყო დაყოფილი. თითოეულ ასეთ რაზმში 50 ცხენოსანი და 80-100 ფეხოსანი შედიოდა. შეიარაღება და წყობა, ძირითადად, ტრადიციული, არაბული იყო, რაც გულისხმობდა მსუბუქად შეჯავშნულ და მოკლე ხმლებით შეიარაღებულ კავალერიას და მათ წინ მდგარი შუბოსნების ე.წ. დამცავ კედელს. ფეხოსანთა შუბის სიგრძე, დაახლოებით, 1,5-2 მეტრს შეადგენდა.

3. ქართული ლაშქრის შეიარაღება და სამხედრო წყობა მკვეთრად განსხვავდებოდა მოწინააღმდეგისაგან. ქართველები უპირატესობას წინ წამძღვანებულ მშვილდოსნებს ანიჭებდნენ. მშვილდოსნების უკან ე.წ. მეფის ჯარი იდგა, რომელიც მძიმედ იყო შეჯავშნული და 200 ევროპელ ჯვაროსანთან ერთად ჯარის წყობის ყველაზე გამაგრებულ ნაწილს წარმოადგენდა. სულ ბოლოში მსუბუქად შეჯავშნული ფეხოსნები მოდიოდნენ. მათ შორის იყო გრძელი ქართული ხმლებით შეიარაღებული 15 ათასი ყივჩაღი.

4. დავით აღმაშენებელი თავისი ლაშქრით დიდგორის ვიწრობებში ელოდებოდა მტერს. ბრძოლისათვის ამ ადგილის შერჩევა შემთხვევითი არ ყოფილა. დიდგორის ვიწრობები მტერს არ მისცემდა საშუალებას, გაშლილიყო და თავისი რიცხობრივი უპირატესობა გამოეყენებინა.

ბრძოლის წინ აღმაშენებელმა თავისი ცნობილი სიტყვა წარმოთქვა და ქართველების ლაშქარს გმირული ბრძოლისაკენ მოუწოდა.

ეჰა, მეომარნო ქრისტესანო!

„ჩვენ ყველამ ხელების ცისკენ აპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ!“

ქართველებმა უკან დასახევი გზა თავადვე გადაიკეტეს მორებითა და უზარმაზარი ლოდებით და საბრძოლველად გაემზადდნენ.

1. **თქვენი აზრით, რა სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ დავით აღმაშენებელმა?**

   ა) რამდენნაწილიანი საბრძოლო წყობა გამოიყენა?

   ბ) როგორ განალაგა თავისი ლაშქარი?

   გ) რაიმე ხერხს მიმართეს თუ პირდაპირ გადავიდნენ შეტევაზე?

   დ) ვინ მიიტანა პირველი შეტევა მტერზე?

2. **გაითვალისწინეთ ბრძოლის ადგილის გეოგრაფიული თავისებურება (მთაგორიანი, ვიწრო ხევები), დახაზეთ ქართველთა და თურქ-სელჩუკთა ჯარების განლაგების თქვენეული გეგმა და გააცანით ერთმანეთს.**

3. წაიკითხეთ დიდგორის ბრძოლის დეტალები და შეადარეთ თქვენს ვერსიებს. დაასახელეთ, რა დაემთხვა და რა - არა.

5. ლაშქრის ძირითადი ნაწილი, რომელსაც დავითი სარდლობდა, დასავლეთით, ნიჩბისის ხევში გამაგრდა. დანარჩენი ნაწილი კი, დემეტრეს სარდლობით, იმ მთას იყო ამოფარებული, რომლის ძირშიც თურქ-სელჩუკთა ლაშქარი იყო დაბანაკებული. ბრძოლა გამთენიისას დაიწყო. ყიჟინა დასცეს თურქ-სელჩუკებმა. დავითმა საგანგებოდ შეარჩია 200 მეომარი და მტრის ბანაკისაკენ დაძრა. მორჩილების ნიშნად, მეომრებს ხმლები მაღლა ჰქონდათ აწეული. მაჰმადიანებს ისინი მეფის მოღალატენი ეგონათ და ბანაკში შეუშვეს. მეომრებმა მოულოდნელი იერიში მიიტანეს მტერზე, რამაც კოალიციურ ლაშქრში არეულობა გამოიწვია. ვიდრე გონს მოვიდოდნენ, ქართველთა ლაშქარმა მტერს ორი მხრიდან შეუტია - დასავლეთიდან დავითი, ხოლო დიდგორის მთიდან დემეტრე დაეშვა თავისი ჯარით. სისხლისმღვრელი შეტაკება მხოლოდ სამი საათი გაგრძელდა.

„და იქმნა სასტიკი ბრძოლა ორ მთას შორის ისე, რომ ლაშქართა საშინელი ხმაურისაგან ეს მთები იძახოდნენო“, - წერს სომეხი ისტორიკოსი მატთეოს ურჰაეცი.

ილღაზის ლაშქარი სასტიკად დამარცხდა და უკუიქცა, თუმცა ამით ბრძოლა არ დასრულებულა. დამარცხებულების დევნა 8 დღეს გაგრძელდა... საქართველოში ლაშქრობამ მაჰმადიანთა მხედრობის 90% შეიწირა. დაჭრილმა ილღაზიმ, რამდენიმე სარდალსა და ოციოდე მხედართან ერთად, გაქცევა მოახერხა.



4. წარმოადგინეთ ნახაზის სახით ქართველთა და თურქ-სელჩუკთა ჯარების რეალური განლაგება და შეადარეთ თქვენეულ ვარიანტს.

1. შეავსეთ კროსვორდი და წაიკითხეთ, რა მიიღეთ გამუქებულ უჯრებში.

1. მონასტერი, რომლის გალავნის სამხრეთით, მთავარ შესასვლელში, დავით აღმაშენებლის საფლავია.
2. ქართული ცეკვის ჯადოქრები.
3. თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ფუძემდებელი.
4. კოლხეთის ლეგენდარული მეფის - აიეტის ასული, რომელიც დაეხმარა იაზონს ოქროს საწმისის გატაცებაში.
5. მწვერვალი ყაზბეგში. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, სწორედ აქ იყო მიჯაჭვული პრომეთე.
6. სახელმწიფო, საიდანაც აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი გაჰქონდათ ევროპაში.
7. XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი.
8. საქართველოს ისტორიული მხარე, რომელიც დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს.
9. ერთიანი საქართველოს მეფე, დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ძლევამოსილი მხედართმთავარი.
10. ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, „დედა ენის“ ავტორი.
11. არგონავტების გემი.
12. საქართველოს სამეფო დინასტია.
13. მამული, სადაც თავშესაფარი პოვა 1922 წელს საქართველოს დევნილმა მთავრობამ.

14. ადგილი, სადაც გაიმართა ქართველთა ბრძოლა, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც „ძლევაი საკვირველი“.

15. „წმინდა ქალაქად და მეორე იერუსალიმად“ წოდებული ქართლის სამეფო ცენტრი, (საქართველოს უძველესი ციხე-ქალაქი).



1. **გადაახარისხეთ კროსვორდში მოცემული სიტყვები ცხრილში.**

ვინ?	
რა?	
სულიერი	
უსულო	
საკუთარი	
საზოგადო	

2. **მოიფიქრეთ და შეავსეთ ცხრილი მსგავსი სიტყვებით.**

3. **დაიყავით ჯგუფებად, მოძებნეთ სათანადო ინფორმაცია საქართველოს შესახებ, შეადგინეთ საინფორმაციო ცნობარი და გააცანით სხვა ჯგუფებს. შეადარეთ ერთმანეთის ნამუშევრები.**

სად მდებარეობს და რომელი მხრიდან რა ესაზღვრება?

რას უკავშირდება ქვეყნის სახელწოდება?

როგორია მისი ბუნება? (მთები, ტყეები, მწვერვალები, ტბები და მდინარეები, ჩანჩქერები...)

რატომ არის ევრაზიული სახელმწიფო?

საქართველოს მხარეები და მათი გეოგრაფიული მდებარეობა.

საქართველო - მრავალ-ეთნიკური სახელმწიფო

ქართული კულტურა - არქიტექტურული ძეგლები, სამზარეულო ...

საქართველოს დედაქალაქი და მისი ღირსშესანიშნაობები.

საქართველო - მითი და რეალობა

საქართველოს ისტორიის ფურცლები

ბურჯი ეროვნებისა

დედაენის კვალდაკვალ

ერთი ძეგლის ისტორია

დიდი პედაგოგი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“

დამწერლობის წარმოშობა და განვითარება

მითები და ლეგენდები - ბაბილონის გოდოლი



ერთი სოფლის ისტორია - გალაკტიონი და ფარცხნალი





ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- ინტერაქცია ქართული ენისა და ქართული დამწერლობის შესახებ;
- შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა ფაქტებისა და მოვლენების მიმართ;
- ლექსის ანალიზი;
- ტექსტის გაგება/გააზრება - ცალკეული აბზაცის ძირითადი აზრის გამოტანა და მისი დაკავშირება ტექსტის მთავარ სათქმელთან...
- პერსონაჟთა დახასიათება მათი ქცევის გააზრების საფუძველზე და დასკვნების გამოტანა; პირადი დამოკიდებულების გამოხატვა;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის შედარებითი ანალიზი;
- ინფორმაციებზე დაყრდნობით მარტივი დასკვნების გაკეთება;
- მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზი - სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობის გააზრება; სიტყვათშეხამებები და იდიომატური გამოთქმები; სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა.

დედაენის კვალდაკვალ

1. შეავსეთ კროსვორდი და წაიკითხეთ, რა წერია გამუქებულ უჯრებში.

1. ქართული დამწერლობის განვითარების ბოლო საფეხური.
2. საქართველოს დედატაძარი, აგებულია XI ს-ში ხუროთმოძღვარ არსუკისძის მიერ.
3. მთა თბილისში, რომლის ფერდობზეც არის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.
4. ქართლის მეფე, რომელსაც უკავშირებენ ქართული ანბანის შექმნასა და ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას.
5. ავტორი ლექსისა - „მე პატარა ქართველი ვარ“.
6. კავკასიის ქედზე მიჯაჭვული გმირი ქართულ მითოლოგიაში.
7. საქართველოს „პოეტების მეფე“.

ფარნავაზი


მხედრული

სვეტიცხოველი




ამირანი

მთაწმინდა

გალაკტიონი

ავტოპორტრეტი

2. დაუბრუნდით კროსვორდის გამუქებულ უჯრებში მიღებულ სიტყვას და განმარტეთ, რომელ ენას ეძახიან დედაენას და რატომ?

3. დაასახელეთ, რას ეძახის ქართველი კაცი:

მშობელ ქვეყანას? უმთავრეს ქალაქს? მთავარ აზრს?

4. წაიკითხეთ ილია ჭავჭავაძის სიტყვები და შეადარეთ.

"ქართველი კაცი ყველაზე ახლობელს, სანუკვარს და ძვირფასს დედას უწოდებს, მშობელ ქვეყანას – დედასამშობლოს, უმთავრეს ქალაქს – დედაქალაქს, მთავარ აზრს – დედააზრს, ძირითად საყრდენ ბოძს – დედაბოძს, გუთნის წინამძღოლ მამაკაცსაც კი – გუთნის დედას და, რა გასაკვირია, თუ მშობლიურ ენას დედაენას დაარქმევდა?!"

ილია ჭავჭავაძე

5. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა არის ქართველი კაცისთვის ყველაზე ახლობელი, სანუკვარი და ძვირფასი?

ბ) რას ეძახის ქართველი კაცი „დედაბოძსა" და „გუთნისდედას" და რატომ? კარგად გაიაზრეთ მათი მნიშვნელობა და ფუნქცია და ისე უპასუხეთ შეკითხვას.

გ) შეადარეთ, რა ჰქვია ტექსტში დასახელებულ სიტყვებს თქვენი სწავლების ენაზე?

ილია ჭავჭავაძე

(დაიბადა 1837 წ. 8 ნოემბერს – გარდაიცვალა 1907 წ. 12 სექტემბერს)

ქართველი მწერალი, პოეტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

6. შეადგინეთ სიტყვები ნიმუშის მიხედვით და გადაწერეთ რვეულში.

<u>ნიმუში:</u> **დედაბუნება**

1. გამოიყენეთ მოცემული სიტყვები და შეავსეთ წინადადებები კონტექსტის მიხედვით.

დედაკაცი	დედამიწა	დედაქალაქია	დედაბოძია	დედაენას

ა) თბილისი საქართველოს _____?_____.

ბ) _____?_____ შვილების გაზრდით ფასდებაო.

გ) _____?_____ დედასავით მოფერება სჭირდება.

დ) ცა ქუდად არ მიაჩნია და _____?____ ქალამნადაო.

ე) ოჯახი ქვეყნის _____?_____.

2. წაიკითხეთ ლექსი და უპასუხეთ შეკითხვებს.

თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი

(ნაწყვეტი)

იაკობ გოგებაშვილს

შენ „დედაენით“ მწუხრს მიჰკაფავდი,
სიძნელეს გზისას არად აგდებდი.
როგორც ილიას, ვაჟას, აკაკის,
გშვენის დიდების შარავანდედი.

წიგნი კი არა, მიმოფანტული
კაბადონებზე სხივთა მარმაში,
სიტყვა ქართული, სული ქართული
ჩართული დედის იავნანაში.

ჩვენ კარგად ვიცით სიბრძნე ნამდვილი,
შენს წმინდა წიგნში ამოქარგული;
თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი,
გულში გაკლია ცეცხლი ქართული.

ჩვენ გვიყვარს წიგნი სიტყვახატული,
განა სიტყვები?... ნატვრის თვლებია.
თუ დაივიწყე ენა ქართული,
მაშ, საქართველო დაგვიწყებია...

ა) ვინ არის ლექსის ავტორი? ვის უძღვნის პოეტი ლექსს?

ბ) რომელ წიგნზეა ლექსში საუბარი?

გ) ვის მიმართავს პოეტი ფრაზაში - „შენ „დედაენით“ მწუხრს მიჰკაფავდი“?

დ) როგორ ფიქრობთ, რის სიბნელეზეა აქ საუბარი?

ე) რატომ ამბობს პოეტი - „თუ დაივიწყე ენა ქართული, მაშ, საქართველო დაგვიწყებია“-ო?

ვ) ვინ არიან ილია, ვაჟა და აკაკი და რა იცით მათ შესახებ?

იოსებ ნონეშვილი

მწუხრი - საღამოს ბინდი, შეღამება, შებინდება
შარავანდედი - სამეფო გვირგვინი
კაბადონი - გვერდი
მარმაში - თხელი, გამჭვირვალე ქსოვილი
ხატული - ჭრელი, მოხატული; ლამაზი, სურათოვანი

3. წაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს.

დედა ენა

დედაენას რაკი დედა ჰქვია – ენა დედაა შენი და მუდამ უნდა გახსოვდეს, უნდა უკვდავყო იგი, როგორც შეგიძლია და რითაც შეგიძლია. ჩემს ოჯახში ერთი უძვირფასესი წიგნი – რელიკვია ინახებოდა. ეს წიგნი გოგებაშვილის დედაენა გახლდათ, დედაენა, რომლითაც დედაჩემი სწავლობდა და რომელსაც მე მიკითხავდა ბავშვობაში, ვიდრე სკოლაში წავიდოდი. იგი აკვანივით გადადიოდა თაობიდან თაობაში და ისე იყო გაცრეცილი, ფურცელ–ფურცელ დაშლილი და ათასჯერ დაკაბადონებული, რომ ძალაუნებურად მოითხოვდა უაღრესად სათუთ და სათნო მოპყრობას.

სწორედ ეს დედაენა წავიღე თან, 1968 წელს ქართველ მწერალთა ჯგუფთან ერთად თურქეთში რომ გავემგზავრე. ქალაქ ბურსაში ერთი შავთვალწარბა ბიჭი მომიახლოვდა, ოდნავ კეხიანი ცხვირი ჰქონდა ნაფოტივით თხელი იყო, ეკალათი და ცივი მჭადით გაზრდილ გურულ ბიჭს ჰგავდა.

- გურჯი ვარ! – მითხრა, თარჯიმანი გვეხმარებოდა საუბარში.

- ქართული რატომ არ იცი? – ვუსაყვედურე.

- ნენეი მომიკვდა! – იმართლა თავი.

ეს ორი ქართული სიტყვა ისე მითხრა, ტირილი მომინდა.

სასტუმროში წავიყვანე და ის ჩვენი ოჯახის რელიკვია დედაენა ვაჩუქე.

- შენია, წაიღე, ოღონდ ისწავლე, - ვთხოვე.

თავი დამიქნია, გამიღიმა და წაიღო. წაიღო და ისეთი გრძნობა დამრჩა, თითქოს დედაჩემი ვაჩუქე და ის მისი მკვდარი დედა გავუცოცხლე.

ნოდარ დუმბაძე

ა) რა იყო დუმბაძის ოჯახის რელიკვია?
ბ) რატომ იყო „დედაენა“ გაცრეცილი და ფურცელ-ფურცელ დაშლილი?
გ) „დედაენის“ გარდა კიდევ რა გადადიოდა თაობიდან თაობაში?
დ) თურქეთის რომელ ქალაქში იყო დუმბაძე, ვისთან ერთად და როდის?
ე) როგორ აღწერს გურჯ ბიჭს მწერალი?
ვ) რატომ არ იცოდა გურჯმა ქართული?
ზ) რა გააკეთა ნოდარ დუმბაძემ?
თ) რა გრძნობა დაეუფლა მწერალს წიგნის ჩუქების შემდეგ?

ნოდარ დუმბაძე



(დაიბადა 1928 წ.
14 ივლისს თბილისში,
გარდაიცვალა 1984 წ.
14 სექტემბერს)

ქართველი მწერალი, პოეტი, სცენარისტი, იუმორისტი და პუბლიცისტი

რელიკვია - ვისიმე ან რისამე სახსოვარი საგანი, რომელიც აღძრავს ძვირფას მოგონებებს.

ნენეი - დედა

გურჯი - ასე უწოდებენ არაბულ-სპარსულ სამყაროში ქართველს, ხოლო გურჯისტანს - საქართველოს

ერთი ძეგლის ისტორია

1. **დააკვირდით ფოტოს და ისაუბრეთ მის შესახებ:** რა არის მასზე გამოსახული? ვინ არის ეს ბიჭი და რას აკეთებს? რას გამოხატავს ზეცისკენ ხელებაპყრობილი ყმაწვილი? როგორ ფიქრობთ, რას ან ვის დაუდგეს ეს ძეგლი და როდის, რატომ და სად?

2. **წაიკითხეთ და თავიდან უპასუხეთ პირველ დავალებაში დასმულ შეკითხვებს.**

ქართველმა მოქანდაკემ ელგუჯა ამაშუკელმა და არქიტექტორმა ნოდარ მგალობლიშვილმა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ წიგნს – „დედა ენა“ 1983 წელს ძეგლი მიუძღვნეს. ძეგლზე გამოსახულია ცოდნის წყურვილით ზეცისკენ ხელებაპყრობილი ყმაწვილი, რომელიც ეს ესაა ზარს შემოკრავს. 1990 წლის 14 აპრილს დედა ენის დღის გამოცხადების შემდეგ ძეგლი ამავე სახელწოდების პარკში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე „მშრალ ხიდთან“ დაიდგა.

3. **14 აპრილს „დედაენის დღედ“ დაწესებას თავისი ისტორია აქვს. გაეცანით მოცემულ ინფორმაციას და დაალაგეთ ისინი თანამიმდევრულად -** რა მოხდა ჯერ და რა - შემდეგ.

ა) ქართული საზოგადოების გაერთიანება ენის სტატუსის დასაცავად. _____

ბ) კრემლის გადაწყვეტილება სახელმწიფო ენად რუსული ენის გამოცხადების შესახებ. __1__

გ) საბჭოთა იმპერიის უკან დახევა. _____

დ) ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნება გაზეთ „კომუნისტში“. _____

ე) დედაენის დღედ 14 აპრილის გამოცხადება. _____

ვ) მომიტინგეების მობილიზება უზენაესი საბჭოს შენობასთან. _____

4. გაეცანით 14 აპრილის მოვლენების ქრონიკას და შეამოწმეთ თქვენი დავალება.

1977 წელს მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მიიღო საქართველოში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ. ახალი საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ენად მხოლოდ რუსული რჩებოდა.

1978 წელს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც საქართველოში საპროტესტო აქციები მოჰყვა. ათიათასობით ადამიანი ხელისუფლებისგან ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონებას მოითხოვდა.

მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. მოსახლეობის ნაკადი ყოველდღიურად მატულობდა. ახალგაზრდების გვერდით იდგნენ ქართველი მწერლები, დისიდენტები, საზოგადო მოღვაწეები და რიგითი მოქალაქეები. აქციებმა კულმინაციას 14 აპრილს მიაღწია - ამ დღეს უნდა განეხილა და დაემტკიცებინა საქართველოს უზენაეს საბჭოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები.

14 აპრილს, დილის 10 საათზე, სტუდენტები უნივერსიტეტთან შეიკრიბნენ და რუსთაველისკენ დაიძრნენ. მსვლელობას გზადაგზა უამრავი ადამიანი უერთდებოდა. მათ მხოლოდ ერთი მოთხოვნა ჰქონდათ - ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის აღდგენა.

უზენაესი საბჭოს (დღევანდელი პარლამენტის) შენობაში უკვე იხილავდნენ სახელმწიფო ენის სტატუსს. ეზოში ტანკები იდგნენ. მოსკოვი მზად იყო ქართველების სისხლის დასაღვრელად. დათმობას არც კრემლი აპირებდა და არც მომიტინგეები.

მიუხედავად რეალური საფრთხისა, ხალხის პროტესტმა შედეგი გამოიღო - საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოეცხადებინა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1990 წელს 14 აპრილი საქართველოში დედაენის დღედ გამოცხადდა.

დისიდენტი – პიროვნება, რომელიც ეწინააღმდეგება დამყარებულ მოსაზრებებს, პოლიტიკას ან სისტემას. უფრო ხშირად გამოიყენება ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკური დისიდენტების აღსაწერად.

დიდი პედაგოგი

1. გაეცანით იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიულ ცნობარს. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

რა მოხდა ... წელს? როდის მუშაობდა მასწავლებლად? რას აკეთებდა ... წელს? და ა.შ.

1840 წლის 27 ოქტომბერი - დაიბადა გორის რაიონის სოფ. ვარიანში.

1863-1874 წლები - მუშაობდა მასწავლებლად.

1865-1887 წლები - გამოსცა „დედა ენა“, „ბუნების კარი“, “რუსსკოე სლოვო” და სხვა.

1879 წელი - გახდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი.

1880 წელი - მისი ინიციატივით გაიხსნა პირველი სახალხო სკოლა თბილისში.

1912 წლის 1 ივნისი - გარდაიცვალა.

1940 წელი - მისი ნეშტი დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს.

2. რა იცით იაკობ გოგებაშვილის ბავშვობის შესახებ? გაეცანით მოცემულ ინფორმაციას და მონიშნეთ, რომელია თქვენი აზრით, მათგან სწორი.

ა) იაკობ გოგებაშვილი იზრდებოდა მრავალშვილიან ოჯახში.

ბ) პატარა იაკობი იყო ძალიან ძლიერი და სპორტული აღნაგობის ბავშვი.

გ) ის სწავლობდა სოფლის სკოლაში.

დ) იაკობი საუკეთესო მოსწავლე იყო.

ე) მას განსაკუთრებით აინტერესებდა საქართველოს გეოგრაფია და მუსიკა.

ვ) მას უყვარდა მოთხრობების მოყოლა და ლექსების თქმა.

ზ) პატარა იაკობი დიდ დროს ბუნებაში ატარებდა.

თ) იაკობ გოგებაშვილი ცუდად მღეროდა.

3. წაიკითხეთ ტექსტი და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები. გაასწორეთ წინა დავალებაში მოცემული არასწორი ინფორმაცია რვეულში.

1. იაკობ გოგებაშვილი დაიბადა სოფელ ვარიანში. ჰყავდა ექვსი ძმა და ორი და. ბავშვობაში ის ძალიან სუსტი ბავშვი იყო, მაგრამ მეტად **გამჭრიახი** და **მკვირცხლი** გონება ჰქონდა. თანატოლებს იაკობი ძლიერ უყვარდათ, რადგან ყოველთვის **ნაირ-ნაირ** მოთხრობებსა და ლექსებს უყვებოდა მათ.

2. პატარა იაკობს ძალიან იზიდავდა სოფლის ბუნება. იგი საათობით აკვირდებოდა ყვავილებს, ცხოველებსა და **ანკარა** მდინარეში მოფართხალე თევზებს.

3. მაშინდელ დროში სოფლად სკოლები არ იყო და ამიტომ ბავშვებს წერა-კითხვას შინ ასწავლიდნენ ხოლმე. იაკობი იმდენად ნიჭიერი ბავშვი აღმოჩნდა, რომ ოჯახმა იგი ქალაქ გორში ჩაიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა.

4. იაკობი მეტად ბეჯითი მოსწავლე გამოდგა. იგი ძალიან ბევრს მეცადინეობდა და მალე საუკეთესო მოწაფეც გახდა. იაკობს ძალიან უყვარდა კითხვა. განსაკუთრებით საქართველოს ისტორია და ლიტერატურა აინტერესებდა. მამისაგან მას სიმღერის ნიჭიც დაჰყვა.

4. უპასუხეთ შეკითხვებს და დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით.

ა) რის გამო უყვარდათ თანატოლებს იაკობი?

ბ) რატომ აკვირდებოდა ის საათობით მცენარეებსა და ცხოველებს?

გ) რატომ წაიყვანეს სოფელ ვარიანიდან იაკობი სასწავლებლად გორში?

<u>საიდან ჩანს, რომ:</u>

1. იაკობი ბეჯითი მოსწავლე იყო?
2. მუსიკალური ბავშვი იყო?
3. უყვარდა ბუნება?
4. იყო ძალიან ჭკვიანი?

5. გაარკვიეთ ტექსტში ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით და შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.

სიტყვა	კონტექსტი	განმარტება შენი სიტყვებით
გამჭრიახი		
მკვირცხლი		
ნაირ-ნაირი		
ანკარა		

6. გაეცანით განმარტებებს და დააკავშირეთ წინა დავალებაში მოცემულ სიტყვებთან. ჩაწერეთ, რომელია.

ა) ძალიან წმინდა, სუფთა, კამკამა (სითხე) _____

ბ) სხვადასხვა სახის, სხვადასხვაგვარი _____

გ) შორსმჭვრეტელი, გონებამახვილი, გონიერი _____

დ) ძალიან მოძრავი, სიცოცხლით სავსე, ცოცხალი _____

7. შეადარეთ თქვენი და სალექსიკონო განმარტებები ერთმანეთს. რა დაემთახვა და რა - არა?

1. დაუბრუნდით ტექსტს და იმუშავეთ მეწყვილეებთან ერთად.

ა) ამოწერეთ ცალკეული აბზაცის მიხედვით სიტყვები, რომლებიც პატარა იაკობს ახასიათებენ:

როგორი იყო იაკობი ბავშვობაში?

I აბზაცი	II აბზაცი	III აბზაცი	IV აბზაცი

ბ) დაუბრუნდით ცხრილს და დაასახელეთ, რას უსვამს ხაზს თითოეული მათგანი.

2. ამოწერეთ ტექსტიდან ინფორმაცია, საიდანაც ჩანს, რომ პატარა იაკობი იყო ასეთი.

როგორი?	რას აკეთებს? როგორ იქცევა?
1. მეგობრული	**ა.** _____
2. ცნობისმოყვარე	**ბ.** _____
3. ნიჭიერი	**გ.** _____

3. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) სად და როგორ ოჯახში გაიზარდა იაკობ გოგებაშვილი?

ბ) როგორი ბავშვი იყო ის?

გ) სად ისწავლა მან წერა-კითხვა? სად მიიღო განათლება?

დ) როგორი მოსწავლე იყო იაკობი?

ე) როგორი გონება ჰქონდა პატარა იაკობს? საიდან ჩანს, რომ ის ნიჭიერი ბავშვი იყო?

ვ) რატომ უყვარდათ თანატოლებს იაკობი?

ზ) საიდან ჩანს, რომ მას აინტერესებდა ბუნება? კიდევ რა აინტერესებდა მას?

თ) ვისგან გამოჰყვა პატარა იაკობს სიმღერის ნიჭი?

4. აირჩიეთ წინა დავალებიდან ნებისმიერი ოთხი კითხვა და გაეცით წერილობითი პასუხი რვეულში.

5. შეავსეთ სქემა და გააცანით ერთმანეთს. შეადარეთ, ვინ რას უსვამს ხაზს.

ჩემი დამოკიდებულება პატარა იაკობის მიმართ

_____

_____

_____

ქცევა: _____

_____

ქცევა: _____

_____

დასაბუთება ტექსტიდან:

_____

_____

_____

_____

_____

დასაბუთება ტექსტიდან:

_____

_____

_____

_____

_____

6. ისაუბრეთ თქვენ შესახებ.

- სად ისწავლე წერა-კითხვა?
- როგორი მოსწავლე ხარ? გიყვარს თუ არა მეცადინეობა და წიგნების კითხვა? რა წაიკითხე ბოლოს?
- რისი ნიჭი გაქვს და რა გაინტერესებს ყველაზე მეტად?

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“

1. წაიკითხეთ ტექსტი და დაასახელეთ, რის შესახებ არის საუბარი ცალკეულ აბზაცებში. დააკავშირეთ მოცემული თემები აბზაცებთან.

ა) საზოგადოების მნიშვნელობა და საქმიანობა _____

ბ) საზოგადოების დაარსება და ფუნქციონირება _____

გ) ბრძოლა საზოგადოების წინააღმდეგ _____

დ) საქართველოში არსებული ვითარება _____

1. მე-19 საუკუნის საქართველო რუსეთის იმპერიაში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახით არსებობს. სახელმწიფო სტრუქტურებისა და სასამართლოს ენა რუსულია. არისტოკრატიულ ოჯახებში, ძირითადად, რუსულად და ფრანგულად საუბრობენ. ქართული ენა ისმის მხოლოდ ყმა-გლეხთა ჭიშკრებს მიღმა და უფლებაშეზღუდული ქართული ეკლესიის კედლებში. არისტოკრატთა შვილები ყველა საგანს რუსულ ენაზე ეუფლებიან. მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცის.

2. საქართველოში საგანმანათლებლო მოძრაობა დაიწყო. მოძრაობას ილია ჭავჭავაძის მეთაურობით“თერგდალეულები“ ჩაუდგნენ სათავეში. გაჩნდა წერა-კითხვის საზოგადოების დაარსების იდეა. 1879 წელს დაარსებულმა საზოგადოებამ ოფიციალურად 1923 წლამდე იარსება. ფუნქციონირებდა საკუთარი რესურსებით, არაერთი მეცენატის ფინანსური დახმარებით, კერძო შემოწირულობებითა და სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებიდან შემოსული თანხებით.

ილია ჭავჭავაძე


ვაჟა ფშაველა

აკაკი წერეთელი

იაკობ გოგებაშვილი


დიმიტრი ყიფიანი

3. საზოგადოების უპირველესი მიზანი ირგვლივ გამეფებული სიბნელის - გაუნათლებლობის დამარცხება იყო. მეორე მხრივ, რუსეთის იმპერიის პირობებში მყოფი ქართველი თავადი და გლეხი ქართულ ცნობიერებას უნდა დაბრუნებოდა. ეს კი შესაძლებელი იქნებოდა, თუკი სათანადოდ მოევლებოდა ცარიზმის პირობებში შევიწროებულ და აბუჩად აგდებულ ჩვენს ენასა და კულტურას.

4, საზოგადოების საქმიანობა ჯერ რუსეთის იმპერიის და შემდეგ საბჭოთა ოფიციალური სამთავრობო წრეების გაღიზიანებას იწვევდა. ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ და ერთმანეთისთვის გადაემტერებინათ საზოგადოების წევრები, ხელი შეეშალათ მათი გეგმებისთვის, უკიდურეს შემთხვევაში, ფიზიკურადაც კი გაენადგურებინათ ისინი. საბჭოთა იმპერიაში განათლებისა და კულტურის კომისარიატების შექმნამ საბოლოოდ დააყენა დღის წესრიგში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გაუქმების საკითხი.

2. წაიკითხეთ მოცემული ინფორმაციები და დააკავშირეთ ძირითადი ტექსტის კონკრეტულ აბზაცებთან.

_____ ორგანიზაციას რამდენჯერმე შეუცვალეს სახელი: 1923 წელს ის „წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი საზოგადოება“ გახდა, ხოლო 1926 წელს - „მწიგნობარი“, 1927 წლის 31 იანვარს კი ოფიციალურად გააუქმეს.

_____ 1886 წელს საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ სასულიერო სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობის გამო ქართველი ერი დაწყევლა. დიმიტრი ყიფიანმა მას საპროტესტო წერილი გაუგზავნა და საქართველოს დატოვება მოსთხოვა. ამის გამო 72 წლის მოხუცი სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც ღამით მძინარე მოკლეს.

დავით სარაჯიშვილი

ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მეცენატი

გიორგი ქართველიშვილი

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მეწარმე და მეცენატი

_____ არცერთი საქვეყნო საქმე არ დაწყებულა 30 წლის განმავლობაში ისე, რომ დავით სარაჯიშვილს თავისი წვლილი არ შეეტანოს, მატერიალური დახმარება არ გაეწიოს, გაზეთ-ჟურნალის, წიგნის გამოცემა, სცენის მოყვარულთა, მომღერალთა, მემუსიკეთა და მეცნიერთა გამოზრდა. ეკლესიისა და სკოლის გამშვენიერება, ღარიბ-უძლურთა გაკითხვა...

_____ იაკობ გოგებაშვილი აგროვებდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ხალხური სიმღერები გადაჰ-ქონდა ნოტებზე, მონაწილეობდა საბავშვო ჟურნალების გამოცემაში, წერდა სახელმძღვანელოებსა და საკითხავ წიგნებს ბავშვებისათვის, იბრძოდა სახალხო სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსებისათვის.

_____ 1879 წლის 15 მაისს დამფუძნებელთა კრებამ საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია 65 წლის დიმიტრი ყიფიანი.

_____ 1907 წლის 12 სექტემბერს ილია საგურამოს გზაზე, წიწამურის ტყესთან მოკლეს დაქირავებულმა ყაჩაღებმა.

_____ 1884 წელს გიორგი ქართველიშვილის ინიციატივითა და დაფინანსებით 1888 წელს თბილისში დაიბეჭდა უნგრელი მხატვრის - მიხაი ზიჩის მიერ ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი აკადემიური გამოცემა, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც პოემის „ქართველიშვილისეული გამოცემა“. ქართველიშვილმა გამოცემის მთელი ტირაჟი „ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადასცა საჩუქრად.

1. წაიკითხეთ და დააკავშირეთ ფოტოებთან.

ეგვიპტური პიქტოგრამები

ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი

ა) დაარსდა 1918 წლის 8 თებერვალს. ეს პირველი და ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი იყო იმ დროს მთელს კავკასიაში. მთავარი დამფუძნებელი იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, ხოლო მისი პირველი რექტორი გახდა პეტრე მელიქიშვილი.

ბ) იუნესკოს გადაწყვეტილებით, მას, როგორც „ცოცხალ კულტურას“, 2015 წლის 19 მარტს არამატერიალური მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ანბანმა განვითარების სამი საფეხური განვლო - ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. პირველ და მეორე სახეობას ერთად „ხუცურსაც“ უწოდებენ, რადგან მას ძირითადად სასულიერო პირები ანუ „ხუცები“ იყენებდნენ. სამივე საფეხურის მთავარი დამახასიათებელი ის არის, რომ ყოველ ბგერას თავისი შესაბამისი ასო-ნიშანი აქვს და ესაა დიდი ღირსება ამ ანბანისა.



ქართული ანბანის სამი სახეობა



ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ,

იოანე ზოსიმე

გ) დამწერლობის უძველესი საფეხურია პიქტოგრაფული (იგივე „ხატოვანი“) დამწერლობა. მის პირობით ნიშანს ანუ პიქტოგრამას წარმოადგენს მარტივი გამოსახულება (ნახატი). მაგალითად, ხელის გამოსახატავად ხატავდნენ ხელის მტევანს, მზის გამოსახატავად - მზეს და ა.შ. პიქტოგრაფული დამწერლობიდან განვითარდა იდეოგრაფიული დამწერლობა, რომელსაც სხვაგვარად იეროგლიფურსაც უწოდებენ. მისი პირობითი ნიშანია იეროგლიფი, რომელიც ბერძნული სიტყვაა და ქართულად ამოკვეთას, ამოჭრას ნიშნავს. თავდაპირველად „იეროგლიფი“ მხოლოდ ეგვიპტური დამწერლობის ნიშანს ერქვა, შემდეგ კი უფრო ზოგადი გახდა და სხვა იდეოგრამებით შედგენილი დამწერლობების სიმბოლოებსაც ეწოდა (მაგ., „ჩინური იეროგლიფები“).



ივანე ჯავახიშვილი

პეტრე მელიქიშვილი

დ) ანბანური დამწერლობა დამწერლობის განვითარების მესამე საფეხურია. მართალია, ანბანური დამწერლობის ჩანასახები ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტელებს გააჩნდათ, თუმცა მისი შექმნა წილად ხვდათ ფინიკიელებს. ფინიკიურ დამწერლობაში 22 ასოა და მათგან არცერთია ხმოვანი. ფინიკიური პირველი ანბანური დამწერლობაა, რომელსაც ბევრ სხვა ანბანთან ერთად ქართული ანბანის წარმოშობაც უკავშირდება.

ე) გრაკლიანის საკურთხეველზე 2015 წელს აღმოჩენილი წარწერა ყველაზე ადრეულია და საქართველოში უცნობი დამწერლობის გამოყენების 3000 წლის ისტორიას ცხადყოფს. წარწერა ამერიკის, კერძოდ, მაიამის ბეტა ლაბორატორიამ ძვ.წ. XI-X საუკუნეებს მიაკუთვნა. ძეგლი შიდა ქართლში, კასპის სოფელ იგოეთისა და სამთავისის ტერიტორიაზე, მდინარე ლეხურას მარჯვენა ნაპირზე წამომართულ გორაზე მდებარეობს.

გრაკლიანის წარწერა



ფინიკიური ანბანი

1. შეავსეთ კროსვორდში გამოტოვებული ასოები ასომთავრული ანბანით. წაიკითხეთ, რა წერია გამუქებულ უჯრებში.

1. საქართველოში აღმოჩენილი წარწერა, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს მსოფლიო დამწერლობის ისტორია.
2. X ს-ის ქართველი სასულიერო მწერალი, ჰიმნოგრაფი, ქართული ენის საგალობლის ავტორი.
3. მისი პირვანდელი მნიშვნელობაა „ამოჭრა, ამოკვეთა“. გადატანითი მნიშვნელობით ასე ეძახიან ძნელად გასარჩევ, გაუგებარ ნაწერსაც.
4. პირობითი ნიშანი, ნახატი, რომელსაც იყენებდნენ პიქტოგრაფიაში.
5. საქართველოს უდიდესი პოლიტიკურ-კულტურული და საგანმანათლებლო-სასულიერო ცენტრი, „ახალ რომად“, „მეორე ათენად და იერუალიმად“ წოდებული.



6. ადგილი, სადაც მოკლეს ილია.
7. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი.
8. უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაწესებულება.
9. ასომთავრულისა და ნუსხურის საერთო სახელწოდება მხედრულის საპირისპიროდ.
10. უძველესი ერი, ფინიკიის მკვიდრნი. ცხოვრობდნენ დღევანდელი ლიბანის სანაპირო ზოლსა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.
11. თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი.

2. გაშიფრეთ და გადაწერეთ.

„ԾԺՆՊԿՆԹՆ ՀՆՅԾՀՆ ՊԺՉԴՀՊԿՆԼԾ, ԺՆՆՆ ՆՉԽՆ ԾԾ ՊՉԽՆ ՊՀԾԾ“ - ՆԽՆԾ ՏԾԴՏԾԴԾԺՊ

„ԾՊԾԾՊՀԾ ԺՉԾՆ ՆՊԾԴՆ ԸԾՀՆԼԾԺՉԼՆ, ԺՉԺԽՆՆ ՊԾԺՉԳԴԽԾ ԾԾԴՆԽԾԾ ԾԾ ՉԴՀՊԿԽԾԾ ՅՊՆԺԽՊԿԾ. ՆՊՆ ԾԺՆՆ ԺԴՆԼԺՓԾԼՆ ՆԾԼԺԾՈՆ, ԼՉԺՊԽՆԳ ԿՉՀՊԿԾԼ ԽՊԾ ՊԾԺՉՉՏԼՆԾ ԾԾԾԺՆԾՀՆՆ ԼՉԽԼԾ ԾԾ ԸՉԼԳԽՊ“, - ՆԾԿՉԿ ՊՉՊՊԿԾՅԴՆԽՆ





„ᲪᲫᲫᲪᲘᲪᲛᲐ ᲪᲘᲜ ᲠᲘᲪᲘ ᲤᲪᲘᲪᲘᲐᲠᲘ ᲝᲠᲠᲘᲜᲔ ᲨᲠᲘᲜᲔ ᲜᲪᲠᲪᲨᲠᲔᲑᲘᲡ, ᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲜᲔ ᲠᲔᲨᲘᲪᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲚᲘᲡ ᲪᲔᲠᲔᲑᲘᲡ.

ᲪᲔ ᲠᲘᲠᲘ ᲫᲘᲠᲘᲪᲘᲠᲘ ᲪᲘᲜᲘᲜᲔᲑᲘᲡᲬᲘᲜ, ᲪᲔ ᲜᲔᲚᲪᲘᲨᲠᲔᲜᲔ ᲧᲘᲠᲔ ᲪᲔᲪᲘ ᲠᲘᲠᲔᲜᲔ ᲠᲔᲪᲮᲔᲪᲘᲠᲘ ᲠᲘᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲘᲡ ᲪᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲔᲑᲘᲡ“, - ᲠᲐᲔᲰᲘᲠ-ᲮᲐᲜᲘᲫᲔ

1. მოიფიქრეთ პასუხები ქვემოთ მოცემულ კითხვებზე და შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები (იმუშავეთ წყვილებში).

ა) თქვენი აზრით, რამდენი ენა არსებობს მსოფლიოში და რით აიხსნება ენების სიმრავლე?

ბ) რომელი ენა გაჩნდა პირველად? როგორია უძველესი ხალხური წარმოდგენები ენის წარმოშობის შესახებ?

მსოფლიოში რამდენიმე ათასი ენაა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მათი რიცხვი, დაახლოებით, ხუთი ათასამდეა. უფრო ზუსტად ამ რიცხვის დასახელება შესაძლებელი მაშინ გახდება, როდესაც ყველა ენა ცნობილი და შესწავლილი იქნება.

2. წაიკითხეთ და დააკავშირეთ.

ა) ძველი ბერძნების გადმოცემით,

ბ) ესტონური ზღაპრის მიხედვით,

გ) ალათაური ლეგენდა გვიამბობს,

_____, იყო ბრძენი ბერიკაცი, რომელმაც წყლით სავსე ქვაბი ცეცხლზე დადგა, წყალი წამოდუღდა და დაიწყო ჩუხჩუხი, სისინი და შიშინი. ამ დროს ბრძენმა მოიხმო დედამიწის ხალხები და, ვინც წყლის ჩუხჩუხის დროს მოვიდა, იმ ხალხმა რაკრაკა ბგერებით დაიწყო ლაპარაკი, ვინც სისინის დროს – სისინა ბგერებით და ა.შ. ესტონელები ყველაზე ადრე მისულან და ამიტომ ისინი ბრძენის ენაზე ამეტყველებულან.

_____, რომ უხსოვარ დროს ალათაელებს (თურქული ტომი, ყირღიზ-ყივჩაღთა ჯგუფი) ჰქონიათ დედამიწის ზურგზე ერთადერთი სიბრძნის წიგნი. ალათაელები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ერთხელ კოკისპირულ წვიმაში მოყოლილან და ცხენზე აკიდებული ეს წიგნიც სულ მთლად დასველებულა. მეორე დღეს ალათაელებს ხეზე გაუფენიათ გასაშრობად. ძროხა მიპარულა და წიგნი დაუღეჭავს, რის შემდეგაც ალათაელები სხვადასხვა ენაზე ალაპარაკებულან.

_____, უძველეს ხანაში ადამიანები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ერთად. არც ქალაქები ჰქონდათ, არც კანონები და არც რაიმე წეს-წყობილება. ლაპარაკობდნენ საერთო ენით და ემორჩილებოდნენ ერთ ღმერთს – ზევსს. დროთა განმავლობაში ჰერმესმა სხვადასხვა კილოკავი გააჩინა და კაცობრიობაც დაყო ხალხებად.

3. გსმენიათ თუ არა ძველი მსოფლიოს შვიდი საოცრების შესახებ? დააკვირდით ფოტოებს და გაიხსენეთ, რის შესახებ არის საუბარი.



ბაბილონის გოდოლი

ბაბილონის დაკიდებული ბაღები

4. დაუბრუნდით ფოტოებს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) მითია თუ სინამდვილე ბაბილონის არსებობა?

ბ) სად მდებარეობდა ქალაქი ბაბილონი?

გ) ვინ არის ნაბუქოდონოსორ II და რა კავშირი აქვს მას ბაბილონთან და მის დაკიდებულ ბაღებთან?

დ) ვისი სახელით შევიდა ბაბილონის დაკიდებული ბაღები ძველი მსოფლიოს შვიდ საოცრებაში?

ე) რა შეხება ჰქონდა ალექსანდრე მაკედონელს ბაბილონთან?

5. გაეცანით მოცემულ ინფორმაციებს და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

ბაბილონი მესოპოტამიის (იგივე შუამდინარეთის) დედაქალაქი იყო, რომლის ნანგრევები დღესაც არის შემორჩენილი ერაყში, ქალაქ ჰილის მახლობლად, ბაღდადიდან სამხრეთით, 85 კილომეტრში, მდინარე ევფრატის აღმოსავლეთ სანაპიროზე. თავისი გრძელი ისტორიის განმავლობაში ბაბილონი იყო სპარსეთის იმპერიისა და ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დედაქალაქიც.

როდის აშენდა გოდოლი პირველად, არავინ იცის, მაგრამ ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ გოდოლი რამდენჯერმე დაანგრიეს ასურეთის მეფეებმა. ბაბილონის გოდოლის სრული აღდგენა მეფე ნაბუქოდონოსორ II-ის (ძვ.წ 604-561) სახელს უკავშირდება. მასვე მიაწერენ დაკიდული ბაღების აგებასაც, რომელიც სემირამიდას დაკიდებული ბაღების სახელით შევიდა ძველი მსოფლიოს შვიდ საოცრებაში.

ძვ.წ.აღ. IV ს-ში ბაბილონის დაკიდებული ბაღები ალექსანდრე მაკედონელის რეზიდენციად იქცა. სწორედ აქ გაატარა მაკედონელმა სიცოცხლის ბოლო წუთები.

1. გამოიყენეთ რუკა და შეასრულეთ მითითებები.

ა) მოძებნეთ მესოპოტამია (იგივე შუამდინარეთი) და მისი დედაქალაქი რუკაზე.

შუამდინარეთი (ბერძნ. - ***მესოპოტამია, ძვ.ქართ.- უქიკეთი)*** - რეგიონი ახლო აღმოსავლეთში, მოიცავს ტერიტორიას ტიგროსსა და ევფრატს შორის.

ბ) გაითვალისწინეთ მდებარეობა და განმარტეთ, რატომ ჰქვია მას შუამდინარეთი.

ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
1
2
3
4
5
იტალია
რომი
მაკედონია
ფილიპე
საბერძნეთი
ათენი
ეფესი
ანტიოქია (პისიდიის)
კორინთი
კატმოსი
სიცილია
მალტა
ხმელთაშუა ზღვა (დიდი ზღვა)
კრეტა
როდოსი
კვიპროსი
ტარსოსი
ანტიოქია (სირიის)
სირია
სიდონი
დამასკო
ტვიროსი
კესარია
ალთქმული მიწა
იერუსალიმი
მოაბი
ლიბია
კადეში
ედომი
მემფისი
ეგვიპტე
მ. სინა
არაბეთი
ზღვა
ზღვა
ზღვა

3. წაიკითხეთ დანართში (გვ. 292) და გადაამოწმეთ.

4. წაიკითხეთ მოცემული ვარიანტი, მოძებნეთ, რა არის იქ არასწორი და გაასწორეთ.

არასწორი ვარიანტი:	**სწორი ვარიანტი:**
ძველი ეგვიპტური მითის თანახმად, გამანადგურებელი მიწისძვრის შემდეგ ადამიანებმა განიზრახეს ისეთი ქალაქისა და კოშკის აგება, რომელიც ვარსკვლავებს მისწვდებოდა. ადამიანის გადაწყვეტილებით განრისხებულმა ღმერთმა აურია მათ გონება და გაფანტა ისინი სხვადასხვა მხარეს.	

5. გაეცანით მოცემულ განმარტებებს და დააკავშირეთ შესაბამის წინადადებებთან. ჩაწერეთ, კონკრეტულად რომელი მნიშვნელობა იგულისხმება.

<u>წარღვნა</u>

ა) ბიბლიური გადმოცემით - წყალდიდობა, რომელმაც მთელი დედამიწა დაფარა წყლით.

ბ) გადატ. მნიშვნელობით - თავსხმა // ნიაღვარი

გ) წალეკვა (ზმნა: წალეკავს, წალეკა, წაულეკავს); მოვარდნილი (ადიდებული) მდინარის (ნიაღვრის...) მიერ წაღება;

1. გუშინ საშინელი წარღვნა იყო. სტიქიამ ყველაფერი დააზარალა. _____
2. გუშინდელმა ნიაღვარმა ეზო და მისი შემოგარენი მთლიანად წაიღო. _____
3. „წვიმა უფრო ღონიერდებოდა, თითქო წარღვნას ეპირებოდა“ (დ. კლდიაშვილი) _____
4. გარეთ არ გაისვლება, ისეთი წარღვნაა. _____
5. ყველა მოელოდა ქვეყნის წარღვნას. _____

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და წაიკითხეთ. შეადარეთ სხვების ვარიანტებს. ყურადღება მიაქციეთ ფორმათა სიზუსტეს.

წარღვნა ნიაღვარი თავსხმა

ა) მოვარდნილმა _____ ბაღ-ბოსტნები დააზარალა.

ბ) ნამდვილი _____, ასეთი _____ ჯერ არ მახსოვს.

ერთი სოფლის ისტორია

1. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს.

ფარცხნალი ერთი ჩვეულებრივი, პატარა მთას შეხიზნული ზემო იმერული სოფელია მაღალი, ცადაზიდული მთების ძირას გაშლილი, ჭალაკებში ჩაფლული წყლის წისქვილებით, ფერდობებზე შეფენილი ორასსაუკუნეოვანი ოდა-სახლებით, უმშვენიერესი ეზოებითა და ასწლოვანი ხეებით დამშვენებული.

გადმოცემის თანახმად, ფარცხნალში იმერეთის მეფეს, სოლომონ მეორეს, საზაფხულო რეზიდენცია ჰქონია.

ერთ დროს ხალხით სავსე სოფელი ნელ-ნელა დაცარიელდა. ფარცხნალის სკოლას, სადაც 140-მდე ბავშვი სწავლობდა, დღეს მხოლოდ ორი მოსწავლე ჰყავს.

ა) საქართველოს რომელ რეგიონში მდებარეობს ფარცხნალი?

ბ) თქვენი აზრით, რა განსხვავებაა, გეოგრაფიული თვალსაზრისით, ზემო იმერეთსა და ქვემო იმერეთს შორის?

გ) როგორი იყო სოფელი ფარცხნალი ადრე და როგორია ის დღეს?

2. გაეცანით ინფორმაციას და უპასუხეთ შეკითხვას: როგორ ფიქრობთ, რა იყო გინესის წიგნში სოფელ ფარცხნალის შეტანის მოთხოვნის მიზეზი?

2010 წელს გინესის რეკორდების ქართულმა წარმომადგენლობამ ცენტრალურ ოფისს უცნაური წერილი გაუგზავნა. უცნაური იყო ის, რომ ქართულმა მხარემ გინესის წიგნში არა რომელიმე ადამიანის ფიზიკური ან ინტელექტუალური მიღწევების შესახებ მსოფლიო რეკორდსმენის სტატუსის მოპოვებას ითხოვდა, არამედ საქართველოს ერთი პატარა სოფლის - ფარცხნალის შეტანას ისახავდა მიზნად მსოფლიო მიღწევების ნუსხაში.

იცით თუ არა, რომ გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში შეტანილია აგრეთვე:

- ქართული სიტყვა „გვფრცქვნის“, რომელშიც 8 თანხმოვანი მიჯრით არის წარმოდგენილი;
- საქართველოს (აფხაზეთში) მდინარე რეპრუა - დედამიწის უმოკლესი (სიგრძე 27 მ) მდინარე, რომელიც სათავიდან შესართავამდე ერთ ფოტოკადრში ეტევა.

3. წაიკითხეთ ფარცხნალის შესახებ ინფორმაცია დანართში (გვ. 292) და შეადარეთ თქვენს ვერსიებს. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) მოულოდნელი და უცნაური იყო თუ არა თქვენთვის ეს მიზეზი? დაასაბუთეთ პასუხი.

ბ) თქვენი აზრით, როგორი იქნებოდა გინესის რეკორდების ცენტრალური ოფისის რეაქცია და პასუხი?

4. წაიკითხეთ და შეამოწმეთ.

„გვეეჭვება, რომ მსგავსი სოფელი იყოს მსოფლიოში, თუმცა ხელაღებითაც ვერ ვიტყვით, გამოკვლევა სჭირდება!“ - იყო პასუხი. სოფელი ფარცხნალი დღესაც მსოფლიო აღიარების მოლოდინშია.

გალაკტიონი და ფარცხნალი

სოფლის ისტორიის ფურცლებს ასევე ამშვენებს ცნობა იმის შესახებ, რომ აქ 1910-1911 წლებში დაწყებითი კლასების პედაგოგად მუშაობდა 18 წლის გალაკტიონ ტაბიძე. სკოლა სოფლის შუაგულში, ეკლესიის ეზოში, უხეირო ხის ქოხში ყოფილა განთავსებული.

ეს ის ადგილია, სადაც ახალგაზრდა გალაკტიონი ქართულ ენას ასწავლიდა თურმე. დღეს აქ მოქმედი ტაძარია. იმ ადგილას კი, სადაც სკოლა იყო, გალაკტიონის ხელით დარგული, ცაცხვის ხე დგას. ეს ცაცხვი სოფელში **„გალაკტიონის ცაცხვის“** სახელითაა ცნობილი.



მხატვარი ილია პატაშური

პოეტმა ხარაძეების უბანში, დიმიტრი ხარაძის სახლში დაიდო ბინა. ყველაზე პატარა და მყუდრო ოთახი აირჩია. მთელ მის ავლადიდებას მაგიდა, საწოლი და სკამი შეადგენდა. ოთახის ერთადერთი ფანჯრიდან სოფლის ულამაზესი ხედები იშლებოდა.

„ფანჯარა, იმ სახლის ის საოცარი ფანჯარა, რომელთა დღეთა სიახლის ჩემ გულში ბევრი რამ დარჩა“, - ჩაუწერია გალაკტიონს დღიურში.

სადილის შემდეგ დილამდე გაუჩინარდებოდა ხოლმე. სახლის ზემოთ ნაძვებში ერთი ადგილი ჰქონდა შეგულიანებული, იჯდა იქ და ლექსებს წერდა.

1. ფარცხნალში მუშაობის პერიოდში პოეტის მეხსიერებაში აღბეჭდილა ერთი შემთხვევა, რომელსაც თურმე ყოველთვის სიამოვნებით იხსენებდა. წაიკითხეთ და დაასახელეთ, რა შემთხვევაზეა საუბარი და რატომ იყო ეს გალაკტიონისთვის ასეთი ძვირფასი.

"როცა სემინარიიდან გამოვედი, სადგურ ხარაგაულის ახლო, ერთ პატარა სოფელში, მასწავლებლის ადგილი მომცეს. კვირა-უქმე დღეებში სოფლის სადგურზე ჩამოვდიოდი, აქ თავს იყრიდნენ ჩემი ამხანაგი მასწავლებლები... საღამოობით თბილისიდან მატარებელი ჩამოივლიდა და ესეც ერთგვარ სიამოვნებას გვგვრიდა. სრულიად მოულოდნელად რომელიმე ნაცნობი გადმოვიდოდა მატარებლიდან... მოგვიტანდა თბილისის ამბებს, გვეტყოდა რამეს ნაცნობების შესახებ....

ერთხელ დიდხანს ვიდექით სადგურზე... ვსაუბრობდით, ვიცინოდით... მატარებელი მოვიდა, ჯგუფი ახალგაზრდა ქალებისა იდგა და მგზავრებს ათვალიერებდა. ამ დროს მატარებლის მეორე კლასის ფანჯარა ჩამოიწია. კუპედან ღმერთივით გადმოიხედა ბამბის ქულასავით ჭაღარამ, ოლიმპიურად ამაყი სახის მქონე მოხუცმა...

- აკაკი! - ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ელექტრონის ძალასავით იმოქმედა ამ სიტყვამ ყველაზე. ერთხანად გაშეშებულნი ვიდექით. მე თვალებით ვჭამდი ამ სახეს. აკაკიმ წაიკითხა სადგურის შენობაზე მიკრული სახელწოდება და ფანჯარა ისევ დახურა. ვხედავდი, რომ იგი დინჯათ გადაეშვა სავარძელში. ყველანი ამ კუპესაკენ გაექანნენ... ბევრმა მატარებელში შესვლაც მოინდომა. დაიკივლა ამ დროს მატარებელმა, მისცეს მესამე ზარი და მატარებელი გუგუნით გაექანა სიპივით დალესილ რელსებზე. დიდხანს დაყრუებულივით ვიდექი".



მახსოვს ხარაგაულის
სევდიანი სადგური,
მისი ყრუ სამკაული–
აცვივნული აგური.

უშფოთველი ცხოვრება,
წყნარი, როგორც გუგული;
მესმის მოახლოებულ
ორთქმავალის გუგუნი.

2. წაიკითხეთ გალაკტიონის ლექსი და დააკავშირეთ მის მოგონებებთან.

თბილისური ჰანგები





თბილისის ისტორია

ძველი თბილისის უბნები
და თბილისური ეზოს ამბები

თბილისური არქიტექტურა

ქართლის პირველი მეფე - ვახტანგ გორგასალი

ერეკლე II და კრწანისის ბრძოლა

თბილისი 100 წლის წინ -
26 მაისის დღის ქრონიკა

პორტრეტები



ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- გარემოს / შენობის აღწერა წარსულსა და აწმყოში - როგორი იყო და ახლა როგორია?
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრება;
- საინფორმაციო ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების გაგება და მისი ფუნქციური გამოყენება;
- ლექსის მხატვრული ანალიზი და ემოციური კომენტარების გაკეთება;
- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შედარებითი ანალიზი;
- მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების ამოცნობა;
- არგუმენტირებული მსჯელობა ფაქტებზე დაყრდნობით და კონკრეტული დასკვნების გაკეთება;
- საკუთარი შეფასება-დამოკიდებულებისა და პოზიციის გამოხატვა და სხვების პოზიციების / არგუმენტების შეფასება;
- პრაგმატული ტექსტის სტრუქტურული ანალიზი (ინტერვიუ);
- ინტერვიუს მომზადება და მისი დაწერა;
- საინფორმაციო ტექსტის შედგენა.

თბილისი და მისი განვითარების ისტორია

1. გაეცანით მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რომელი მეფის სახელს უკავშირდება თბილისის დაარსება?

ბ) როდის მოღვაწეობდა ვახტანგ გორგასალი?

გ) საქართველოს რომელ კუთხეში მდებარეობს თბილისი?

2. დააკვირდით ფოტოებს და ისაუბრეთ ქალაქის გეოგრაფიისა და მისი განფენილობის შესახებ.

ა) სად არის ქალაქი გაშენებული?

ბ) რა ყოფს თბილისს ორ ნაწილად და რა ჰქვია მას?

გ) რით განსხვავდება თბილისის ძველი და ახალი უბნები ერთმანეთისაგან?

3. წაიკითხეთ და თავიდან უპასუხეთ შეკითხვებს.

თბილისი ვიწრო ზოლადაა გაჭიმული მდინარე მტკვრის ორივე ნაპირის გასწვრივ და შეფენილია სამი მხრიდან მთებით შემოფარგლული ქვაბულის ფერდობებზე.

თბილისის ძველი უბნები მდებარეობს ქალაქის სამხრეთ ნაწილში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ცხელ მინერალურ წყაროებთან. მთაზე უძველესი დროის ციხესიმაგრე - ნარიყალა დგას, რომელსაც სხვადასხვა დროს უწოდებდნენ „დედაციხეს“, „შურის ციხესა“ და „კალას ციხეს“.

თბილისი - საქართველოს დედაქალაქი



დროშა

გერბი

ძველი და ახალი თბილისი

დაარსება	479 წ. მეფე - ვახტანგ გორგასალი
პირველი ხსენება	V საუკუნე
ადრეული სახელები	ტფილისი, ტიფლისი
მდებარეობა	აღმ. საქართველო, ზღვის დონიდან 380-600 მ. სიმაღლეზე, მდ. მტკვრის ორივე სანაპიროზე
მოსახლეობა	მრავალეთნიკური რაოდ. 1.118.035 (2014 წ.)
დღესასწაული	„თბილისობა“

ღირსშესანიშნაობები

ნარიყალა	ტფილისის მთავარი ციტადელი
მეტეხი	თბილისის ისტორიული უბანი
აბანოთუბანი	თბილისის ისტორიული უბანი

თავდაპირველად თბილისი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: **კალა** და **თბილისი.** შემდეგში მესამე უბანიც მიემატა **– ისანი.** ისანი ეწოდებოდა დღევანდელი მეტეხის ციხის უბანს, კალა – სიონისა და ნარიყალას მიდამოს, ხოლო თბილისი – აბანოების უბანს.

XVII-XVIII საუკუნეებში თბილისი დიდი, მაღალი კედლებითა და ციხე-კოშკებით დაცული, კეთილმოწყობილი, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით, შესახვევებითა და ჩიხებით დაქსელილი მდიდარი ქალაქი იყო. მთელი განაშენიანება მდინარისკენ იყო მიმართული.

მის ნაპირებზეა მთავარი ეკლესიები, "მტკვარგადაკიდებით" ნაგები სასახლეები, ქარვასლები, ფერდობებზე ტერასებად შეფენილი "ქვითკირითა და გაჯით გალესილი" ერთსართულიანი ბანიანი სახლები.

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან გაჩნდა ორ და სამსართულიანი ე. წ. თბილისური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქის კლიმატურ პირობებს - სახლის თითქმის მთელი ფასადის გასწვრივ მიშენებული ორნამენტებიანი ხის აივანი, რომლის ფართობიც ხშირად ოთახების ფართობს აჭარბებდა.

4. დაუბრუნდით ფოტოებს და დაასახელეთ, თავდაპირველი თბილისის რომელი უბნებია მასზე გამოსახული.

1. გაიხსენეთ წინა გვერდებზე მოცემული ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რამდენი უბანი იყო თავდაპირველად თბილისში? დაასახელეთ ისინი და მიუთითეთ, რომელ ტერიტორიებს მოიცავდა ისინი?

ბ) როგორი იყო XVII-XVIII საუკუნეების თბილისი?

გ) რა იყო თბილისური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული მახასიათებელი XIX ს-ის 40-იანი წლებიდან?

2. მოძებნეთ ენობრივი შეცდომები და გაუსვით ქვეშ ხაზი. სწორად გადაწერეთ წინადადებები ცხრილის მეორე სვეტში და წაიკითხეთ.

ა) აბანოთუბანი თბილისის ძალიან უძველესი ნაწილია. ბ) შედარებით უდიდესი დარბაზები მარმარილოთია მოპირკეთებული. გ) აბანოების უდიდეს ნაწილს ირანის არქიტექტურის კვალი ატყვიათ. დ) დარბაზები სპეციალური ფარნებით ნათდებიან. ე) ნარიყალა ციხე-კოშკის ყველაზე უმაღლეს ნაწილს ეწოდებოდა.	

3. წაიკითხეთ მოცემული განმარტებები. რომელი ჩანს სურათებზე? მოძებნეთ და მიუთითეთ.

ა) **ბანი** არის სახლის ან სხვა ნაგებობის დატკეპნილი მიწის ბრტყელი სახურავი.

ბ) **ტერასა** არის ფერდობზე კიბე-კიბე ბუნებრივად გაჩენილი ან ხელოვნურად გაკეთებული მიწის ნაკვეთი.

გ) **მოკირწყვლა** ნიშნავს რამე ზედაპირის ქვით დაფარვას.

გაგარინის ფოტო

4. რომელია სწორი ინფორმაცია? შემოხაზეთ თქვენთვის მისაღები ვარიანტები.

ა) <u>მე-19 საუკუნის დასაწყისში თბილისი უფრო აზიური ქალაქი იყო, ვიდრე:</u>

1. მე-18 საუკუნის ბოლოს;
2. საქართველოს სხვა ქალაქი;
3. ევროპული.

ბ) <u>ე.წ. თბილისური საცხოვრებელი სახლის მთავარი არქიტექტურული მახასიათებელი იყო:</u>

1. მთელ სიგრძეზე მიშენებული ორნამენტებიანი ხის აივანი;
2. აივანი, რომელიც ეზოს გადაჰყურებდა;
3. აივანი, რომელიც ქუჩაზე გადიოდა.

5. წაიკითხეთ და შეამოწმეთ თქვენი ცოდნა. გაასწორეთ მცდარი ინფორმაცია.

მე-19 საუკუნის დასაწყისში თბილისი უფრო აზიური ქალაქი იყო ნარიყალას ფერდზე მოფენილი სახლებით. ძირითადად, სამი ტიპის სახლი შენდებოდა - ბანიანი, დარბაზის ტიპისა და ე.წ. კოშკურა.

XVII ს-ის შუა წლებში თბილისში 900 ბანიანი სახლი იყო. ბანიანი სახლი ხალხურ არქიტექტურაში გავრცელებული სახლია მიწური სახურავით. ამავე დროს, წინა სახლის სახურავი მეორე სახლისთვის ეზოს წარმოადგენდა. ძველ თბილისში ქალებს ჩვეულებად ჰქონდათ ბანზე ჯდომა. ისტორიული წყაროების მიხედვით, „ბანიდან ბანზე გადასვლით ისე შემოივლიდი ქალაქს, რომ შეგეძლო, მიწაზე ფეხი არ დაგედგა“.

ტერასებზე შეფენილი ბანიანი სახლები ყველაზე დიდხანს ავლაბარმა შეინარჩუნა. ბანიანი სახლების შემდეგ გაჩნდა აივნები, რომლებიც ქუჩას გადაჰყურებდნენ. ევროპული სტილის შემოსვლის შემდეგ კი აივნებმა ქუჩიდან ეზოებისაკენ გადაინაცვლა. ეზოები ვიწრო, მოკირწყლულ ქუჩებში გადიოდა. ქუჩებზე გადმოკიდებულ ჭრელა-ჭრელა აივნებს საღამოობით იქ ჩამომსხდარი „ხათუნები“ ალამაზებდნენ.

6. დაასაბუთეთ მოცემული ინფორმაციის უზუსტობა ტექსტის მიხედვით.

ა) ძველ თბილისში იშვიათობას წარმოადგენდა ბანიანი სახლები.

ბ) ბანიანი სახლების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ფოტოებმა შემოგვინახა.

გ) ძველ თბილისში ქალები იშვიათად სხდებოდნენ ბანზე.

დ) აივნები თბილისში ევროპული სტილის შემოსვლის შემდეგ გაჩნდა.

7. დაუბრუნდით ტექსტს და უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს.

1. მოცემული ინფორმაციით შეადგინეთ მოკლე საინფორმაციო ტექსტი. ყურადღება მიაქციეთ ფორმათა სიზუსტეს. სიტყვების მინიმალური რაოდენობა - 80.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი

მდებარეობა - თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, კარგარეთელის (ყოფილი ბაღის ქუჩა) ქ. №6.

აშენების თარიღი - 1895 წელი

არქიტექტორი - პოლ შტერნი

არქიტექტურული სტილი - ციხე-დარბაზის ტიპის ნაგებობა. ისლამური გოთიკის ნიმუში. ერთდროულად აღმოსავლეთისა და დასავლეთის არქიტექტურის ტრადიციები: ჩუქურთმები და ორნამენტები ევროპულია, შენობის საერთო აგებულება კი - აზიური.

შენობის დეტალები - აქვს ღია ტერასა, ქვის მოაჯირიანი კიბე, სამსართულიანი კოშკი ციცაბო სახურავითა და საიდუმლო ოთახით. მთავარ ბასტიონზე - საათი და გერბი. გერბზე - მითიური ცხოველი მონოცეროზი - თეთრი ცხენი შუბლზე დიდი რქით.

2. გაასწორეთ ერთმანეთის ნაწერები მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.

ა) დაცულია თუ არა სიტყვათა რაოდენობის ქვედა ზღვარი;

ბ) გადმოსცემს თუ არა ყველა საჭირო ინფორმაციას (თუ არა, მიუთითეთ, რომელი აკლია);

გ) თანმიმდევრულად გადმოსცემს თუ არა ინფორმაციას (თუ არა, მიუთითეთ კონკრეტულად);

დ) გასაგებია თუ არა მოცემული ინფორმაცია (თუ არა, მიუთითეთ, რომელი ადგილია გაუგებარი);

ე) გამართულია თუ არა ენობრივად (თუ არა, ამოწერეთ შეცდომები და გვერდით მიუწერეთ სწორი ფორმები).

შეცდომაა!	**უნდა იყოს!**

3. გაასწორეთ შეცდომები, რომლებსაც ეთანხმებით. დააზუსტეთ ნაწერი მასწავლებელთან ერთად.

4. შეარჩიეთ ერთ-ერთი ძველი არქიტექტურული ძეგლი, დაწერეთ მსგავსი ტექსტი მის შესახებ და გააცანით ერთმანეთს.

თბილისის დაარსება

5. გაიხსენეთ, რა იცით თბილისის დაარსების შესახებ და გადმოეცით.

6. გაეცანით იაკობ გოგებაშვილის ტექსტს (იხ. დანართი, გვ. 294) და შეამოწმეთ თქვენი ცოდნა.

7. იზიარებთ თუ არა ლეგენდაში გადმოცემულ ფაქტებს? დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია, რატომ ფიქრობთ ასე.

8. გაეცანით ინფორმაციებს - „უნიკალური აღმოჩენა თბილისში“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

1. „თბილისში მეტეხის ხიდთან, ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ციხის გალავანი აღმოაჩინეს, რომელიც ვახტანგ გორგასლის პერიოდს განეკუთვნება. იქვე მიაკვლიეს სასახლის უფრო ძველ ფენებსაც, რაც ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობამდე ბევრად ადრინდელ ხანას მოიცავს. ასევე ნაპოვნია I-II საუკუნის რომაული აბანო, IV საუკუნის მარანი თავისი საკმაო ტევადობის ქვევრებით და სხვადასხვა დროის სამარხები.

ეს აღმოჩენები ამტკიცებს მოსაზრებას, რომ დღევანდელი აბანოთუბნის ტერიტორიაზე საკმაოდ მაღალი დონის ციხე-ქალაქი ვახტანგ გორგასლის მეფობამდე, ბევრად უფრო ადრე არსებობდა“, - დავით დანელია, სტატიის ავტორი, 20.10.2011, „ამბიონი“.

2. „კარგად ჩანს სხვადასხვა ნაგებობის კვალი, ბევრი შენობა ერთმანეთზე გადადიოდა, ინგრეოდა, ადგილი სწორდებოდა და ახალი შენდებოდა. სხვადასხვა კვლევის შედეგები რომ შევაჯამოთ, შეიძლება ვთქვათ, რომ უკვე I საუკუნეში დღევანდელი თბილისის ტერიტორია წარმოადგენდა დედაქალაქ მცხეთის აღმოსავლეთ კარიბჭეს. რაც შეეხება თბილისის დაარსების ისტორიასა და ლეგენდას, რჩება, რადგან თბილისი, როგორც დედაქალაქი, დაარსდა ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, თუმცა ამ ტერიტორიაზე გაცილებით ადრე, I-II საუკუნეებიდან მოყოლებული საკმაოდ განვითარებული დასახლებული პუნქტები არსებობდა”, - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი მერაბ ძნელაძე.

3. „მივაკვლიეთ სამარხებსაც. მარნის გარეთ ერთი ფენით დაბლა ბავშვის სამარხი, რომელიც კრამიტებითა და აგურით შედგება, წინა ქრისტიანულ პერიოდს განეკუთვნება. სამარხი შეისწავლეს ანთროპოლოგებმა და დადგინდა, რომ წლინახევრის ბავშვს ეკუთვნის. თარიღდება III საუკუნით. ქრისტიანობის შემდეგ უკვე სხვა ტიპის სამარხები შემოდის, რომლებიც მთლიანად ქვისაა და ქვითვეა გადახურული“, - ვერიკო ჩიხლაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ა) შეავსეთ სქემა.

კონკრეტული ფაქტი	**მეცნიერების არგუმენტები ამ ფაქტის დასასაბუთებლად**

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება არგუმენტებით.

1. ეთანხმებით თუ არა არქეოლოგებისა და მეცნიერების მოსაზრებებს?
2. საკმარისია თუ არა ეს არგუმენტები თქვენთვის?
3. როგორია არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელის, მერაბ ძნელაძის, პოზიცია თბილისის დაარსების ლეგენდასთან დაკავშირებით?
4. თქვენი აზრით, აუფერულებს თუ არა ეს აღმოჩენები თბილისის დაარსების ლეგენდას? დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.

1. ჩაწერეთ ძირითადი დეტალები და შეადარეთ ერთმანეთს.

რას ამბობს ლეგენდა?	**რა იყო სინამდვილეში?**

2. შეარჩიეთ ერთ-ერთი რესპონდენტი და მოამზადეთ მასთან ინტერვიუ. მომზადებული ინტერვიუ ჩაწერეთ რვეულში და გააცანით დანარჩენებს. ყურადღება მიაქციეთ მოცემულ რეკომენდაციებს.

I. გაზეთ „ამბიონის“ ჟურნალისტი დავით დანელია

II. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, მერაბ ძნელაძე

III. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ვერიკო ჩიხლაძე

რეკომენდაციები

ინტერვიუს მომზადება

1. გაარკვიე, რა ინფორმაცია გაქვს და კიდევ რისი ცოდნა და დაზუსტება გჭირდება.
2. მოამზადე შეკითხვები.
3. რესპონდენტის პასუხების ჩასაწერად მოიფიქრე შენთვის საუკეთესო ხერხი.

ინტერვიუს აღება

1. არ დაგავიწყდეს მისალმება და საკუთარი თავის წარდგენა.
2. ჩაინიშნე პასუხები არჩეული სტრატეგიის გამოყენებით.

ინტერვიუს ჩაწერა

1. გაუკეთე ინტერვიუს წამყვანი აბზაცი.
2. ყოველი ახალი შეკითხვა და პასუხი დაიწყე ახალი ხაზიდან.

ვინ არის რესპონდენტი და რის შესახებ არის ინტერვიუ.

სათაური

წამყვანი აბზაცი

ძირითადი ტექსტი

რესპონდენტის ნათქვამი გადმოეცი პირველ პირში და დაწერე ბრჭყალების გარეშე.

1. გაეცანით ორივე მეფის შესახებ მოცემულ ინფორმაციას და შეადარეთ ერთმანეთს.

ვარანგან ხვასრო თანგი

ვახტანგ გორგასლის ფრესკა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, მცხეთა, საქართველო. გადმოღებულია 1840 წლის ახლოს. შემდეგ ეს სურათი ხსენებულ ეკლესიაში ჩამოირეცხა.

„გორგასალი“ სპარსელებმა შეარქვეს. სპარსულად მგლისთავას ნიშნავს.

გამეფდა 15 წლისა, იმეფა 45 წელი, აღესრულა 60 წლისა.

ქართლის პირველი მეფე

დაბ. თარიღი	V საუკუნის დასაწყისი
დაბ. ადგილი	მცხეთა
გარდ. თარიღი	502
გარდ. ადგილი	უჯარმა
მეუღლე	ირანის მეფის ასული
შვილები	დაჩი უჯარმელი
დინასტია	ხოსროვიანები
მამა	მირდატ VIII
დედა	საგდუხტი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად.

16 წლის ასაკში ილაშქრა ჩრდ. კავკასიაში და დაიმორჩილა ალანები.

დაიკავა დარიალის ციხე და გაამაგრა ქართლის ჩრდილოეთი საზღვარი.

დაიწყო ქვეყნის აღმშენებლობა. ააგო ციხე-ქალაქები - ახალი რეზიდენცია უჯარმაში, ასევე ბოჭორმა, ხორნაბუჯი და ჭერემი და გააძლიერა ქვეყნის დაცვა აღმოსავლეთიდან.

დაიმორჩილა მთელი ჩრდ. კავკასია.

დასავ. და აღმ. საქართველო ერთ სახელმწიფოდ გააერთიანა - აფხაზეთიდან განდევნა ბიზანტიელები და ეგრისის დიდი ნაწილი და კლარჯეთი შემოიერთა. შექმნა საერისთავო და ააგო არტანუჯის ციხე.

საქართველოს ეკლესიამ მოიპოვა ავტოკეფალია. წამოიწყო სვეტიცხოვლის მშენებლობა.

მისი ინიციატივით ქვეყნის ცენტრი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანეს, რითაც საფუძველი ჩაეყარა თბილისის ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევის პროცესს.

ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის გაატარა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. შეზღუდა თავნება თავადები და გააუქმა არაგვისა და ქსნის სათავადო.

დაასახლა მოოხრებული რაიონები.

გამოსცა კანონი, რომლითაც ტყვეობიდან თავისი სახსრებითა და ინიციატივით დაბრუნებულ გლეხს თავისუფლება ენიჭებოდა.

შექმნა და გაამრავლა თავისუფალ მიწათმფლობელ-მოლაშქრეთა ფენა.

შექმნა მორიგეობის პრინციპზე დამყარებული მუდმივი ჯარი.

აკრძალა ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს განახლებულ ყმათა გაყიდვა და ტყვეებით ვაჭრობა.

რუსეთის მიბაძვით შემოიღო სამხედრო სისტემა.

ერეკლე II

კახეთის მეფე 1744-1762 წლებში
ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წლებში

დაბ. თარიღი	1720, 7 ნოემბერი
დაბ. ადგილი	თელავი
გარდ. თარიღი	1798, 11 იანვარი
გარდ. ადგილი	თელავი
მეუღლე	1. ქეთევან ყაფლანი-შვილი-ორბელიანი 2. ანა აბაშიძე 3. დარეჯან დადიანი
შვილები	13 ვაჟი და 11 ქალიშვილი
დინასტია	ბაგრატიონები
მამა	თეიმურაზ II
დედა	თამარი

ხელმოწერა

გეორგიევსკის ტრაქტატის სიგელი

2. **დაასახელეთ ვახტანგ გორგასლისა და ერეკლე II-ის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი პრიორიტეტები.**
3. **დაუბრუნდით ვახტანგ გორგასლისა და ერეკლე II-ის დროინდელ საქართველოს და შეადარეთ მისი საზღვრები თანამედროვე საქართველოს საზღვრებს.**

კრწანისის ბრძოლის ქრონიკა

1. გაეცანით ძირითად ინფორმაციას და უპასუხეთ შეკითხვებს.

თარიღი: 8-11 სექტემბერი, 1795 წ.

ბრძოლის ადგილი: კრწანისი (დღეს თბილისის ერთ-ერთი უბანი)

ბრძოლის მიზეზი: ქართლ-კახეთის დაუმორჩილებლობა ირანის მიმართ

ბრძოლის შედეგი: ქართველთა დამარცხება; თბილისის აღება და გაძარცვა; 15 000 ქართველის ტყვედ წაყვანა სპარსეთში.

მხარეები	
ქართლ-კახეთის სამეფო	სპარსეთის იმპერია
სამხედრო ძალები	
7 000	35 000
მეთაურები	
ერეკლე II	აღა-მაჰმად ხანი ყაჯარი
დანაკარგები	
6 850	13 000

თქვენი აზრით:

ა) სად იყო რუსეთი და რატომ არ შეასრულა ხელშეკრულების პირობები?

ბ) რატომ ვერ შეძლო ერეკლემ მეტი სამხედრო ძალის გამოყვანა?

2. წაიკითხეთ და შეამოწმეთ.

ქართლ-კახეთის დაუმორჩილებლობით განრისხებული შაჰი საქართველოსკენ გამოემართა. ამ დროს რუსეთის ჯარი ჩრდილო კავკასიაში იდგა. მეფე ერეკლე წერილს წერილზე სწერდა გენერალ გუდოვიჩს და დახმარებას ითხოვდა, მაგრამ უშედეგოდ. რუსეთი მხოლოდ აიმედებდა, მაგრამ ჯარს არ აგზავნიდა. რუსეთი ტრაქტატის თანახმად მიღებული ვალდებულებების შესრულებას არც ამ შემთხვევაში არ აპირებდა და ეს იცოდა აღა-მაჰმად-ხანმაც. ეს იყო რუსეთის იმპერიის ხაფანგი - ქართველთა მარცხს აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსია.

რუსეთის დახმარების მომლოდინე ერეკლე II-მ დროული და საჭირო ღონისძიებები ვერ გაატარა და მტერს მოუმზადებელი დახვდა. ამას დაემატა აგვისტოს დასაწყისში აღა-მაჰმად-ხანის მოჩვენებითი წარუმატებლობა, რამაც თავისი შედეგი გამოიღო - ქართველებმა ძალები მოადუნეს.

3. თქვენი აზრით, რა სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ მარტო დარჩენილმა ერეკლე II-მ?

ა) რისი გამოყენება გადაწყვიტა მეფემ და ქართველთა სარდლობამ?

ბ) სად და როგორ განალაგა მეფემ ლაშქარი?

გ) რაიმე ხერხს მიმართეს თუ პირდაპირ გადავიდნენ შეტევაზე? და ა.შ.

4. წაიკითხეთ კრწანისის ბრძოლის დეტალები და შეადარეთ თქვენს ვერსიებს. დაასახელეთ, რა დაემთხვა და რა - არა. იმსჯელეთ მოცემული შეკითხვების გარშემო.

1. ქართველების სარდლობამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა მისადგომების რელიეფი და აეძულებინა მტერი, ისეთ პირობებში ებრძოლა, რომ ვერ მოეხერხებინა ჭარბი ძალების გაშლა და ბრძოლაში ჩაბმა.

9 სექტემბერს, ნაშუადღევს, სპარსელთა მცირერიცხოვანი 300-კაციანი რაზმი (მზვერავი) სოღანლუღის ვიწროებს მიუახლოვდა. აქ ჩასაფრებულმა ქართველებმა, დავით გიორგის ძის მეთაურობით, მტერი უკუაქციეს.

10 სექტემბერს სპარსელებმა შეტევა დილიდანვე განაახლეს. აღა-მაჰმად-ხანმა სპარსელებს ზურგში თურქმანები და ქურთები დაუყენა და უბრძანა, უკან დახევის შემთხვევაში ყველა უმოწყალოდ აეკუწათ. ქართველები წინასწარ დაგეგმილ ტაქტიკური ბრძოლის ხერხს იყენებდნენ - მტერს ჯერ არტილერია უსწორდებოდა, შემდეგ ქვეითები ახლიდნენ თოფებს და ბოლოს ხმალდახმალ ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ. აღა-მაჰმად-ხანი მიხვდა, რომ ასეთი ბრძოლა, როგორიც მას ქართველებმა თავს მოახვიეს, დამარცხებას უქადდა. ამიტომ მანევრი შეცვალა - მტკვრის მეორე ნაპირზე გადასვლა გადაწყვიტა. ცხენი პირდაპირ მდინარეში შეაგდო. მას სამი ათასი მეომარი გაჰყვა, აქედან 300-მდე ცხენოსანი მტკვარმა დაახრჩო. ამ მანევრით აღა-მაჰმად-ხანმა ქართველებს ყარყუთ-სოღანლუღის პოზიციების დათმობა და უკან დახევა აიძულა. ქართველებს ეგონათ, მტერი ზურგიდან უპირებდა თავდასხმას, პირველი და მეორე სანგარი მიატოვეს და მესამეში გადავიდნენ. სპარსელებმა ფონი მოძებნეს და ამჯერად უდანაკარგოდ გადმოლახეს უკან მტკვარი.

ა) რაში მდგომარეობდა ქართველთა ბრძოლის ტაქტიკა?

ბ) რატომ შეცვალა აღა-მაჰმად-ხანმა მანევრი?

გ) რამ ითამაშა განსაკუთრებული როლი ამაში?

დ) რა ხერხს მიმართა აღა-მაჰმად-ხანმა?

ე) რა შეცდომა დაუშვეს ქართველებმა?

მხატვარი სევერიან მაისაშვილი

2. მტერი უკვე კრწანისის მიდამოებში იდგა. აქედან კარგად მოჩანდა ტფილისის ეკლესიების გუმბათები, აივნიანი სახლები და ნარიყალის ციხის ქონგურები. უმოწყალო ბრძოლა გაიმართა, რომელიც ქართველების გამარჯვებით დამთავრდა - „შეიქმნა ომი ფიცხელი და მოსცა ღმერთმან ძლევაი მეფეს ირაკლის და იმ დღეს მრავალი მტერი დახოცეს და მრავალი ყიზილბაშის თავიც მოართვეს. ვიდრე მწუხრამდე იყო ბრძოლა და სიღამემან განყარა“, - წერს თეიმურაზ ბატონიშვილი. 10 სექტემბრის ბრძოლაში სპარსელებმა დიდი ზარალი ნახეს. აღა-მაჰმად-ხანი უკან გაბრუნებას აპირებდა, რომ გამოჩნდა ვინმე იოვანეს ყორღანაშვილი, თბილისელი ვაჭარ ოსეფა ყორღანაშვილის შვილი, რომელმაც ზედმიწევნით ზუსტად მოახსენა შაჰს ქართველ მეომართა რაოდენობა, არტილერიის განლაგება და თავდაცვითი ნაგებობების პოზიციები. ამას დაემატა თბილისელი სომხების - არუთინ არარატიანცისა და ოსეფა ბებუთოვის ხელშეწყობით ციხიდან გაპარული სპარსელთა ჯაშუშის ინფორმაცია - „დღევანდელი გამარჯვება მოჩვენებითია, ქართველები მაშველ ჯარებს არც კახეთიდან მოელიან და არც ქართლიდანო“, - მოახსენეს.

ა) სად აპირებდა აღა-მაჰმად-ხანი გაბრუნებას და რატომ?

ბ) რამ შეუცვალა გადაწყვეტილება შაჰს?

გ) თქვენი აზრით, რომ არა მოღალატეები, როგორ განვითარდებოდა მოვლენები?

1795 წლის კრწანისის ბრძოლა, მხატვარი ბორის რომანოვსკი, 1939 წ.

3. გათენდა ავბედითი **11 სექტემბერი.** ბრძოლა დილის 7 საათზე დაიწყო. ქართველთა ჯარს ერეკლე სარდლობდა. მეწინავე რაზმს იოანე ბატონიშვილი ჩაუდგა სათავეში. მარჯვენა ფრთას დავით ბატონიშვილი, მარცხენას კი იოანე მუხრანბატონი მეთაურობდა. ირანელები დიდი მსხვერპლის ფასად მოიწევდნენ მტკვრის ვიწრო ხეობისაკენ, სადაც მრავალრიცხოვანი ჯარის გაშლა შეუძლებელი იყო.

რამდენჯერმე უკუაგდეს ქართველებმა იერიშზე გადმოსული მტერი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ირანელთა სიმრავლემ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. ყიზილბაშთა სარდალმა გადაწყვიტა, ქართველთა ჯარისთვის ზურგიდან მოევლო. პარალელურად ყიზილბაშთა რაზმები თაბორის მთაზე განლაგებული ქართველების არტილერიის გარშემოსავლელად მიიწევდნენ. ნისლიან-ბურუსიანი დღე იყო და ქართველებს მტრის მანევრები შეუმჩნეველი დარჩათ. ბურუსი სწორედ მაშინ გაიფანტა, როცა მარჯვენა ფლანგზე მებრძოლ არტილერისტებსა და მათ დამხმარე

რაზმებს ყიზილბაშები ზურგიდან წამოადგნენ. ზურგში მტრის გამოჩენამ ქართველთა სიმტკიცე გატეხა. მარჯვენა ფლანგზე დავით ბატონიშვილის შეთხელებულმა რაზმმა ვეღარ გაუძლო ჭარბი ძალების მოწოლას და უკან დახევა დაიწყო. უკან დაიხია ერეკლემაც.

ამასობაში თაბორის მთაზე განლაგებული ქართველთა არტილერიისკენ წასული ყიზილბაშთა რაზმები სოლოლაკის ქედს მოადგნენ. იოლად დაფანტა და გააქცია მტერმა ხეობის დამცველ თბილისელ მოქალაქეთა 1500-იანი რაზმი და ქალაქის ზურგიდან შემოვლა დაიწყო. მეოთხე სანგარში შევიწროებული ერეკლე რჩეული მეომრების გუნდთან ერთად მუსრავდა ყიზილბაშებს - „თუმცაღა იყო ფრიად მოხუცი, გარნა ბრძოლასა შინა ქცევა მისი იყო მრავალთა ჭაბუკთაგან სანატრელი“.

მტერი უკვე ზურგიდან უტევდა ქართველების ჯარს. ერეკლე არ ტოვებდა ბრძოლის ველს და თავისი მცირე რაზმით მტრისგან გარემოცული აღმოჩნდა. სწორედ ამ დროს სპარსელებსა და ერეკლეს შორის ფარივით აღიმართა არაგველების შეთხელებული გუნდი. ისინი იმდენ ხანს აკავებდნენ გააფთრებულ მტერს, ვიდრე მხლებლებმა მეფე სამშვიდობოს არ გაიყვანეს. ავლაბრის ხიდზე შეაგდო ცხენი ერეკლემ. 150-მდე მხედრის თანხლებით მეფემ საგურამოსკენ გასწია და იქიდან მთიულეთს შეაფარა თავი.

აღა-მაჰმად-ხანი ქალაქში შევიდა. მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, ყიზილბაშებმა თბილისი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ დაარბიეს და მთლიანად გადაწვეს.

300 არაგველის ხატი

ა) როგორი იყო ქართველთა განლაგება?

ბ) რა უშლიდა მრავალრიცხოვან მტერს ბრძოლაში ხელს?

გ) ბრძოლის რა გეგმა შეიმუშავა მტერმა და რამ შეუწყო ამ გეგმის განხორციელებას ხელი?

დ) როგორ ფიქრობთ, გარდა მტრის სიმრავლისა, კიდევ რამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი?

ე) რომ არა 300 არაგველი, რა მოხდებოდა, თქვენი აზრით? დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.

ვ) როგორ ფიქრობთ, რატომ იყო კრწანისის ბრძოლა ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენა საქართველოს ისტორიაში?

1. წაიკითხეთ ანა კალანდაძის ლექსი და უპასუხეთ შეკითხვებს.

ასეთი დარი თუ იყო მაშინ

მზემ აიწია ფეხის წვერებზე,
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა.
იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული ნარის ციხესთან...
ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში
და მიაშურეს ლილისფერ მთათა...
ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?

ანა კალანდაძე

<u>როკვით</u> - ცეკვით

თბილისის აღება აღა მაჰმად ხანის მიერ.
ყაჯართა პერიოდის სპარსული მინიატურა
(ბრიტანული მუზეუმი)

ა) რა გეცნოთ ლექსში? რომელი ისტორიულ ფაქტზეა ყურადღება გამახვილებული?
ბ) რომელ ტაეპებშია ეს მინიშნებები?
გ) რომელია ნარის ციხე?
დ) ისტორიული ფაქტიდან კონკრეტულად რომელ ეპიზოდზეა ლექსში საუბარი?

2. შეადარეთ ლექსი და ისტორიული წყარო ერთმანეთს.

ა) როგორ არის წარმოდგენილი ეს ფაქტი ლექსში?
ბ) სად არის ეს ისტორიული სინამდვილე უფრო შემზარავად წარმოდგენილი - ლექსში თუ წყაროებში? რატომ ფიქრობთ ასე? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

3. მიუთითეთ, რომელი მხატვრული ხერხებია მოცემულ ტაეპებში: გაპიროვნება, შედარება *თუ* ეპითეტი.

ა) „მზემ აიწია ფეხის წვერებზე“
ბ) „იდგა თბილისი, როგორც ერეკლე“
გ) „მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა“
დ) „იდგა თბილისი ხმალშემართული;
ე) „და მიაშურეს ლილისფერ მთათა...“
ვ) „ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში“

4. დაუბრუნდით ლექსის სათაურს - „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“. თქვენი აზრით, რატომ დაასათაურა პოეტმა ლექსი ამგვარად? *ყურადღება მიაქციეთ შეკითხვებს.*

ა) როგორ აღწერს პოეტი მზის ამოსვლას? რა არის ნათქვამი ღრუბლებზე? რა ფერია მთები?

ბ) რა მოლოდინი აქვს პოეტს - ასეთივე იქნებოდა თუ არა მზის ამოსვლა მაშინ? რა ფერი ექნებოდათ მთებს? „იცეკვებდნენ“ თუ არა ღრუბლები? რატომ ფიქრობთ ასე?

5. მოამზადეთ კომენტარები და გაუზიარეთ ერთმანეთს.

გადმოეცით თქვენი ემოციები, როგორ ცოცხლდება თქვენს წარმოდგენაში მზე, ქარი, ღრუბლები და მთები მზის ქალაქში? არის თუ არა მომხიბვლელი და მშვენიერი? კონკრეტულად რომელი ტაეპები, სიტყვები იწვევს ამ ემოციას თქვენში და რატომ?

6. წაიკითხეთ ლადო ასათიანის ლექსი და უპასუხეთ შეკითხვებს.

კრწანისის ყაყაჩოები

სამასი არაგველის ხსოვნას

ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.
შავჩოხიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია?!
ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?!
შავჩოხიანო ვაჟებო, ასე რამ გაგახალისათ,
ჟრიალი ხომ არ მოგესმათ ოჟა ჯურხაის ფარისა?!
სიმღერა ხომ არ მოგესმათ პატარა კახის ხმალისა?!
იქნებ მე თვალი მატყუებს, ზეცა მაბრმავებს კრიალა,
მაშინ თქვენ თვითონ აღსდექით და მარქვით ომახიანად:
თუ არც ყაყაჩოს ცეცხლია და არც ახალი იარა,
მა ეს ბებერი კრწანისი რა ძალამ ააბდღვიალა?!
ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.

ლადო ასათიანი

ა) კრწანისის ბრძოლის რომელ ეპიზოდს უკავშირდება 300 არაგველის თავდადება?

ბ) რისი მეტაფორული სახეა ლექსში ყაყაჩო? აბდღვრიალებული კრწანისი?

გ) რაზე მიანიშნებს ავტორი ფრაზით - „გაუმაძღარნო ომითა“?

ოჟა ჟურხაის ფარი - მტერთან ბრძოლაში დაღუპული ვაჟკაცის ჯურხას ფარი, რომელიც ომის წინ თურმე ნიშანს იძლეოდა.

თბილისი 100 წლის წინ - 26 მაისის დღის ქრონიკა

1. გაეცანით ინფორმაციას და შეასრულეთ მასწავლებლის მითითებები.

კვირა, 26 მაისი, 1918 წელი, ქალაქი ტფილისი

დილა ერთი შეხედვით ჩვეულებისამებრ, თუმცა არაჩვეულებრივის მოლოდინით დაიწყო. თბილისი ზაფხულისთვის, ეროვნული საბჭო კი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის ემზადებოდა.

ეროვნული საბჭოს წევრები, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თბილისი

დღის 3 საათი:

გოლოვინის პროსპექტზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში გაიმართა ამიერკავკასიის სეიმის ბოლო სხდომა. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა და ამიერკავკასიის სეიმი დაშლილად გამოცხადდა.

დღის 4 საათი და 50 წუთი:

მთავრობის სასახლის იმავე დარბაზში შეიკრიბა ეროვნული საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც ნოე ჟორდანია თავმჯდომარეობდა. სხდომას 42 წევრი და 36 კანდიდატი ესწრებოდა. სავსე იყო დარბაზიც და მიმდებარე ეზოც.

„ლოჟებში და ქანდარაზედ აუარებელი საზოგადოებაა: სხვა და სხვა ერთა წარმომადგენელნი, რომელთა შორის იმყოფება გერმანეთის ჯარის უფროსი აფიცერი გრაფი შულენბურგი გერმანელ ოფიცერთა თანხლებით. ლოჟაშია აგრეთვე ტფილისის მიტროპოლიტი ლეონიდე სამღვდელო ამალითურთ და ქართველი მხედრობა.

სასახლის წინა მოედანი და ახლო-მახლო ქუჩები ხალხით არის გაჭედილი“.

საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი კრების ოქმიდან
კვირას, 26 მაისს 1918 წ. ქ. ტფილისი. სასახლე.
ნაშუადღევის 4 ს. და 50 წ.

ნოე ჟორდანიამ დამსწრე საზოგადოებას ჯერ მისასალმებელი სიტყვით მიმართა და შემდეგ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ გააცნო.

ხალხი გადაწყვეტილებას ელოდა. კრება, დაახლოებით, ერთ საათს გაგრძელდა და საღამოს 5 საათსა და 55 წუთზე დასრულდა.

„მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთ ისტორიულის, იშვიათის და ამავე დროს ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა ამავე დარბაზში ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს...

საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს არსდება, არ იქნება მიმართული არც ერთის ერის, არც ერთის ხალხის, არც ერთის სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი მიზანია, დღევანდელი ისტორიული ქარტეხილებისგან დაიფაროს თავისი თავი და, როცა ამას მოახერხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდ განსაცდელში“.

ნოე ჟორდანიას მისასალმებელი სიტყვიდან

საღამოს 7 საათი და 10 წუთი:

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტით ქვეყანა დამოუკიდებლად გამოაცხადა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დროებითი შემადგენლობაც დაასახელა ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით.

აქტის დარბაზში წაკითხვის შემდეგ, თავმჯდომარის წინადადებით, ეროვნული საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი სასახლის აივანზე გავიდა და თავმოყრილ ხალხს დამოუკიდებლობის აქტი გააცნო.

ეს იყო საღამოს ბოლო ოფიციალური ნაწილი. ამის შემდეგ ეროვნული საბჭოს 89 წევრმა დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა, რითაც დაადასტურა, რომ 117 წლიანი ლოდინის შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა.



საქართველოს
დამოუკიდებლობის აქტი
26 მაისი, 1918 წ.

სამწლიანი დამოუკიდებლობის დასასრული

ტაშითა და სიხარულით დაწყებული საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ 3 წელს გაგრძელდა. 3 წლიანი დამოუკიდებელი ცხოვრება და პირველი ნაბიჯები რუსეთის იმპერიის გარეშე, 1921 წლის 25 თებერვალს დასრულდა, ქვეყანა კვლავ მის მარწუხებში აღმოჩნდა.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოში 1921 წლის 21 თებერვლამდე იარსება. გასაბჭოების შემდეგ წევრების ნაწილი მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში განაგრძობდა მოღვაწეობას.

კრების 145 წევრიდან 93 საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

- 51 ადამიანი დახვრიტეს.
- 5 ციხესა და გადასახლებაში გარდაიცვალა.
- 37 დეპუტატი დააპატიმრეს ან გადაასახლეს.
- 31 დეპუტატი ემიგრაციაში წავიდა.

ორსაუკუნოვანი სასახლის ისტორია

1. დააკვირდით ფოტოებს და შეადარეთ ერთმანეთს. წაიკითხეთ ინფორმაციები და დააკავშირეთ ფოტოებთან.

სასახლეს 200- წლოვანი ისტორია აქვს. მთავარი ფასადით გამზირს გადაჰყურებს, დასავლეთიდან და სამხრეთიდან კი ვრცელი ბაღი აკრავს.

საქართველოში რუსული ხელისუფლების დამყარებას თბილისში მთავარმართებლის (კარლ კნორინგი) დანიშვნა მოჰყვა. საჭირო იყო მისთვის რეზიდენციის აშენება, სადაც უნდა განთავსებულ-იყო კანცელარია. საამისოდ შეირჩა მაშინდელი თბილისის გარეუბანი, კალაუბნის მისადგომები, ქართველ მეფეთა საგვარეულო ბაღები, სადაც 1802 წელს სახელდახელოდ ააგეს მცირე, უხარისხო შენობა. თუმცა 1807 წელს შენობა დაანგრიეს და ახლით შეცვალეს.

მეფისნაცვლის სასახლე XIX ს-ის 10-იანი წლები



მიხეილ ვორონცოვის სასახლე, 1850-იანი წლები

ამის შემდეგ სასახლის შენობა კიდევ რამდენჯერმე გადააკეთეს. 1818 წელს იგი დაანგრიეს და არქიტექტორ ბრაუნმილერის პროექტით ახალი შენობა ააგეს.

1845 წელს, კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობის შემოღების შემდეგ, სასახლემ ისევ განიცადა ცვლილებები, ვინაიდან სასახლე ვერც მასშტაბით და ვერც ვიზუალურად ვეღარ აკმაყოფილებდა მეფის თვითმპყრობელობის წარმომადგენელთა გემოვნებას და მოთხოვნებს. ამ პერიოდში სასახლის უკანა ეზოში ულამაზესი ბაღი გაშენდა, სადაც შესვლა მხოლოდ საზოგადოების გარკვეულ ნაწილისთვის იყო ნებადართული. ბაღში ნახავდით ულამაზეს ხეივნებს, ფანჩატურს, შადრევნებიან აუზს. მთლიანად ამ პარკს ,,სასახლის ბაღი" ეწოდა.

მეფისნაცვლის სასახლე 1865-68 წლები

სასახლის სამხრეთ ფასადი ბაღის მხარეს

სასახლემ თავისი საბოლოო სახე 1869 წელს, თბილისში მოღვაწე შვედი ხუროთმოძღვრის, ოტო იაკობ სიმონსონის დამსახურებით მიიღო. სასახლის მეორე სართულზე საზეიმო დარბაზმა დაიკავა ადგილი. ბაღის მხარეს სამხრეთ ფასადს უფრო საზეიმო შეხედულება ჰქონდა. ცენტრში მოთავსებული იყო წვრილი კოლონადა, ღია ვერანდა-ვესტიბიულით, რომელიც რკინის სვეტებიანი, მორკალული ღია კიბე-აივნით იყო მიმართული ბაღისკენ.

1917 წლიდან სასახლეში ამიერკავკასიის სეიმი განთავსდა. 1921 წლიდან კი სასახლეში საბჭოთა საქართველოს მთავრობამ დაიდო ბინა. 1937 წელს ეს შენობა ბავშვებს გადაეცა, როგორც თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე. 1941 წლის 2 მაისს კი გაიხსნა როგორც პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე.

ამჟამად შენობაში განთავსებულია მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე.

თბილისური ეზოს ამბები

1. რა იცით თბილისური ეზოს შესახებ? იმსჯელეთ მოცემული შეკითხვების გარშემო.

ა) რას ნიშნავს თბილისური ეზო და რით განსხვავდება ის სხვა ეზოებისაგან?

ბ) თქვენ თუ გქონიათ შეხება ასეთი ტიპის ეზოსთან? სად და როდის?

გ) თქვენი აზრით, რა დადებითი ან უარყოფითი მხარე აქვს ასეთ ეზოში ცხოვრებას და რატომ?

2. წაიკითხეთ ნაწყვეტი ინტერვიუდან და დაასახელეთ ინტერვიუერის პოზიცია პირველ დავალებაში მოცემულ ბოლო კითხვასთან დაკავშირებით.

"იტალიური ეზოს" ამბები

კინოფილმ „აბეზარას" სიმპათიური არქიტექტორი, მომღერალი თენგიზ მუშკუდიანი ვერაზე, სამსართულიანი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობს. იქ დაიბადა, გაიზარდა და შემდეგ მშობლიური ბინა მესამე კურსის სტუდენტმა დატოვა. მას შემდეგ რამდენიმე ბინა გამოიცვალა. 1965 წელს კი ისევ თავის ფუძეს დაუბრუნდა.

- ბატონო თენგიზ, ამ ეზოში დაიბადეთ?

- დიახ, აქ, სადაც დღეს ვცხოვრობ. როგორც ხედავთ, სახლი სამსართულიანია. აქ დავიბადე და გავიზარდე. საოცარი ეზო გვქონდა, ყველა ეროვნების მეზობლები მყავდა - ასირიელები, სომხები, ებრაელები. მიმაჩნია, რომ ძალიან საინტერესო ბავშვობა მქონდა.... ბავშვები ვმეგობრობდით, ერთმანეთისთვის ძმები ვიყავით და ეროვნებას მნიშვნელობა არ ჰქონდა, ხანდახან ვჩხუბობდით, მაგრამ მალე ვრიგდებოდით. სხვა ეროვნების ბავშვებიც ლაპარაკობდნენ ქართულად და ჩვენც გვესმოდა მათი ენა.

- როგორ ფიქრობთ, რა გავლენა მოახდინა იტალიურმა ეზომ თქვენს აღზრდაზე?

- მეგობრობის განსაკუთრებული გრძნობა ჩამომიყალიბდა და ადამიანების მიმართ დამოკიდებულებაც სხვანაირად მასწავლა.... დილას რომ გავიღვიძებდით, ყველა საკუთარი ფანჯრიდან ვიხედებოდით და ერთმანეთს მოვიკითხავდით. ჭირსა თუ ლხინს ვუზიარებდით და ერთმანეთს მხარში ვედექით.... არც ერთი ჩაკეტილი ოჯახი არ იყო... ქორწილი რომ იყო, ყველას გვიხაროდა, პატარძალს მთელი ეზო ვაცილებდით.

- შეგიძლიათ ბავშვობის მეგობრები გაიხსენოთ?

- როგორ არ მახსოვს. ერთი აისორი მეგობარი მყავდა ჯანო, მეორე სართულზე ცხოვრობდა. ჩვენ შორის სპორტში ყველაზე ნიჭიერი ბიჭი იყო. საოცრად თამაშობდა ფეხბურთს. ისეთი მონაცემები ჰქონდა, თავის დროზე მისთვის რომ ყურადღება მიექციათ, მსოფლიო დონის ვარსკვლავი გახდებოდა.

ნინო გიგიშვილი
ჟურნალი „რეიტინგი", 31-01-2012

3. დაასაბუთეთ მოცემული ინფორმაცია ინტერვიუს წამყვანი აბზაცის მიხედვით. მოიტანეთ შესაბამისი ადგილი ტექსტიდან. საიდან ჩანს, რომ:

ა) თენგიზ მუშკუდიანი მსახიობიც იყო.

ბ) ის ახალგაზრდა იყო, როცა თბილისის სხვა უბანში გადავიდა საცხოვრებლად.

გ) ამჟამად ის კვლავ თავის ბავშვობისდროინდელ სახლში ცხოვრობს.

დ) ბავშვობისდროინდელი გარემო მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ე) თენგიზ მუშკუდიანი პროფესიონალი არქიტექტორი არ ყოფილა.

4. შემოხაზეთ სწორი ინფორმაცია. გაასწორეთ მცდარი ინფორმაცია და წაიკითხეთ.

ა) თენგიზ მუშკუდიანი მრავალეროვან გარემოში გაიზარდა.

ბ) მის ეზოში სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობდნენ.

გ) ბავშვობაში მას მარტო ყოფნა უყვარდა.

დ) ქართულის გარდა, მან სხვა ენებიც ძალიან კარგად იცოდა.

ე) მის ეზოში ყველა კარჩაკეტილი ცხოვრებით ცხოვრობდა.

5. გაიხსენეთ თენგიზ მუშკუდიანის სიტყვები: *„ბავშვები ვმეგობრობდით, ერთმანეთისთვის ძმები ვიყავით და ეროვნებას მნიშვნელობა არ ჰქონდა.“* **და იმსჯელეთ მოცემული დებულების გარშემო. დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია პირადი მაგალითებით.**

მეგობრობამ ეროვნება არ იცის!

6. გაეცანით ინფორმაციას და უპასუხეთ შეკითხვებს.

თბილისის მოსახლეობა შედგება სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის, კულტურისა და ტრადიციების მქონე ადამიანებისაგან. სხვადასხვაა მათი მშობლიური ენაც. თბილისში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ ქართველები, ებრაელები, აფხაზები, ოსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, გერმანელები, უკრაინელები, ქურთები, პოლონელები, ბოშები და სხვ.

ქალაქის მოსახლეობა მუდამ ჭრელი და მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ყოველთვის თავისი ენით მეტყველებდა: ეს იყო თბილისური, ქალაქური ენა. ამ ენაში ხშირად ისმოდა არაბულ-სპარსული, სომხური, აზერბაიჯანული და სხვა სიტყვები, მაგრამ ეს სიტყვები ყოველთვის შეკავშირებული იყო ქართული ენის ცოცხალ გამოთქმასთან.

ა) რატომ მიიჩნეოდა თბილისი კავკასიის ცენტრად და ხანდახან დედაქალაქადაც კი?

ბ) რამ განაპირობა თბილისის მოსახლეობის მრავალეროვანი შემადგენლობა? დაასახელეთ თქვენთვის მისაღები ვარიანტი.

1. ქალაქის განსაკუთრებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ.
2. ქვეყანაში მიმდინარე მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა პროცესებმა.

1. წაიკითხეთ ნაწყვეტები დათო ტურაშვილის თხზულებიდან „ტიბეტი არ არის შორს“ და შეასრულეთ მითითებები.

1

I. „...ბარგი გადმოვალაგეთ და უღელტეხილისთვის მოვემზადეთ... ჩვენი ზურგჩანთებიანად ავძვერით საბარგო მანქანაზე, სადაც, ჩვენი ჯგუფის გარდა, კიდევ რამდენიმე ადამიანი დაგვხვდა. ისეთი სახეებით ჩასჭიდებოდნენ ძარაზე დამაგრებულ რკინის მოაჯირებს, რომ მივხვდი - საშინელი გზა გველოდა, თუმცა, რასაც არ უნდა მივმხვდარიყავი, მაინც ვერ შევძლებდი ბოლომდე იმის წარმოდგენას, რაც გველოდა...

II. რაც გავიარეთ, იმის აღწერა შეუძლებელია. მერე, ტიბეტიდან დაბრუნების შემდეგაც, რამდენჯერაც გამახსენდებოდა ის გზა, ზუსტად ისე მეშინოდა, როგორც მაშინ - როცა უფსკრულებსა და უძირო ხევებს ჩავხედავდი ხოლმე იმ ჩვენი ღია საბარგო მანქანიდან, ღრუბლებს ზემოთ რომ მიიწევდა უკვე და თვალებს ვხუჭავდი...

ასეთი იყო და არც იყო თუშეთის გზა, როცა უნივერსიტეტის პირველკურსელები პირველად წავედით ომალოში. მაშინაც საბარგო მანქანით მივდიოდით თუშეთის დაკლაკნილ გზებზე, მაშინაც ვიდექით ზემოთ, ძარაზე და მაშინაც შეშინებულები დავყურებდით ნისლებით ამოვსებულ უძირო ხეობებს...“

2

„ლჰასაში (ტიბეტის დედაქალაქი) ღამით ჩავედით... სასტუმრო იყო პატარა, მაგრამ ჰქონდა ეზო, სამი მხრიდან ჩვენი სასტუმროსავით ორ და სამსართულიანი შენობებით შემორტყმული და მეოთხე მხარეს ღია, თაღიანი შესასვლელით. ერთი შეხედვით, თბილისურ ეზოსაც ჰგავდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რად-გან თბილისურ ეზოს ანალოგი არა აქვს არსად (იტალიაშიც კი) და თბილისელებიც (ასეთ არქიტექტურას) შეცდომით იტალიურს უწოდებენ“.

ა) მოძებნეთ შესაბამისი ინფორმაცია და დაასახელეთ, რამ გაახსენა ავტორს:

1. თუშეთის გზა (1-ლი ნაწყვეტი, II)?
2. თბილისური ეზო (მე-2 ნაწყვეტი)?

ბ) გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ შესაბამისი ინფორმაციებით.

მგზავრობა უღელტეხილზე:

მსგავსება:	**ტიბეტისაკენ**	**ომალოსკენ**
ა) გზა	ა)	ა)
ბ) ტრანსპორტი	ბ)	ბ)
გ) ემოცია	გ)	გ)

პორტრეტები

„მოვიდა, მოხატა თბილისი და წავიდა“.

მხატვარი თემო ჯაფარიძე

2. რა იცით ნიკო ფიროსმანის შესახებ? წაიკითხეთ და მონიშნეთ, რომელია თქვენი აზრით, არასწორი ინფორმაცია.



ა) ნიკო ფიროსმანი თბილისში, აბანოთუბანში დაიბადა.

ბ) კახეთში დაბადებული ნიკო თბილისში მშობლების გარდაცვალების შემდეგ ჩამოვიდა.

გ) ფიროსმანს თბილისში სამხატვრო სახელოსნო ჰქონდა გახსნილი, სადაც ბავშვებს ხატვას ასწავლიდა.

დ) ფიროსმანი ერთხანს რკინიგზის სადგურზე მუშაობდა კონდუქტორად.

ე) მოგვიანებით ნიკო მედუქნეებს შეეკედლა და დუქნების მოხატვა დაიწყო.

ვ) ფიროსმანი მხოლოდ თავისი სურვილით ქმნიდა ნახატებს.

ზ) ნიკო ფიროსმანი 1918 წელს ერთ-ერთი კიბის ქვეშ, პატარა ბნელ სარდაფში გარდაიცვალა.

თ) ფიროსმანის საფლავი დღემდე უცნობია.

3. გაეცანით დანართში მოცემულ ტექსტს (გვ. 296) და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

4. დააკვირდით ფიროსმანის ნახატებს და ისაუბრეთ მათ შესახებ.

ა) აღწერეთ ადამიანების გარეგნობა და ხასიათი.

ბ) რა გამოარჩევს ფიროსმანის ნახატებს სხვებისგან?

გ) რომელი ნახატი შეიქმნა რეკლამისათვის? რატომ ფიქრობთ ასე?

1. გაეცანით ნაწყვეტს ლადო გუდიაშვილის მოგონებიდან და უპასუხეთ შეკითხვებს.

„– დაბრძანდით, ძმობილო! აი, ასე, ეს არის ჩემი ოთახი, როგორცა ხედავთ. რომელია თქვენი სახელი? ლადო, დიახ, ლადო!

– შეიძლება, წყალი დავლიო?

ნიკომ მომიტანა წყალი და მითხრა:

– ბოდიშს ვიხდი, რომ ლიმონათი არ მაქვს.

სწრაფად შევათვალიერე ოთახი. ეს იყო კიბის ქვეშ მოთავსებული, რამდენიმე ნაბიჯი სიგრძისა და სიგანის პატარა ოთახი. დგომა შეუძლებელი იყო. კუთხეში საწოლი იდგა, ზედ ჭუჭყიანი ქვეშაგები ელაგა, კედელზე პატარა კოლოფი იყო მიკრული - ეს იყო „შკაფი“. მეორე კუთხეში ეყარა სხვადასხვა ხელსაწყო მღებავისა და მხატვრისა: ვედრო, მუშამბა, საღებავები, ფუნჯები და სხვა.

– ეს რა არის? – ვკითხე ნიკოს.

– საღებავები, ჩემო ძმაო. მუშაობა ასე უნდა! თქვენ კოსტიუმებში და გალსტუკებში მუშაობთ და გოლოვინის პროსპექტზედაც დასეირნობთ, – არა, ასე არ შეიძლება, უნდა ჩაიცვა ძველი ფართუკი, აანთო ლამპა და მოაგროვო ჭვარტლი. უნდა დაფქვა ფეხით კირი და გააკეთო უმარილი, აიღო დიდი ფუნჯი და შეღებო კედლები თეთრი ან შავი ფერით, ძირიდან ჭერამდე“.

ა) სად ესტუმრა გუდიაშვილი ფიროსმანს?

ბ) ვინ იყო ლადო გუდიაშვილი? სად ჩანს ეს ტექსტში?

გ) რას ამბობს ფიროსმანი თანამედროვე მხატვრებზე?

დ) მოსწონს თუ არა ნიკოს მათი მუშაობა? რა არ მოსწონს კონკრეტულად?

2. მოძებნეთ ტექსტში ინფორმაცია, სადაც ჩანს:

ა) ნიკოს უკიდურესი გაჭირვება;

ბ) ნიკოს შრომისმოყვარეობა;

გ) საღებავის შექმნის ტექნოლოგია;

დ) ძველი და ახალი თაობის მხატვრებს შორის განსხვავება.

3. გაეცანით ინფორმაციას პიკასოს შესახებ და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა იცით პიკასოს შესახებ?

ბ) როგორ გაიგო მან ფიროსმანის შესახებ?

გ) რას ფიქრობდა პიკასო ფიროსმანზე და მის ნახატებზე? საიდან ჩანს?

დ) რა მოხდა 1972 წელს?

ე) ვის ეკუთვნის წიგნის მხატვრული გაფორმება?

ცნობილ ესპანელ მხატვარს, პაბლო პიკასოს, XX საუკუნის ოციან წლებში ფიროსმანის ნახატების რეპროდუქციების ალბომი აჩუქეს. არცერთი მხატვრისადმი არ გამოუხატავს მას ისეთი აღტაცება, როგორც ფიროსმანისადმი.

პიკასო ფიროსმანს XX საუკუნის ყველაზე დიდ გენიოსად მიიჩნევდა. 1972 წელს გამოვიდა ილია ზდანევიჩის წიგნი „ნიკო ფიროსმანაშვილი 1914“ პიკასოს ილუსტრაციებით, სადაც შესულია პიკასოს ცნობილი ნახატი - ფიროსმანის პორტრეტი.

4. გაეცანით სოზაშვილის მოგონებებს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) ვინ იყო სოზაშვილი? დაიმოწმეთ ადგილი ტექსტიდან.

ბ) საიდან ჩანს, რომ: 1. სოზაშვილს რაღაცები არ მოსწონდა ნიკოს ნახატში?

2. ფიროსმანი ძალიან გაბრაზდა სოზაშვილზე?

I. „სურათის გეგმას მე ვაძლევდი. ყველაფრის დახატვა მინდოდა ტილოზე, რაც კი რთველს შეეხებოდა, ამიტომ ყველა წვრილმანში ვერეოდი. ვატყობდი, ძალიან სწყინდა ჩემი თავზე დგომა და ერთხელ მომიბრუნდა, წადი აქედან, შენ გიყურო თუ ამასაო... დიდხანს მითმინა. ბოლოს, როცა ურემში შებმული ხარების ტანადობაც დავუწუნე, აიმღვრა და მრისხანედ მომაძახა, შენ რა გემოვნება გაქვს, ვაჭარი ხარ, დახლში დაჯექიო, დასდო ყალამი, გაქანდა და მთელი ერთი კვირა აღარც შემოუხედია... სურათი რთველი ორი კვირა ხატა სვენებ-სვენებით. ძალიან ხელბარაქიანი მხატვრობა ჰქონდა, თუმცა გაბმით არ უყვარდა ხატვა. ცოტას მოუსვამდა სამხატვრო ყალამს, მერე არაყს გადაჰკრავდა და ასე და ასე...

II. ნიკო იყო მაღალ-მაღალი, ჭაღარაშერთული, ახოვანი, ჯანსაღი და წარმოსადეგი ვაჟკაცი. ეხურა ქუდი-ჟოკე, ეცვა შავი პიჯაკი, შავი შარვალი და ასეთივე პალტო. თავის სიღარიბეში სუფთა კაცი იყო. ბოლოს ცოტა მოეშვა. ხმა ჰქონდა ბოხი. ძალიან მშვიდი და უწყინარი კაცი იყო.

III. ძალიან უყვარდა ვაჟა-ფშაველა. სხვათა შორის, ნიკო თითონაც წერდა ლექსებს. კაი პოეტი იყო, მე და ჩემს მეუღლესაც გვინახამს მისი ლექსების რვეული“.

5. მოცემული ანდაზებიდან რომელი გამოხატავს უკეთ I აბზაცში გადმოცემულ სიტუაციას? დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.

ა) რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.

ბ) როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო.

გ) პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო.



ლადო გუდიაშვილის ნახატი

6. დაუბრუნდით ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა არის I აბზაცის ძირითადი თემა?

ა) ნიკოს გარეგნობის აღწერა

ბ) მისი დახასიათება

გ) ერთი სურათის შექმნის ისტორია

ბ) ნახატის გარდა, კიდევ რას ვიგებთ I აბზაციდან?
შემოხაზეთ ყველა სწორი ვარიანტი.

1. ნიკოს დამოკიდებულებას მედუქნეებისადმი
2. ნიკოს სხვა გატაცებებს
3. ნიკოს მუშაობის სტილს
4. ნიკოს ხასიათს

გ) რის შესახებ იძლევა ინფორმაციას II და III აბზაცები?

1. გაეცანით კიდევ რამდენიმე მოგონებას ნიკო ფიროსმანის შესახებ და უპასუხეთ შეკითხვებს.

,,რა მშვენიერი ვაჟკაცი იყო - ჯანიანი. ზღვის ლერწამივით მოსული... ქალი არ იქნებოდა ისეთი ლამაზი, როგორც ახალგაზრდობაში მახსოვს: ტუჩნაპობი, ტანის მოყვანილობა, ყელ-ყური, სახე - მშვენიერი... დუქნის გახსნამდე ჩოხა ეცვა, მერე რუსულად...”

დიმიტრი ალუღიშვილის მეუღლე

„ეს შეხვედრა დამამახსოვრდა: თეთრ კედელთან იდგა მხატვარი დახეულ შავ პიჯაკში და რბილი ფეტრის შლაპით, ტანმაღალი, მშვიდი და დამოუკიდებელი, მაგრამ მის ქმედებაში გარკვეული სიმწარე გამოსჭვიოდა“.

ილია ზდანევიჩი, 1912 წ.

ნიკო „ორ ვირის საპალნე მწვანე ბალახს იყიდდა, აიტანდა დუქნის თავზე, გაიშლიდა და გამოეხვეოდა, სოფელში რომ ვერ მივდივარ, ეს მეამებაო!“

დ. ალუღიშვილი

„სად იყავით მაშინ? გამკვირვებია, თუ ნიკო გამოჩენილი მხატვარი ყოფილა, რატომ ყურადღება არ მიაქციეთ, როცა დუქან-დუქან გზას იყო გაკრული? მთელი ტფილის-ქალაქი სურათებით გამოიჭედა, თვალები სად გქონდათ?“ - ასე მიმართა ერთ-ერთი სამიკიტნოს მფლობელმა, მესხიშვილმა ქართველ ინტელიგენციას, რომელიც გარდაცვალების შემდეგ დაინტერესდა ფიროსმანის ცხოვრებით.

ა) როდინდელ პორტრეტს ხატავს ალუღიშვილის მეუღლე?

ბ) რას ადარებს ალუღიშვილის მეუღლე ფიროსმანის ტანადობას?

გ) რას გულისხმობს ის რუსულად ჩაცმაში? როგორ ფიქრობთ, რა ჩაიცვა ნიკომ ჩოხის შემდეგ?

დ) ვის/რას ეყრდნობა ზდანევიჩი ნიკოს აღწერისას? შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

1. სხვების ნაამბობს
2. საკუთარ შთაბეჭდილებებს
3. ფიროსმანის ნახატებს

ე) რას გულისხმობს ილია ზდანევიჩი, როცა წერს: „მის ქცევაში გარკვეული სიმწარე გამოსჭვიოდა“. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

1. ნიკო შემკვეთზე იყო ნაწყენი.
2. ნიკო საკუთარი მდგომარეობის გამო იყო სევდიანი.
3. ფიროსმანი ძალიან ავად იყო.

ვ) რა უკვირს მესხიშვილს ინტელიგენციისაგან? ეთანხმებით თუ არა მას?

2. შეადარეთ სოზაშვილის, ზდანევიჩისა და ალუღიშვილის მეუღლის დახასიათებები ერთმანეთს და შეავსეთ ცხრილი.

	სოზაშვილის მიხედვით	ზდანევიჩის მიხედვით	ალუღიშვილის მეუღლის მიხედვით
<u>გარეგნობა</u> (იერსახე)			
<u>ჩაცმულობა</u>			
<u>თვისებები</u>			

3. დაახასიათეთ ფიროსმანი მოცემული შეკითხვების გათვალისწინებით.

ა) როგორი მუშაობა იცოდა ნიკო ფიროსმანმა?
ბ) რას აკეთებდა ის ხატვის დროს?
გ) როგორი ხატვა არ უყვარდა მას?
დ) რა აბრაზებდა ნიკოს ყველაზე მეტად მუშაობის პროცესში?
ე) ხატვის გარდა კიდევ რის ნიჭს ამჟღავნებდა ფიროსმანი?
ვ) ვინ იყო მისი საყვარელი პოეტი?

4. შემოხაზეთ ის ზედსართავები, რომლებიც, თქვენი აზრით, ახასიათებს მას და დაასაბუთეთ თქვენი გადაწყვეტილებები ტექსტის მიხედვით.

უყურადღებო მშვიდი ფიცხი უნებისყოფო ნიჭიერი შრომისმოყვარე
ბრაზიანი სამართლიანი უგულისყურო მომთმენი ზარმაცი უნიჭო

5. ამოწერეთ წინა დავალებიდან სინონიმები და ანტონიმები.

სინონიმები	ანტონიმები

1. წაიკითხეთ ლადო ასათიანის ლექსი და დააკავშირეთ ფიროსმანის შესახებ წაკითხულ ინფორმაციებთან და მოგონებებთან.

ფიროსმანის მეგობრებთან

(ნაწყვეტი)



1961 წ.

ლადო გუდიაშვილის ნახატები

ეს რა ეშმაკმა ააბორგა ამაღამ ქარი,
ამიწიოკა, დამირბია მან შთაგონება!
თბილისის ქუჩებს დავედევნე, ვიხმე ამქარი
დავიწყებული ფიროსმანის მოსაგონებლად.
აქ, ამ ქუჩებში, დადიოდა, როგორც სიზმარი
(საქართველოს ცას აქ ეტრფოდა მისი ოცნება),
ჩამოხეული, ტანმაღალი, მარად ხიზანი,
მარტოდენ გული და ბაჯაღლო პატიოსნება.

– „თვითრჯული“ იყო, აუმღვრია სისხლი თბილისმა,
სულ მარტო იყო, მარტო სვამდა, მარტო გათავდა,
ფუნჯის მოსმის დროს ჰქონდა რაღაც ჯადო-თილისმა,
არაყს დალევდა და ქვეყანას დაგიხატავდა!

– შემოგხედავდა დარცხვენილი, ვერ გაიგებდი,
რა ჭკვისა იყო, რა ჰაზრების და რა გუნების,
უყვარდა მტკვარი, მტკვარზე ტივი, ტივზე ტიკები,
გოჭი, მწვანილი და ფრთიანი ორაგულები!

1946 წ.

– როცა ზაფხული დადგებოდა თბილის-ქალაქში.
ჯავრობდა: ხედავ, ყველაფერი როგორ ხმებაო.
გაეხვეოდა ირემივით მწვანე ბალახში:
სოფელში ვეღარ მივდივარ და მეამებაო...
– არც კოხტა იყო საცოდავი და არც ართვალი,
ამაყი იყო, ჩვენ მორჩილად ვიდექით მასთან,
ეხ... ახლა გახდა ნიკალაი დიდი მხატვარი,
უფასოდ გაქრა, უფასოდ, და ახლა დაფასდა!

მე ვუსმენ ყველას, წარმოვიდგენ ცხოვრებას მისას,
ცოცხლდება ჩემ წინ მკრთალი სახე ფერების მგოსნის,
მთვარეულივით დავემხობი თბილისის მიწას
და დიდი ნიკო ფიროსმანის ნატერფალს ვკოცნი!

- რომელ სტროფშია საუბარი ფიროსმანის გარეგნობაზე? ხასიათზე? ქცევაზე?
- დაასახელეთ, ვის მოგონებებს ეყრდნობა პოეტი ცალკეულ შემთხვევაში?

ფესვები

ემიგრაციის ლაბირინთში

„გაამერიკელებული ქართველი ფიროსმანი“

გზა საქართველოდან ლევილამდე და უკან - საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი



მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილი“

„ფესვები“

ქვაში გაცოცხლებული ისტორია

ხიდი საქართველოსთან - ფერეიდანი

ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- ინტერაქცია ქართველ ემიგრანტებსა და ემიგრაციის მიზეზებსა და ფორმებზე;
- მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაგება-გააზრება - ტექსტის მთავარი თემისა და იდეის გააზრება; აბზაცის ძირითადი აზრის გამოტანა; ფაქტებისა და მოვლენების თანმიმდევრობათა გაგება, მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა;
- ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა და მისი არგუმენტირება;
- შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა ისტორიული პირის / ლიტერატურული გმირისა და მისი ქცევის/ქმედების მიმართ;
- გარემოს აღწერა (რა არის? როგორია? სად მდებარეობს?); შედარებითი დახასიათება;
- მარტივი გეგმის მიხედვით წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემა;
- გამოხმაურების წერა.

ემიგრაციის ლაბირინთში

1. გამოხატეთ თქვენი ვერსიები მოცემულ შეკითხვებთან დაკავშირებით.

ა) თქვენი აზრით, სულ რამდენი ქართველი ცხოვრობს საქართველოს საზღვრებს გარეთ?

ბ) რამდენი ცხოვრობს საქართველოში?

გ) გარდა იმ ქვეყნისა, სადაც თქვენ ცხოვრობთ, კიდევ რომელ ქვეყნებში არიან ქართველი ემიგრანტები?

2. დააკვირდით დიაგრამას და თქვენი ვარაუდით განსაზღვრეთ ქართველი ემიგრანტების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით.

3. გაეცანით საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების არაოფიციალურ 2017 -ის მონაცემებს (იხ. დანართი, გვ. 297) და შეადარეთ თქვენს ვერსიებს. ისაუბრეთ, რა დაემთხვა და რა - არა?

4. გაეცანით მიგრაციის გამომწვევ მიზეზებსა და განხორციელების ფორმებს და უპასუხეთ შეკითხვას - რა არის, თქვენი აზრით, ამა თუ იმ ქვეყანაში ქართველთა მიგრაციის გამომწვევი მიზეზი?

მიგრაციის გამომწვევი მიზეზები	განხორციელების ფორმები
• ეკოლოგიური კატასტროფები • პოლიტიკური მოტივები • შეიარაღებული კონფლიქტები • ეკონომიკური პერსპექტივები	• ნებაყოფლობითი • იძულებითი • მუდმივი • დროებითი

5. წაიკითხეთ ინფორმაციები და დაასახელეთ მათი ემიგრაციის გამომწვევი მიზეზები და ფორმები.

1. 1921 წლის 25 თებერვლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მენშევიკური მთავრობის განკარგულებით მთელი სამუზეუმო ქონების საფრანგეთში წაღება გადაწყდა. სამუზეუმო ძვირფასეულობის მეთვალყურედ დამფუძნებელი კრების მიერ დაინიშნა ექვთიმე თაყაიშვილი.

მძიმე იყო მეცნიერისათვის სამშობლოს დატოვება, მაგრამ სხვა გზა არ იყო. მას კარგად ესმოდა, რომ თუ არა დიდი ყურადღება, შეიძლებოდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები სამუდამოდ დაკარგულიყო საქართველოსთვის.

1921 წლის 11 მარტს ექვთიმე თაყაიშვილმა მეუღლესთან, ნინო პოლტორაცკაიასთან ერთად დატოვა საქართველო და კარგა ხანს - 1945 წლამდე მოუხდა ემიგრაციაში ყოფნა.

2. გიორგი პაპაშვილი დაიბადა 1898 წელს დუშეთის სოფელ კობიაანთკარში. უსახსრობის გამო მამამ სკოლაში ვერ შეიყვანა. ამიტომ ტყავზე მუშაობა და ხანჯლების კეთება შეისწავლა.

პირველი მსოფლიო ომის დროს მსახურობდა რუსეთის არმიაში. 1921 წელს კი, საქართველოში ბოლშევიკების შემოჭრის შემდეგ, მენშევიკებთან ერთად კონსტანტინოპოლში აღმოჩნდა. ორი წელი დაყო იქ, ხან ჭებს თხრიდა, ხან ტაქსის მძღოლად მუშაობდა. მერე ამერიკაში წავიდა. აქაც ხან ჭურჭლის მრეცხავად მუშაობდა, ხან - მძღოლად.

თხუთმეტწლიანი ხეტიალის შემდეგ ამერიკელი მწერალი ქალი - ჰელენ უაიტი შეირთო ცოლად და პენსილვანიაში დასახლდა. ჰელენის მზითევით პატარა ფერმა იყიდა და მამა-პაპის ხელობას - ხვნა-თესვას მიჰყო ხელი.

საქართველოს მხოლოდ ერთხელ ეწვია, ისიც კომუნისტების დროს - 1961 წელს. მოინახულა თავისი მშობლიური სოფელი, შეხვდა ქართველ მწერლებს. გარდაიცვალა 1978 წელს.

6. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) როდის წავიდნენ ემიგრაციაში ექვთიმე თაყაიშვილი? გიორგი პაპაშვილი?

ბ) რომელ ქვეყანაში წავიდნენ ისინი ემიგრაციაში?

გ) რომელი დაბრუნდა ემიგრაციიდან სამშობლოში და როდის?

„გაამერიკელებული ქართველი ფიროსმანი“ –

ასე უწოდა ქართველმა მწერალმა აკაკი ბელიაშვილმა გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილს.

1. დაუბრუნდით გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილის ისტორიას. წაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა აქვს საერთო გიორგი პაპაშვილს ფიროსმანთან ისეთი, რომ მწერალმა აკაკი ბელიაშვილმა მას „გაამერიკელებული ქართველი ფიროსმანი“ უწოდა?

ბ) რა იყო თქვენი აზრით, გიორგი პაპაშვილის ყველაზე დიდი წარმატება და როგორ მიაღწია მას?

1945 წელს გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილის წიგნმა “Anything Can Happen” – „ყველაფერი შეიძლება მოხდეს,“ კიდევ ერთი გარდატეხა მოახდინა მსოფლიო ლიტერატურაში. ერთ წელიწადში ათჯერ, ათგზის გამოცემული წიგნი ბესტსელერად იქცა. ამერიკულმა საზოგადოებამ ეს წიგნი ისეთი ღირებულების მატარებლად სცნო, რომ სასკოლო სახელმძღვანელოთა ნუსხაშიც კი შეიტანეს. წიგნი მსოფლიოს 20 ენაზეა ნათარგმნი, მათ შორის იაპონურად, ჩინურად და ურდუს ენაზე. თბილისში 1965 წელს გამოქვეყნდა სათაურით – „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

1898 წლის 23 აგვისტოს, როცა ვანო და იამზე პაპაშვილების ოჯახში ვაჟი - გიორგი პაპაშვილი დაიბადა, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ 21 წლის შემდეგ, ნიუ-იორკში, ემიგრანტის სტატუსით ჩასულ გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილის წიგნი უოლტ უიტმენის, მარკ ტვენის, იულიამ ფოლკნერის, ერნესტ ჰემინგუეისა და სხვა გამოჩენილი ადამიანების წიგნების გვერდით ამერიკის რჩეულთა ბიბლიოთეკაში აღმოჩნდებოდა.

1952 წელს, ჰოლივუდში, ცნობილმა რეჟისორმა ჯორჯ სიტონმა, გიორგი პაპაშვილის ნაწარმოებზე „ყველაფარი შეიძლება მოხდეს,“ მხატვრული ფილმი გადაიღო. მთავარი როლები ჰოლივუდის ვარსკვლავებმა – ხოსე ფარერიმ და კიმჰან ტერმა შეასრულეს. ფილმის ტექნიკური დირექტორი ლადო ბაბიშვილი იყო. მუსიკა კი კომპოზიტორმა იუნგმა და ალექსანდრე ფუტკარაძემ შექმნეს. ფილმში გამოყენებული იყო ქართული სიმღერები, მელოდიები, ცეკვები, ფანდურები.

თვითონ ავტორმა მცირე ეპიზოდური როლიც კი შეასრულა. პრემიერა 1952 წლის 3 აპრილს შედგა. მიუხედვად იმისა, რომ ფილმმა დადებითი რეცენზიები მიიღო და 1953 წელს „ოქროს გლობუსითაც“ დაჯილდოვდა, ის მაინც არ აღმოჩნდა ისეთი წარმატებული, როგორც - რომანი.

მეორე მნიშვნელოვანი წარმატება, რომელიც მის სახელს უკავშირდება, მისი მოქანდაკეობაა. თვითნასწავლმა ხელოვანმა ქვასა და ხეში გამოთლილი სილამაზითაც გააოცა ამერიკა.

ძირითადად ქმნიდა ცხოველთა სკულპტურებს. 1979 წელს პენსილვანიაში გამოიცა მისი სკულპტურების ფოტო-ალბომები. პაპაშვილი მოხსენიებულია მე-20 საუკუნის ამერიკული მწერლობისა და ხელოვნების ანთოლოგიაში.

2. დაუბრუნდით ქართველი ემიგრანტის წიგნს - „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ **და გამოთქვით თქვენი ვარაუდები.**

ა) თქვენი აზრით, რას ეხება წიგნი?

ბ) როგორ ფიქრობთ, რა არის ამ წიგნში ისეთი, რითაც ასე დაინტერესდა „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“?

3. წაიკითხეთ და შეადარეთ თქვენს ვერსიებს. დაასახელეთ, რა დაემთხვა და რა - არა.

წიგნი ქართველ ემიგრანტზეა, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ქართველის ისტორია. რომანში საუბარია სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ემიგრანტებზე,ზოგადად ამერიკაზე, იმ ქვეყანაზე, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ნაწარმოებში პაპაშვილი საუბრობს საქართველოზე, თბილისზე, კობიაანთკარზე, ხევსურეთზე. ისე ბუნებრივად იხსენებს ყველაფერს, რომ უხერხულობის განცდა არ რჩება, იცის ამერიკელმა მკითხველმა ეს ყველაფერი თუ არა. აგრეთვე საუბრობს ქართულ სამზარეულოზე, ქართველი ადამიანის ხასიათზე, ჩვენს ფასეულობებზე. გვიყვება, როგორ ცდილობდა კობიაანთაკარიდან პირდაპირ ამერიკაში აღმოჩენილი ქართველი ბიჭი, სრულიად განსხვავებულ ყოფასა და კულტურას შეჰგუებოდა.

ავტორები მოგვითხრობენ იმ პრობლემებზე, რომლებსაც უცხო სოციუმში საკუთარი თავის ხელახლა პოვნისა და დამკვიდრებითვის ბრძოლაში აწყდებიან ქვეყანაში ჩასული ემიგრანტები. ამერიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი გიორგი პაპაშვილის გმირში საკუთარ თავს სცნობს.

კრებულში 20-მდე მოთხრობა შედის. ერთ-ერთი გამორჩეული მონაკვეთია სასამართლოს სცენა, რომელშიც ავტორი ქართულ ხასიათს ამჟღავნებს და ასევე გვიხატავს კანონმორჩილ საზოგადოებასა და კანონებს, რომლებიც ადამიანის მხარესაა.

ქართველი ემიგრანტის რომანს მთელი მსოფლიო კითხულობდა. გიორგი პაპაშვილი 1950 წელს „ამერიკის რჩეული ბიბლიოთეკის” საპატიო ავტორადაც აღიარეს.

გვერდი მომზადებულია გიორგი პაპაშვილის შემოქმედების მკვლევარის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, რუსუდან ნიშნიანიძის მასალებზე დაყრდნობით.

გზა საქართველოდან ლევილამდე და უკან

დაბ. თარიღი - 3 იანვარი, 1863 წ.

დაბ. ადგილი - ლიხაური, ქუთაისის გუბერნია, ოზურგეთის მაზრა

გარდ. თარიღი - 21 თებერვალი, 1953 წ.

გარდ. ადგილი - თბილისი

დასაფლ. - მთაწმინდის პანთეონში

საქმიანობა - თბილისის ქართული გიმნაზია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბილისის სახ. უნივერსიტეტი და საქ. მეცნიერებათა აკადემია

ექვთიმე თაყაიშვილი
საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი

1. რა მოხდა 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში? წაიკითხეთ და უპასუხეთ.

„1921 წლის 25 თებერვალი, ამ დღეს თბილისში დიდი თოვლი მოვიდა, ბავშვები გახარებულები ვიყავით, დედამ ეზოში გაგვიშვა, მერე ავედი დეიდასთან, მაგრამ არც ექვთიმე და არც ნინო აღარ დაგვხვდნენ. მაგიდაზე ჭურჭელი კი არ იყო ალაგებული, სარეცხი კი თოკზე ეკიდა, ყველას გაუკვირდა, ორივეს წესრიგი და სისუფთავე უყვარდა. დედას ცრემლები მოადგა თვალებზე, ლაპარაკს ვერ ახერხებდა. ასე რომ, 1921 წლიდან 1945 წლამდე მოლოდინისა და მონატრების გზა გაიჭიმა“, - იხსენებს ნინო ნიჟარაძე (დისშვილი).

2. წაიკითხეთ ტექსტი - „განძეულის გუშაგი“ (ელიზბარ უბილავას მოთხრობის მიხედვით) პირველი ნაწილი (წასვლა) და მოცემული სათაურები დააკავშირეთ შესაბამის ეპიზოდებთან.

ა) უცხოეთის ცის ქვეშ _____

ბ) განსაცდელით აღსავსე გზა _____

გ) გაწბილება _____

დ) გამომშვიდობება _____

ე) დაბინავება _____

წასვლა

1. „პანიკით მოცული ქალაქის მუზეუმები ყუთებში ალაგებდნენ საქართველოს მთელ ავლადიდებას და უცხოეთში გასაგზავნად ამზადებდნენ...

თბილისიდან ქუთაისში ჩასულებმა გეზი ბათუმისაკენ აიღეს. ღრმად დაფიქრებული ექვთიმე კაეშნიანი თვალებით გაჰყურებდა გურიის მთებს. სადღაც შორს, თოვლიანი მთა-გორების გადაღმა ილანდებოდა მისი მშობლიური სოფელი ლიხაური. მშობლიური მიდამოების ხილვამ დროებით დაავიწყა დაკარგული ყუთი და ბავშვობის მოგონებები აღუძრა... ეღირსებოდა თუ არა კიდევ თავისი სოფლის ხილვა?

2. ბათუმში 4 დღე ვაგონში ცხოვრობდნენ და განძეულს იცავდნენ. მეხუთე დღეს ნივთები სამხედრო კრეისერ „ერნესტ რენანში“ გადაიტანეს, თუმცა ექვთიმე თაყაიშვილი და იოსებ ელიგულაშვილი კრეისერზე არ აუშვეს. კაპიტნის თქმით, შავი ზღვის რაიონში სამხედრო ოპერაციების ჩატარების გამო გემზე სამოქალაქო პირების ყოფნა არ შეიძლებოდა. შევალიე შეჰპირდა ექვთიმეს, რომ საქმეს მოაგვარებდა და კრეისერზე აიყვანდა. დაიმედებულებმა ღამე სასტუმროში გაატარეს. გამთენიისას განძეულის მეგზურები დათქმულ დროზე ერთი საათით ადრე გამოცხადდნენ პორტში. კაპიტანმა პირობა არ შეასრულა. კრეისერი უკვე ზღვის ჰორიზონტზე წერტილივით მოჩანდა.

ექვთიმე და მისი თანხმლები პირები იძულებულები გახდნენ, კერძო გემი დაექირავებინათ და განძეულს უკან გადევნებოდნენ. გემმა კურსი კონსტანტინეპოლისკენ აიღო.

3. პატარა იუგოსლავიური გემი, რომელშიც ექვთიმე თავის მეუღლესთან და იოსებ ელიგულაშვილთან ერთად იმყოფებოდა, ბათუმიდან გასვლისთანავე ღელვაში მოყვა. ბათუმისათვის ჩვეული წვიმიანი ამინდი იდგა. ზღვის ღელვა 5 ბალს აღწევდა. ერთი საათის მოგზაურობის შემდეგ გადარჩენის იმედდაკარგულმა კაპიტანმა მეგზურებს გამოუცხადა, მაშველი ფრთები წამოესხათ.

გემის მთელი ეკიპაჟი პანიკამ მოიცვა, მაგრამ საბედნიეროდ, მალე გამოიდარა და, როგორც იქნა, სტამბულში ჩააღწიეს. ექვთიმეს იმედი ჰქონდა, სტამბულში მაინც გადასვამდნენ კრეისერზე, მაგრამ ამაოდ. საქართველოს განძი სამხედრო სატრანსპორტო ხომალდ „ბიენჰოაზე“ იყო გადატანილი.

სტამბოლიდან 20 მარტს გასულმა გემმა 5 აპრილს ჩააღწია ტუნისში. გემის კაპიტანმა ტელეფონით ბრძანება მიიღო - დაუყოვნებლივ წასულიყო კორსიკის კუნძულზე ერთ-ერთი გემის გადასარჩენად. გულდამძიმებული ექვთიმე და მისი თანმხლებნი სახიფათო გზას დაადგნენ. ნახევარ საათში კაპიტანმა ახალი შეტყობინება მიიღო გემის გადარჩენასთან დაკავშირებით და „ბიენჰოაც“ ტუნისიდან პირდაპირ მარსელისკენ გაემართა.

11 მარტს ბათუმიდან გასულებმა 10 აპრილს ჩააღწიეს მარსელში.

4. მარსელში ერთი თვე დაჰყვეს. ეს დრო ექვთიმე თაყაიშვილმა და კომისიის სხვა წევრებმა განძეულის ბანკში დაბინავებას მოანდომეს. ყველაფერი, რაც საქართველოდან გაიტანეს, უდანაკარგოდ მიაბარეს მარსელის ბანკს შესანახად, რომლის საფასურად ბანკმა წელიწადში 2500 ფრანკი მოითხოვა. ერთი წლის ქირა გადაიხადეს და პარიზში გაემგზავრნენ.

ექვთიმე ოჯახით დაბინავდა მისთვის განკუთვნილ სასტუმროში ვიქტორ ჰიუგოს პროსპექტზე, სადაც უკვე ცხოვრობდა საქართველოს ყოფილი მენშევიკური მთავრობის მთელი შემადგენლობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

5. სასტუმროდან ექვთიმე სხვებთან ერთად ლევილში გადავიდა, სადაც ეკლიანი მავთულით შემოღობილი ბაღის განაპირას ქართველი ემიგრანტებისათვის განკუთვნილი ორსართულიანი თეთრი სახლის მეორე სართულზე დაბინავდა.

ექვთიმემ და მისმა მეუღლემ მშვენიერი ბაღ-ვენახი გააშენეს. მწვანილის საყიდლად ბაზარში არ დადიოდნენ. პარიზის მთელი ქართველობა ლევილში იყრიდა თავს. მალე მუშაობა დაიწყო ქართულმა ეკლესიამ, რომლის პირველი მოძღვარი გრიგოლ ფერაძე იყო.

1. დაუბრუნდით ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რას განიცდიდა ექვთიმე მშობლიურ მთებთან გამომშვიდობებისას?

ბ) რა მოხდა ბათუმში და როგორ ჩააღწიეს კონსტანტინოპოლამდე? რა ხიფათი შეემთხვათ გზაში?

გ) საბოლოოდ მოახერხა თუ არა ექვთიმემ განძთან ერთად გზის გაგრძელება? გაამყარეთ თქვენი პასუხი ტექსტის მიხედვით.

დ) რამდენი ხანი დაჰყვეს მათ მარსელში და რატომ?

ე) სად დაბინავდნენ საბოლოოდ ექვთიმე და მისი მეუღლე და რა ხდებოდა ლევილში?

2. მონიშნეთ რუკაზე გზა, რომელიც გაიარა ექვთიმე თაყაიშვილმა ბათუმიდან მარსელამდე.

3. 1945 წელს ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოში დაბრუნდა. უპასუხეთ შეკითხვებს. როგორ ფიქრობთ:

ა) რა იყო 1945 წელს 82 წლის მოხუცი მეცნიერის სამშობლოში დაბრუნების მოტივები?

ბ) რამდენად სარისკო იყო ამ ვითარებაში უკან დაბრუნება?

გ) რა გზა გამოიარა 82 წლის მეცნიერმა უკან - ლევილიდან საქართველომდე?

დ) რატომ არ დაბრუნდა ის მეუღლესთან - ნინო პოლტორაცკაიასთან ერთად?

4. გაეცანით ტექსტის მეორე ნაწილის (დაბრუნება) პირველ ეპიზოდს და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

დაბრუნება

1. 1945 წლის დამდეგი იყო. ჯერ კიდევ მძვინვარებდა მეორე მსოფლიო ომი. თბილისიდან პარიზში დიპლომატიური მისიით ორი ქართველი მეცნიერი გაფრინდა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ საქართველოდან გატანილი განძეულისა და სამშობლოში მომავალი ქართველი ემიგრანტების მეგზურობა. ექვთიმე ამ დროს უკვე 82 წლის მოხუცი იყო, ჯანმრთელობას უჩიოდა, ხშირადაც ავადმყოფობდა.

განძეული თავიდან აღწერეს, სიები შეადგინეს, შემდეგ ყველა ნივთი საგანგებოდ შეფუთეს და ყუთებში ჩაალაგეს. დაიწყო გამგზავრების თადარიგი. პანიკამ იმატა. არავითარი გარანტია არ არსებობდა იმისა, რომ განძეული და მეგზურები სამშობლოში მშვიდობიანად ჩააღწევდნენ.

ექვთიმემ ლევილში მეუღლის სასაფლაო მოინახულა - სინანულით დაემშვიდობა მოხუცი თავისი ცხოვრების ერთგულ თანამგზავრს. საფლავთან მუხლმოყრილმა პატიება სთხოვა, რომ ვერ უსრულებდა ანდერძს და მის ძვლებს სამუდამოდ ტოვებდა უცხოეთის მიწაში...

1945 წლის აპრილის დამდეგს ორი თვითმფრინავი აფრინდა პარიზის ბურჟეს აეროდრომიდან. ექვთიმე თაყაიშვილი სამშობლოში მოფრინავდა და თან მეოთხედი საუკუნის წინ გატანილი განძეული მოჰქონდა.

პარიზიდან - მარსელში, მარსელიდან - რომში, რომიდან - ბენგაზიში (ჩრდ. აფრიკა), ბენგაზიდან - ქაიროში (ეგვიპტე), ქაიროდან - თეირანში (ირანი), თეირანიდან კი - თბილისში! - ასეთი იყო ავია მარშრუტი. პარიზიდან 5 აპრილს აფრენილები მეშვიდე დღეს - 11 აპრილს თბილისის აეროდრომზე დაეშვნენ.

5. მონიშნეთ რუკაზე გზა, რომელიც გამოიარა ექვთიმე თაყაიშვილმა პარიზიდან თბილისამდე.

6. დაუბრუნდით პირველ ეპიზოდს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რით არის მნიშვნელოვანი 1945 წელი მსოფლიო ისტორიისათვის - რა ისტორიული ფაქტი მოხდა ამ წელს?

ბ) რასთან ერთად დაბრუნდა ექვთიმე თაყაიშვილი სამშობლოში?

გ) ვისი მეგზურობით დაბრუნდნენ ქართველი ემიგრანტები სამშობლოში და რატომ?

დ) როგორი იყო 82 წლის ექვთიმეს ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროს?

ე) რატომ იმატა პანიკამ მგზავრობის წინ? რას შიშობდნენ მეგზურები?

ვ) როგორ ფიქრობთ, საფუძვლიანი იყო თუ არა მათი შიში?

ზ) რის გამო სთხოვა პატიება საფლავთან მუხლმოყრილმა ექვთიმემ მეუღლეს?

7. რა მოხდა თბილისის აეროპორტში? წაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს.

2. ღრმად მოხუცი, თეთრი წვერულვაშით შემოსილი ექვთიმე, რომელსაც თბილისის აეროდრომზე უამრავი თანამემამულე ელოდებოდა, კოჭლობით ჩამოვიდა თვითმფრინავის ტრაპიდან. როგორც კი საქართველოს ცასა და მიწას შეხედა, მის შესახვედრად მოსულ მოზღვავებულ ხალხს თვალი შეავლო, სიხარულით ცრემლმორეული, ხელების ქნევით შორიდან მიესალმა მათ; მერე ცალი ფეხით ჩაიმუხლა, მშობლიურ მიწას ემთხვია, დამჭკნარ ბაგეთაგან ჩურჩულით მოსწყდა ტანჯული სულისა გულის თანაზიარი სიტყვები და მთრთოლვარე ხმით წარმოთქვა: „ახლა შემიძლია ვთქვა, რომ შევასრულე ჩემი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე“.

ა) რამ მოჰგვარა სიხარულის ცრემლი ექვთიმეს?

ბ) რა გააკეთა მან, როცა ქართულ მიწაზე ფეხი დადგა?

გ) როგორ ფიქრობთ, რა ვალი შეასრულა მან სამშობლოსა და ხალხის წინაშე?

მიწის ყივილი

1. როგორ გესმით გამოთქმა - „მიწის ყივილი“? გაიხსენეთ ექვთიმე თაყაიშვილის საქართველოში დაბრუნების ეპიზოდი და მისი ემოციები და ისე უპასუხეთ შეკითხვას.

2. წაიკითხეთ მოცემული ტექსტები და შეასრულეთ მასწავლებლის მითითებები რვეულში.

ვარლამ ჩერქეზიშვილი

1. გრიგოლ რობაქიძე წერდა მასზე: „იყო ერთი ქართველი თავადი, ანარქისტი და თავდადებული მამულიშვილი ვარლამ ჩერქეზიშვილი. ქართული მას არ ემარჯვებოდა. საქართველოს ბავშვობიდანვე იყო მოწყვეტილი. იცოდა რუსული, ფრანგული და ინგლისური. სიკვდილის წლებში, როდესაც ადამიანის მთელი არსით შეირხევა საუკუნიდან მოწყვეტილი ფესვები, უეცრად რუსულიც დაავიწყდა, ფრანგულიც და ინგლისურიც და მომაკვდავმა ქართულად დაიწყო წერა.“

2. „მე 1930 წელს დავიბადე. ყოველ 26 მაისს, მამას საქართველოს პატარა დროშით მივყავდი ჩვენი სათვისტომოს შეკრებაზე, სადაც ვმღეროდი: “მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი”...

მამამ პარიზში ქართველებისთვის საბავშვო ბაღი დააარსა, სადაც კვირაში ორჯერ დავდიოდით. ვსწავლობდით ქართულ წერა-კითხვას, ცეკვას, სიმღერასა და ისტორიას. 26 მაისსა და შობას ქართულ ეკლესიაში ვხვდებოდით, რომელიც ილამაზ დადეშქელიანმა და მამა გრიგოლ ფერაძემ დააარსეს 1931 წელს...

რევაზ ნიკოლაძე - საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საფრანგეთში წასული ემიგრანტის ვაჟი.

საბჭოთა რეჟიმი ცოტა რომ შესუსტდა, საფრანგეთში სუხიშვილების ანსამბლი ჩამოვიდა. მამა ორი კვირის განმავლობაში ყოველდღე მიდიოდა კონცერტზე და სიხარულით ტიროდა, როცა სცენაზე ქართულ ცეკვას უყურებდა. ამის შემდეგ გამოვიდა ფილმი - „ჯარისკაცის მამა“; დღეში სამჯერ უჩვენებდნენ და ქართველთა სათვისტომო სამივე სეანსს ესწრებოდა.

საოცარი ნოსტალგია ჰქონდათ, მაგრამ იცოდნენ, რომ სამშობლოში ვერ დაბრუნდებოდნენ. მამები რატომღაც არ უყვებიან სამშობლოზე შვილებს და მერე შვილიშვილები იწყებენ ფესვების ძიებას. მამების თაობა შეიკრიბებოდა სუფრასთან, ღვინოს სვამდნენ და საქართველოს ადღეგრძელებდნენ.

მამამ და დედამ სამშობლო ვეღარ ნახეს და საქართველოს ნატვრაში დალიეს სული.

საქართველოში პირველად 1969 წელს ჩამოვედი. თვითმფრინავიდან რომ ჩამოვედი, საოცარი განცდა დამეუფლა. მშობლიური მიწის კოცნა მომინდა. გული ამოვარდნაზე მქონდა, თითქოს ერთიანად ცეცხლი მომედო. უამრავი ნათესავი დამხვდა. მას შემდეგ შვიდჯერ მაინც ვიყავი საქართველოში და ყოველთვის მგონია, რომ სამოთხეში ჩამოვდივარ“ (ნაწყვეტი ინტერვიუდან, ჟურნალი „გზა“, იზო რიკაძე).

3. დაიბადა 1905 წელს, ბათუმში. მამა – შალვა ჭყონია, მდიდარი ბიზნესმენი იყო, დედა – პელაგია – სამურზაყანოელი თავადის, დავით ჩხოტუას ქალიშვილი. ნიკი 16 წლამდე ბათუმსა და თბილისში ცხოვრობდა, ზაფხულობით კი – საფრანგეთში, მონპელიეში, სადაც ოჯახს საკუთარი სახლი ჰქონდა. მან თბილისის გიმნაზია დაამთავრა. 1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის გამო, ის სამშობლოს გაარიდეს და განათლების მისაღებად ევროპაში გაგზავნეს.

ნიკოლოზ ჩხოტუა 1940 წელს გახდა ამერიკის მოქალაქე. წლების განმავლობაში ის დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა. სამშობლოში დაბრუნება ოცნებად ჰქონდა. 1984 წელს სიკვდილის წინ ანდერძი დატოვა - სხეული თუ არა, გული მაინც მიაბარეთ მშობლიურ მიწასო. საბჭოთა ჩინოვნიკებმა ნათესავებს ცხედრის ჩამოსვენებაზე უარი განუცხადეს. მოგვიანებით, 1988 წელს, პატარა ურნა, რომელშიც ნიკოლოზ ჩხოტუას სამშობლოს ნოსტალგიით დაფერფლილი გული იყო მოთავსებული, ზურგჩანთით გამოაპარეს მოსკოვის საბაჟოს, თბილისში ჩამოიტანეს და ვერის სასაფლაოზე - წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიასთან, დედისა და დის გვერდით, მალულად დაკრძალეს.



ნიკოლოზ ჩხოტუა - საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საფრანგეთში წასული ემიგრანტის ვაჟი.

მისი პირველი რომანი, ინგლისურ ენაზე დაწერილი „მარადიული სიყვარული“, 1949 წელს გამოიცა. მასში აღწერილია ახალგაზრდა კაცის დაბრუნება ემიგრაციიდან და მისი მოგზაურობა მშობლიურ მხარეში. ეროვნული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი, ბუნება – განსაკუთრებული სიმძაფრითაა განცდილი. მშობლიური მიწის ეს სიყვარული და მონატრება ბოლომდე გასდევს რომანს და დიდ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, ბრიტანელი პოეტი ალფრედ ნოელი წერდა: „სწორედ ეს დახვეწილი მწუხარება განშორებისა, ქმნის რომანის სტრუქტურას და ანიჭებს მას უძლიერეს მუხტს“. მთავარი გმირის, ახალგაზრდა თავადის – შოთას ცხოვრება ავტობიოგრაფიულია. „1921 წელს, 16 წლის ასაკში, როცა მან საქართველო დატოვა, ვერც ის და ვერც მისი ოჯახის წევრები ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათი სამშობლო სრულად მოსწყდებოდა დანარჩენ სამყაროს მთელი სამი თაობის სიცოცხლის განმავლობაში. ვერც იმას იფიქრებდა თუნდაც წამით, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში თავისი სათაყვანებელი სამშობლოდან მოწყვეტილ ლტოლვილად იქცეოდა“, – შენიშნავს პიტერ ნეისმიტი.

1. გაეცანით პირველ ეპიზოდს მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობიდან და უპასუხეთ შეკითხვას - რისი ეშინოდა მოხუცს და რატომ?

„მიწის ყივილი“

(ადაპტირებული ვერსია)

1. სტუდენტი, ექიმის რჩევით, მცირე ხნით გაერიდა ხმაურიან პარიზს და მის გარეუბანში მდინარე მარნას ნაპირზე გაშლილი პატარა ქალაქის - ნოჟანის სიმყუდროვეს შეეხიზნა. ერთი ოთახი დაიქირავა და ექიმის დარიგებას მიჰყვა: ჭამდა, სეირნობდა, მწვანეზე გორაობდა და ნახევარ დროს მარნასა და მის ნაპირებზე ატარებდა.

ერთხელ, ნასადილევს, ვიდრე საბანაოდ ჩავიდოდა, სტუდენტი ქალაქის პატარა და მყუდრო ბაღში წაბლის ხის ქვეშ მდგარ გრძელ სკამზე მოკალათდა და „ვეფხისტყაოსნის“ კითხვას შეუდგა. ქვიშნარ გზაზე ღრმა მოხუცი გამოჩნდა. კოჟრიანი ჯოხით ძლივს მოფარფატებდა. სტუდენტს რომ მოუახლოვდა, უცბად შედგა - გამწყრალი თუ გაოცებული. მთრთოლვარე ხელით თვალები დაიჩრდილა და მიაშტერდა. მერე გამწყრალი გაბრუნდა და წავიდა.

რამოდენიმე დღის განმავლობაში ბაღში მოსეირნე მოხუცი უცნაურად აკვირდებოდა ქალაქის უცხო სტუმარს და მის წიგნს, თუმცა ვიდრე გამოელაპარაკებოდა, შვილს სთხოვა მისი ვინაობის დადგენა, თითქოს მასთან მიახლოებას უფრთხოდა თავად.

2. წაიკითხეთ სტუდენტისა და მოხუცის დიალოგი (იხ. დანართი, გვ.297, I) და შეამოწმეთ ვერსია. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რამ მოუხსნა მოხუცს შიში? რისი იმედი ჰქონდა მას?

ბ) ყურადღება მიაქციეთ ანდრე კაშორის დამოკიდებულებას წიგნთან. რას გეუბნებათ ეს ნიუანსი მასზე?

გ) თქვენი აზრით, რა კავშირი უნდა ჰქონოდა ანდრე კაშორს რუსეთთან და რატომ უნდა შეშინებოდა მას რუსეთის? წარმოიდგინეთ მისი განვლილი ცხოვრება და ისე ჩამოაყალიბეთ თქვენი ვერსია.

3. გაეცანით მომდევნო ეპიზოდს და შეამოწმეთ. უპასუხეთ შეკითხვებს.

2. მას შემდეგ, რაც შვილმა დაუდგინა ქალაქის სტუმრის ვინაობა და დარწმუნდა, რომ საფრთხე არსაიდან ჩანდა, გამოესაუბრა მას, ყურადღებით დააკვირდა წიგნსაც, სტუდენტი რომ კითხულობდა. შემდეგ კი თავისი ვინაობაც გაანდო - ანდრე კაშორად გაეცნო ახალგაზრდას. მოხუცის მეხსიერებას განვლილი ცხოვრებიდან ფრაგმენტებიღა შემოენახა. მიუხედავად ამისა, სიყრმის გვარი და სახელი - ანდრო კაიშაური მაინც ახსოვდა.

ფრაგმენტების გახსენებას ძალუმად ცდილობდა 88 წლის მოხუცი. ახსოვს, რომ 1861 წელს რუს რევოლუციონერთა საიდუმლო ორგანიზაციის წევრი ყოფილა. მას შემდეგ, რაც მეფის რუსეთის დამხობის მცდელობამ ქალაქ ყაზანში მარცხი განიცადა, აჯანყების მონაწილე ანდროს თავი კიევისთვის შეუფარებია. კიევიდან პოლონეთში გაიპარა და, როცა პოლონელები დამარცხდნენ, ისევ კიევს შეაფარა თავი, მაგრამ ამაოდ. ყაზანში საზამთროს საყიდლად გამოსული დააპატიმრეს, გაასამართლეს და კატორღაც მიუსაჯეს.

კატორღიდან სამ ტუსაღთან ერთად გაქცეულა. მერე იყო ჩინეთი, იაპონია - კუნძულები, მბოლავი მთა, ჩალის ტანსაცმელი... მერე ფორმოზა, სოლომონის კუნძულებიც, გვინეა და... მეტი არაფერი. ახსოვს ბრინჯის, ყავისა და შაქრის პლანტაციები... ბოლოს ევროპას შეხიზვნია. ასეთ ცხოვრებაგამოვლილს ამიტომ აჰყოლია შიში და უნდობლობა ყველას მიმართ.

მაგრამ „დღეს კი, როცა უცხოეთში ორმოცი თუ სამოცი წლის შემდეგ სისხლის ძმას შეხვდა და თავისი ქართველობაც გაამჟღავნა, დღეს უცნაურად გარდაიქმნა, გაიყინა... ვინ გაიგებს? ვინ გახსნის გაბალღებული მოხუცის იდუმალებას?“ თუმცა მის მეხსიერებას გონებაში ქაოსურად მიმოუფანტავს ყველაფერი, ახსოვს, რომ უყვარს ლამარტინი და ჰიუგო.

მოხუცის ნამდვილი სახელ-გვარის გაგონებაზე სტუდენტს ტანში ჭიანჭველებმა ჩაურბინეს. ანდრო კაიშურმა - მოხუცმა სტუდენტს „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სტროფის წაკითხვა და თარგმნა სთხოვა, გულს უსერავდა მოხუცს სიტყვები:

„ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა,
სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!“

ვინ იყო ანდრე კაშური - ქართველი, რუსი თუ ფრანგი? „ჯერ ადამიანი ვარ, შემდეგ ფრანგი... დიაღ, ფრანგი გახლავართ“, - ასე უპასუხა მოხუცმა შვილობილ სტუდენტს, რომელსაც გვერდიდან არ იშორებდა და, რომელიც ერთადერთი იმედიღა იყო ემიგრანტობაში გაჭაღარავებულ მის ცხოვრებაში.

ა) რის შემდეგ გაამჟღავნა კაიშაურმა თავისი ქართველობა?
ბ) რას ნიშნავს ფრაზა - „ტანში ჭიანჭველებმა ჩაურბინეს“? რამ გამოიწვია ეს შეგრძნება სტუდენტში?
გ) რატომ უსერავდა მოხუცს ვეფხისტყაოსნის ეს სიტყვები გულს?
დ) რა იგულისხმება ფრაზაში - ერთადერთი იმედიღა იყო შვილობილი სტუდენტი მოხუცისათვის?

4. დაუბრუნდით ანდრე კაშურის ისტორიას და მოხაზეთ რუკაზე მის მიერ განვლილი გზა.

5. წაიკითხეთ მორიგი დიალოგი დანართში (გვ.297, I I). გაიხსენეთ, რას ამბობს საკუთარ ვინაობაზე კაშური, გაეცანით მოცემულ ეპიზოდს და იმსჯელეთ მოხუცის მეტამორფოზაზე.

3. მოხუცის გულმა თითქოს დუღილი დაიწყო. თავდაპირველად მშობლების სახელებიც ვერ გაიხსენა, მაგრამ ნასწავლს, გაგონილს, ნაფიქრსა და ნანატრს - ყოველივეს მოუყარა თავი და ქართულად - მის მშობლიურ ენაზე აალაპარაკა. „დედა!“ - წამოიძახა ქართულად. ესენი აქაურები არიან - ფრანგები, ფრანგი ქალის შვილები. ანდრო კაიშაურს კი მხოლოდ იქა ჰყავს ნამდვილი ნათესავები.

6. რა მოხდება შემდეგ? როგორ განვითარდება მოვლენები - დაბრუნდება თუ არა კაიშაური საქართველოში და როგორ? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები არგუმენტებით. წაიკითხეთ ბოლო ეპიზოდი და შეადარეთ თქვენს ვერსიებს.

4. საბრალო მოხუცმა საქართველოში დაბრუნება მოინდომა, სტუდენტს ოფიციალური დოკუმენტების მომზადებაში დახმარება სთხოვა. წერილიც გაამზადეს უფლების მოსაპოვებლად ანდროს კარნახით: „ნადირი სანადიროდ გავა, ფრინველი - საკვებისათის, ადამიანი - საბრძოლველად და სამუშაოდ. მერე ყველანი დაბრუნდებიან: მხეცი ისევ ბუნაგში შევა, ფრინველი ბუდეს მიაშურებს, ადამიანი - თავის ქოხს. მე კი წამოვედი და ვეღარ დავბრუნდი. ვიბრძოლე, ვიმუშავე, აღარაფერი შემრჩა, გარდა 88 წლის ტვირთისა. მძიმეა, მეტად მძიმე ტვირთია. დღეს თუ ხვალ უნდა გამსრისოს. მაშ ასე: ვეღარ დავბრუნდი-თქო. იმდენი ვიხეტიალე, რომ დედ-მამაის სახელიც კი დამავიწყდა... საკუთარი გვარიც. ისიც აღარ ვიცი, სად არის ჩემი ბუდე თუ ბუნაგი... ან რა ჰქვიან იმ კუთხეს. ისიც არ ვიცი, რა ჰქვიან ჩემს ნაქოხარს. რომ დავბრუნდე, ვერც კი ვიპოვნი. მაინც რაც უნდა მოხდეს, მსურს დავბრუნდე და ჩემი უკანასკნელი მუდარაც, ერთადერთი ჯილდოც და ანდერძიც ეს არის: დამაბრუნეთ, წამიყვანეთ, მაჩვენეთ... ღმერთო, მიშველე! გამახსენდა, ყველაფერი მომაგონდა. ვხედავ დედაჩემსა... მაღალი, ლამაზი, შავგვრემანი... შავი მანდილი აქვს წამოსხმული, ცხრა თუ ათი წლის ბალღი ვარ... ოოჰ, ღმერთო ჩემო, რა ლამაზი და დიდი ქვეყანა გამიცოცხლდა!“

გაიხსენა დედა - ელენე, მამა - სოლომონი. მოაგონდა ღრმა ხეობა, სოფელი ანანური, არაგვის წყალი... თამაშიც კი გაახსენდა - „ჩილიკაობა“, რძლის სიტყვები, ფრანგულად ნათქვამი, ვითომ აღარც ესმოდა. ებრძოდა მოხუცი თავის არსებაში ფესვგადგმულ ემიგრანტობას და მშობლიური მიწის წყურვილი აოცნებებდა საქართველოში დაბრუნებაზე - ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ, ჯერ ანანური მაჩვენე-ე-ე-ე... გამუდმებით მღერის, თითქო ქილაში კენჭებს ჰყრიანო. ბალღობა უბრუნდება.

მაგრამ მისმა უძლურების ასაკმა იმარჯვა წყურვილზეც და სურვილზეც - ისედაც მოხუცი, უფრო დაუძლურდა დარდსა და ოცნებაში. „ვაჰმე, სადა ვკვდები!“ - კვნესოდა საბრალო. „მიწას დაუბრუნეთ ვალი... ჩემი ვალი - ან ცოცხალი, ან მკვდარი. ან ცოცხალი, ან მკვდარი“ - ეს იყო მისი ერთადერთი ნატვრაც და ანდერძიც და ამ მოთქმა-ვაებაში დალია სული.

შვილობილმა სტუდენტმა კრემაცია გაუკეთა მის სხეულს და „დიდი კაცის ფერფლი“ საქართველოში ჩამოიტანა. „ანანური ღრმა ხევშია ჩაწოლილი... მწვანე მთები... სწრაფი არაგვი... ძველი საყდარი და შერუჯული გალავანი. ავტო შეაჩერა. ზევით ავიდა. ანდრო გაიხსენა და ის ნავლი ხევის ნიავს გაატანა“.

1928 წ.

1. დაუბრუნდით მოთხრობას, გაიაზრეთ მთავარი გმირის ტრაგიზმით აღსავსე ისტორია და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რას ნიშნავს სიტყვა „ყივილი“?

ბ) რატომ ჰქვია მოთხრობას მიწის ყივილი და არა - ძახილი? რის განცდას ამძაფრებს ამით ავტორი?

გ) რატომ მიეკედლა მოხუცი ახალგაზრდას? რატომ უწოდებს მოხუცი სტუდენტს შვილს?

დ) რატომ თქვა კაიშაურმა გაცნობიერებულად ფრანგულზე უარი?

ე) რას მიიჩნევს მოხუცი ვალის დაბრუნებად?

ვ) ვინ და როგორ დაუბრუნა მოხუცს ვალი?

2. გაეცანით მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფიას და შეასრულეთ მასწავლებლის მითითებები.

ავაზაკებმა მოუკლეს დედა და და, ხოლო მამა ამ უბედურებას გადაჰყვა. ამ ტრაგედიის გამო 1901 წელს ყირიმში სასწავლებლად წასული უკან დაბრუნდა. 1907 წელს გაერიდა ხელისუფალთა დევნას - ერთხანს პარიზის უნივერსიტეტში სწავლობდა, იმოგზაურა ევროპაში. 1909 წელს სხვისი პასპორტით საქართველოში დაბრუნდა.



მიხეილ ჯავახიშვილი
1880, 8 ნოემბერი -
1937, 30 სექტემბერი

„დადიოდა ბეჭებში ოდნავ მოხრილი და ხელში ჯოხით, ყურადღებას იპყრობდა ინტელიგენტური, დახვეწილი მანერებითა და დინჯი, მკაფიო მეტყველებით, ლაპარაკობდა დარბაისლურად, ბოხი ხმით, მის ქართულ მეტყველებაში კახური აქცენტი იგრძნობოდა. მისივე რუსული ზოგ რუს კარგ მწერალსაც კი მიაჩნდა მისაბაძად. ჭამა ფაქიზი იცოდა და მთვრალი არ გვინახავს“, - პროფესორი იოსებ მეგრელიძე

1910 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1913 წელს კვლავ სამშობლოში დაბრუნდა.1937 წლის 22 ივლისს მწერალთა კავშირის შენობაში პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა. პოეტის საქციელი ანტისაბჭოთა პროვოკაციად შერაცხეს. ჯავახიშვილი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც მის გამბედაობას მხარი დაუჭირა. ოთხ დღეში გადაწყვეტილება მიიღეს: „მიხეილ ჯავახიშვილი, ჯაშუში და დივერსანტი, განდევნილ იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურდეს“. მხოლოდ კრიტიკოსმა გერონტი ქიქოძემ დატოვა მწერალთა კავშირის სხდომა პროტესტის ნიშნად.

„პირველად მიხეილ ჯავახიშვილს 1910 წლის შემოდგომაზე შევხვდი მეტეხის ციხეში. ძალიან საინტერესო მოსაუბრე იყო... გამხდარი იყო, გამომცდელად იცქირებოდა სათავალიდან; ნაყვავილარი სახე და მაღალი შუბლი ჰქონდა და მახვილ ჭკუასთან ერთად რაღაც ბავშვურ გულუბრყვილობას აერთებდა. გამძაფრებული პატრიოტული შეგნება ჰქონდა: რუსულ-ქართული ჟარგონი, დამახინჯებული ქართული წარწერა მაღაზიის აბრაზე ან დაწესებულების ფასადზე თითქოს პირად შეურაცხყოფას აყენებდა“, - გერონტი ქიქოძე

1937 წლის 14 აგვისტოს მიხეილ ჯავახიშვილი დააპატიმრეს, ბერიას თანდასწრებით წამების ქვეშ მოაწერინეს ხელი „აღიარებაზე“ და იმავე წლის 30 სექტემბერს დახვრიტეს. მოგვიანებით მისი ძმაც დახვრიტეს, მეუღლე კი გადაასახლეს.

“მახსოვს ის დილა ქვიშხეთში, როცა ჩეკისტები თავს დაგვადგნენ და მამას დაპატიმრების ორდენი წარუდგინეს. მე და ჩემი ძმა რამაზი ოთახიდან გამოვცვივდით და დავინახეთ, როგორ წამოდგა საწოლიდან მამა, როგორ ჩაიცვა თეთრი კოსტიუმი და უსიტყვოდ როგორ გაჰყვა ჩეკისტებს. ჩემი და ქეთევანი მათ რაღაცას უყვებოდა. დედა კი გაოგნებული იდგა. როცა მამამ კიბე ჩაიარა და ეზო გადაჭრა, მე და რამაზი გავიქეცით, ეზო გადავირბინეთ და შემაღლებული ადგილიდან გადავხედეთ; ჩეკისტებს შუაში მოქცეული მიჰყავდათ მამა“, - რუსუდან ჯავახიშვილი, მწერლის ქალიშვილი

„ფესვები“

1. წაიკითხეთ ნაწყვეტი „ფესვების“ რეჟისორის, გუგული მგელაძის ინტერვიუდან და უპასუხეთ შეკითხვებს.

„ამქვეყნად იმიტომ გავჩნდი, რომ „ფესვები“ შემექმნა!“ –
გუგული მგელაძის ცხოვრების ფილმი

- ერთმა კაცმა დამირეკა, დიდხანს ემიგრაციაში ვიყავი და „ფესვები“ რომ ვნახე, სამშობლოში დავბრუნდიო. „ფესვები“ საქართველოსა და ქართველებზე ლაპარაკობს და არა კინოზე. ტრაბახი გამომდის, მაგრამ „ფესვები“ რომ ნახა, გიგა ლორთქიფანიძემ დამირეკა, ამ ფილმის ფინალი სხვის 15 ფილმს მირჩევნიაო. ხომ გახსოვთ, როგორ უყურებს ლევან აბაშიძე სოფელში შეკრებილ მდუმარე ხალხს!.. არ შეიძლებოდა, ყვირილი აეტეხა, ვაიმე, ეს რა ხდებაო... მსახიობის დიდი ოსტატობა იყო საჭირო, რასაც ლევანმა არაჩვეულებრივად გაართვა თავი!

- მუსიკა როგორ შეარჩიეთ?

- მუსიკა ალექსანდრე რაქვიაშვილმა დაწერა. ალბათ, იღბალი იყო, რაქვიაშვილს რომ შევთავაზე თანამშრომლობა, მთხოვა, მასალა მეჩვენებინა. ორი კვირის შემდეგ დამირეკა, მობრძანდით, მოისმინეთო. საბურთალოზე იყო სტუდია „მელოდია“, სადაც 4 დარბაზში მიმდინარეობდა ჩაწერები. ერთი დარბაზიდან ისეთი მუსიკა მომესმა, რომ ცრემლები ღაპაღუპით წამომივიდა. ვინატრე, ნეტავ, ეს იყოს ჩემი ფილმის მუსიკა-მეთქი. შევაღე კარი და... რაქვიაშვილი დირიჟორობდა.

- შეუძლებელია ფილმის აუღელვებლად ყურება. თქვენც გიტირიათ?

- ხანდახან მავიწყდება, მე რომ გადავიღე და ვტირი. სხვა ფაქტორებიც მოქმედებს - ლევან აბაშიძე და დოდო აბაშიძე აღარ არიან, ის წლები და ახალგაზრდობაც გაფრინდა... ალბათ, ამქვეყნად იმიტომ გავჩნდი, რომ „ფესვები“ შემექმნა. ფილმი ერთხელ სხვა ქვეყანაში რომ ვაჩვენე, დასრულების შემდეგ მთხოვდნენ, ცოტა დრო მოგვეცი, აზრზე მოვიდეთ, შოკში ვართო...

„ფესვებში“ დოდო აბაშიძემ თავისი ბოლო როლი ითამაშა. ფილმის პრემიერისას უკვე საავადმყოფოში იწვა. ეპიზოდი, სადაც დოდო ტაქსით პარიზის ქუჩებში შვილიშვილთან ერთად დადის და გურულ სიმღერას მღერის, კინაღამ ჩაიშალა, რადგან მსახიობმა განაცხადა, თავს შეუძლოდ ვგრძნობ და გადატვირთული მოძრაობის გამო საჭესთან ვერ დავჯდებიო... არადა, ეს მაშინ, როცა ჩვენი საფრანგეთში ცხოვრება უზარმაზარი თანხა ჯდებოდა. ერთი გამნათებელი გვყავდა, მივიდა დოდოსთან და ეუბნება: „ჩვენ აქ სამშობლოსთვის ვიღებთ ფილმს და რას გვიშვრები, არ გრცხვენიაო?“ დოდომ მოუსმინა, მერე უხმოდ ჩაჯდა ტაქსიში და წავიდა..., - იხსენებს გუგული მგელაძე.

მანანა გაბრიჭიძე
16-11-2015
www.kvirispalitra.ge

2. გაეცანით ფილმის ანოტაციას და უპასუხეთ შეკითხვებს.

ფესვები	
ჟანრი	დრამა
დამდგმელი რეჟისორი	გუგული (ყარამან) მგელაძე
სცენარის ავტორი	სულიკო ჟღენტი
მთავარ როლებში	დოდო აბაშიძე სოსო ჟაჟვლიანი ლევან აბაშიძე ია ფარულავა ლორანს რაგონი და სხვები
კომპოზიტორი	ალექსანდრე რაქვიაშვილი
ოპერატორი	აბესალომ მაისურაძე
მონტაჟი	გულნარა ომიაძე
მხატვარი	შოთა გოგოლაშვილი ნიკოლოზ ზანდუკელი
სტუდია	ქართული ფილმი
გამოსვლის თარიღი	1987
ქვეყანა	საქართველო
ენა	ქართული
ფილმის აღწერა	ფილმი მოგვითხრობს ქართველი ემიგრანტის სამშობლოსადმი განუწყვეტელი ნოსტალგიით აღსავსე ვრცელი ცხოვრების გზაზე. ფილმის მთავარი გმირი საშოვარზე მიემგზავრება საფრანგეთში, თუმცა სამუდამოდ რჩება იქ. მიუხედავად ამისა, ის არ კარგავს საქართველოში დაბრუნების იმედს.

ა) მხოლოდ ქართველი მსახიობები მონაწილეობენ ფილმში?

ბ) რომელ წელს ნახა ფილმი მაყურებელმა?

გ) რას ეხება ფილმი? როგორია მთავარი გმირის პოზიცია უცხოეთში დარჩენასთან დაკავშირებით?

1. **გაიხსენეთ ზოგადად ემიგრაციის გამომწვევი მიზეზები და ფორმები და დაასახელეთ, რა იყო ფილმის გმირის ემიგრაციის გამომწვევი მიზეზი და ფორმა.**

2. **წაიკითხეთ ნაწყვეტები მაყურებელთა გამოხმაურებებიდან და შეასრულეთ მითითებული დავალებები.**

I. „არაჩვეულებრივი ფილმია. ბევრჯერ მაქვს ნანახი და კიდევ ბევრჯერ შემიძლია ვნახო, არასოდეს მომბეზრდება... ეგაა, სულ მეტირება ხოლმე, რომ ვუყურებ. განსაკუთრებით მაშინ, შვილიშვილს ფერფლის წაღებას რომ უბარებს ანდერძად - „ბიჭო, მომიფრთხილდი, თორემ მე მეორეჯერ კი არ დავიფერფლები, ბაბაია... გახსოვდეს, ხის სიმაღლე მიწის ზევიდან კი არ იზომება, ფესვებიდან. შენი ფესვები იქ არის - საქართველოშიო“.

II. „ძალიან ძლიერი ფილმია. ყველა ემიგრანტი ქართველის სათქმელი და ისტორიაა ჩატეული - დროებით რომ მოდიხარ და მერე მთელი ცხოვრება გზას რომ უყურებ ტკივილიანი თვალებით... მართალია, „ადამიანი სამშობლოს გარეშე იგივეა, რაც ხე - ფესვების გარეშე!“

III. „განსაკუთრებულია ძველ ქართველ მეგობართან შეხვედრის სცენა - მევიოლინესთან, რომელიც დანანებით ეუბნება ჯორჯს, რომ ისინი მოსწყდნენ თავიანთ ფესვებს. მისმა შეკითხვამ - „შენი შვილები ლაპარაკობენ ქართულად?“ - მთლიანად ამოაყირავა მთავარი გმირი, რომელმაც შვილი ველარ, მაგრამ შვილიშვილი დააბრუნა ფესვებთან“.

IV. „შეუძლებელია, ამ ფილმს აუღელვებლად უყურო. უყურებ და ცრემლები თავისით მოგდის. უძლიერესი ფინალი აქვს. გახსოვთ, როგორ უყურებს ლევან აბაშიძე (ჯორჯის, იგივე გიორგის შვილიშვილი) სოფელში შეკრებილ მდუმარე ხალხს? ყველაფერია მის გამოხედვაში ნათქვამი... აი, ეს არის მიწის ყივილი! თვითონ ხალხი?! მხოლოდ საქართველოში შეიძლება, მთელი სოფელი დახვდეს 60 წლის წინ წასული ემიგრანტის ნეშტს...“

ა) მონიშნეთ ფრაზები და ცალკეული სიტყვები მაყურებელთა გამოხმაურებებიდან, სადაც ჩანს მათი სულიერი მდგომარეობა და ემოცია.

ბ) ამოწერეთ ცხრილში სიტყვები, რომელთაც დაესმის კითხვები: როგორი? როგორ?

როგორი?	**როგორ?**

გ) შეადარეთ წინადადებებში ხაზგასმული სიტყვები ერთმანეთს:

- რომელ სიტყვებს მიემართებიან?
- რას აკონკრეტებენ ისინი ცალკეულ შემთხვევებში?
- ამძაფრებს თუ არა ეს სიტყვები სათქმელს? რატომ ფიქრობთ ასე?

3. ნახეთ ქართული ფილმი „ფესვები“ და შეასრულეთ დავალებები.

I. <u>უპასუხეთ შეკითხვებს.</u>

ა) როგორ ფიქრობთ, სწორი არჩევანი გააკეთა თუ არა მთავრმა გმირმა 60 წლის წინ, როცა სამშობლო დატოვა?

ბ) როგორ მოიქცეოდით თქვენ მის ადგილას? დატოვებდით თუ არა სამშობლოს?

გ) რამდენად აქტუალურია ემიგრაცია/მიგრაციის პრობლემა დღევანდელ დღეს?

II. <u>დაწერეთ გამოხმაურება ფილმზე “ფესვები”.</u>

ა) გამოკვეთეთ თქვენი ემოციები. მიუთითეთ ეპიზოდები, რომლებმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე და დაასაბუთეთ.

ბ) რა არის, თქვენი აზრით, ფილმის ძლიერი ან სუსტი მხარე? დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.

გ) ეცადეთ, მთავარი გმირის პრობლემა და არსებული სიტუაცია დაუკავშიროთ ჩვენს დღევანდელობას და გაავლოთ პარალელები. ყურადღება მიაქციეთ ფინალს, რა არის რეჟისორის მთავარი სათქმელი.

III. <u>შეადარეთ ანდრო კაიშაურისა („მიწის ყივილი“) და გიორგი ზაქარეიშვილის („ფესვები“) ისტორიები ერთმანეთს და დაახასიათეთ ისინი.</u>

ა) ვინაობა და წარმომავლობა
ბ) გზა საქართველოდან საფრანგეთამდე
გ) ოჯახი
დ) მეტამორმოზა
დ) ხიდი საქართველოსთან
ე) სიკვდილის წინ
ვ) დაბრუნება

IV. <u>იმსჯელეთ!</u>

რამდენად თვალსაჩინო და ტრაგიკულია ემიგრანტის ხვედრი ფილმში და რამდენად მტკივნეულადაა გაშუქებული ანალოგიური სიტუაცია მოთხრობაში - „მიწის ყივილი“?

ქვაში გაცოცხლებული ისტორია

1. გაეცანით ინფორმაციას და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) სად მდებარეობს ხევსურეთი და რამდენ ნაწილად ჰყოფს მას კავკასიონი?

ბ) სად არის შატილისა და არხოტის ხეობები?

გ) რით გამოირჩევა ხევსურეთის ბუნება?

დ) როგორ ფიქრობთ, რატომ არის ხევსურეთის სხვადასხვა ხეობაში განსხვავებული ჰავა და კლიმატური პირობები?

ე) რა კავშირი აქვს მის სახელს მის ბუნებასთან და გეოგრაფიულ მდებარეობასთან?

ვ) ვინ იყვნენ ფხოველები?

ზ) რა ისტორიული როლი და ფუნქცია ჰქონდა ხევსურეთს ქვეყნის წინაშე?

2. გაიხსენეთ კრწანისის ბრძოლის ის ეპიზოდი, სადაც ხევსურებმა საარაკო გმირობა გამოიჩინეს.

ა) ვინ იყვნენ ისინი და რით გამოიჩინეს თავი?

ბ) მიუხედავად წაგებული ომისა, 300 არაგველის სახელი სამუდამოდ დარჩა საქართველოს ისტორიაში, ქართულმა ეკლესიამ კი წმინდანთა დასში შერაცხა ისინი. რა იყო მათი თავდადების ისტორიული მნიშვნელობა?

ხევსურეთი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზეა შეფენილი. კავკასიონი მას ორად ყოფს: პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთად.

პირიქითა ხევსურეთი მიღმახევის, შატილისა და არხოტის ხეობებისაგან შედგება, პირაქეთა ხევსურეთი კი არაგვის ხეობაშია განლაგებული.

ხევსურეთი მაღალმთიანი მხარეა, რომელიც ღრმა ხევებით არის დაღარული. მისი გეოგრაფიული სახელწოდებაც „ხევსურეთი“ აქედან არის წარმომდგარი და ნიშნავს ღრმა ხევებიან ადგილს. ამ სახელწოდებით წყაროებში XV საუკუნიდან იხსენიება. ხევსურეთის ადრინდელი სახელწოდებაა ფხოვი (ასე ეწოდებოდა მას ფშავთან ერთად), ხოლო ხევსურებსა და ფშაველებს - ფხოველები.

ჰავა და კლიმატური პირობები ხევსურეთის სამივე ხეობაში არაერთგვაროვანია. ხევსურეთის ჩრდილოეთი მხარე (არხოტ-შატილ-არდოტი) სამხრეთთან (არაგვის ხეობა) შედარებით უფრო ცივი და სუსხიანია.

ისტორიულად ხევსურები მუდამ იდგნენ საქართველოს სადარაჯოზე და მტკიცედ მებრძოლ ძალას წარმოადგენდნენ ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში. მეფე ერეკლე II გამორჩეულად აფასებდა ხევსურთა თავდადებასა და მათ მებრძოლ ბუნებას. განსაკუთრებულია მათი გმირობის ამბები ასპინძისა (1770) და კრწანისის (1795) ბრძოლებში.

3. გაეცანით კიდევ ორი ბრძოლის ისტორიას და შეასრულეთ მოცემული მითითება.

1. 1813 წლის 13 მაისს კავკასიის მთავარმართებლის ბრძანებით რუსის ჯარი ხევსურეთისკენ დაიძრა. 30 მაისს ეს ჯარი პირიქითის პირველ სოფელში ლებასიკარში მივიდა, საიდანაც ჯარის მეთაურმა ალექსანდრე ბატონიშვილს წერილი გაუგზავნა - დამმორჩილდიო. ელჩი ხევსურებმა მოკლეს. სოფელ გუროსთან დიდი შეტაკება მოხდა რუსებსა და ხევსურებს შორის. ხევსურებს ქისტებიც მიეშველნენ. გუროსთან შეტაკების შემდეგ რუსებმა გურო და შემდეგ შატილი გადაწვეს და ააოხრეს. „...და ბოლოს, უკვე ძალიან გვიან მივაღწიეთ შატილს და ღამის სათევად გავჩერდით იმ ქვითკირში, რომელშიც ჩვენ მიერ კახეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ საქართველოს ტახტის დაბრუნებისთვის ბრძოლაში დამარცხებულმა და გამოქცეულმა საქართველოს მეფისწულმა, ალექსანდრე ირაკლის ძემ გაატარა 1812 წლის მთელი ზამთარი“, - წერს ა. ზისერმანი.

რუსები გაუოცებია ამ უცნაური „ველურების“ ქცევას. „ისინი ფეხზე მდგომები ესროდნენ თითქმის გაუმცდრად. ჩვენ დაჭრილ ჯარისკაცებს კი მეორედ აღარ ურტყამდნენ და წამოდგომაში ეხმარებოდნენო“, – წერდნენ მათივე წარმომადგენლები.

ალექსანდრე ბატონიშვილი



შატილი

შამილი

2. ყველაზე დიდი ბრძოლა, რომელიც შატილმა გადაიტანა, იყო შამილის ბრძოლა. 1843 წლის ივნისში შატილში მაცნე მოვიდა – ჯარეგოდან ცხენოსნების დიდი ლაშქარი მოდისო. მტრის ჯარი, მაშინდელი წყაროებით, 5000 მეომარს ითვლიდა. თვითონ შატილში კი 60-მდე მებრძოლი მამაკაცი იქნებოდა. შატილიონებმა ჩარდახებსა და გალავნებზე ცეცხლმოკიდებული ფიჭვის მორები ჩამოკიდეს და მათ დროდადრო ადუღებულ ერბოს ასხამდნენ გასაღვივებლად. იბრძოდა ყველა: ბავშვი, ქალი, მოხუცი. იარაღად იყენებდნენ ყველაფერს, რასაც ხელი მოხვდებოდათ. „60 შატილელი 3 დღეს იცავდა თავის სახლ-კარს ახვერდი მაჰმადის 5000 ურჯულო თავდამსხმელისგან. მოკლეს ის თვითონ და 100 კაცი თანამებრძოლი. თვითონ კი ერთი კაცი დაჰკარგესო“, – წერდა რაფიელ ერისთავი 1855 წელს გაზეთ „კავკაზში“. მიუხედავად არათანაბარი ძალისა, ხევსურებმა მტრის უკან გაბრუნება შეძლეს.

შატილი და მუცო

1. გამოიყენეთ დანართში მოცემული ტექსტი (გვ. 302) და შეავსეთ ცხრილი ბოლომდე.

	შატილი	**მუცო**
მთავარი ინფორმაცია	ციხე-ქალაქებიდან ერთ დროს ერთ-ერთი ყველაზე კარგად ორგანიზებული ციხე-ქალაქი საქართველოში	პირიქითა ხევსურეთის შემორჩენილი ნასახლარებიდან უძველესია. სიდიდით მეორეა შატილის შემდეგ.
მდებარეობა	პირიქითა ხევსურეთი,	
დანიშნულება და ფუნქცია		
მოსახლეობა		სოფელში, ძირითადად, ორი გვარი სახლობდა -
უბნები		ძირითადად, ორ ნაწილად იყოფა -
დამატებითი ინფორმაცია	ციხე-ქალაქი აშენებულია X-XI სს-ში.	

2. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რომელი მდებარეობს ზღვის დონიდან უფრო მაღლა - შატილი თუ მუცო?

ბ) რომელი მდინარეების შესართავთან მდებარეობს შატილი?

გ) სად მდებარეობს მუცო და რამდენი კმ-ითაა ის დაშორებული შატილიდან?

დ) ვინ იყო თორღვა ძაგანი და რა აკავშირებდა მას მუცოსთან?

ე) რით გამოირჩევა შატილი საქართველოში არსებული სხვა ციხე-ქალაქებისაგან?

ვ) რა არის „საფიხვნო“ და რა დანიშნულება ჰქონდა მას?

ზ) რა კვალი დაამჩნია შამილის 1820 წლის ლაშქრობამ მუცოზე?

3. მონიშნეთ ცხრილში შესაბამისი უჯრა. რომელ სოფელს ეკუთვნის მოცემული ინფორმაცია?

	შატილი	**მუცო**
1. აქ დღეს უკვე აღარავინ ცხოვრობს.		
2. მხოლოდ ამ სოფელში შემორჩა „საფიხვნო“.		
3. ის ყველაზე კარგად ორგანიზებული ციხე-ქალაქი იყო საქართველოში.		
4. მისი აშენება თორღვა ძაგანის სახელს უკავშირდება.		
5. აქ არის შემორჩენილი ლეგენდარული თორღვას ციხე და კოშკი.		
6. მეოცე საუკუნის დასწაყისში აქ 50-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობდა.		

4. დაუბრუნდით ტექსტებს დანართში და შეამოწმეთ დავალება.

5. დაადასტურეთ ან უარყავით მოცემული ინფორმაციები და დაასაბუთეთ დანართში მოცემული ტექსტების მიხედვით.

ა) შატილის პირველი მოსახლეები ჯინჭარაულები იყვნენ. _____ <u>საიდან ჩანს?</u>

ბ) უბნები გვარების მიხედვით იყო განაწილებული მუცოში. _____ <u>საიდან ჩანს?</u>

გ) ანატორელები ჭინჭაურელებთან ერთად დასახლდნენ შატილში. _____ <u>საიდან ჩანს?</u>

დ) მუცოს ციხე-სოფელი შუა საუკუნეებშია აშენებული. _____ <u>საიდან ჩანს?</u>

1. დააკვირდით ფოტოს, გაიხსენეთ ინფორმაცია შატილის შესახებ და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) სად, რომელი მდინარეების შესართავთან მდებარეობს შატილი?

ბ) რომელია ზენაუბანი, ქვენაუბანი და შუა სოფელი?

გ) დააკვირდით ფოტოს. როგორი გადახურვა აქვთ სახლებს?

დ) როგორ ფიქრობთ, ბანიანი სახლები მხოლოდ ხევსურეთისთვის იყო დამახასიათებელი, თუ საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

ე) გაიხსენეთ, სად მდებარეობს საფიხვნო და მიუთითეთ ის ფოტოზე.

ვ) რაზეა შატილი აგებული და როგორია მისი აგების პრინციპი?

ზ) თქვენი აზრით, რამდენად ითვალისწინებს ციხე-ქალაქის მთლიანი არქიტექტურა გარემო პირობებსა და მის ისტორიულ დანიშნულებას?

2. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს.

შატილს ერთ მხარეს თითქმის მიუვალი 60-80 მ. სიმაღლის კლდე გასდევს. მარჯვენა მხარეს წყლიდან თავამდე ორი მეტრი სიგანისა და ხუთი მეტრი სიმაღლის მკვიდრი ქვითკირის გალავანი ერტყა. გალავანს მუხისგან დამზადებული ორი დიდი კარი ჰქონდა და შიგნიდან სამი ურდულით იკეტებოდა.

სოფელს შუაზე 2-3 მეტრის სიგანის ქუჩა ჩაუდიოდა, რომელსაც „ინგური“ ერქვა. მას უმეტესად პირუტყვის სამოძრაოდ იყენებდნენ, თუმცა ერთგვარ სანიაღვრე შარასაც წარმოადგენდა და ქალები მას კვირაში ერთხელ მაინც ასუფთავებდნენ.

შენობები შიგნიდან და გარედან დახუნძლული იყო ნაირგვარი ქვისა და ხის კიბეებით, ღია თუ დახურული აივნებით, გადასასვლელ-გადმოსასვლელებით.

სახლები ისეა ერთმანეთს მიბჯენილი, რომ ერთი-მეორის გაფრთხილება ნებისმიერ დროს შეეძლოთ. შენობის ერთი კედელი, უმეტეს შემთხვევაში, მეორის საფუძველს წარმოადგენს. მდინარე არღუნის პირას პირველ სახლში შესული ადამიანი ოჯახ-ოჯახ სოფლის თავში ისე ავიდოდა, რომ გარედან თვალს ვერავინ მოჰკრავდა.

ა) როგორ იყო დაცული შატილი გარედან?

ბ) რა არის „იანგური“ და რა იყო მისი ძირითადი დანიშნულება?

გ) რომელი მდინარის მხარეს იყო სოფლის შესასვლელი?

დ) რა დატვირთვა ჰქონდა შენობების ამგვარ წყობას?

3. დაადასტურეთ ან უარყავით მოცემული ინფორმაციები და დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით.

ა) შატილს ყველა მხრიდან ქვის უზარმაზარი გალავანი ერტყა. _____ საიდან ჩანს?

ბ) უბნები კიბეებითა და გადასვლელ-გადმოსასვლელებით უკავშირდებოდა ერთმანეთს. _____ საიდან ჩანს?

გ) შატილი მთლიანად ტერასულად იყო განაშენიანებული. _____ საიდან ჩანს?

4. დააკვირდით მუცოს და შეადარეთ შატილს - რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

თქვენი აზრით, რომელი გამოირჩევა უფრო მკაცრი ბუნებით? რაში ჩანს ეს სიმკაცრე?

1. წაიკითხეთ ტექსტი და მიუთითეთ ფოტოზე, რომელია თორღვას კოშკი და შეთეკაურთ ციხე.

1. ციხე-სოფელი განლაგებულია რთული რელიეფის სამ ტერასაზე. ჩრდილოეთიდან დაცულია თორღვაის კოშკით, სამხრეთიდან ციხე-სახლებით, ხოლო აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან - ციცაბო კლდის ქარაფებით. ტერასის შუა ნაწილში წმ. გიორგის ხატი და მაღალი სათვალთვალო კოშკია. ხატის ახლოს, სამხრეთით, იყო ყორით შემოფარგლული ეზო, ე.წ. „ბროლის კალო“ - ციხე-სოფლის ერთადერთი საჯინიბო. აქ დგას წმინდა გიორგისა და მუცოს მფარველი მთავარანგელოზის სალოცავები. მეორე, შუა ტერასა, მთლიანად საცხოვრებელი ნაგებობებით იყო განაშენიანებული. შენობები აქაც ერთმანეთის მიჯრით დგას, ციხე-სოფლის მესამე, ქვედა ტერასაზე, დაბლა, სოფლის სასაფლაოა. აქ განლაგებულია სამლოცველოები, მათ ადგილებს მოსახლეობა აკლდამებადაც იყენებდა.

2. თუკი მუცოს აღწერას ზემოდან დავიწყებთ, პირველი, რაც შეგვხვდება, არის თორღვას კოშკი, ბროლისკალოს მთავარანგელოზის სახელობის სალოცავი და ოდნავ გადახრილი და კუთხეჩამონგრეული შეთეკაურთ ციხე.

3. ციცაბო კლდეზე ნაგები ციხე-სოფელი სამი მხრიდან მიუვალია. ერთადერთი მისადგომი ერთ დროს ორი კაცის სიმაღლის გალავნით იყო შემოსაზღვრული, რომელსაც მეციხოვნეები დღედაღამ იცავდნენ. მუცოს მხოლოდ ორი შესასვლელი ჰქონდა: ქვემოდან – მდინარე არღუნის მხრიდან და ზემოდან – კლდის ფერდობზე მიმავალი ვიწრო გზა. გადმოცემის მიხედვით, გალავანი შეღამებისას იკეტებოდა და მუცოს მკვიდრსაც კი არ შეეძლო ღამით სოფელში შესვლა, თუ გალავნის იქით ისარს არ ისროდა და მეციხოვნეებს არ დაარწმუნებდა, რომ გალავანს გადმოღმა ნამდვილად მუცოელი იდგა.

2. მონიშნეთ ცხრილში შესაბამისი უჯრა.

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს ტექსტში
1. სათვალთვალო კოშკი ზემოდან დაჰყურებს საცხოვრებელ ტერასას.			
2. მუცო ყველა მხრიდან მიუვალი სოფელი იყო.			
3. მუცოელები განთქმული მონადირეები და მეომრები იყვნენ.			
4. ქვედა ტერასას მუცოს მოსახლეობა აკლდამებად იყენებდა.			
5. მუცოელები მშვილდებს ჯიხვის რქისაგან აკეთებდნენ.			
6. მუცოს სამი მხრიდან ორი კაცის სიმაღლის გალავანი ერტყა.			

3. გაასწორეთ მცდარი ინფორმაცია.

ხევსურული კოშკები

4. აღწერეთ ხევსურული კოშკი მოცემული კითხვების გათვალისწინებით: *რამდენ სართულიან სახლებს აგებდნენ ხევსურები? როგორ ანაწილებდნენ სართულებს? როგორ უკავშირდებოდნენ სართულები ერთმანეთს?*

ფოტოს ავტორი:

NATIONAL GEOGRAPHIC საქართველო

1. წაიკითხეთ და მონიშნეთ სწორი ვარიანტი. *თქვენი აზრით:*

რატომ იყო სახლის კედლები, დაახლოებით, 1 მეტრი სისქის?

ა) მტრისგან რომ უკეთ ყოფილიყვნენ დაცულები.

ბ) ადვილად რომ არ დანგრეულიყო სახლი.

გ) სტაბილური ტემპერატურა რომ შეენარჩუნებინათ.

დამატებით კიდევ რა უწყობდა ხელს ტემპერატურის სტაბილურობას?

ა) ვიწრო ფანჯრები.

ბ) ერთმანეთზე მიდგმული ნაგებობები.

გ) შუაცეცხლი, რომელიც მუდმივად ენთო.

2. წაიკითხეთ და შეამოწმეთ.

სამ, ოთხ ან ხუთსართულიანი სახლების ასაშენებლად ფიქალს იყენებდნენ. გადახურვა ბანისებური იყო – ფიქალზე დატკეპნილი სქელი მიწა. კედლების სისქე, დაახლოებით, ერთ მეტრს აღწევდა. სწორედ ქვის სქელი კედლების მეშვეობით ხდებოდა საცხოვრებელში სტაბილური ტემპერატურის შენარჩუნება. ტემპერატურის სტაბილურობას დამატებით ისიც უწყობდა ხელს, რომ მეზობელი სახლების კედლები ერთმანეთს მჭიდროდ ებჯინება. ქვის სქელი კედლები, ერთმანეთზე მიდგმული ნაგებობები, ვიწრო ფანჯრები, სართულებს შორის კავშირი შენობიდან გასვლის გარეშე... ასე აშენებული კოშკები ზამთარში სითბოს, ხოლო ზაფხულში სიგრილეს კარგად ინარჩუნებდა. სართულები ერთმანეთს შიდა კიბით უკავშირდებოდა. კიბეს მორისაგან აკეთებდნენ, რომელშიც საფეხურები იყო ჩაჭრილი.

პირველი სართული საქონლის სადგომს წარმოადგენდა. სიცივის დროს პირუტყვი სახლში სითბოს დამატებითი წყარო იყო.

კოშკის მეორე სართული მთავარი საცხოვრებელი ადგილი იყო. სახლში ვიწრო და დაბალი კარის მეშვეობით მოხვდებოდით. აქ შუაცეცხლი მუდმივად ენთო. ნაპერწკალს ხანძარი რომ არ გაეჩინა, შუაცეცხლის თავზე ფიქლის უზარმაზარი ფილა იყო გადებული. ბოლი ვიწრო ფანჯრებიდან გადიოდა. მეორე სართულზე, სადაც ყველაზე მეტად თბილოდა, ქალებსა და ბავშვებს ეძინათ. მესამე სართული, იგივე ჭერხო, მამაკაცების დასაძინებელ ადგილს წარმოადგენდა. ზამთარში ჭერხოში ინახავდნენ საქონლის საკვებ თივასაც.

ხიდი საქართველოსთან - ფერეიდანი

3. რა იცით ფერეიდანსა და ფერეიდნელ ქართველებზე? წაიკითხეთ შეკითხვები და გააცანით თქვენი ვერსიები ერთმანეთს.

ა) სად, რომელ სახელმწიფოში მდებარეობს ფერეიდანი?
ბ) რა კავშირი აქვთ ქართველებს ფერეიდანთან?
გ) ვინ და როდის გადაასახლა ქართველები ფერეიდანში?
დ) რა იყო მათი გადასახლების მიზანი?

ქართველთა სამოსახლოები ფერეიდანში

4. წაიკითხეთ და შეამოწმეთ.

„ღმერთს ებარებოდეთ!“ - ასე ემშვიდობებიან ფერეიდნელი ქართველები ერთმანეთს.

ფერეიდანი ცენტრალურ ირანში, ზღვის დონიდან 2000 მ-ზე ბახთიარის მთებში, ქალაქ ისპაჰანიდან, დაახლოებით, 100 კმ-ზე მდებარეობს.

ფერეიდანში მშრალი ჰავაა, წვიმა იშვიათად მოდის, ხეები თითქმის არ არის. ამიტომაც ცისარტყელას გამოჩენა მათთვის ერთგვარი სასწაულია. ფერეიდნული ლეგენდაც აქედან მოდის – ცისარტყელის ქვეშ თუ გაივლი, საქართველოში მოხვდებიო.

XVII საუკუნის დასაწყისში (1614-1617 წწ.) ირანის შაჰმა აბას I-მა საქართველოდან აყრილი 200 ათასი ქართველი გადაასახლა და საკმაოდ დიდი ნაწილი ფერეიდანში დაასახლა. ასე შეიქმნა შუა აზიაში ქართული სოფლები: ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, ჩუღურეთი (ჩოღიურეთი), აფუსი (რუისპირი), სიბაქი (ვაშლოვანი) და სხვა.

ფერეიდანში ქართველები მხოლოდ ერთ უბანში - გურჯი ნაჰიეში („ქართველთა უბანი“) ცხოვრობენ. დანარჩენ სამ უბანში (ნაჰიე-ჩადეგუნი, ნაჰიე -ფარსაღი, ნაჰიე-თოჰმაჰლუ) სპარსელები, ქურთები, ლურები, ბახთიარები და სომხები არიან. ფერეიდანი ერთადერთი ირანული რაიონია, სადაც იძულებით გადასახლებულმა ქართველობამ დღემდე შეინარჩუნა ქართული ენა და ქართული ადათ-წესები. სხვა რაიონებში (ხორასანი, მიზანდარანი, ფარსი) ქართული მეტყველება აღარ ისმის. ისინი ფერეიდნულ კილოზე მეტყველებენ.

ფერეიდანში ქართველების ჩასახლებით შაჰ-აბას I-ს მიზნად ჰქონდა დედაქალაქ ისპაჰანის დაცვა მომთაბარეთა (ბახთიარები, ლურები, ქურთები და სხვა) თავდასხმისგან.

პირველები - ძველები და ახლები

პირველი ფერეიდნელი ქართველი, რომელმაც საქართველომდე ჩამოაღწია, ზემო მარტყოფელი იოთამ ონიკაშვილი იყო. იგი 1871 წელს ჩამოვიდა და საგარეჯოში დასახლდა.

1. გაეცანით ცხრილის მონაცემებს და ისაუბრეთ მათ შესახებ.

რეზა ხუციშვილი და ჰუსეინ ონიკაშვილი
დეკანოზ ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილის ოჯახში

ლადო აღნიაშვილი

	ყოლამ-რეზა ხუციშვილი და ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილი	**ლადო აღნიაშვილი**
ვინაობა და საქმიანობა	ფერეიდნელი ქართველები	ცნობილი საზოგადო მოღვაწე
საქართველოში ჩამოსვლა	პირველად - 1896 წ. მეორედ - 1907 წ. იანვარი	
ფერეიდანში ჩასვლა		1894 წ.
საქართველოში ჩამოსვლის მიზანი	მუდმივი კავშირის დამყარება საქართველოსთან; ქართული სკოლის გახსნა ფერეიდანში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელით.	
ფერეიდანში ჩასვლის მიზანი		იქ მცხოვრები ქართველების ყოფის გაგება

„ნუ ტირი, თორემ საქართველოში გაიგებენ და იქაც ატირდებიანო“, - ასე ამშვიდებენ ფერეიდანში დედები ატირებულ ბავშვებს და მოუწოდებენ, ცრემლები ერთი შორეული, პატარა ქვეყნის გამო შეიკავონ.

2. გაეცანით ინტერვიუს და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.

პირველი ქართველი, ვინც ირანში ქართული ჩოხით ჩავიდა

გიორგი გელაშვილი (თორელი)

– სამი წლის წინ შევედი ჩოხით ირანში. ძალიან ვღელავდი... მაინც ვფრთხილობდი ჩოხის გამო... თეირანიდან ტაქსმა მარტყოფში ჩამიყვანა. ფილმი „ფესვები“ ხომ გახსოვთ? მატარებელს რომ ელოდება ხალხი, ასე დამხვდნენ ფერეიდანში. ღამის 11 საათი იყო, მაღლობიდან ღამე მთელი მარტყოფი ხელისგულივით ჩანდა. ჩავწიე ფანჯარა და ვიგრძენი ქართული სული... რაღაცნაირად დამბურძგლა. დასახლების შესასვლელში მოტოციკლეტიანი ბიჭებიც გამოჩნდნენ... ტაქსისტი ირანელი იყო, გაუკვირდა, ამდენი ხალხი რომ დაინახა... ვინ არის, ასეთს ვის ხვდებიანო? „გიო, გურჯი, გურჯი, გაუმარჯოს საქართველოს“ – იძახოდნენ ბიჭები... შოკში ვიყავი. თავი სხვა სამყაროში მეგონა. არ ვიცი, რამდენი მოტოციკლი იყო, მათმა კოლონამ მიმაცილა სახლამდე... საიდ მულიანმა მითხრა, შენ პირველი ქართველი ხარ, ვინც ჩოხით აქ ჩამოვიდა. ისტორიას არ ახსოვს, რომ ქართველი ჩოხით ფერეიდანში ჩამოსულიყოსო. იქ სულ ჩოხით დავდიოდი, იყო სიმღერები, ცეკვები, მოლხენა.... ცეკვის დროს ჩემთან ბიჭი მოვიდა, მომესალმა, მე ქართველი ვარ, რაღაც მინდა გთხოვოო. დედაჩემი ძალიან ავად არის, დიდი ხანია ლოგინად არის ჩავარდნილიო. სულ ტირის, საქართველოს მიწას ვერ მოვეფერეო. რომ გაიგო, ჩოხით ჩამოხვედი, უნდა, რომ გნახოსო. აქ ქალების შეხვედრა არ შეიძლება, სახლის კუთხეში დგას და გელოდებაო. მართლაც, იდგა ეს ავადმყოფი ქალი კუთხეში, მაკოცა ჩოხაზე, მხარზე... ჩემი მიწის ნახვა არ მეღირსაო... ტიროდა.

– ალბათ ძნელია იმ შთაბეჭდილებების დავიწყება...

– ყველა ქუჩას ქართული წარწერა აქვს. მანქანებს „საქართველო“, ან „სამშობლო“ აწერიათ, ზოგსაც – „საქართველო, მიყვარხარ“, „დედაენის დამვიწყებელს დამმარხველი არ ჰყავს“... ქართულ წარწერებს ფოტოებს ვუღებდი. ზოგს ჩოხა არც ენახა და პირველად ხედავდა. უხაროდათ... ერთი სუსტი კაცი მოვიდა, გამეცნო და მკითხა: წიგნი ჩამომიტანეო? რა წიგნი გინდა-მეთქი და „დედა ენა“ მინდა ძალიანო. ქართული ვიცი, მაგრამ „დედა ენაც“ მინდაო...

– რამდენიმე წლის წინ ფერეიდანი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემაც მოინახულა...

– ფერეიდანში ძალიან უყვართ ჩვენი პატრიარქი. პატრიარქის ფოტო მრავალ ოჯახშია... წმინდა კაცს ეძახიან. 2001 წელს პატრიარქი ირანში რომ იყო ჩასული, მოინახულა ფერეიდნელი ქართველებიც. ამბობენ, რომ დაცვა მოხსნა პატრიარქმა და ისე შევიდა დასახლებაში... არსებობს ვიდეო, როგორ ტირის პატრიარქი. ხელზე კოცნიან პატრიარქს და ეფერებიან...

თამარ შაიშმელაშვილი
2 დეკემბერი, 2017
წყარო: kvira.ge

ა) რა გაუკვირდა ირანელ ტაქსისტს?

ბ) რატომ შეხვდნენ იქაური ქართველები გიორგი გელაშვილს ასე? რა იყო ამის მიზეზი?

გ) რას ეძახიან ფერეიდანში საქართველოს? ქართველს?

დ) რა სთხოვა ერთმა ფერეიდნელმა ბიჭმა გიორგის?

ე) რატომ მოინდომა იმ ფერეიდნელი ბიჭის ავადმყოფმა დედამ გიორგის ნახვა?

ვ) საიდან ჩანს, რომ ფერეიდანში ძალიან უყვართ ჩვენი პატრიარქი?



საიდ მულიანი - ქართული წარმომავლობის ირანელი ისტორიკოსი და ქართველოლოგი პირველი ფერეიდნელია, ვინც მიიღო უმაღლესი განათლება ისტორიაში და ისპაჰანის უნივერსიტეტებში დაიწყო სამსახური. 2000 წელს საიდ მულიანმა თანამოაზრეებთან ერთად გახსნა ქართული საზაფხულო სკოლები მარტყოფსა და ისპაჰანში.

„გუშინ ჩემს ისპაჰანის ქართულს სკოლაში, იმ ოთახში, სადაც მე უნდა ვასწავლო ქართული წერა–კითხვა, ოთახის კარი აღარ იხურებოდა და სწავლის დასრულებამდე ვერც დავხურეთ. იცით, რატომ არ იხურებოდა კარი? ჩემს ქართულ სკოლაში იმდენი მსურველი მოვიდა, რომ ნამდვილად, ნემსის ადგილიც აღარ იყო. თვალებს არ ვუჯერებდი, კინაღამ სიხარულისგან ვიტირე. შაჰ-აბასის დედაქალაქში, სადაც ის გეგმავდა ქართველთა გადაშენებას, ქართული ენის სწავლის მიზნით ამდენი ხალხი მოვიდა. 200 კილომეტრი გზის გავლის შემდეგ დაღლილობა უცებ გაქრა, 2 საათი გაგრძელდა ეს გაკვეთილი, ისე მიხაროდა, რომ არ გავეჩერებინე, დილამდე ვასწავლიდი. ღმერთო, უზომოდ მადლობელი ვარ, რომ ეს დღე მანახე და რომ ბედნიერი ვარ, უამრავი ხელოვნური და ბუნებრივი პრობლემის მიუხედავად, ვემსახურო ჩემს ქართველობას!“

ადამიანი და საზოგადოება

ურთიერთობების ხელოვნება

ტერმიტების იმპერია

მგლების სამყაროში



ნოდარ დუმბაძის „HELLADOS“

შვილები და მშობლები

სიტყვის ძალა

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები

ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გააზრება; ტექსტების შედარების საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გაკეთება;
- თანატოლებს შორის არსებულ პრობლემებზე მსჯელობა, სათანადო პოზიციისა და დამოკიდებულების გამოხატვა; სხვების პოზიციების შეფასება;
- განწყობილებებზე, გრძნობებსა და ემოციებზე საუბარი;
- პერსონაჟთა დახასიათება მათი ქცევისა თუ გამონათქვამების მიხედვით; მათი მოქმედების მოტივის განმარტება და საქციელის შეფასება;
- პერსონაჟთა შედარებითი დახასიათება;
- ვარაუდების გამოხატვა და არგუმენტირება;
- მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გააზრება;
- კონტექსტის მიხედვით ფრაზული გამოთქმების მნიშვნელობათა გააზრება და საკუთარი სიტყვებით განმარტება.

ურთიერთობების ხელოვნება

„გეშინოდეთ გულგრილი ადამიანების. ისინი არ კლავენ და არ ღალატობენ, მაგრამ მხოლოდ მათი მდუმარე თანხმობით ხდება ყველა ამაზრზენი დანაშაული დედამიწაზე“, -

ჯონ სტაინბეკი

1. **დაალაგეთ მოცემული სიტყვები დადებითი და უარყოფითი ნიშნის მიხედვით. მიუთითეთ, რას გამოხატავს კონკრეტული მათგანი -** ადამიანის შინაგან ბუნებას, გარეგნობას, ქცევასა თუ დამოკიდებულებას.

თანაგრძნობა ყურადღება გულგრილობა სითბო სიძულვილი
ძალადობა მზრუნველობა სიბრალული მტრობა გულმოწყალება
აგრესია სიბრალული თანადგომა უყურადღებობა თავგანწირვა

2. **წაიკითხეთ გვერდის დასაწყისში მოცემული ჯონ სტაინბეკის სიტყვები და იმსჯელეთ მოცემული შეკითხვების გარშემო.**

ა) რა არის გულგრილობა?

ბ) რატომ არიან საშიშები გულგრილი ადამიანები?

გ) როგორი რეაქცია აქვთ გულგრილ ადამიანებს ყველასა და ყველაფრის მიმართ?

დ) როგორ იქცევიან და რას ამბობენ ისინი?

3. **დააკვირდით „სამი ბრძენი მაიმუნის“ ფოტოს და დააკავშირეთ წინა დავალებასთან.**

„სამი ბრძენი მაიმუნი“, რომელიც იაპონიის ქ. ნიკოს ტოსეგუ ტაძარშია გამოსახული, იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შესული.

სამი ბრძენი მაიმუნი ბუდისტურ რელიგიაში ბოროტების არჩადენის სიმბოლოს წარმოადგენს.

ივაძარუ მიძარუ კიკაძარუ

4. **წაიკითხეთ და დააკავშირეთ მაიმუნებთან. დაასახელეთ, რა ჰქვია მას იაპონურად.**

ა) „ვერ ვხედავ ბოროტებას“ ბ) „არ მესმის ბოროტება“ გ) „არ ვლაპარაკობ ბოროტებაზე“

5. წაიკითხეთ პრინცესა დაიანას მიმართვა და უპასუხეთ შეკითხვას - რა იყო მისი ყველაზე დიდი სურვილი და რა ანიჭებდა მას ყველაზე დიდ ბედნიერებას?

„დამიძახეთ უბრალოდ დაიანა და არა - პრინცესა.

ნუ აღმიქვამთ კერპად... მე ვარ ჩვეულებრივი დედა, რომელსაც შეუძლია დაგეხმაროთ. მსურს, ვიყო დედოფალი ხალხის გულებში... მე ვერ აღვიქვამ თავს ქვეყნის დედოფლად. მირჩევნია, ვიმყოფებოდე მომაკვდავთა და ავადმყოფ ბავშვთა გვერდით საავადმყოფოებში. მსურს, ადამიანებისთვის სასარგებლოს გაკეთება და არა - უბრალოდ არსებობა. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ შიდსმა არ უნდა დააბრკოლონ ისინი, რომ ხელი ჩამოართვან და ჩაეხუტონ ინფიცირებულებს. ღმერთმა იცის, მათ ხომ ეს ძალიან სჭირდებათ. მიყვარს, როცა ვარ საავადმყოფოში და ხელში მიჭირავს პაციენტის ხელი მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხშირად არიან შოკირებულნი ჩემი ასეთი საქციელით, ჩემთვის ეს ჩვეულებრივი, ნორმალური მოვლენაა.

ყველგან მსურს ყოფნა, სადაც ვხედავ მწუხარებას და მსურს, გავაკეთო, რაც შემიძლია.

მე არ მჭირდება ძვირფასი ნივთები; ყველაფერი მაქვს, რასაც ვინატრებ, უბრალოდ, გვერდით მჭირდება ვინმე, რომ თავი უსაფრთხოდ და დაცულად ვიგრძნო.

ჩახუტება ძალიან ბევრს ნიშნავს, განსაკუთრებით, ბავშვებისთვის. მე არ ვმოქმედებ წიგნებში დაწერილი კანონების მიხედვით. მე ვუჯერებ და მივყვები მხოლოდ გულის ხმას.

ვფიქრობ, ყველაზე საშინელი ავადმყოფობა, რაც მსოფლიოს აწუხებს - გულცივობა და სიყვარულის ნაკლებობაა. მე ვიცი, რომ შემიძლია, ხალხს მივცე ჩემი სიყვარული და სითბო მხოლოდ 1 წუთით, ნახევარი საათით, 1 დღით, თვით, მაგრამ ხომ ვახერხებ და ხომ შემიძლია - ეს არის ის, რისი კეთებაც მანიჭებს ბედნიერებას“.

6. დაუბრუნდით ტექსტს, მოძებნეთ მოცემულ შეკითხვებზე პასუხები და დაასახელეთ.

ა) ვინ არიან შოკირებულები დაიანას საქციელით და რატომ?

ბ) საიდან ჩანს, რომ პრინცესა დაიანა ყველასთვის საყვარელი და მისაბაძი გახდა?

გ) თქვენი აზრით, რისი თქმა უნდოდა მას ხაზგასმულ სიტყვებში?

7. როგორია პრინცესა დაიანა? გამოიყენეთ მოცემული სიტყვები და დაახასიათეთ. დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია ტექსტის მიხედვით.

ამბიციური უბრალო ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი ამაყი
თავმდაბალი ყალბი გულწრფელი ემოციური გულცივი
გულჩვილი მამაცი მშიშარა სუსტი ძლიერი

“ბარბაროსი ისაა, ვისაც საკუთარი ტომის წესები
ბუნების კანონები ჰგონია”.

ბერნარდ შოუ

1. გაეცანით მოცემულ სიტუაციას და შეასრულეთ მითითებები.

ა) წარმოიდგინე, რომ ახალგაცნობილმა გერმანელმა მეგობარმა შენ და კიდევ რამდენიმე შენი უცხოელი თანატოლი სტუმრად დაგპატიჟათ საღამოს 6 საათზე თავისთან. შენ ბულგარელ თანატოლს შესთავაზე, ერთად წასულიყავით მასთან. შეთავაზებაზე ბულგარელმა გაიღიმა და თავი გაიქნია. სახტად დარჩენილმა დაემშვიდობე მას და წახვედი. შენმა საქციელმა ბულგარელი გაკვირვებული და განაწყენებული დატოვა.

ბ) ბულგარელი თანატოლი სტუმრად აღარ მოვიდა. ბრაზილიელმა მეგობარმა კი ნახევარი საათით დაიგვიანა. მასპინძელმა უკმაყოფილება არ დამალა და დაგვიანებულ მეგობარს უსაყვედურა. ბრაზილიელი გაკვირვებული დარჩა მასპინძლის რეაქციით.

გ) ვახშმობის დამთავრებისთანავე ბრაზილიელმა მასპინძელს მადლობა გადაუხადა, თავაზიანად დაემშვიდობა და წავიდა. მისმა ამგვარმა ქცევამ მასპინძელი კვლავ შეურაცხყოფილი დატოვა.

I. <u>უპასუხეთ შეკითხვებს.</u>

ა) რა იყო დანიშნული საღამოს 6 საათზე?

ბ) შენ გარდა კიდევ ვინ დაპატიჟა შენმა გერმანელმა თანატოლმა?

გ) ვისთან ერთად გადაწყვიტე იქ წასვლა?

დ) როგორ მოიქცა შენს შეთავაზებაზე ბულგარელი თანატოლი?

ე) რატომ დარჩა ის გაკვიევებული და განაწყენებული?

ვ) ვინ არ მივიდა სტუმრად?

ზ) ვის უსაყვედურა მასპინძელმა და რისთვის?

II. <u>ჩაწერეთ, ვინ არის მოცემულ სიტუაციაში</u> (მიუთითეთ ყველა შესაძლო ვარიანტი):

ა) სახტად დარჩენილი _____

ბ) გაკვირვებული _____

გ) განაწყენებული _____

დ) უკმაყოფილო _____

ე) დაგვიანებული _____

ვ) შეურაცხყოფილი _____

III. <u>დაუბრუნდით წინა დავალებას და განმარტეთ როგორც თქვენი, ისე ბულგარელის, ბრაზილიელისა და გერმანელის ამგვარი მდგომარეობის მიზეზები.</u>

IV. <u>შეაფასეთ მოცემული სიტუაცია თქვენი პოზიციებიდან:</u>

ა) ვისი ქცევა იყო თქვენთვის მიუღებელი, ჩვეულებრივი, არაორდინალური, გაუგებარი, გასაგები, გასაოცარი და კონკრეტულად, რატომ?

ბ) თქვენ როგორ მოიქცეოდით გერმანელის, ბულგარელისა და ბრაზილიელის ადგილას და რატომ?

2. გაეცანით მოცემულ ინფორმაციებს და დააკავშირეთ წინა დავალების სიტუაციასთან. შეადარეთ თქვენს ვერსიებს.

- ევროპის ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში (საჰარის სამხრეთით), სავსებით მისაღებია ვახშამზე ნახევარი საათით დაგვიანება მაშინ, როდესაც გერმანიასა და შვეიცარიაში ეს უზრდელობად აღიქმება.

- აზიის ბევრ ქვეყანასა და ცენტრალურ ამერიკაში მისაღებია ვახშმობის შემდეგ წასვლა. თუ ადამიანი ასე არ მოიქცა, ეს ნიშნავს, რომ ის საკმარისად არ დანაყრდა.

- ინდოეთში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში კი ვახშმის შემდეგ მასპინძელთან გამომშვიდობება და წასვლა უზრდელობაა და მიანიშნებს, რომ სტუმარს მხოლოდ ჭამა უნდოდა და არა - მასპინძლების საზოგადოებაში დროის გატარება.

- ბულგარეთში თავის დაბლა დაქნევა, თანხმობის ნაცვლად, უარის ნიშანია.

3. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა აღიქმება უზრდელობად გერმანიასა და შვეიცარიაში?

ბ) ევროპის რომელ ქვეყნებში ითვლება ნორმალურად ვახშამზე ნახევარი საათით დაგვიანება?

გ) სად ითვლება უზრდელობად ვახშმის დასრულებისთანავე წასვლა?

4. როგორი წესები არსებობს ამ კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებით იმ ქვეყანაში, სადაც თქვენ ცხოვრობთ?

ტერმიტების იმპერია

1. რა არის „ტერმიტი“ და რა იცით მათ შესახებ? მოიფიქრეთ პასუხები მეწყვილეებთან ერთად და გააცანით კლასელებს. მიუთითეთ, საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია.

რისი სახეობაა ტერმიტები? რას უწოდებენ მათ სხვაგვარად? სად ბინადრობენ ისინი? როგორია მათი სოციალური სტრუქტურა? როგორ ინაწილებენ ტერმიტები ფუნქციებს?

2. წაიკითხეთ ინფორმაცია და შეამოწმეთ თქვენი პასუხები.

ტერმიტები მწერების ერთ-ერთი სახეობაა. მათ თეთრ ჭიანჭველებსაც უწოდებენ, თუმცა მეცნიერები მათ ტარაკნების კლასს მიაკუთვნებენ. ჟიულ ვერნი მათ გიგანტურ ჭიანჭველებსაც უწოდებს. ისინი, ძირითადად, აფრიკის კონტინენტზე ბინადრობენ, თუმცა დედამიწის სხვა ადგილებშიც მრავლად ვხვდებით, მაგალითად, აზიასა და ავსტრალიაში.

ტერმიტებს ადამიანის მსგავსი კოლექტიურობა ახასიათებთ. ერთ ბუდეში, საშუალოდ, მილიონამდე ტერმიტი ბინადრობს. ისინი კოლონიებად ცხოვრობენ. თითოეული კოლონია მკაცრ სოციალურ სტრუქტურას ექვემდებარება. თანრიგით ყველაზე მაღლა დედოფალი და მამა ტერმიტი დგანან, რომელთა ძირითად და ერთადერთ ფუნქციას გამრავლება წარმოადგენს. შემდეგ მოდიან მუშა ტერმიტები, რომელთა ფუნქციები მოიცავს საკვების შოვნას, მის შენახვასა და მშენებლობას. მესამე კასტას შეადგენენ ჯარისკაცები, რომელთა ფუნქციაც საკუთარი კოლონიის უსაფრთხოებაზე ზრუნვაა.

3. შეავსეთ და ისაუბრეთ მასზე დაყრდნობით.



4. დააკვირდით ფოტოზე გამოსახულ ტერმიტების ბუდეს და ისაუბრეთ მის შესახებ.

ა) რისგან არის ის აგებული და რა სიმაღლისაა?

ბ) თქვენი აზრით, როგორია მისი შიდა არქიტექტურა?

გ) რა არის შიგნით განლაგებული?

5. წაიკითხეთ ტექსტი და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები. თავიდან უპასუხეთ წინა დავალებაში დასმულ შეკითხვებს.



ცნობილია, რომ მთელ ფლორასა და ფაუნაში ტერმიტები ყველაზე უფრო დახვეწილ, ფუნქციურად გამართულ და კომფორტულ საცხოვრისებს იშენებენ. მათი ეს ინჟინრული ნიჭი დღემდე გამოცანად რჩება მკვლევართათვის. ყველაზე გამორჩეული მშენებლები კი ნიგერიული ტერმიტები არიან.

ბუდეებს კონუსის ფორმის გოდოლების სახე აქვს. ტერმიტები მათ მონელებული საკვებითა და მიწით აგებენ. მათი სიმაღლე, როგორც წესი, 8 მეტრამდე აღწევს. თავად ტერმიტის სიგრძე კი ნახევარი სმ-ია. ეს იგივეა, ადამიანმა 1,5 კმ-ზე მეტი სიმაღლის ცათამბჯენი რომ ააგოს (ბურჯ ხალიფა, მაგალითად, 830 მეტრია). გასაოცარია ბუდის შიდა არქიტექტურა თავისი ვენტილაციისა და გათბობა-გაგრილების სისტემებით, რომლებსაც სპეციალური არხებით ქმნიან. ამ სისტემების წყალობით, ტერმიტების „სასახლეში“ წლის ნებისმიერ დროს სასიამოვნო კლიმატია.

„სასახლის“ შიგნით ათასობით „ოთახი“, ოთახების დამაკავშირებელი „დერეფანი“, „დარბაზი“, „საწყობი“ და „საკუჭნაოა“. მთელი ბუდე ლაბირინთებითაა სავსე. აქვთ საბავშვო ოთახები (მატლებისათვის), ბაღები (სპეციალური სოკოს მოსაშენებლად, რომელსაც საკვებად იყენებენ), გზები, არხები და სანიტარული სისტემები. მოკლედ, მათ აქვთ ყველაფერი, რაც არსებობისათვის აუცილებელია. ყველაზე საკვირველი კი ის არის, რომ ყოველივე ამის ამშენებელი ტერმიტები ბრმები არიან.

მეცნიერებისათვის დიდი ხნის განმავლობაში გამოცანად რჩებოდა, როგორ ატყობინებდნენ ისინი ერთმანეთს საფრთხის შესახებ შორ მანძილზე. აღმოჩნდა, რომ შეამჩნევენ თუ არა „მცველი“ ტერმიტები საფრთხეს, არც მეტი და არც ნაკლები, საბუდრის შესასვლელს გამძაფრებით ურტყამენ თავს. დანარჩენებს ეს ხმაური ესმით და საომრად ემზადებიან.

მეცნიერებმა ასეთი ცდა ჩაატარეს: ბუდის შესასვლელში ხმის ჩამხშობი მასალა ამოფინეს. როცა მცველმა ტერმიტებმა საფრთხის მოახლოება იგრძნეს, განგაში ატეხეს, მაგრამ ბუდეში სიგნალი ვერ მიიღეს და მტერმაც ადვილად შეაღწია მათ სამფლობელოში.

1. დაასაბუთეთ მოცემული ინფორმაცია ტექსტის მიხედვით.

<u>საიდან ჩანს, რომ:</u>

ა) ტერმიტების საცხოვრებელი კომფორტული, დახვეწილი და ფუნქციურად გამართულია?

ბ) ტერმიტებიც განსხვავდებიან საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით?

გ) ტერმიტებს საკუთარი მეურნეობებიც აქვთ?

დ) ისინი განსაკუთრებულად იცავენ საკუთარ „იმპერიას“?

2. შეავსეთ ტექსტის მიხედვით. გააცანით ერთმანეთს და შეადარეთ.

ტერმიტების საცხოვრებელი

ფორმა	
სამშენებლო მასალა	
ზომები	
შიდა არქიტექტურა ა) კომუნიკაციები	
ბ) ინტერიერი	

3. შემოხაზეთ, რომელია სწორი ვარიანტი თქვენი ვერსიით.

ტერმიტების ზოგიერთ სახეობაში დედოფალთან ერთად ერთ კოლონიაში არიან:

ა) მუშები, ჯარისკაცები, მზვერავები და მზარეულები

ბ) მუშები, მცველები, მონები და მებაღეები

გ) მუშები, ჯარისკაცები, მზვერავები და ძიძები

4. წაიკითხეთ და შეამოწმეთ. უპასუხეთ შეკითხვებს.

ტერმიტების საზოგადოებაში მატრიარქატია გამეფებული. ჭიანჭველებისთვის ყველაზე ძვირფასი დედოფალია, რომელიც „კოშკის“ ცენტრში ბინადრობს. სხვებისგან განსხვავებით, ის ძალიან დიდი ზომისაა. უმოძრაოდ წევს და განუწყვეტლივ დებს კვერცხებს. მუშები მას კვებავენ, უვლიან და კვერცხები სპეციალურ განყოფილებაში - „ინკუბატორში“ გადააქვთ. შემდეგ კი, როგორც კი მატლები გამოიჩეკებიან, მათზე ზრუნვას იწყებენ.

ზოგიერთ სახეობაში კასტები უფრო რთულადაა განაწილებული. მაგალითად, ერთ კოლონიაში დედოფალთან ერთად შეიძლება იყვნენ მუშები, ძიძები, ჯარისკაცები და მზვერავები. მათთვის უცხო არ არის სხვისი შრომის გამოყენება. „მონების“ მოსაპოვებლად მეომარი ჭიანჭველები რაზმებად ეწყობიან, გამოდიან ბუდიდან და მეზობელი ბუდისაკენ მიემართებიან. იწყება სასტიკი ბრძოლა, რომელშიც უამრავი ჭიანჭველა იღუპება. გამარჯვებული ჭიანჭველები შეიჭრებიან მოწინაღმდეგის ბუდეში, იტაცებენ ჭუპრებს და თავის სამფლობელოში მიჰყავთ. ზოგ ჭუპრს ჭამენ, ზოგსაც ზრდიან და შემდეგ „მონებად“ იყენებენ.



მუშა ჯარისკაცი დედოფალი მეფე

მონა ჭიანჭველები პერიოდულად ამბოხსაც აწყობენ, რომელიც მუდამ კრახით მთავრდება. თუმცა, მათი მიზანია, რაც შეიძლება, მეტი ზარალი მიაყენონ „მონათმფლობელებს“, შეამცირონ მათი რიცხვი.

ზოგიერთ სახეობას საკუთარი ე.წ. „საქონელი“ ჰყავს - ბუგრების მსგავსი მცენარის ტილები. ისინი მცენარის წვენის გადამუშავების შედეგად ტკბილ სეკრეტს გამოყოფენ, რითაც ჭიანჭველებს კვებავენ. მათი თანამშრომლობა ისეა განვითარებული, რომ ჭიანჭველებს ეს მწერები ერთი მცენარიდან მეორეზე გადაჰყავთ, უვლიან, მალავენ წვიმის დროს და, რაც მთავარია, იცავენ მათ.

5. გამოიყენეთ ყველა ინფორმაცია და შეავსეთ ცხრილი რვეულში.

ტერმიტების იმპერიის მოწყობის ფორმა	
ტერმიტთა „საზოგადოების ფენები“ (კასტები)	
„დაპყრობითი ომები“	
ამბოხი კოლონიის შიგნით	
შიდა მეურნეობა	

მგლების სამყაროში

1. რა იცით მგლების შესახებ? გაიხსენეთ ინფორმაცია მათ შესახებ და ისაუბრეთ.

ა) როგორი ცხოველები არიან?

ბ) როგორია მათი ცხოვრების წესი?

გ) რა კანონები მოქმედებს მგლების სამყაროში? და ა.შ.

2. წაიკითხეთ მოცემული ტექსტი და შეადარეთ თქვენ მიერ მოძიებულ ინფორმაციას.

მგელი „სოციალური“ ცხოველია და თავის ოჯახში ე.წ. „რანგების“ დამცველია. მგლების ხროვაში მგლური კანონი მოქმედებს და მისი დარღვევის უფლება არავის აქვს.

ხროვას ხვადი (ანუ, მამრი) მგელი უძღვება.

ლიდერობისათვის ბრძოლა ყოველთვის აქტუალურია მგლებს შორის, თუმცა ზოგჯერ იგი მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს, რადგან ხროვაში თითოეულმა მგელმა იცის თავისი ადგილი. მგლების ხროვაში ხშირია ე.წ. „სოციალური რიტუალები“, რომელთა დროსაც მთავარმა მგელმა უნდა დაამტკიცოს თავისი უპირატესობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შეცვლის ხროვის სხვა წევრი. ხშირ შემთხვევაში, „გადაყენებული“ მეთაურები თავს ანებებენ მშობლიურ ხროვას და სხვა ცხოვრებას იწყებენ.

ლიდერი ხროვაში ყველაზე ძლიერი უნდა იყოს. მას ყოველთვის ზევით აქვს კუდი აღმართული. ხვად ლიდერს ძალაუფლების შენარჩუნებაში ძუ ეხმარება.

3. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა განსაზღვრავს მგლებს შორის ურთიერთობას?

ბ) რისი უფლება არ აქვს ხროვის წევრებს?

გ) რა თვისებებით გამოირჩევა ლიდერი მგელი და რა ფუნქცია აქვს მას?

დ) შეუცვლელია თუ არა ლიდერი მგლების „საზოგადოებაში“?

ე) რა ფუნქცია აქვს ხვად მგელს?

ვ) როგორ გესმით ფრაზა - „სიმბოლურ ხასიათს ატარებს“?

ზ) რატომ ატარებს ლიდერობისათვის ბრძოლა ზოგჯერ სიმბოლურ ხასიათს?

თ) რისი დამტკიცება უწევს ლიდერ მგელს ხროვის წევრებისთვის?

ი) რა ხდება, როცა ლიდერი კარგავს ძალაუფლებას?

4. დაუბრუნდით ტექსტს, მოძებნეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერეთ რვეულში.

ა) ხელმძღვანელობს, თაოსნობს, ___?___

ბ) იგივეა, რაც ცერემონიალი, ___?___

გ) უკეთესი, წარმატებული მდგომარეობა, ___?___

დ) წინამძღოლი, ხელმძღვანელი, უფროსი, ___?___

5. ზოოლოგებმა მგლებზე დაკვირვებისას საინტერესო კადრი დააფიქსირეს. ყურადღებით დააკვირდით ფოტოს და ისე უპასუხეთ შეკითხვებს.

რა თანმიმდევრობით არიან მგლები რიგში ჩამდგარნი? ვინ უდგას სათავეში? ვინ მოდის ხროვის ბოლოს? რა ხდება შუა ნაწილში?

6. წაიკითხეთ და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

აღმოჩნდა, რომ მგლების ხროვა გარკვეული იერარქიის მიხედვით გადაადგილდება.

მგლების ხროვას სათავეში უდგას სამი მგელი – ბებერი ან ავადმყოფი, რომლებიც ყველაზე წინ მიდიან და მთელ ხროვას მოძრაობის სიჩქარეს კარნახობენ. თუ ისინი უკან გაჰყვებიან ხროვას – ჩამორჩებიან და დაიღუპებიან.

ამ სამს უკან ხუთი ძლიერი მგელი მიჰყვება, ცენტრში – ხროვის დანარჩენი წევრები, მათ მოჰყვება ხუთი უძლიერესი მგელი. ხროვის ბოლოს კი ლიდერი მგელი მოდის, რომელიც მთელს ხროვას აკონტროლებს.

ხროვა გადაადგილდება ისე, რომ ყველაზე ბებრები არ ჩამორჩნენ და, საფრთხის შემთხვევაში, ერთმანეთის დახმარების საშუალება ჰქონდეთ.

ურთიერთობები თანატოლებს შორის - HELLADOS



1. დააკვირდით ფოტოს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა არის ფოტოზე გამოსახული?

ბ) ვინ არის ნოდარ დუმბაძე და რა იცით მის შესახებ?

გ) რა გაქვთ დუმბაძის წაკითხული? ნანახი?

დ) რა იცით „ჰელადოსის“ შესახებ?

ე) რას ნიშნავს სიტყვა - ჰელადოს?

ვ) დააკვირდით ბიჭების გამომეტყველებასა და ქცევას - როგორ ფიქრობთ, რის შესახებ შეიძლება იყოს მოთხრობაში საუბარი?

2. წაიკითხეთ ნაწყვეტები მოთხრობიდან და შეასრულეთ დავალებები.

იანგული

იანგული სოხუმელი ბერძენის, ხრისტო ალექსანდრიდის შვილი იყო. ნაფოტივით თხელსა და ბეჭებგანიერს სწორი, ლამაზი ცხვირი, ნახშირივით შავი თვალები და მაიმუნივით გრძელი ხელები ჰქონდა. თოთხმეტი წლისა იყო. თავის ტოლ უბნის ბიჭებს შიშის ზარს სცემდა. საოცარი ჩხუბი იცოდა, კატასავით სწრაფი იყო, კაჟივით მაგარი და ჯანმრთელი. ზამთარ-ზაფხულ სატინის შავი ხალათით დადიოდა მკერდგაღეღილი.

ვენეციის გზატკეცილზე ცხოვრობდა, მდინარე ჩალბაშის პირას, მამამისთან ერთად. დედა ისე პატარას გარდაცვლოდა, არც კი ახსოვდა. მიწის ნაკვეთი ჰქონდათ ხელისგულისოდენა ბოსტნით. ერთი ძროხა ჰყავდათ, ერთიც ნაცრისფერი ჩოკინა. რძეს, მაწონს და მწვანილს ყიდდნენ მეზობლებში და სოხუმის ბაზარში.

იანგული არსად არ სწავლობდა, მამამისს ეხმარებოდა და ხანდახან ვირსაც დაჰყვებოდა სავაჭროდ. დანარჩენი დრო ქუჩაში იყო გადებული. რკინიგზის გადასასვლელთან იდგა ხოლმე, სკოლიდან დაბრუნებულ ბიჭებს ჯიბეებს უჩხრეკდა, ზოგს ძალით, ზოგს ნებით, თუთუნს, ხურდა ფულს, ბრჭყვიალა ნივთებს, ჯაჭვებს, ფერად ფანქრებს, კალმისტრებს ართმევდა, მეორე დღეს იმავე ნივთებს იმავე ბიჭებთან შეღავათიან ფასებში ჰყიდდა. მერე ფულზე ეთამაშებოდა, უგებდა, ჯიბეებგატენილი ბრუნდებოდა შინ.

ასე გრძელდებოდა ყოველდღე.

უბნის ყოჩი იყო თოთხმეტი წლის იანგული.

3. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) ვისი შვილი იყო იანგული?

ბ) თქვენი აზრით, რას ნიშნავს უბნის ყოჩობა?

გ) რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვები?

კაჟი - ძალიან მაგარი ქვა

ყოჩი - მამალი ცხვარი.

ჩოკინა - იგივეა, რაც ჩოჩორი.

ნაფოტი - ხის თხელი ნაჭერი, ანათალი.

სატინი - პრიალა ქსოვილი, ნაჭერი.

4. მიუთითეთ, რომელ აბზაცშია აღწერილი:

ა) იანგულის გარეგნობა და თვისებები. _____

ბ) იანგულის სახლ-კარი. _____

გ) მისი ოჯახის საქმიანობა. _____

დ) იანგულის საქმიანობა და ქცევები. _____

5. გამოიყენეთ ტექსტი და შეავსეთ სათანადო ინფორმაციით იანგულის შესახებ.

პირადი მონაცემები

ვინაობა: _____

ეროვნება: _____

ასაკი: _____

საცხოვრებელი ადგილი: _____

_____

_____

ოჯახური მდგომარეობა: _____

_____

_____

დახასიათება

გარეგნობა: _____

_____

_____

_____

_____

_____

ფიზიკური მონაცემები: _____

_____

_____

_____

_____

6. მონიშნეთ იანგულის ხასიათისა და თვისებების გამომხატველი სიტყვები და დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით. მოიტანეთ შესაბამისი ადგილი ტექსტიდან.

ა) ბეჯითი ბ) ჩხუბისთავი გ) მზრუნველი დ) უსაქმური

ე) ზარმაცი ვ) მეგობრული ზ) საქმიანი თ) მოძალადე

თვისება

როგორია?

→

დასაბუთება ტექსტიდან:

რას აკეთებს? როგორ იქცევა? რას ამბობს?

7. გამოიყენეთ წინა დავალებები და ისაუბრეთ იანგულის შესახებ.

1. წაიკითხეთ მორიგი ეპიზოდი და შეავსეთ ცხრილი ჯემალის შესახებ ინფორმაციით.

ჯემალი

ჩემი და იანგულის ნაცნობობა 1938 წლის შემოდგომაზე დაიწყო. დეიდაჩემმა ნინამ, ობლობა რომ არ მეგრძნო, თბილისიდან ჩამოსული მეორე დღესვე მთელ სოხუმში სახელგანთქმულ მუსიკის მასწავლებელ ელენა მიხაილოვნა ნავროდსკაიასთან მიმიყვანა და მუხლებში ჩაუვარდა:

- ობოლია, დედამისი ვიოლინოზე ატარებდა, უარს ნუ მეტყვით; სხვას რომ ახდევინებთ, ორი იმდენი გამომართვით, ოღონდ აიყვანეთო.

ნავროდსკაიამ ჯერ სმენა გამისინჯა, მერე ნოტების კითხვაში გამომცადა, თითებზე დამხედა, ნიკაპის ქვეშ ხელით კოჟრი მომისინჯა, ერთხანს იყოყმანა, შემდეგ მეორე ოთახში გავიდა. ვიოლინო გამოიტანა, სიმები მოუშალა და ააწყვეო, მითხრა. დეიდაჩემი შეშინებული მიყურებდა და, როდესაც ვიოლინო ავაწყვე, შვებით ამოისუნთქა.

- აბა, ახლა ბეთჰოვენის „ზაზუნა“ დაუკარი! - მითხრა ელენე მიხაილოვნამ, სავარძელში ჩაჯდა და მოსასმენად მოემზადა.

საკმარისი იყო ახლა, ამ წუთში, მეთქვა ერთი მაგიური სიტყვა - „არა“, რომ ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ არ ვიცი, დეიდაჩემის ტანჯულმა სახემ, ნავროდსკაიას გაკვირვებულმა გამოხედვამ, ცამეტი წლის ბავშვის განუზომელმა პატივმოყვარეობამ თუ ჩემთვის გაურკვეველმა კიდევ რაღაც ძალამ ხელში ამაღებინა ვიოლინოს ხემი და ოთახი „ზაზუნას“ მარტივი და გენიალური მელოდიით აივსო. როდესაც დაკვრა დავამთავრე, დეიდა ნინას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, ნავროდსკაიას კი სახეზე კმაყოფილი ღიმილი ეფინა.

...და ელენა მიხაილოვნა ნავროდსკაიამ ამიყვანა.

პირადი მონაცემები

ვინაობა: _____

სადაურობა: _____

ეროვნება: _____

ასაკი: _____

საცხოვრებელი ადგილი: _____

_____

ოჯახური მდგომარეობა: _____

_____

2. რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვები ტექსტში? უპასუხეთ კონტექსტის მიხედვით.

3. ისაუბრეთ ჯემალის შესახებ მოცემული შეკითხვების გათვალისწინებით.

ა) ვინ არის და სადაურია ჯემალი?

ბ) ვისთან ცხოვრობდა ის სოხუმში და რატომ?

გ) რატომ უნდოდა დეიდა ნინას ჯემალის ვიოლინოზე ტარება?

დ) რატომ გადაწყვიტა ბიჭმა ბეთჰოვენის დაკვრა?

ე) ვინ არის ტექსტის მთხრობელი? რატომ ფიქრობთ ასე?

4. ვინ არიან ჯემალი და იანგული ერთმანეთისთვის და რა ურთიერთობა აქვთ მათ ერთმანეთთან?

5. წაიკითხეთ მომდევნო ეპიზოდი და შეადარეთ თქვენს ვერსიებს.

ჯემალი და იანგული

მეცამეტე სკოლაში სიარული, რომელშიც დეიდაჩემმა მომაწყო, რკინიგზის ლიანდაგზე გავლით მიწევდა, ასე რომ, ჩემი და იანგულის ყოველდღიური შეხვედრა თითქმის გარდაუვალი შეიქმნა.

დაახლოებით ერთი თვე ყურადღებას არ მაქცევდა. ერთი კი იყო, როგორც კი თვალს მომკრავდა, იმავე წუთში, ჩემს დასანახავად, ვინმეს ან ქუდს ჩამოაფხატავდა თვალებზე, ან პანღურს ამოჰკრავდა, თან ირიბად გამომხედავდა.

მეც ისე ჩავუვლიდი, თითქოს საერთოდ არ მაინტერესებდა ისინი. ისე კი ერთი სული მქონდა, ბიჭებში გავრეულიყავი, მაგრამ ჯერ უბანში უცხო, უამხანაგო და უმეგობრო ვიყავი, გვერდით ჩემი უმცროსი დეიდაშვილის, კოკას გარდა არავინ მყავდა, ამიტომ მისვლას ვერ ვბედავდი. ვგრძნობდი, რომ <u>ჩვენი ურთიერთობა ერთ მშვენიერ დღესაც იფეთქებდა</u>.

..და ზუსტად ერთი თვის თავზე ეს დღეც დადგა.

6. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) სად და როდის ხვდებოდნენ ბიჭები ერთმანეთს?

ბ) რას აკეთებდა იანგული, როცა ჯემალს დაინახავდა ხოლმე? როგორ ფიქრობთ, რისი ხაზგასმა უნდოდა მას ამით?

გ) როგორ გესმით ხაზგასმული სიტყვები?

დ) თქვენი აზრით, რატომ ჰქონდა ჯემალს ასეთი მოლოდინი?

7. როგორ ფიქრობთ, რა მოხდება ჯემალსა და იანგულს შორის? ახსენით თქვენი პოზიცია, რატომ ფიქრობთ ასე.

1. დააკვირდით სურათს. რა მოხდა ჯემალისა და იანგულის ნაცნობობიდან ზუსტად ერთი თვის თავზე? უპასუხეთ სურათის მიხედვით.

2. დაუბრუნდით სურათს და მიუთითეთ, რომელია ჯემალი და რომელი - იანგული. ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) თქვენი აზრით, რით დაიწყო ყველაფერი? დაასახელეთ ჩხუბის საბაბი.

ბ) როგორ დასრულდა ჩხუბი?

3. წაიკითხეთ მომდევნო ეპიზოდი და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

პირველი ჩხუბი

რკინიგზის გადასასვლელთან იანგული და მისი დამქაშები პაჟარობანას თამაშობდნენ. გულმა მათკენ გამიწია. ბიჭებს რომ დავუახლოვდი, ფეხი ავითრიე, მერე განგებ გავჩერდი და დავიხარე, ვითომ ფეხსაცმლის თასმას ვისწორებდი.

- ეეე, სკრიპკა! - იანგულის ხმა ვიცანი. წელში გავიმართე და თვალებში შევხედე.
- რა გინდა? - ვკითხე.
- მოდი აქ! - მიმიხმო თითით.
- თუ საქმე გაქვს, თვითონ მოდი! - ვუთხარი. იანგულიმ გაკვირვებულმა გადახედა მასზე უფრო გაკვირვებულ ქვეშევრდომებს და ნელი ნაბიჯით წამოვიდა ჩემსკენ.
- შენ არ იცი, მე ვინა ვარ? - მკითხა ამაყად.
- ვიცი! - ვუპასუხე მე.
- მერე, რომ გეძახი, რატომ არ მოდიხარ?
- შენ ვინა ხარ, მე რომ მეძახი? - ვუთხარი აგდებით და ყოველი შემთხვევისათვის ვიოლინო მიწაზე დავდე. იანგულიმ ისევ გაკვირვებით გახედა თავის ბიჭებს.

- იანგული, ასწავლე, ვინცა ხარ! - დაუძახა ვიღაცამ წრიდან.
- მიდი, უთაქე, იანგული!
- ერთი შენებური სილა აჭამე (**1**)!
- ჯერ ვნახოთ, რა ბიჭიც არის! - თქვა იანგულიმ და ლოყაზე ხელი მომითათუნა.
- ნუ ბანაობ! - ვუთხარი და თავი გავწიე.
- უყურე შენ?! - გაუკვირდა იანგულის.
- მიყურე! - ვუპასუხე მე.
- პაპიროსი! - ხელი გამომიწოდა უცებ იანგულიმ.
- არ ვეწევი!
- ფული!
- არ მაქვს!
- ჯიბეები ამოიტრიალე!
- შენ თვითონ ამოიტრიალე!

ბიჭებში ჩურჩული ატყდა, იანგული დაიბნა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა (**2**) და ვიოლინოსკენ დაიხია.

- ხელი აიღე! - ვუთხარი მე და ვიოლინოსკენ წავიღე ხელი, მაგრამ იანგულიმ დამასწრო, ბუდე გახსნა, ვიოლინო ამოიღო, და გამომიწოდა:
- მიდი, დაუკარი, ბიჭები გამირთე!
- არ ვუკრავ!
- მაშ, რას დაათრევ, მუქთა ვირი ხარ?

არაფერი ვუპასუხე, ვიოლინოსაკენ გავწიე. იანგულიმ ვიოლინო ზურგს უკან დამალა.

- პეტია, ფემა, კურლიკ, პანჩო, გენა, სკრიპკას ხმა გაგიგონიათ როდესმე? - ჰკითხა ბიჭებს. ბიჭებმა კვიცებივით დაიჭიხვინეს (**3**).

-მარტო რადიოში! - თქვა პეტიამ და ისევ დაიჭიხვინა.

- მიდი, იანგული, გაგვაგონე!

იანგულიმ ვიოლინო მსუბუქად მოიქნია და ბრტყლად დამამხო თავზე. ბიჭები მიწაზე გაგორდნენ (**4**). გული გამიჩერდა, სისხლი თავში ამივარდა და ყურები დამიგუბდა. აღარაფერი მესმოდა, ვხედავდი მხოლოდ მიწაზე გაგორებულ ბიჭებს, წელში გაწყვეტილ ვიოლინოს (**5**) და იანგულის ოდნავ წინ გამოწეულ გამხდარ ყბას და უცებ, რაც ძალი და ღონე მქონდა, დავკარი ამ ყბას გაციებული მუშტი.

როდესაც კვლავ დამიბრუნდა სმენა და ცნობიერება, იანგული ქვაფნილზე იჯდა, გაკვირვებული მიმზერდა და ყბას მარჯვენა ხელით იზელდა. სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. მე უხმოდ შევტრიალდი და შინ წავედი...

ამ დღეს დასრულდა ჩემი მუსიკალური ოდისეა და დაიწყო ახალი ერა ჩემს ცხოვრებაში - ბრძოლა არსებობისათვის.

4. ყურადღება მიაქციეთ კონტექსტს და დააკავშირეთ ტექსტში ხაზგასმული ფრაზები მოცემულ განმარტებებთან. ჩაწერეთ შესაბამისი ციფრი.

ა) უხერხული მდგომარეობის არშემჩნევა _____

ბ) ახარხარება _____

გ) გაშლილი ხელის ყბაში შემოკვრა _____

დ) შუაზე გადამტყდარი _____

ე) სიცილისაგან მიწაზე გორაობა _____

1. დაუბრუნდით დიალოგს და ყურადღება მიაქციეთ შემდეგ დეტალებს.

პირველი დიალოგი

დიალოგის გამართვის დრო და ადგილი	რა ვითარებაში იმართება დიალოგი?
დიალოგში მონაწილე პირები	რა ვიცით დიალოგში მონაწილე პერსონაჟთა შესახებ?
წინმსწრები მოვლენები	რა მოვლენები უძღვის წინ ამ დიალოგს?
შემდგომი მოვლენების განვითარება	რა მოხდება შემდეგ? გვაძლევს თუ არა პირველი ჩხუბის ეპიზოდი საშუალებას, განვსაზღვროთ შემდგომი მოვლენები?

2. დაახასიათეთ პერსონაჟები დიალოგის მიხედვით. შეავსეთ ცხრილი და შეადარეთ ისინი ერთმანეთს. იმუშავეთ რვეულში.

	ჯემალი	**იანგული**
პერსონაჟთა ხასიათის რომელი თვისებები წარმოჩნდა ამ დიალოგში?		
მონაწილეთა როგორი განწყობილებები წარმოაჩინა ამ დიალოგმა ერთმანეთის მიმართ?		
როგორია დიალოგში მონაწილე პერსონაჟთა ლექსიკა?		

3. როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს გაგრძელდა ასეთი ურთიერთობა ჯემალსა და იანგულს შორის?

4. წაიკითხეთ დანართში (გვ. 305-308) ტექსტის გაგრძელება და უპასუხეთ შეკითხვებს.

I. რა მოხდა მეორე დღეს? რას ეხებოდა იანგულის მშვიდი და გულახდილი საუბარი ჯემალთან? რას ითხოვდა იანგული? ვინ იყო ამ ჩხუბის ინიციატორი? რამდენ ხანს გაგრძელდა ჩხუბი და ვისი გამარჯვებით დამთავრდა? ვინ ესწრებოდა ჩხუბს?

II. რა მოხდა მეორე ჩხუბიდან ორი დღის შემდეგ? ვინ იყო ამ ჩხუბის ინიციატორი? როგორ შეხვდა ჯემალის ამ ინიციატივას იანგული? როგორ განვითარდა მოვლენები? ვინ ესწრებოდა ჩხუბს? ვინ წააგო ამ დღის ჩხუბი და რატომ? შეაფასეთ იანგულისა და ჯემალის ქცევები.

III. რა მოხდა მეორე დღეს? სად და როდის გაიმართა მორიგი ჩხუბი და რამდენ ხანს გაგრძელდა ის? ვინ ესწრებოდა ამ ჩხუბს? ვისი გამარჯვებით დამთავრდა ჩხუბი? „ბრძოლის“ რა ფორმაზე შეთანხმდნენ ჯემალი და იანგული და რამდენ ხანს გაგრძელდა ეს?

IV. როგორ მოიქცა იანგული ჯემალის შეგინებაზე? რატომ არ უპასუხა მან გინებითვე? იანგულის რა თვისება ჩანს ამ ეპიზოდში? რატომ ეცა ელდა ჯემალს?

5. შეავსეთ სქემა იანგულის შესახებ ინფორმაციით და გააცანით ერთმანეთს. როგორ და რატომ შეიცვალა იანგული? დაასაბუთეთ თქვენი შეფასებები ტექსტის მიხედვით.

როგორია იანგული დასაწყისში?	→	როგორია იანგული ბოლო ინციდენტის დროს?
_____		_____
_____		_____
_____		_____
_____		_____
_____		_____
_____		_____
_____		_____

6. დააკვირდით სურათს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა ხდება სურათზე?

ბ) ვინ არიან სურათზე გამოსახული?

გ) საიდან ჩანს, რომ ეს იანგულია?

დ) როგორ ფიქრობთ, რა მოხდა და რატომ?

1. წაიკითხეთ ტექსტი ბოლომდე და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

სამშობლოში დაბრუნება

(შემოკლებით)

I. ერთ დღეს იანგულიმ რძე მოიტანა, მე ეზოში შევეგებე, რომ შევხედე, ძლივს ვიცანი, ისე ჰქონდა სახე შეშუპებული და თვალის უპეები ჩალურჯებული.

- რა მოგივიდა? თქვი, ვინ არის, თუ მარტო ვერ მოერიე, მე წამოგყვები! - ვუთხარი. იანგულიმ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

- არ გინდა, ვერ მოვერევით! - მწარედ გაიღიმა მან.

- ასეთი ვინ არის? - შევცბი.

- მამაჩემი! - თქვა იანგულიმ.

- მამაშენი? ასე როგორ გაგიმეტა? - ვკითხე გაკვირვებულმა და შეშუპებულ ლოყაზე ხელი დავადე.

- ჩემი ბრალია!

- რა დააშავე?

- სამ დღეში სოხუმში საბერძნეთიდან გემი ჩამოდის. ჩვენი თემის ბერძნები ელადაში ბრუნდებიან. მამაჩემიც... - იანგული გაჩუმდა.

- მერე? - ვკითხე მე.

- მერე არაფერი, მე არ მივყვები, არ მინდა წასვლა... მამა ამბობს, რომ იქ ჩვენი სამშობლოა, მშობლიური მიწა, დიდებული ელადა... მამა-პაპათა სისხლი გვეძახის და მოვალენი ვართ წავიდეთო...

- მერედა რატომ არ მიყვები? - გულწრფელად გამიკვირდა მე.

იანგული დიდხანს დუმდა თავჩაღუნული.

- როგორ აგიხსნა... - თქვა ბოლოს იანგულიმ. - მე დედაჩემი არ მახსოვს, მამა კი მთელი დღე ან ბოსტანშია, ან საშოვარზე. მე ვენეციის გზატკეცილზე გავიზარდე, ქუჩაში... ჩემი ელადა, ჩემი სამშობლო სოხუმია, ვენეციის გზატკეცილი, ჩალბაში, კოკა, პეტია, კურლიკა, ფემა... შავი ზღვა, ჩემი ვირი, რკინიგზის ხიდი... - იანგული ცოტათი შეყოვნდა. მერე ისევ განაგრძო: - მიდა... მიდა და შენც...
- სახელი „მიდა“ იანგულიმ პირველად ახსენა ჩემთან, მაგრამ არ მიკითხავს, მიდა ვინ არის-მეთქი, რადგან კოკასაგან ვიცოდი: მიდა აფხაზზე გათხოვილი ბერძენი ქალის შვილი იყო. მიდაზე ლამაზი გოგო სოხუმში არ დადიოდა და ეს გოგო იანგულის უყვარდა.

- გაიგე ახლა? - მკითხა იანგულიმ და თვალებში შემომხედა. მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ასეთი სიტყვები ჩემს სიცოცხლეში პირველად მესმოდა.

- კი მაგრამ ეგ რაღაა? - ვკითხე. მკერდზე ხალათი გადავუწიე და ლურჯად ამოსვირინგებული HELLADOS წავიკითხე ხმამაღლა.

- ეს ამოსვირინგებული სიტყვაა, ჯემალო. სამშობლო უფრო ღრმადაა. უფრო შიგნით... - თქვა და ხელი მკერდზე დაიდო. მე ყელში გაჩხერილი მუშტისოდენა ბურთი გადავყლაპე და ვიდრე რამეს ვუპასუხებდი, იანგულიმ ვირს ხელი მოჰკიდა, აღვირი მოქაჩა და ეზოდან გავიდა.

II. მესამე დღეს, სისხამ დილით, იანგულიმ ჩვენთან ვირი მოიყვანა.

- მამამ ყველაფერი გაყიდა: ძროხა, სახლი, კარი. ვირს არავინ არ ყიდულობს... ქუჩაში ხომ არ დავტოვებ, ან ვის დავუტოვო, ბერძნები ყველა მივდივართ... ძალიან ადვილი მოსავლელია, ერთი მუჭა ბალახი

ჰყოფნის... ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, თან ვირს ყელზე უსვამდა ხელს და ცრემლებს ყლაპავდა.

- მიდიხარ?_

- მივდივარ. ხომ დაიტოვებ?_

- დავიტოვებ!...

- წავედი ახლა, გემი საღამოს გადის!_

- წადი, იანგული._

- მშვიდობით, ჯემალო!_

- პორტში მოვალ, იანგული!_

იანგული გადამეხვია, დიდხანს ვყავდი გულში ჩაკრული. მერე უცებ ხელი გამიშვა და გაიქცა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. გაიქცა უკანმოუხედავად, ისე, თითქოს რაღაც საშინელსა და შემზარავს გაურბოდა.

III. საღამოს მთელი სოხუმი პორტში იყო გამოსული._

იყო ბევრი ყვავილები, ორკესტრიც, ტაშ-ფანდურიც, ცხვირსახოცების ფრიალიც, მადლობა, ნახვამდის, მშვიდობით, მაგრამ ყველაფერზე მეტი მაინც ცრემლი იყო. სოხუმის მოქალაქენი თავისი სხეულის ნაწილს, თავის სისხლს და ხორცს - ბერძნებს აცილებდნენ. ბერძნები უკვე ასულიყვნენ გემზე. ღრუბელივით თეთრ და ქათქათა „პოსეიდონზე“ და იქიდან გვიყვიროდნენ ხელების ქნევით რაღაცას, ზოგს ბერძნულად, ზოგს რუსულად, ზოგს აფხაზურად, ზოგს სომხურად, ზოგს ქართულად...

უცებ თვალი მოვკარი. მას კვლავ შავი სატინის ხალათი ეცვა. მკერდზე გაღეღილი. იანგული მამამისის წინ იდგა და მომეჩვენა, რომ მამამისს ხელით ეჭირა._

- იანგული! - იანგული! - ვიკივლე მე და ხელების ქნევა დავიწყე. იგი დიდხანს, დიდხანს დამეძებდა ბრბოში, ბოლოს ეტყობა ხმით მომაგნო და რომ დამინახა, ორივე ხელი მაღლა აღმართა._

- იანგული, იანგული, მშვიდობით!_

- ჯემალო, ეღო აღაპო ი მანა სუ!_

ჯემალო, მე მიყვარს დედაშენი! - მეძახდა იგი ბერძნულად და მე კვლავ მომეჩვენა, რომ იგი მღეროდა, მე ვერ გავუძელი მის ხმასა და ცქერას, გემს ზურგი შევაქციე და ატირებული შინ წამოვედი.

IV. მესამე დღეს, მდინარე კელასურის შესართავთან, ზღვამ ახალგაზრდა ბიჭის სხეული გამორიყა. უფრო სწორად, იგი სტარავერმა მებადურებმა გამოიტანეს და როდესაც სილაზე დაასვენეს, იქვე მობანავე ბიჭებს დაგვიძახეს გვამის ამოსაცნობად. ბიჭს სახე წაშლილი ჰქონდა. ვერავინ ვერ იცნო იგი. მხოლოდ მე, მე ვიცანი, როდესაც თავზარდაცემულმა მის გაშლილ მკერდზე ლურჯად ამოსვირინგებული HELLADOS წავიკითხე. უკანმოუხედავად და სულმოუთქმელად გავირბინე პლაჟი, სანაპირო, რკინიგზის ლიანდაგი, ვენეციის გზატკეცილი და შეშლილივით შევვარდი სახლში...

- რა მოგივიდა, ბიჭო? - მკითხა გულამოვარდნილს შეშინებულმა დეიდაჩემმა._

- დეიდა ნინა... იანგული დაბრუნდა... - ვუთხარი მე. მერე დავიჩოქე მის წინ, კალთაში თავი ჩავუდე და მწარედ ავტირდი.

2. შეასრულეთ მასწავლებლის მითითებები.

1. გაეცანით წერილს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ლორდი ჩესტერფილდი

(1694-1773)

ინგლისელი დიპლომატი, ორატორი, პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი და მწერალი.

ჩემო კარგო ბიჭო,

1. ყოველ კაცს დიახაც უნდა შესწევდეს იმის უნარი, სხვებს მოაწონოს თავი, მაგრამ ამ უნარის შეძენა არც ისე იოლი საქმეა. არა მგონია, საამისოდ გარკვეული წეს-კანონები არსებობდეს, ასე რომ საკუთარი ჭკუა და დაკვირვება უფრო მეტს გიკარნახებს, ვინემ ჩემი რჩევა და დარიგება.

2. მოექეც სხვებს ისე, როგორც შენ თვითონ გინდა მოგექცნენ, იმაზე უტყუარი ხერხი მე სხვა არც მეგულება. კარგად დაუკვირდი, სხვებში რა მოგწონს და ადვილი შესაძლებელია, შენშიაც იგივე მოეწონოს სხვებს. ნუ შეეცდები საკუთარი მოახვიო თავს. არ უნდა შეაწყინო ხალხს თავი რაიმე ამბის მოყოლით. შენ თუ გულითა და სულით მოწადინებული ხარ მეგობრობა და კეთილგანწყობა მოიპოვო ამა თუ იმ ხალხისა, შეეცადე გამოიცნო, რა არის ყველაზე დიდი ღირსება ან ყველაზე სუსტი მხარე მათი ხასიათისა.

3. შენ სულ ადვილად შეგიძლია გამოიცნო, ყოველ კაცს პატივმოყვარეობის რა ჭია ღრღნის, უკეთუ მიაქცევ ყურადღებას, რაზე უფრო უყვარს ლაპარაკი. თავშიც არ გაივლო, ვისიმე ბიწიერება ან ბოროტი საქმენი შეაქო. მაგრამ ამ ქვეყნად კაცი ვერ იცხოვრებს, თუ გულმოწყალებას არ გამოიჩენს სხვებისს პატარა ცოდვებისა და სინამდვილეში უწყინარ, თუმცა ხანდახან სასაცილო პატივმოყვარეობის მიმართ. პატარა ყურადღება სხვა უფრო დიდ სამსახურზე მეტად აამებს ხოლმე ადამიანის თავმოყვარეობას.

4. აი, პატარა საიდუმლოებანი, რაც უთუოდ უნდა იცოდეს მაღალ საზოგადოებაში მოხვედრილმა კაცმა. ნეტამც შენს ასაკში უკეთ მცოდნოდა ეს ამბები, მაშინ ჩემი ცხოვრების ორმოცდაცამეტ წელს აღარ შევალევდი ამ ცოდნის შეძენას, ამიტომაც წინააღმდეგი არ ვიქნები, თუ ჩემი არც ისე მცირე გამოცდილებით ახლავე ისარგებლებ და შენდა სასიკეთოდ მოიხმარ მას.

მშვიდობით!..

გრაფი ჩესტერფილდი

2. დაუბრუნდი გრაფი ჩესტერფილდის წერილს და შეასრულე მოცემული დავალებები.

I. უპასუხეთ შეკითხვებს წერილის მიხედვით.

ა) რა უნდა შეძლოს ყველა ადამიანმა?

ბ) რა არის რჩევა-დარიგებაზე უფრო მნიშვნელოვანი ადამიანისათვის?

გ) როგორ უნდა მოექცეს ადამიანი სხვას?

დ) ყველაზე მეტად რა სიამოვნებს ადამიანს?

ე) რამდენი წლის იყო გრაფი ჩესტერფილდი, როცა ამ წერილს წერდა?

II. მოძებნეთ წერილში და წაიკითხეთ, რა „საიდუმლოებებს“ უმხელს მამა შვილს.

ა) რას ნანობს გრაფი ჩესტერფილდი წერილში? საიდან ჩანს ეს?

ბ) როგორ ფიქრობთ, აიძულებს თუ არა მამა შვილს, ისე მოიქცეს, როგორც მას სურს? საიდან ჩანს?

გ) რა არის გრაფი ჩესტერფილდისთვის მიუღებელი?

დ) რას ითხოვენ, მისი აზრით, ადამიანები?

ე) ეთანხმებით თუ არა გრაფს? დააკონკრეტეთ, რაში ეთანხმებით მას და რაში - არა.

ვ) ამოწერეთ რვეულში 3 მნიშვნელოვანი დარიგება, რომელსაც ის აძლევს შვილს და ისწავლეთ ზეპირად.

3. გაეცანით მიხეილ ჯავახიშვილის წერილს და შეასრულეთ მასწავლებლის მითითებები.

„ჩვენი დროის ათი მცნება“

(წერილი ქალიშვილს, ქეთევან ჯავახიშვილს)

1. შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი.
2. შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი - შენი პირადი მეგობარი.
3. ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი.
4. მიეცი მას წრფელის გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს.
5. მაინც მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე. ისე იცხოვრე, თითქოს ამქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი.
6. განაგე თავი შენი და დაუმორჩილე გონებას ჟინი, კერპი გული და ურჩი სურვილები.
7. გზის გაკვლევა და გამარჯვება, შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით. ზარმაცობა, ცუღლუტობა, სიცრუე და სიყალბე, ადამიანს ადრე თუ გვიან უეჭველად დაღუპავენ.
8. სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს ყველაფერი დაუჯერე. იმათ შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ. ჯერჯერობით საკუთარ ჭკუას, ჟინს და გულის ზრახვას ნუ აჰყვები.
9. თავმოყვარეობა შეიძინე და შენი თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადააჭარბებ, არ გაამაყდე.
10. ბოლოს და ბოლოს, ყოველივეს სჯობია სამი რამ: პირველი - შრომა, მეორე - შრომა და მესამე - ისევ შრომა.

ზემონათქვამი დაიხსომე და შეითვისე.

შენი მოსიყვარულე მამა,

მიხეილ ჯავახიშვილი

19. 12. 1924

1. რა იცით ჩარლი ჩაპლინის შესახებ? თქვენი აზრით, როგორი იყო მისი ცხოვრება კადრს მიღმა? ჰგავს თუ არა ჩარლი ჩაპლინი თავის კინოგმირს? რატომ ფიქრობთ ასე?

2. წაიკითხეთ და დაასრულეთ ფრაზები მოცემული ვარიანტებიდან.

I. ეგ ცეკვა და ტაშის გრიალი დროდადრო ცაში აგტყორცნის. გაფრინდი, გაფრინდი იქით... მაგრამ

ა) შორსაც ნუ გაფრინდები! ბ) ხანდახან მიწაზეც დაეშვი! გ) უკან მოხედვა არ დაგავიწყდეს!

II. ხალხს დააკვირდი! ქვრივ-ობლებს შეხედე! და თუნდაც დღეში ერთხელ მაინც შენს თავს უთხარი:

ა) მე ყველაზე უკეთესი ვარ! ბ) მე ამათზე უარესი ვარ! გ) მეც ერთ-ერთი ამათგანი ვარ!

III. ნუ გაყიდი შენს გულს ოქროსა და სამკაულისათვის. იცოდე, ყველაზე დიდი ბრილიანტი მზეა, ის კი, ჩვენდა საბედნიეროდ,

ა) ყველას ერთნაირად დაგვნათის ბ) ყველას ეკუთვნის გ) არასდროს ქრება

3. წაიკითხეთ ნაწყვეტები მისი წერილიდან და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები. თავიდან უპასუხეთ პირველი დავალების შეკითხვებს.

„ჩემო გოგონა,

ახლა ღამეა. შობა ღამე. შენ ისე შორს ხარ ჩემგან... მაგრამ ახლაც, ამ წუთს, შენს სურათს ვუმზერ. ის აქ არის, მაგიდაზე, ჩემს გულთან ახლოს. შენ კი სადა ხარ? შორს, ზღაპრულ პარიზში. ელისეს მინდვრების თეატრში. დიდებულ სცენაზე ცეკვავ... იყავი მზეთუნახავი და იცეკვე. იყავი ვარსკვლავი და იკაშკაშე. მაგრამ თუკი მაყურებლის მადლობამ და აღტაცებამ დაგათროს, თუ მორთმეული ყვავილების სურნელებამ თავბრუ დაგასხას, განმარტოვდი სადმე კუთხეში და ჩემი წერილი წაიკითხე, ყური მიუგდე მამაშენის ხმას. მე მამაშენი ვარ ჯერალდინა! მე ჩარლი ჩაპლინი ვარ, ჩარლი ჩაპლინი! ...

იცი, რამდენჯერ დამთენებია შენს სასთუმალთან? სულ პაწიას ზღაპრებს გიყვებოდი - ხან მძინარე მზეთუნახავისას, ხან ბოროტი გველეშაპისას!... მე ვხედავდი შენს ოცნებებს, ჯერალდინა. ვხედავდი შენს მომავალს, შენს დღევანდელ დღეს! ... მესმოდა, როგორ ლაპარაკობდნენ ხალხში: „ხედავთ ამ გოგონას? ერთი ბებერი კლოუნის ქალიშვილია, არ გახსოვთ ჩარლის რომ ეძახდნენ?“ ჰო, მე ჩარლი ვარ! ბებერი მასხარა. დღეს შენი ჯერია.

იცეკვე! მე ფართხუნა, დაკონკილი შარვლით ვცეკვავდი, შენ პრინცესას აბრეშუმის სამოსი გმოსავს. ეგ ცეკვა და ტაშის გრიალი დროდადრო ცაში აგტყორცნის. გაფრინდი, გაფრინდი იქით... მაგრამ ხანდახან მიწაზეც დაეშვი! შენ უნდა ნახო ხალხის ცხოვრება - ცხოვრება იმ ქუჩის

მოცეკვავეებისა, შიმშილისაგან დაოსებულნი, სიცივითა და სიღატაკით ათრთოლებულნი რომ როკავენ! მათი ხვედრი მეც მიწვნევია, ჯერალდინა.

შენ არ მიცნობ მე ჯერალდინა... იმ შორეულ ღამეებში უამრავ ზღაპარს გიყვებოდი, მაგრამ ჩემი ზღაპარი არასოდეს მიამბია... ისიც ძალიან საინტერესო ზღაპარია, ჯერალდინა. ზღაპარი მშიერი მასხარისა, ლონდონის ღატაკთა კვარტლებში რომ მღეროდა და ცეკვავდა, მერე კი... მოწყალებას აგროვებდა! აი, ჩემი ზღაპარი! მე ვიცი, რა არის შიმშილი, ვიცი, რას ნიშნავს უსახლკარობა! ეგ კიდევ რაა, მე გამოვცადე დამამცირებელი ტკივილი მოხეტიალე მასხარისა...

შენ ჩემი გვარისა ხარ – ჩაპლინი! ლამის ნახევარი საუკუნე ეს გვარი მთელს დედამიწას აცინებდა. მაგრამ ის სიცილი რაა იმასთან, რაც მე მიტირია, ჯერალდინა. სამყარო, სადაც შენ ცხოვრობ, მარტო ცეკვისა და მუსიკის საუფლო როდია!... ჯერალდინა! შუაღამისას იმ დიდებული დარბაზიდან რომ გამოხვალ, დაივიწყე შენი მდიდარი თაყვანისმცემლები, მაგრამ არ დაგავიწყდეს ტაქსის მძღოლს ცოლის ამბავი გამოჰკითხო. შეიძლება ცოლი ფეხმძიმედ ჰყავს და იმის ფულიც არა აქვთ, რომ თავიანთი პირმშოსათვის სახვევები იყიდონ. თუ ასეა, ადექი და ჩაუდე ფული ჯიბეში... დროდადრო მეტროში ჩადი. ქალაქი დაათვალიერე, იარე ფეხით ან ავტობუსით. ხალხს დააკვირდი! ქვრივ-ობლებს შეხედე! და თუნდაც დღეში ერთხელ მაინც შენს თავს უთხარი: „მეც ერთ-ერთი ამათთაგანი ვარ!“ დიახ, შენ ერთ-ერთი იმათგანი ხარ, ჩემო გოგონა...

როცა დადგება წამი და იგრძნობ, როგორ მაღლდები მაყურებელზე, მაშინვე გადი სცენიდან. პირველივე ტაქსი დაიჭირე და პარიზის გარეუბნებს მიაშურე. მე კარგად ვიცნობ ამ უბნებს. იქ იხილავ მოცეკვავე ქალიშვილებს - შენსავე მსგავსთ, შენზე უფრო გრაციოზულებს, შენზე ამაყებს. მათი სცენის პროჟექტორი მთვარეა. აბა, კარგად დააკვირდი: შენზე უკეთ ხომ არ ცეკვავენ? გამოტყდი, ჩემო გოგონა. ცოტას როდი შეხვდები ისეთს, ვინც შენზე უკეთ ცეკვავს, ვინც შენზე კარგად თამაშობს. და ეს გახსოვდეს: ჩარლის ოჯახში არასოდეს ყოფილა ვინმე ისეთი ხეპრე, რომ მეეტლისათვის უკმეხი სიტყვა ეთქვას ან სენის სანაპიროზე მჯდარი მათხოვრისთვის დაეცინოს...

ჩარლი წავა, ჯერალდინა და შენ იცოცხლებ... მე არ მინდა, ოდესმე სიღატაკე გამოსცადო. ამ წერილთან ერთად გიგზავნი ჩეკის წიგნაკს – ხარჯე, რამდენსაც მოისურვებ, ოღონდ გახსოვდეს: ორ ფრანკს რომ დახარჯავ, შენს თავს უთხარი, მესამე მონეტა ჩემი არ არის-თქო. იგი ეკუთვნის ვინმე

სხვას, უცნობს, ვისაც ის ერთი ფრანკიც სანატრელი აქვს. მისი პოვნა არ გაგიჭირდება. საკმარისია მოინდომო და ამ უცნობ ღატაკებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახავ. ფულზე იმიტომ გელაპარაკები, რომ კარგად ვიცი ამ დემონის მაცდური ძალა...

ადამიანს ძირს, მყარ მიწაზე უფრო ადვილად შეიძლება დაუცდეს ფეხი, ვიდრე ჯამბაზს იმ ვერაგ თოკზე... ნუ გაყიდი შენს გულს ოქროსა და სამკაულისათვის. იცოდე, ყველაზე დიდი ბრილიანტი მზეა, ის კი, ჩვენდა საბედნიეროდ, ყველას ერთნაირად დაგვნათის...

მე ვიცი, მამებსა და შვილებს ნიადაგ ბრძოლა აქვთ ერთმანეთში. მეომე ჩემო გოგონა, ჩემს აზრებს ეომე. მე არ მიყვარს მორჩილი შვილები. და ვიდრე ამ ბარათს ჩემი ცრემლი არ დასდენია, მინდა მჯეროდეს, რომ ეს შობაღამე სასწაულების ღამეა. მინდა მოხდეს სასწაული და შენ მართლა გაიგო ყველაფერი, ყველაფერი, რაც შენთვის მინდოდა მეთქვა.

ჩარლი დაბერდა, ჯერალდინა! ადრე თუ გვიან თეთრი სასცენო კაბის მაგიერ შავებში უნდა გამოეწყო და ჩემს საფლავზე მოხვიდე. ახლა არ მინდა გული გატკინო, მაგრამ ხანდახან სარკეში ჩაიხედე - იქ მე დამინახავ. შენს ძარღვებში ჩემი სისხლი ჩქეფს. მე მინდა, რომ მაშინაც კი, როცა ჩემს ძარღვებში სისხლი დინებას შეწყვეტს, არ დაივიწყო მამაშენი ჩარლი. მე ანგელოზი არ ვყოფილვარ, მაგრამ მუდამ ვცდილობდი, ადამიანი ვყოფილიყავი. ეცადე შენც. გკოცნი, ჯერალდინა!

შენი ჩარლი“

1. მოძებნეთ მსგავსება და განსხვავება ჩარლი ჩაპლინისა და ჯერალდინა ჩაპლინის ცხოვრებებს შორის და ამოწერეთ.

მსგავსება	განსხვავება

2. დაუბრუნდით წერილს და გამოხატეთ თქვენი შთაბეჭდილებები.

ა) რა იყო ჩარლი ჩაპლინის წერილში თქვენთვის ყველაზე ამაღელვებელი და ემოციური და რატომ?

ბ) რომელი დარიგებები იყო თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და რატომ?

3. შეადარეთ სამივე წერილი ერთმანეთს მასწავლებლის მითითებებით.

სიტყვის ძალა

4. წაიკითხეთ განმარტებები და დააკავშირეთ მოცემულ სიტყვებთან.

ა) თავაზიანი დამოკიდებულება სხვის მიმართ

ბ) სხვისთვის კარგის გაკეთება

გ) სხვაზე ზრუნვა, პატრონობა

დ) სხვისი დარდის, მწუხარების გაზიარება

სიკეთე	თანაგრძნობა
სიყვარული	მეგობრობა
პატივისცემა	მზრუნველობა
ერთგულება	თავდადება

5. თქვენი აზრით, წინა დავალებაში მოცემული სიტყვებიდან რისი გამოხატვა შეუძლია მხოლოდ ადამიანს, მხოლოდ ცხოველს და ორივეს? იმუშავეთ მეწყვილეებთან ერთად. დაასაბუთეთ თქვენი აზრი კონკრეტული მაგალითით.

6. დააკავშირეთ რეპლიკები ფოტოებთან.

ა) - ნელა ჭამე, არავინ მოგდევს!

ბ) - ხომ გითხარი, ეზოში ითამაშე-მეთქი!

გ) - კარგი, გეყოფა, არ გააღვიძო!

დ) - ხომ არ დაიღლება, ჯერ მთლად პატარაა!





7. გამოიყენეთ პირველი დავალება და თქვით, რას გამოხატავენ ცხოველები ამ ფოტოებზე.

8. დაუბრუნდით ფოტოებს და დაასათაურეთ. შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.

1. წაიკითხე ტექსტები და თავიდან უპასუხეთ წინა გვერდზე მოცემულ მეორე დავალებას.

მიიჩნევა, რომ ჯოგში მყოფი სპილოების ერთიანობა შიმპანზეების დონეს უახლოვდება ან მათი თანასწორია. სპილოების გაერთიანება ერთ-ერთი ყველაზე მჭიდრო ურთიერთობაა ცხოველთა სამყაროში.

„შიმპანზეებს სათქმელი ბევრი რამ აქვთ, მაგრამ ვერ ამბობენ," - ამბობს დოქტორი ჰაუბერი.

მაიმუნები ისევე ამჟღავნებენ სიკეთესა და თანაგრძნობას, როგორც ადამიანები. მათაც სიამოვნებთ ერთმანეთის მოვლა, თამაში, გართობა. ისინი სიყვარულს ჩახუტებითა და კოცნით გამოხატავენ. ერთმანეთთან კი ჟესტებითა და სახის მიმიკით „საუბრობენ".



„ცნობილია მხოლოდ 3 ცხოველი – სპილო, ადამიანი და ნეანდერტალელი – რომელთა ცხოვრებაშიც სიკვდილის რიტუალებია დაფიქსირებული. თუკი სპილო ავად ხდება, ჯოგის წევრებს გარკვეული დროით მისთვის საკვები და წყალი მიაქვთ. ხოლო როცა დადგინდება, რომ ის უკვე ცოცხალი აღარაა, ჯოგში სიჩუმე ისადგურებს. ხანდახან ისინი ერთგვარ საფლავსაც კი თხრიან და გვამს მიწითა და ტოტებით ფარავენ, შემდეგ კი რამდენიმე დღის განმავლობაში ყარაულობენ. თუკი რომელიმე სპილოს მკვდართან წარსულში ახლო ურთიერთობა ჰქონდა, დეპრესიის ნიშნებს ავლენს. ისეთი ჯოგებიც კი, რომელთაც არანაირი შეხება არ ჰქონიათ მკვდარ სპილოსთან, პატივისცემას იჩენენ მის საფლავთან ჩავლისას. უფრო მეტიც, არსებობს ცნობები, რომ სპილოებს უპოვიათ გარდაცვლილი ადამიანები და იმავე წესით დაუმარხავთ".

http://icode.ge/2012/03/31/სპილოები

2. მოიძიეთ მსგავსი ინფორმაციები ცხოველების შესახებ და გააცანით ერთმანეთს.

3. თქვენი აზრით, რა არის ყველაზე ტკბილი და ყველაზე მწარე? როგორ გესმის: «ენით დაკოდილი»?

4. გაიაზრეთ სათაურები. როგორ ფიქრობთ, რის შესახებ იქნება ეს იგავ-არაკები? წაიკითხეთ და შეამოწმეთ თქვენი ვარაუდები. უპასუხეთ შეკითხვებს.

უტკბესი და უმწარესი

(სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით)

ერთხელ ერთმა მეფემ უბრძანა თავის ვეზირს: წადი და ისეთი საჭმელი მომიტანე, დედამიწის ზურგზე მასზე უტკბესი არაფერი იყოსო!

წავიდა ვეზირი, იყიდა ენა, მოიტანა, შეწვა და მეფეს მიართვა. მეფეს ძალიან მოეწონა. ცოტა ხანში კვლავ იხმო მეფემ ვეზირი და უბრძანა: წადი და ახლა ისეთი რამ მომიტანე, ქვეყანაზე მასზე უმწარესი არაფერი იშოვებოდესო!

წავიდა ვეზირი, ისევ ენა უყიდა და მიართვა.

გაკვირვებულმა მეფემ ვეზირს მიმართა: ტკბილი ვითხოვე, ენა მომიტანე, მწარე ვითხოვე და ისევ ენა მომართვიო?

ვეზირმა მოახსენა: ამქვეყნად ენაზე ტკბილი და ენაზე მწარე არაფერი არისო.

ენით დაკოდილი

(სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით)

I. ერთი კაცი და დათვი დაძმობილდნენ. ერთხელაც მიიწვია კაცმა დათვი და მოალხენინა. გამოთხოვებისას კაცმა აკოცა ძმობილს და ცოლს უთხრა, ახლა შენ აკოცეო.

ქალს დათვის სიმყრალე ეცა, გადააფურთხა და თქვა: - პირმყრალ სტუმარს ვერ ვეწყობიო!

II. დათვი წავიდა. გავიდა დრო. ახლა დათვმა დაპატიჟა სახლში კაცი. კაცი ეწვია დათვს და თან ცული წაიღო, გზად ხეს მოვჭრი და წამოვიღებო.

დათვმა კარგად მიიღო სტუმარი. დამშვიდობებისას დათვმა დაიჟინა: - თავზე ერთი ცული დამკარო!

კაცი უარზე იყო. დათვი არ მოეშვა კაცს. ბოლოს, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, კაცმა დაჰკრა დათვს ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში წავიდა და კაცი შინ წამოვიდა.

III. ერთი თვის შემდეგ ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. დათვს თავი გამთელებოდა. დათვმა კაცს თავი აჩვენა და უთხრა: - ხედავ, ძმობილო, შენი ცულით გაპობილი თავი გამიმთელდა, მაგრამ შენი ცოლის ენით გაპობილი გული კი - არაო.

ა) რა მიუტანა ორივე შემთხვევაში ვეზირმა მეფეს, პირველი იგავის მიხედვით? ეთანხმებით თუ არა მის განმარტებას და რატომ?

ბ) რა გააკეთა ქალმა გამომშვიდობებისას, მეორე იგავის მიხედვით? შეაფასეთ ქალის საქციელი და განმარტეთ, რა შედეგი მოჰყვა მას.

გ) თქვენი აზრით, რისი თქმა უნდოდა დათვს თავისი დაჟინებული თხოვნით?

დ) ამართლებთ თუ არა კაცის საქციელს? რატომ ფიქრობთ ასე?

1. შეავსეთ ცხრილი.

	უტკბესი და უმწარესი	ენით დაკოდილი
ვინ არის ავტორი?		
ვინ არიან პერსონაჟები?		
ამოწერეთ მთავარი სათქმელი.		

2. თავიდან წაიკითხეთ იგავ-არაკი «ენით დაკოდილი» და ჩაწერეთ.

<u>სად ხდება:</u>

პირველ ეპიზოდში განვითარებული ამბავი? _____

მეორე ეპიზოდში განვითარებული ამბავი? _____

მესამე ეპიზოდში განვითარებული ამბავი? _____

3. დაასათაურეთ ეპიზოდები, შეადარეთ თქვენი ვარიანტები ერთმანეთს და შეარჩიეთ საუკეთესო.

4. შეადარეთ ეს იგავ-არაკები ერთმანეთს.

5. წაიკითხეთ რუსთველის აფორიზმები და დააკავშირეთ ისინი იგავ-არაკებთან. რა არის ამ იგავ-არაკების მთავარი სათქმელი? რომელ წინადადებებშია ეს სათქმელი გადმოცემული?

„ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“.

„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“.

რუსთაველი

6. დაადასტურეთ ან უარყავით მოცემული დებულებები სათანადო არგუმენტებითა და პირადი მაგალითებით.

ა) სიტყვას დიდი ძალა აქვს.

ბ) ცხოველებს ადამიანებთან მეგობრობა არ შეუძლიათ.

ადამიანი და ბუნება

„საკუთარი სიცოცხლის შემოკლება“

„გოგონა მაუგლი“ - ტიპი დეგრე

წითელი წიგნი



დაცული ტერიტორიები

ვაჟა და ფიროსმანი

„შვლის ნუკრის ნაამბობი“

ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- ილუსტრაციების „წაკითხვა“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვა;
- საინფორმაციო და შემეცნებითი ხასიათის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გააზრება; ტექსტების / ცალკეული ინფორმაციების შედარების საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გაკეთება;
- ეკოლოგიურ საფრთხეებთან დაკავშირებულ პრობლემებზე მსჯელობა და სათანადო პოზიციის გამოხატვა;
- ტექსტის მთავარი სათქმელის გაგება/გააზრება;
- კვლევის შედეგების შედარება/გააზრება;
- მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების გაგება/გააზრება;
- კონტექსტის მიხედვით ფრაზული გამოთქმების მნიშვნელობათა გააზრება და საკუთარი სიტყვებით განმარტება.

1. რას ნიშნავს სიტყვა „ბუნება“? განმარტეთ და მიუთითეთ, თქვენი აზრით, რა მნიშვნელობებით იხმარება ის ენაში. დაასაბუთეთ თქვენი პოზიციები კონკრეტული მაგალითებით.

ა) იხმარება მხოლოდ ერთი მნიშვნელობით;

ბ) იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით.

2. წაიკითხეთ განმარტებები და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები. დააკავშირეთ ისინი მოცემულ წინადადებებთან. ჩაწერეთ შესაბამისი განმარტების ნომერი.

„ბუნება“ არის:

I. რეალურად არსებული სამყარო (დედამიწა, ჰაერი, წყალი, ცის სხეულები, მცენარეები, ცხოველები);

II. რისამე არსი, ძირითადი თვისება; ხასიათი, ზნე.

ა) „ო, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!“ _____

ბ) გიორგი სულ სხვა ბუნების ადამიანია. _____

გ) ბუნებით მშვიდი იყო, მაგრამ ზოგჯერ გაფიცხებაც იცოდა. _____

დ) დაბნელდა. ბუნება დასაძინებლად მოემზადა. _____

ე) არაჩვეულებრივი ბუნება იყო, მსგავსი სილამაზე არსად მინახავს! _____

ვ) დიდი კატები ველური ბუნების „შვილები“ არიან. _____

ზ) „ადრე ბუნება ემუქრებოდა ადამიანს, ახლა ადამიანი ემუქრება ბუნებას!“ _____

3. წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

ა) მოძებნეთ ტექსტში მცდარი ინფორმაცია და გაასწორეთ.

მეცნიერები დამაიმედებელ განცხადებებს აკეთებენ: მსოფლიოს ყველაზე ცხელი წერტილებიდან თანდათან ქრებიან მცენარეთა და ცხოველთა გარკვეული სახეობები. თუ ასე გაგრძელდა, სავარაუდოდ, 10 წელიწადში საერთოდ გაქრება ქვეწარმავლებისა და მწერების ყველა სახეობა.

გასულ საუკუნეში მკვეთრად შემცირდა ლომების, ლეოპარდების, ავაზებისა და, განსაკუთრებით, ვეფხვების რაოდენობა. ორი ათწლეულის შემდეგ შეიძლება კვლავ გაიზარდოს დიდი კატების უმეტესობის რიცხვი.

მცდარია:	უნდა იყოს:

ბ) <u>წაიკითხეთ და შეამოწმეთ თქვენი ნაწერები</u> (იხ. დანართი, გვ. 311).

გ) <u>დაასაბუთეთ მოცემული ინფორმაცია ტექსტის მიხედვით.</u>

<u>საიდან ჩანს, რომ:</u>

- პრობლემა სერიოზულია?
- პრობლემა მასობრივ ხასიათს ატარებს?
- მთელს მსოფლიოს ეხება?

4. იმსჯელეთ მოცემულ შეკითხვებზე. დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია, რატომ ფიქრობთ ასე.

ა) რა გავლენას ახდენს ბუნებაზე ადამიანი და რაში გამოიხატება ეს?

ბ) რას გულისხმობს ფრანგი მეცნიერ-მკვლევარი კუსტო თავის სიტყვებში: „ადრე ბუნება ემუქრებოდა ადამიანს, ახლა ადამიანი ემუქრება ბუნებას“?

გ) დგას თუ არა რეალური საფრთხის წინაშე ჩვენი პლანეტის ფლორა და ფაუნა?

დ) როგორ ფიქრობთ, ემუქრება თუ არა დედამიწაზე ცოცხალ ორგანიზმებს გაქრობა?

ე) კონკრეტულად რას ემუქრება გაქრობა, თქვენი აზრით - დიდ ცხოველებს, პატარა ცხოველებს, მწერებს, ქვეწარმავლებს, იშვიათ მცენარეებს?

ვ) რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ დედამიწაზე ბიომრავალფეროვნება შევინარჩუნოთ?

ზ) ვინ არის ვალდებული, იზრუნოს ბუნების დაცვასა და შენარჩუნებაზე?

5. წაიკითხეთ ტექსტი და თავიდან უპასუხეთ წინა დავალებაში მოცემულ შეკითხვებს.

ადამიანთა საქმიანობა უფრო და უფრო მეტად ახდენს უარყოფით გავლენას ბუნებაზე, რაც გამოიხატება გარემოს დაბინძურებაში, ტყეების ჩეხვაში, ბრაკონიერობასა და სხვა ვანდალურ საქმიანობაში. სწორედ ბუნებასთან ადამიანების არასწორმა ურთიერთობებმა დააყენა მცენარეთა და ცხოველთა გარკვეული სახეობები გადაშენების საფრთხის წინაშე.

ბიოლოგები მთელი მსოფლიოდან იუწყებიან, რომ სულ მალე გაქრება ცოცხალი ორგანიზმების ათასზე მეტი სახეობა, მათ შორის, მცენარეებიც, მწერებიც, ქვეწარმავლებიცა და დიდი მტაცებელი ცხოველებიც.

ბუნების დაცვის მსოფლიო ორგანიზაციებთან ერთად ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია, იზრუნოს ბუნების დაცვასა და ეკოსისტემის შენარჩუნებაზე.

1. დააკვირდით ფოტოებს და შეადარეთ ერთმანეთს.

ა) რა არის ფოტოებზე გამოსახული?

ბ) რა განსხვავებაა მთ შორის?

გ) რის შესახებ იძლევა ინფორმაციას მეორე, მესამე და მეექვსე ფოტოები?



2. წაიკითხეთ სათაური. თქვენი აზრით, რის შესახებ არის ტექსტში საუბარი? წაიკითხეთ ტექსტი და შეამოწმეთ თქვენი ვარაუდები.

საკუთარი სიცოცხლის შემოკლება

(შემოკლებით)

... სოფლიდან ერთი შუახანს გადაცილებული კაცი მეწვია. გავაბით საუბარი.

სოფელში რა ამბავია-მეთქი? - ვკითხე.

რაღა რა ამბავია, - თქვა მან, - ხე აღარ დატოვეს, ხელისგულისოდენა ადგილები

ეროზიამ დაფშხალა და დაარღვია.

ამ ადგილებში ხვნა-თესვას მაინც არ იშლიან. იმის მაგივრად, რომ იქ ტყე გააშენონ და სოფელი შეინარჩუნონ, შიგ ტრაქტორებს დააჯლიგინებენ. ერთი მუჭა სიმინდისა და ლობიოს გულისათვის შთამომავლობას სოფელს უკარგავენ.

წყაროები დაშრა.

მდინარეებმა საგრძნობლად იკლეს.

ქვეყანას სილა სჭირდებაო, და სოფელს მთა-გორები შემოაღლიტეს - ქარი ხეზე ნაყოფს აღარ აყენებს.

ერთი საწყალი შაშვი თუ გამოჩნდა, მთელი სოფელი თოფ-იარაღს ისხამს, თითქოს სოფელში ვეფხვი შემოჭრილიყოს.

მომავალზე ფიქრით თავს აღარავინ იცხელებს.

აზრად არავის მოსდის, რომ ვინც ეროზირებულ მიწას ხნავს, ის საკუთარ შვილს უთხრის სამარეს; ვინც ფერდობში ხესა ჭრის, საკუთარი შვილის კუბოს აკეთებს...

ეგ ვერაა-მეთქი კარგი ამბავი, - ვუთხარი მე, - როგორც ორმოში ჩავარდნილი კაცი მეორე

კაცმა ამოზიდოს თოკით, ისევე დედამიწის სიღრმიდან სამზეოზე ამოჰყავს ბალახი მზესა და წვიმას: პირველს - თავისი სხივებით, მეორეს - თავისი წვეთების ჯაჭვით.

მზის სხივებთან და წვიმის წვეთებთან ხეთა ტოტებისა და ბალახების ღეროთა ურთიერთშეწევნით იქსოვება სიცოცხლე ცისა და მიწის შუა.

ხელის უხეში ქსოვილით ამ ქსოვილის გაფხრეწა საკუთარი სიცოცხლის შემოკლებაა, იმ ტოტის მოჭრაა, რომელზედაც თვითონ შენ ზიხარ.

რაც უფრო უხვია ამა თუ იმ ქვეყნის ბუნება, მით უფრო მდიდარია იქაურთა ენა.

დაცვა ბუნებისა გარკვეულწილად დედაენის დაცვაა.

ცოცხალი სამეტყველო ენის ლექსიკური მარაგის შემცირება ძალიან ხშირად ბუნების გაღარიბებითაა გამოწვეული.

დღეს, მაგალითად, კაცმა არ იცის, კერძოდ, რომელ ფრინველს აღნიშნავს საბას ლექსიკონში არსებული არაერთი განადგურებული ფრინველის სახელწოდება, რომელსაც მხოლოდ ფრინველის ნიშანი და უცხო შესატყვისი უზის; რომელიც, აქედან გამომდინარე, ჩანს, მაშინ ისე ყოფილა გავრცელებული, მეტ განმარტებას აღარ საჭიროებდა...

ამით დამთავრდა ჩვენი საუბარი.

მუხრან მაჭავარიანი

1. დაუბრუნდით ტექსტს და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

ა) ამოწერეთ ცხრილში ის ინფორმაცია (ან ინფორმაციები), რომელსაც თვლით, რომ თქვენთვის საჭირო და მნიშვნელოვანია; გააცანით ერთმანეთს და შეადარეთ, ვინ რას ფიქრობს.

ბ) ახსენით, რატომ არის ეს ინფორმაციები ასეთი მნიშვნელოვანი და საჭირო.

„საკუთარი სიცოცხლის შემოკლება“	
ჩემთვის მნიშვნელოვანი და საჭიროა:	რით არის მნიშვნელოვანი და საჭირო?

2. თავიდან წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ ცხრილის პირველი სამი სვეტი ნიმუშის მიხედვით. იმუშავეთ რვეულში.

უცნობი სიტყვა	**კონტექსტი**	**ჩემი განმარტება** (როგორ მესმის მე)	**სალექსიკონო განმარტება**
ეროზია	ხელისგულისოდენა ადგილები ეროზიამ დაფშხალა და დაარღვია.	ალბათ, დააზიანა, გააფუჭა.	

3. წაიკითხეთ და შეადარეთ თქვენი ნამუშევარი ერთმანეთს: *ვინ რომელი სიტყვა ამოწერა და როგორ განმარტა, დაემთხვა თუ არა თქვენი განმარტებები, რა დაემთხვა და რა - არა.*

4. დაუბრუნდით ცხრილს და შეავსეთ ბოლო სვეტი ლექსიკონის ან მასწავლებლის დახმარებით.

ნიადაგის ეროზია

5. შეავსეთ ცხრილი ტექსტზე დაყრდნობით - მოცემული ინფორმაციებიდან რომელია სწორი, რომელი არ არის სწორი და რომელი არ ჩანს ტექსტში.

	სწორია	**არ არის სწორი**	**არ ჩანს ტექსტში**
1. ტყეების გაჩეხის შესახებ ინფორმაცია ავტორმა სოფლიდან ჩამოსული სტუმრისგან შეიტყო.			
2. შუახანს გადაცილებული კაცს აღფრთოვანებით უსმენდა ავტორი.			
3. სტუმარმა ავტორს არსებული ვითარების შესახებ სტატიის დაწერა სთხოვა.			

6. დაუბრუნდით არასწორ ინფორმაციას და გაასწორეთ ტექსტის მიხედვით.

7. დააკავშირეთ მოვლენები და ფაქტები ერთმანეთს - ჯერ რა მოხდა, ამას რა მოჰყვა, ამან რა გამოიწვია?

ა) წყაროები დაშრა და მდინარეებმა იკლო; ბ) ნიადაგმა ეროზია დაიწყო;

გ) სოფელში ტყე გაიჩეხა



8. შეავსეთ სქემა ტექსტზე დაყრდნობით - ჩაწერეთ ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზი და შედეგი, რაც ამ ფაქტს მოჰყვა.



ტიპი დეგრე - „გოგონა მაუგლი“

1. დააკვირდით ფოტოებს, ყურადღება მიაქციეთ ქვეთემის სათაურს და ისაუბრეთ გოგონას შესახებ.

ა) რატომ შეარქვეს ტიპი დეგრეს „გოგონა მაუგლი“? რით ჰგავს ის მაუგლის?

ბ) სადაურია, თქვენი აზრით, გოგონა და როგორ აღმოჩნდა ის აფრიკის ველურ სამყაროში?

გ) სად არის დღეს ეს გოგონა და რა ბედი ეწია მას?

2. წაიკითხეთ ინფორმაცია დანართში (გვ. 312) ტიპი დეგრეს შესახებ და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

3. გაიხსენეთ ინფორმაცია ტიპი დეგრეს შესახებ, წაიკითხეთ მოცემული ტექსტი და დაასახელეთ, რა არის ამ ტექსტში არასწორი.

ფრანგმა ჟურნალისტებმა, სილვია რობერტიმ და ალენ დეგრემ, ერთმანეთი საჰარის უდაბნოში გაიცნეს. 1990 წელს კი მათ ნამიბიაში ქალიშვილი შეეძინათ, რომელსაც ტიპი დაარქვეს.

მოგვიანებით გოგონას შესახებ არაერთი მხატვრული ფილმი გადაიღეს. გამოიცა წიგნები, დაიწერა სტატიები, დაიბეჭდა მისი ინტერვიუები.

პარიზში დაბრუნების შემდეგ მან პირველი ორი წელი პარიზის სკოლაში ისწავლა, მაგრამ შემდეგ სახლში სწავლა გააგრძელა, რადგან მისი აზრით, მას ძალიან ცოტა საერთო ჰქონდა პარიზის სკოლაში მოსწავლე ბავშვებთან.

ცხოვრების მთავარ მიზნად ტიპი გარემოზე ზრუნვას ასახელებს. ის ველური ბუნების დაცვის საერთაშორისო საბავშვო ფონდის სპიკერია. ტიპი დეგრეს მთავარი დევიზია - სანამ ძალიან გვიან არ იქნება, გადავარჩინოთ ველური ბუნება!

4. დაუბრუნდით ტიპი დეგრეს შესახებ ინფორმაციას და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) სად დაიბადა ტიპი დეგრე?

ბ) რა მოხდა მოგვიანებით?

გ) შენი აზრით, რა იყო განსაკუთრებული და უცნაური, რამაც მსოფლიო აალაპარაკა?

დ) ლოგიკურია ის, რომ ტიპი ველური ბუნების დაცვის საერთაშორისო საბავშვო ფონდის სპიკერი გახდა? დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.

5. გაეცანით ტექსტს და ისაუბრეთ გოგონას შესახებ.

ბუშმენები თუ ჰიმბას ტომის ადამიანები არა მხოლოდ ზრუნავდნენ პატარაზე, არამედ ადგილობრივი ცხოვრების წესსაც აჩვევდნენ. მშვილდით ნადირობაც კი ასწავლეს. ადგილობრივი ტომის ბავშვებმა მას ოკანტი დაარქვეს. ასე უწოდებენ ადგილობრივ დიალექტზე ისინი გეპარდებს.

პირველი ცხოველი, რომელსაც გოგონა დაუმეგობრდა, 28 წლის სპილო აბუ იყო. ტიპი მაშინ წლინახევრის იყო. აბუ გვერდიდან არ იცილებდა გოგონას, ზურგზე ან ხორთუმზე შეისვამდა და ისე ასეირნებდა. მასთან ერთად მდინარეში ბანაობდა. როდესაც ტიპი იძინებდა, აბუ გვერდით მიუწვებოდა და პატარას მწერებისა და ქვეწარმავლებისაგან იცავდა. როცა **ენა ამოიდგა,** ტიპიმ მას „ჩემი ძმა“ შეარქვა.

„მას არ ეშინოდა. ვერც კი ხვდებოდა, რომ ის არ იყო იმავე ზომის, როგორიც სპილო აბუ. ის მას თვალებში ჩახედავდა და ელაპარაკებოდა“, - იხსენებს გოგონას დედა - სილვია.

გოგონა ასევე მეგობრობდა ლომის ბოკვერთან, სირაქლემასა და ქამელეონთან, გიგანტურ გომბეშოებთან და პითონებთან, თუმცა ყველაზე მეტად ტიპი მაინც ლეოპარდთან იყო ახლოს.

ერთხელ, როცა ეს ლეოპარდი სხვა ბავშვს თავს დაესხა, გოგონას ბევრი არ უფიქრია, მივარდა თავის ოთხფეხა მეგობარს და ამ უგვანო საქციელისათვის კარგა **ლაზათიანი სილა გააწნა.** ლეოპარდი **კუდამოძუებული გაიძურწა,** თითქოს შერცხვაო.



1. დააკავშირეთ მოცემული ფრაზები ფოტოებთან. თქვენი აზრით, ვინ ამბობს ამ სიტყვებს?

"ნელა, გავიჭყლიტე!" "იცი, როგორ მიყვარხარ?!" "ფრთხილად, არ ჩავარდე!"

2. დაასათაურეთ დანარჩენი ფოტოები მეწყვილესთან ერთად და გააცანით სხვებს.



3. დაუბრუნდით ტექსტს და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

ა) <u>დაასახელეთ, ვინ იგულისხმება ხაზგასმულ სიტყვებში?</u>

ბ) <u>უპასუხეთ შეკითხვებს:</u>

1. რას ნიშნავს სიტყვა „ოკანტი"?
2. რატომ უწოდეს ტიპის ოკანტი და ეთანხმები თუ არა მათ?

გ) <u>განმარტეთ გამუქებული ფრაზები კონტექსტის მიხედვით.</u>

4. გაიხსენეთ ტექსტი ტიპი დეგრეს აფრიკული ცხოვრების შესახებ და მოცემული სიტყვების გამოყენებით აღადგინეთ კონტექსტი. შეავსეთ ცხრილის I სვეტი.

	როგორ გახსოვს შენ?	**როგორ არის ტექსტში?**
ზრუნავდნენ		
ცხოვრების წესს		
მშვილდით		

ოკანტი		
ადგილობრივ დიალექტზე		
არ იცილებდა		
ხორთუმზე		
მიუწვებოდა		
ენა ამოიდგა		
თავს დაესხა		
გაიძურწა		

5. გამოიყენეთ წიგნი და შეავსეთ ცხრილის II სვეტი. შეადარეთ ეს წინადადებები ერთმანეთს და დაასახელეთ, რა დაემთხვა და რა - არა.

6. მოძებნეთ და გაასწორეთ ენობრივი შეცდომები.

ა. ტიპი მაშინ ერთი წლის და ნახევრის იყო. ბ. სპილოს სულ გვერდზე ჰყავდა გოგონა. გ. სპილო გოგონას ქვეწარმავლებიდან იცავდა. დ. ტიპი ყველაზე უფრო ლეოპარდთან მეგობრობდა. ე. გოგონა მიეჭრა მის ოთხფეხა მეგობარს. ვ. მან უგვანო საქციელის გამო მეგობარს ლაზათიანი სილა გააწნა.	

წითელი წიგნი

1. **რა არის „წითელი წიგნი“ და რა იცით მის შესახებ? მოიფიქრეთ პასუხები მეწყვილესთან ერთად ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე და გააცანით ერთმანეთს.** მიუთითეთ, რას ეყრდნობა თქვენი პასუხები - თქვენს ცოდნას თუ უბრალოდ, ინტუიციას?

   ა) რატომ შეიქმნა „წითელი წიგნი“?

   ბ) როდის გაჩნდა ამ წიგნის შექმნის იდეა და ვინ იყო მისი ინიციატორი?

   გ) ვისთვის არის ის გამიზნული?

   დ) როდის გამოიცა პირველი წიგნი და რას ეხებოდა ის?

   ე) აქვს თუ არა საქართველოს თავისი «წითელი წიგნი» და როდის გამოიცა ის?

2. **წაიკითხეთ და შემოხაზეთ სწორი ვარიანტი. როგორ ფიქრობთ:**

1. ვის ეკუთვნის “წითელი წიგნის” შექმნის იდეა?

ა) ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირს;

ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციას;

გ) მსოფლიო ეკოლოგთა გაერთიანებას.

2. როდის მომზადდა და გამოიცა პირველი წიგნი?

ა) მე-20 ს-ის I ნახევარში;

ბ) 1966 წელს;

გ) 1982 წელს.

3. რის შესახებ იძლევა წიგნი ინფორმაციას?

ა) როგორ გადავარჩინოთ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცოცხალი ორგანიზმები;

ბ) ვინ ან რამ შეუწყო ხელი ამ საფრთხეს;

გ) სად რომელ ცოცხალ ორგანიზმებს ემუქრებათ გაქრობა.

3. გაეცანით ტექსტს და შეამოწმეთ მეორე დავალების სისწორე.

ადამიანების ბუნებასთან არასწორმა ურთიერთობებმა მცენარეთა და ცხოველთა გარკვეული სახეობები გადაშენების საფრთხის წინაშე დააყენა. ადამიანებმა მათ დაცვასა და გადარჩენაზე ფიქრი დაიწყეს.

მე-20 ს-ის I ნახევარში გაჩნდა იდეა, შეექმნათ ისეთი წიგნი, რომელშიც შევიდოდა იშვიათი და გადაშენების პირას მისული მცენარეებისა და ცხოველების სახეობების სია მათი თანამედროვე მდგომარეობის მოკლე დახასიათებებით.

წიგნის შექმნის ინიციატორი იყო ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი. 1966 წელს მომზადდა პირველი გამოცემა. მას „წითელი წიგნი“ უწოდეს.

წიგნი რეკომენდაციას უწევს იმ ქვეყნებს, რომელთა ტერიტორიაზეც გადაშენების პირას მყოფი მცენარეები და ცხოველები არსებობს.

საქართველოს „წითელი წიგნი“ 1982 წელს გამოიცა.

4. დაუბრუნდით პირველ დავალებას და თავიდან უპასუხეთ იქ მოცემულ შეკითხვებს.

5. მონიშნეთ ცხრილში შესაბამისი უჯრა - მოცემული ინფორმაციებიდან რომელია სწორი, რომელი არ არის სწორი და რომელი არ ჩანს ტექსტში.

	სწორია	**არ არის სწორი**	**არ ჩანს ტექსტში**
1. წიგნი სავალდებულოა ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელთა ტერიტორიაზეც გადაშენების პირას მყოფი მცენარეები და ცხოველები არსებობს.			
2. წიგნის შემქმნელებს ადარდებთ ადამიანების ბუნებასთან არასწორი ურთიერთობები.			
3. საქართველოს „წითელი წიგნის“ I ნაწილი მოიცავს იშვიათ ცხოველებს, II ნაწილი - მცენარეებს და III ნაწილი - არაორგანული ბუნების ძეგლებს.			
4. წიგნის პირველი გამოცემა გამოვიდა მეოცე საუკუნის II ნახევარში.			
5. წითელ წიგნში მოცემულია თითოეული სახეობის გავრცელებული სახელი, მეცნიერული სახელი (რომელიც ყოველთვის ლათინურ ენაზე იწერება), საფრთხის ხარისხი და ა.შ.			
6. წითელ წიგნში შესულია დედამიწაზე არსებული ყველა მცენარე და ცხოველი.			

6. დაუბრუნდით არასწორ ინფორმაციას და გაასწორეთ ტექსტის მიხედვით.

7. როგორ ფიქრობთ, რატომ ჰქვია ამ წიგნს „წითელი წიგნი“?

დაცული ტერიტორიები

1. უპასუხეთ მოცემულ შეკითხვებს.

ა) რას ნიშნავს „დაცული ტერიტორიები“ და რას იცავენ ამ ტერიტორიებზე?

ბ) არსებობს თუ არა კავშირი დაცულ ტერიტორიებსა და წითელ წიგნს შორის? დაასაბუთეთ პასუხი.

გ) არსებობს თუ არა საქართველოში ასეთი ტერიტორიები?

დ) დაასახელეთ, რომელი დაცული ტერიტორიები იცი და, კონკრეტულად, რა გსმენიათ მათ შესახებ?

ე) ყოფილხართ თუ არა იქ?

ვ) დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ: კონკრეტულად სად იყავით, როდის, ვისთან ერთად და რა მიზნით?

2. დააკვირდით ფოტოებს. გამოიყენეთ მოცემული ტექსტი და შეადარეთ ეს სამი დაცული ტერიტორია ერთმანეთს.

ა) სად მდებარეობს ისინი?

ბ) როდიდან მიიჩნევა ისინი დაცულ ტერიტორიებად?

გ) რა ფართობზეა ისინი გაშლილი?

დ) რა არის დაცული ამ ტერიტორიებზე?

ე) რა განსხვავებაა ამ ტერიტორიებს შორის, კერძოდ:

1. რომელი ტერიტორია არ არის ღია ნებისმიერი ტურისტისათვის?
2. რომელ ტერიტორიაზეა შესაძლებელი გადაადგილება წყლის ტრანსპორტით?
3. გარდა მცენარეებისა და ცხოველებისა, კიდევ რა არის დაცული გარდაბნის აღკვეთილში?

მდებარეობა: გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საზღვარი, თბილისიდან 39 კმ, აზერბაიჯანის საზღვართან.

დაარსება: 1996 წელი.

ფართობი: 3484 ჰექტარი.

ფლორა: მთავარი სიმდიდრე - ჭალის ტყეები.

ფაუნა: თევზების 21 სახეობა, ამფიბიების 4 სახეობა, რეპტილების 4 სახეობა,

ფრინველების 135 სახეობა და ძუძუმწოვრების 26 სახეობა.

გარდაბნის დაცულ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ გვხვდება კეთილშობილი ირემი, რომელიც საქართველოს «წითელ ნუსხაშია» შეტანილი.

ისტორიული ძეგლები:

<u>დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი</u> - ყველაზე გამორჩეული ძეგლი.

<u>ბერთუბანი</u> - დავით გარეჯის მონასტრებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი. დღეს ის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს.

დავითის ლავრა, უდაბნო, ნათლისმცემელი, დოდოს რქა, თეთრი სენაკები და სხვა - დიდ სამონასტრო კომპლექსში შემავალი ძეგლები.

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი

მდებარეობა: ახმეტის მუნიციპალიტეტი.

დაარსება: 1961 წელი.

ფართობი: 10694 ჰექტარი.

დაცული ცხოველები: ნიამორი, კავკასიური ჯიხვი (სულ რამდენიმე ეგზემპლარია კავკასიაში და შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის წითელ ნუსხაში), არჩვი, მგელი, დათვი, ფოცხვერი.

დაცული ფრინველები: შავარდენი, მთის არწივი და სხვ.

ნაკრძალში დაშვებულია მხოლოდ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ტურიზმი. გადაადგილება შესაძლებელია ფეხით და ცხენით სპეციალურად განსაზღვრულ მარშრუტებზე.

მდებარეობა: კახეთის მხარე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი.

დაარსება: 2003 წელი.

ფართობი: 25114 ჰექტარი.

დაცულია: დათვი, ფოცხვერი, წავი, გარეული ღორი, აფთარი, მგელი, შავარდენი, კოლხური ხოხობი, ბულბული.

გადაადგილება შესაძლებელია ფეხით, ცხენით, ნიჩბიანი ნავითა და მანქანით სპეციალურად განსაზღვრულ მარშრუტებზე.

ვაშლოვანის ეროვნული პარკი

3. მოიძიეთ ინფორმაცია, რომელი დაცული ტერიტორიები არსებობს იმ ქვეყანაში, სადაც თქვენ ცხოვრობთ.

1. დაიყავით ჯგუფებად, მოიძიეთ ინფორმაცია საქართველოში დაცული ტერიტორიების შესახებ, აირჩიეთ ერთ-ერთი პროექტი და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

1

ა) შეადგინეთ საქართველოს რუკა და გადაიტანეთ თქვენ მიერ მოძიებული ინფორმაცია რუკაზე რეგიონების მიხედვით;

ბ) დაუბრუნდით იმ რეგიონში არსებულ დაცულ ტერიტორიას, საიდანაც ხართ წარმოშობით და მოამზადეთ ინფორმაცია მის შესახებ:

- მიუთითეთ დაცული ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები; რა ფართობზეა გაშლილი?
- გადმოეცით მისი ისტორია;
- წარმოადგინეთ ინფორმაცია იქ დაცული გადაშენების პირას მყოფი მცენარეების, ფრინველებისა და ცხოველების შესახებ;
- შეისწავლეთ ტერიტორიის თანამედროვე ვითარება - რა მდგომარეობაა იქ ეკოლოგიის თვალსაზრისით, არის თუ არა ეკოლოგიური პრობლემები, საჭიროებს თუ არა დამატებით ზრუნვას დაცული ტერიტორიის ბუნება და ძეგლები და ა.შ.
- მოიძიეთ, არის თუ არა ტერიტორიაზე საინტერესო ობიექტები (კულტურული ძეგლები და სხვა ღირსშესანიშნაობები) და აღწერეთ ისინი;
- მოიძიეთ (ან თავად გადაიღეთ) სათანადო ფოტოები ფოტოალბომის შესაქმნელად;
- მიუთითეთ ტურისტებისათვის საჭირო ინფორმაცია - როგორ, რით შეიძლება ტერიტორიაზე გადაადგილება, რა არის დაშვებული ტურისტებისათვის და რა - არა, არსებობს თუ არა სპეციალურად განსაზღვრული მარშრუტები და ა.შ.

2

შეადგინეთ საქართველოში დაცული ტერიტორიების კატალოგი, დაურთეთ ფოტოები და გააცანით ერთმანეთს.

ვაჟა და ფიროსმანი

„ვაჟა სამშობლოს ერთი უმთავრესი ნიშანია ისევე, როგორც ფიროსმანი!"

მიხო მოსულიშვილი

2. მოძებნეთ მოცემული შეკითხვების პასუხები ტექსტში და დაასახელეთ.

ა) სად და როდის გაიცნო ფიროსმანმა ვაჟა-ფშაველა?

ბ) რა აჩუქა მან ვაჟას განშორებისას?

გ) ვისთვის დახატა ფიროსმანმა ფუნიკულიორის ხედი?

დ) ვინ და სად წერს ამ ფაქტის შესახებ?

„1914 წლის ზაფხულში ფიროსმანი მღებავ მიხაკასთან ერთად ივანე აბაევთან მუშაობდა. იმ პერიოდში აბაევს სტუმრობდა მწერალი ვაჟა-ფშაველა. სწორედ აბაევის სახლში გაიცნო მხატვარმა ვაჟა, რომელსაც განშორებისას მიხაკას შვილისათვის დახატული ფუნიკულიორის ხედი აჩუქა მიხაკას ნებართვით" (გიორგი კაკაბაძის წიგნიდან *„ნიკო ფიროსმანი"*).

3. თქვენი აზრით, როგორ მოხდა ფიროსმანისა და ვაჟას შეხვედრა და რაზე ისაუბრეს მათ? შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

ა) აბაევთან მისული ვაჟა გარეთ შეხვდა ნიკალას. მათ აბაევის შესახებ ისაუბრეს.

ბ) აბაევმა დაუძახა ნიკალას და ვაჟა გააცნო. ვაჟა დაინტერესდა მისი ბიოგრაფიით.

გ) ნიკალა მიხაკასთან ერთად მივიდა აბაევთან და იქ მას ვაჟაც დახვდა. მათ ერთი ნახატის შესახებ ისაუბრეს.

„მიხაკამ და ნიკალამ სამუშაო დაამთავრეს და ხელფასისათვის ივანეს მიაკითხეს. საღებავებიანი ვედროები და ფუნჯები ორივეს ხელში ეჭირა. ივანემ ისინი ოთახში შეიპატიჟა.

-კარგი ხელოსნები ჩანან, წეღან ვნახე, თავაუღებლივ და მუყაითად მუშაობდა ორივე, - თქვა ვაჟამ და მიხაკასა და ნიკალას ვინაობით დაინტერესდა.

შემდეგ მიხაკამ ვაჟას ნიკალას დახატული სურათი აჩვენა. ვაჟას ძალიან მოეწონა ნახატი და ფიროსმანით უფრო ახლოს დაინტერესდა. საუბარში ნიკალამ გაიგო, რომ ეს კაცი უბრალო გლეხი კი არა, მწერალი ვაჟა-ფშაველა იყო.

ფიროსმანი გაოცებით მიაჩერდა ვაჟას, სახე გაუბრწყინდა, წამოდგა ფეხზე, მოწიწებით დაუკრა თავი და ხელიც ჩამოართვა.

- მე წავიკითხე შენი „შვლის ნუკრის ნაამბობი". ცრემლებს ვერ ვიკავებდი. ძლიერ მომეწონა და განვიზრახე, დამეხატა კიდეც. აი, შარშან მომეცა ამის შემთხვევა. მიხომ მთხოვა..."

4. წაიკითხეთ სვეტში მოცემული ნაწყვეტები გ. კაკაბაძის წიგნიდან და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

1. მეწყვილესთან ერთად მოიფიქრეთ მოცემულ შეკითხვებზე პასუხები და გააცანით ერთმანეთს. როგორ ფიქრობთ:

ა) რა სთხოვა მედუქნე მიხომ ფიროსმანს?

ბ) რა დახატა მხატვარმა და რა დაემართა შემდეგ იმ სურათს?

2. წაიკითხეთ დანართში (გვ. 312), რა მოხდა სინამდვილეში და შეადარეთ თქვენს ვერსიებს.

3. უპასუხეთ შეკითხვებს ტექსტზე დაყრდნობით.

ა) რისთვის მივიდნენ მიხაკა და ნიკალა აბაევის სახლში?

ბ) რის შემდეგ დაინტერესდა ვაჟა-ფშაველა ფიროსმანით?

გ) რა გაარკვია ნიკალამ ვაჟასთან საუბარში?

დ) ვინ ეგონა ფიროსმანს ვაჟა მანამდე?

ე) რა გააკეთა ნიკალამ, როცა გაიგო, რომ მის წინ ვაჟა-ფშაველა იდგა?

ვ) რა რეაქცია ჰქონდა ფიროსმანს, როცა მან ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“ წაიკითხა?

4. გაიხსენეთ, რა რეაქცია ჰქონდა ფიროსმანს, როცა მან „შვლის ნუკრის ნაამბობი“ წაიკითხა.

5. გაეცანით სვეტში მოცემულ ტექსტს და დაასახელეთ:

ა) რა რეაქცია ჰქონდა ილიას?

ბ) როგორ შეაფასა ილიამ ნაწარმოები?

როდესაც ილიამ „ნობათში“ დაბეჭდილი „შვლის ნუკრის ნაამბობი“ წაიკითხა, 1889 წლის დამდეგს თბილისში საახალწლოდ ჩამოსული ვაჟა ნახა და უსაყვედურა:

- რა არის, რომ კარგად დაიწყე და ვეღარ დაამთავრე ის შვლის ნუკრის ამბავი.

იაკობ მანსვეტაშვილმა ვაჟას არ აცალა და ილიას ყველაფერი უამბო.

ილიამ მანსვეტაშვილს მთლიანი მოთხრობის მოტანა დაავალა.

როცა „შვლის ნუკრის ნაამბობი“ წაიკითხა, ილია განცვიფრდა.

- შენ იცი, რა დაგიწერია? - ჰკითხა „ივერიის“ რედაქციაში შემთხვევით მისულ ვაჟას.

- რა დამიწერია? - ფერი გადაუვიდა ვაჟას სახეზე.

- ეს ისეთი ნაწარმოებია, რომ ერთი საათიც არ უნდა დარჩეს დაუბეჭდავი.

მიხო მოსულიშვილის
წიგნის (*„ვაჟა-ფშაველა“*) მიხედვით.

„შვლის ნუკრის ნაამბობი“ 1889 წლის 5 იანვარს მთლიანად დაიბეჭდა „ივერიის“ ფურცლებზე. გაზეთის რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე.

6. **წაიკითხეთ სათაური და უპასუხეთ შეკითხვებს:** რაზეა მოთხრობა? ვინ არის მთხრობელი და ვინ არის მოთხრობის მთავარი პერსონაჟი?

7. **წაიკითხეთ პირველი ნაწყვეტი და შეასრულეთ მითითებები.**

შვლის ნუკრის ნაამბობი

(ნაწყვეტები ვაჟა-ფშაველას მოთხრობიდან)

I. „პაწაწა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი; ტანზე მაცვია პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრი თვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმაგრებია.

გზადაკარგული დავდივარ. აი, დახედეთ ჩემს სისხლიან ფეხს, ეს წყლის დასალევად რომ ჩავედი ხევში, მაშინ ვიტკინე... გული მიწუხს, გული... საბრალო დედაჩემი! სანამ დედა ცოცხალი მყავდა, სულ ალერსში ვიყავი: ძუძუს მაწოვებდა, მეალერსებოდა, მაფრთხილებდა. რაღა მეშველება მე საბრალოს ახლა! ძუძუს აღარ ვწოვ, მხოლოდ ბალახის ნამს ვსრუტავ დილით და საღამოთი. უპატრონო რომ ვარ, სულ მეშინია, ვკანკალებ, მუდამ სიკვდილს ველოდები, გზაარეული დავეხეტები... ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს!

გენაცვალე, ტყეო! შენ ბევრს მშველი, თორემ აქამდე ჩემი ქათიბის ბეწვიც არ იქნებოდა! გული მეუბნება, რომ მტრის მსხვერპლი გავხდები. ჯერ მე გამოუცდელი ვარ. მხოლოდ ერთი კვირა ვიყავი დედასთან. ის მასწავლიდა, ვინ იყო ჩემი მტერი და ვინ - მოკეთე. ახლა ვინღა მასწავლის?"



ა) წაიკითხეთ სიტყვის - „მოკეთე" განმარტებები და შემოხაზეთ, რა მნიშვნელობით არის ის ნახმარი მოცემულ წინადადებაში.

მოკეთე, ანუ:

1) ვინმესთვის სიკეთის მსურველი, კეთილისმყოფელი
2) ნათესავი

„ის მასწავლიდა, ვინ იყო ჩემი მტერი და ვინ - მოკეთე".

ბ) წაიკითხეთ და განმარტეთ მათი მნიშვნელობა ტექსტში მოცემული კონტექსტის მიხედვით.

	განმარტე შენი სიტყვებით
1. ბედმა დამიბრიყვა.	
2. გული მეუბნება.	
3. გული მიწუხს.	

გ) წაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

რის გამო წუხს შვლის ნუკრი?

<u>იმის გამო, რომ:</u>

1. ფეხი იტკინა;
2. ცუდ დროს დაობლდა;
3. ძალიან პატარაა.

რატომ ფიქრობს, რომ ის ცუდ დროს დაობლდა?

<u>იმიტომ, რომ:</u>

1. ბევრი მტერი ჰყავს;
2. სულ ეშინია;
3. პატარა და გამოუცდელია.

დ) წაიკითხეთ და შემოხაზეთ სწორი ვარიანტი. <u>რა არის მოცემული I აბზაცში</u>?

1. შვლის ნუკრი მოგვითხრობს, სად და რატომ იტკინა მან ფეხი;
2. შვლის ნუკრი აღწერს თავის მდგომარეობას;
3. ის მსჯელობს იმის შესახებ, რატომ დაობლდა ცუდ დროს.

ე) დაადასტურეთ ან უარყავით მოცემული ინფორმაცია და დაასაბუთეთ თქვენი პასუხები ტექსტის მიხედვით.

ა) შვლის ნუკრი ერთი კვირის წინ დაიბადა. _____ **საიდან ჩანს?**
ბ) შვლის ნუკრის დედა ადამიანებმა წაიყვანეს. _____ **საიდან ჩანს?**
გ) შვლის ნუკრს ტყის ეშინია. _____ **საიდან ჩანს?**

1. როგორ ფიქრობთ, ვინ არის შვლების ყველაზე დიდი მტერი? წაიკითხეთ და შეამოწმეთ.

„ოჰ, ადამიანო!.. რატომ არ გებრალები მე, პატარა? რატომ არ მაძლევ თავისუფლებას, რომ გულდასვენებულმა თავისუფლად ვიარო, ვთელო ლამაზი მწვანე ბალახი, გადავდგე სერზე და დავტკბე საღამოს ნიავის სიოთი?!

ვერ გავცილებივარ ტყეს. თუ გავედი ველად, ტყის პირს არ უნდა მოვცილდე. მაშინაც სულ აქეთ-იქით უნდა ვიყურო, ვეფარო ხეებს, კლდეებსა და ბალახებს და კანკალით ვჭამო საჭმელი... რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას? რა დაგიშავა საბრალო დედაჩემმა, რომ მოკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამაობლე?!“

2. წაიკითხეთ მეორე ეპიზოდი და შეასრულეთ მითითებები.

II. „ერთხელ ძლიერ დაცხა. დედაჩემმა მითხრა, წყალზე წავიდეთო, ჩავედით ხევში. ხევი ისეთი ღრმა იყო, მზის სხივები ვერ სწვდებოდა, აქეთ-იქით ნაპირებზე ხეები ერთმანერთზე გადაკვანძულიყო წვერებით. ხის ძირებზე, იქვე ხევის პირას, ჟოლოს ფესვები იყო ამოსული, წითლად თავი დაეხარათ და გადმოჰყურებდნენ წყლის დინებას. ცივი ანკარა ხევი მოჩუხჩუხებდა გალიპულ ქვებზე, ერთი კლდიდან მეორეზე გადადიოდა და გუბდებოდა.

დედაჩემი მივიდა და ჩადგა შიგ გუბეში. მე ძლივს დავდიოდი ქვებზე, ჩლიქები მტკიოდა.

- მოდი, შვილო, ჩადექი წყალში, საამურია სიცხეში წყალში დგომა.

მე მივედი და ფრთხილად ჩავდგი ერთი ფეხი; წყალი საშინლად ცივი იყო და ისევ უკან გადმოვხტი.

- ცივია, არ შემიძლია დგომა.

- არაფერი გიშავს, ახლავე უნდა შეეჩვიო, შვილო!

ცოტა ხანი ვიდექი წყალში, მერე გამოვბრუნდით უკან. ჩვენს ზევით ხმაური ისმოდა.

- ეგ საშიში ხალხი არ არის, - მითხრა დედამ. ჩვენი მტერი ასე არ ყვირის, მაგრამ მაინც სიფრთხილე გვმართებს: ნუ გამოვჩნდებით, ნუ დავენახვებით... წავიდეთ ჩქარა, მომყე!“

ა) შემოხაზეთ სწორი ვარიანტი. <u>რა არის მოცემული II აბზაცში</u>?

1. შვლის ნუკრი მოგვითხრობს ერთი შემთხვევის შესახებ;
2. შვლის ნუკრი აღწერს ხევს;
3. ის მსჯელობს იმის შესახებ, რატომ უნდა იყოს ფრთხილად.

ბ) წაიკითხეთ მოცემული სიტყვის განმარტებები და შემოხაზეთ, რა მნიშვნელობით არის ის ნახმარი ამ კონკრეტულ შემთხვევაში - „ცივი ანკარა ხევი მოჩუხჩუხებდა“.

ხევი, ანუ:

1) მდინარის ღრმა კალაპოტი
2) პატარა მდინარე მთებს შუა

გ) უპასუხეთ შეკითხვებს II აბზაცის მიხედვით.

ა) ვისთან ერთად ჩავიდა შვლის ნუკრი ხევში?

ბ) რატომ ჩავიდნენ ისინი ხევში?

გ) როგორი იყო წყალი?

დ) რატომ უჭირდა შვლის ნუკრს ქვებზე სიარული?

ე) რა გაიგეს უკან გაბრუნებისას?

ვ) რატომ არ იყვნენ ის ადამიანები საშიშები, ნუკრის დედის თქმით?

ზ) რა გააფრთხილა დედამ ნუკრი?

1. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები და უპასუხეთ შეკითხვებს.

I. დედაჩემმა მითხრა, წყალზე წავიდეთო.

II. - ეგ საშიში ხალხი არ არის, - მითხრა დედამ.

ა) რომელი წინადადება რა ფორმით გადმოსცემს სხვის ნათქვამს? ჩაწერეთ შესაბამისი წინადადების ნომერი.

- გადმოცემულია სიტყვასიტყვით. _____
- გადმოცემულია ნათქვამის აზრი. _____

ბ) ვინ არის მთხრობელი პირველ წინადადებაში?

გ) ვის სიტყვებს გადმოსცემს მთხრობელი პირველ წინადადებაში?

დ) გაუსვით ხაზი წინადადებებში მთქმელის სიტყვებს.

ე) მოძებნეთ სხვათა სიტყვის ნაწილაკი და შემოხაზეთ.

2. ვინ იყვნენ ისინი და რატომ ფრთხილობდა შველი? წაიკითხეთ და შეამოწმეთ.

ეგენი წავლენ, ასწავლიან მონადირეს ჩვენს ბინას და გამოგვასალმებენ სიცოცხლეს. საბრალო დედაჩემი წინდაწინ გრძნობდა, რომ ასე იქნებოდა.

3. როგორ ფიქრობთ, გამართლდა თუ არა შვლის წინათგრძნობა? რატომ ფიქრობთ ასე? წაიკითხეთ, რა მოხდა ბოლოს და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

4. წაიკითხეთ მესამე ეპიზოდი და შეასრულეთ მითითებები.

III. „მთელი ღამე დავდიოდით ველზე, აღარ გვეშინოდა; თენება დაიწყო, ტყისკენ მივბრუნდით. ველზე სქლად იწვა ბალახი. ორი-სამი ძირი ბალი იდგა; ჯგუფ-ჯგუფად ეხვეოდნენ ჩიტები, ჟივილ-ხივილი ისმოდა; დედამ გამაფრთხილა: საშიშია ამ დროს სიარული, ჩვენი მტერი ნაწვიმარზე დაგვეძებს, აქეთ-იქით თვალი უნდა გვეჭიროსო.

ეს იყო უკანასკნელი გაფრთხილება დედაჩემისაგან. დედაჩემი წუხდა, თითქოს სიკვდილს გრძნობდა. მოკვნეტდა ერთ ფოთოლს და გაყუჩდებოდა.

უცებ, როგორც ცის ჭექამ, იგრიალა თოფმა. მისმა ხმამ დაიარა მთები და კლდეები, ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს, ბოლი გაერთხა ნამიან ბალახზე.

დედაჩემმა ერთი კი ამოიკვნესა და წაიქცა. ვაიმე! მე იქვე გავშეშდი. ვუყურებდი, როგორ მიგორავდა დედაჩემი თავქვე და სისხლიან კვალს ტოვებდა ბალახზე. არყების უკნიდან ახალგაზრდა ბიჭი გამოხტა, "გაუმარჯოსო!" დაიძახა და სწრაფად გამოეკიდა დედაჩემს უკან. საწყალი დედაჩემი ცდილობდა ადგომას, წამოიწევდა ხოლმე, მაგრამ ისევ დაეცემოდა და გაგორდებოდა. მე მოვკვდი,

ტანში დავიშალე, როდესაც შეჩვენებულმა მონადირემ პრიალა ხანჯალი ამოიძრო და დედას ყელში გამოუსვა. სისხლმა იფეთქა. ვაიმე! სულ ცხადად ვხედავდი, მაგრამ რითი ვუშველიდი მე, საცოდავი?! მერე იმ ძუძუებზეც, რომლებსაც მე ვწოვდი, დაუსვა ხანჯალი, შეიდო კისერზე და გასწია. მე ტირილი დავიწყე. გული შემიწუხდა. მას აქეთ ცოცხალ-მკვდარი ვარ; ვტირი და ეს არის ჩემი ნუგეში; დავდივარ და შევსტირი ხეებს, მთასა და კლდეებს, დავსტირი წყალსა და ბალახს, მაგრამ ჩემთვის დედა არ ჩნდება, დედაჩემს ვეღარ ვხედავ, ობოლი ვარ და, ვინ იცის, ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემი სისხლით ხელებს?!“

ა) უპასუხეთ შეკითხვებს. შეამოწმეთ თქვენი პასუხები ტექსტის მიხედვით.

ა) სად დადიოდნენ შვლის ნუკრი და დედამისი მთელი ღამე?

ბ) რის შესახებ გააფრთხილა დედამ შვილი?

გ) რა მოხდა უცებ?

დ) ვინ მოკლა შვლის ნუკრის დედა?

ე) რას ცდილობდა დაჭრილი შველი?

ვ) რისი ეშინია პატარა ნუკრს?

ბ) ამოწერეთ სიტყვები და ფრაზები რვეულში, რომლებიც გრძნობასა და ემოციას გამოხატავენ და წაიკითხეთ.

გ) განმარტეთ, როგორ გესმით მოცემული სიტყვების მნიშვნელობა ტექსტში მოცემული კონტექსტის მიხედვით. წაიკითხეთ და შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.

	განმარტე შენი სიტყვებით
1. გავშეშდი.	
2. ტანში დავიშალე.	
3. ნუგეში	
4. შეჩვენებული	

5. წაიკითხეთ, რას გვეუბნება პატარა შვლის ნუკრი ჩვენ, ადამიანებს. ეთანხმებით თუ არა მას? როგორ ფიქრობთ, შეუძლია ადამიანს თავის მართლება ბუნების წინაშე? რატომ ფიქრობთ ასე?

„ოჰ, ადამიანებო! თქვენ არ გრძნობთ თქვენი შეუბრალებელი გულით, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა... შენ კი, ოჰ, ადამიანო!... თვალებდასისხლიანებული, გაფაციცებული დამეძებ მე და ჩემნაირ სუსტსა და უპატრონო ათასს სხვას... იარაღი გაქვს, მოგვეპარები, გვესვრი ტყვიას და გამოგვასალმებ წუთისოფელს“...

მონადირის გასამართლება

1. მასწავლებელთან ერთად დაგეგმეთ იმიტირებული სასამართლოს მოწყობა.

ა) <u>პირველ რიგში, საერთო გადაწყვეტილებით შეარჩიეთ:</u>

- მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები (რომელთაც ყველა ენდობა. განსაზღვრეთ ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა);
- ბრალდებული (მონადირე - ახალგაზრდა ბიჭი);
- მოწმეები: შვლის ნუკრი (მთავარი მოწმე), დედა-შვილი, მეცხვარე, მეცხვარის ყურშა.

ბ) <u>განსაზღვრეთ დაცვისა და ბრალდების მხარეები და დაიწყეთ პროცესისათვის მზადება.</u>

გ) <u>გაეცანით კონკრეტულ მითითებებს:</u>

კონკრეტული მითითებები **დაცვის მხარეს:**	კონკრეტული მითითებები **ბრალდების მხარეს:**
1. თავიდან შეისწავლეთ საქმე მონადირის დაცვის კუთხით. **2.** მოიძიეთ ყველა არგუმენტი იმისათვის, რომ დაამტკიცოთ მონადირის უდანაშაულობა - რატომ არ ჰქონდა მას სხვა გამოსავალი? **3.** მოემზადეთ საბოლოო სიტყვისათვის და მოიფიქრეთ, რას ითხოვთ სასამართლოსაგან.	**1.** თავიდან შეისწავლეთ საქმე ბრალდების კუთხით. **2.** შეაგროვეთ ყველა არგუმენტი და სამხილი იმისათვის, რომ დაამტკიცოთ, როგორი შეუბრალებელი მკვლელია მონადირე. **3.** მოემზადეთ საბოლოო სიტყვისათვის და მოიფიქრეთ, რას ითხოვთ სასამართლოსაგან აღმკვეთ ღონისძიებად.

ა) გამოიყენეთ თქვენთვის მისაღები ყველა მეთოდი, რომელიც დაგეხმარებათ იმაში, რომ დაარწმუნოთ „მოსამართლე“ და „ნაფიცი მსაჯულები“ თქვენს ნათქვამში.

ბ) განსაზღვრეთ, რა მტკიცებულებები და არგუმენტები შეიძლება ჰქონდეს მეორე მხარეს, რათა მზად იყოთ მათ გასაბათილებლად. შესაბამისად, წინასწარ მოიძიეთ არგუმენტები იმისათვის, რომ გააბათილოთ მათი მტკიცებულებები;

გ) მოემზადეთ პროცესზე მოწმეთა დასაკითხად. წინასწარ მოამზადეთ მათთვის შეკითხვები;

<u>გაითვალისწინეთ!</u>

- დასვით ისეთი შეკითხვები, რომ გაცემულმა პასუხებმა თქვენი პოზიციები გაამყაროს!

პარალელები

პრომეთე და ამირანი

ხვამლის მთა -
არგონავტებისა და
ჰერაკლეს მოგზაურობის საიდუმლო

„მგლური კანონები“ -
რევაზ ინანიშვილის „ამოდის, ნათდება!“

ზეცისკენ ლტოლვა - თავისუფლების წყურვილი

ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“
და გოდერძი ჩოხელის „ცასწავალა“



ნახატით გაცოცხლებული ლექსი და მუსიკა

ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- სხვადასხვა ტიპის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების წაკითხვა, გაგება და გააზრება;
- ტექსტების, ფაქტებისა და მოვლენების შედარებისა და გააზრების საფუძველზე კონკრეტული დასკვნების გაკეთება;
- გარემოს / ადამიანების აღწერა-დახასიათება;
- შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა პერსონაჟისა და მისი ქცევის/ მოქმედების მიმართ;
- მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გააზრება;
- ვარაუდისა და ფაქტის, მითისა და სინამდვილის ერთმანეთისაგან გარჩევა;
- შემოქმედებითი წერა - მოცემული პირობის მიხედვით ტექსტის შექმნა.

პრომეთე და ამირანი

1. ვინ არიან ისინი და რა აკავშირებთ მათ ერთმანეთთან? წაიკითხეთ და შემოხაზეთ სწორი ინფორმაციები.



პრომეთე

ამირანი

ა) პრომეთე და ამირანი ერთი და იგივე პიროვნებაა.

ბ) ისინი მითოლოგიური პერსონაჟები არიან.

გ) პრომეთე და ამირანი რეალურად არსებობდნენ.

დ) პრომეთეც და ამირანიც ღმერთმა კლდეზე (მთაზე) მიაჯაჭვა.

ე) პრომეთე ღმერთების შვილია, ამირანი კი ადამიანთა სამყაროს ეკუთვნის.

ვ) ისინი ბოროტ ძალებს ებრძოდნენ.

ზ) პრომეთე და ამირანი ღმერთებს აუჯანყდნენ.

თ) მათ ღმერთებს უკვდავების წყალი მოჰპარეს და ადამიანებს ჩამოუტანეს.

ი) ორივე კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვეს.

კ) კლდეზე მიჯაჭვულ პრომეთესა და ამირანს ფრინველები უკორტნიდნენ ღვიძლს.

2. წაიკითხეთ მოცემული ტექსტები და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

1. ქართული მითოლოგიური გმირის - ამირანის შესახებ არაერთი თქმულება არსებობს. ამირანი ნადირობის ქალღმერთ დალისა და მოკვდავი მონადირის შვილია. ზოგ ვარიანტში ამირანის მამა მჭედელია, ზოგან კი - გლეხია. ამირანს ორი ძმობილი - ბადრი და უსუპი ჰყავდა. უსუპს ბეჭებ შუა მზე ეხატა, ბადრის კი - მთვარე.

ამირანი ძმადნაფიცებისაგან განსაკუთრებული სიძლიერით გამოირჩევა. ის უზარმაზარია, საცრის ტოლა თვალები აქვს და საავდროდ გამზადებულ შავ ღრუბელს ჰგავს. მგელივით დაუღალავია, თორმეტი წყვილი ხარის ძალა და მთიდან დაცურებული მორის სისწრაფე აქვს. ის იმდენად ძლიერია, რომ დედამიწა ძლივს უძლებს მის სიმძიმეს. ამირანი შესანიშნავი მჭედელია, რომელსაც ხმლის ჭედვაც შეუძლია და ადამიანებს მჭედლობას ასწავლის.

ამირანმა მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა: გაათავისუფლა მზე დევ-ვეშაპის მუცლიდან, მოკლა ბაყბაყ დევი, დახოცა გველეშაპები, მიწასთან გაასწორა ცხრა ძმა დევების სამეფო; ზეციდან ჩამოიყვანა თავისი საცოლე - ღრუბელთა მბრძანებლის ასული ყამარი; მოკლა ავი სული ქალ-ხარი. ბოლოს ამირანმა ღმერთის დამარცხება გადაწყვიტა, რისთვისაც ღმერთმა ის სასტიკად დასაჯა და კავკასიის ქედზე სამუდამოდ მიაჯაჭვა. მის ღვიძლს მუდმივად ძიძგნის არწივი, ხოლო ერთგული ძაღლი ჯაჭვს ლოკავს, რომ გალიოს და გაწყვიტოს იგი, მაგრამ ღმერთის მიერ მიჩენილი მჭედლები ანახლებენ ჯაჭვს. ძველი გადმოცემით შვიდ წელიწადში ერთხელ გამოქვაბული იხსნება და ამირანის დანახვა შეიძლება.

2. ბერძნულ მითებში პრომეთე ღმერთებთან მებრძოლი და ადამიანების ინტერესების დამცველი გმირი ტიტანია. ღმერთებისგან ტიტანების დამარცხების შემდეგ პრომეთე ადამიანების მხარეზე დადგა. ზევსის მოტყუების მიზნით, პრომეთემ დაკლული ხარის ხორცი ორად გაყო, ერთ მხარეზე საუკეთესო ხორცის ნაჭრები დაალაგა, ზემოდან ტყავი და კუჭი დაადო, ხოლო მეორე მხარეს ძვლები მოაგროვა და ზემოდან ქონები დაალაგა. შემდეგ ზევსს შეეკითხა, თუ რომელ ნაწილს აირჩევდა. ხარბმა ზევსმა ქონიანი ნაწილი აირჩია. პრომეთეს ამ საქციელით გაჯავრებულმა ზევსმა ადამიანებს ცეცხლი წაართვა. პრომეთე ავიდა ოლიმპოს მთაზე, ცეცხლი ლერწმის ღეროში ჩადო და ისე გამოიტაცა. შემდეგ ადამიანებს გადასცა და მისი შენახვა ასწავლა. ზევსი ამ ამბავმა კიდევ უფრო გააჯავრა და ბრძანა, რომ პრომეთე კავკასიონის მთის ერთ-ერთ კლდეზე მიეჯაჭვათ. მიჯაჭვულ გოლიათთან ყოველდღე მიფრინდებოდა არწივი და გმირს ღვიძლს უძიძგნიდა, რომელიც ღამით კვლავ მთელდებოდა. მრავალი ათასი წლის შემდეგ პრომეთე ჰერაკლემ გაათავისუფლა.

3. **ამირანი**

კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული.

ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ჰნელდებოდა,
და რაღაცა მანქანებით
წყლული ისევ მთელდებოდა.

აკაკი წერეთელი

ტიტანები - ურანოსისა და გეას შვილები, ძველი ღვთაებები.

ურანოსი - ცის განმასახიერებელი უძველესი და უზენაესი ღვთაება

გეა - დედამიწის განსახიერება

ჰერაკლე - ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ღვთაებრივი გმირი, ზევსის შვილი.

ზევსი - ძველბერძნულ მითოლოგიაში ცის, ელვისა და ქუხილის ღმერთი, რომელიც მთელს მსოფლიოს განაგებდა.

4. ძველი მსოფლიოს გამოჩენილი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. 64 - ახ. წ. 23) აღწერდა პრომეთესა და კოლხ იბერთა გმირს (ნაგულისხმევია ამირანი), რომელიც ერთი და იგივე უნდა იყოსო. პრომეთეს მითი გავრცელებული იყო მთელს ხმელთაშუა ზღვის აუზში და კავკასიაშიც, სადაც იგი ამირანის შესახებ თქმულებას შეერწყა მრავალი საერთო ნიშნისა და დეტალის გამო.

1. დაუბრუნდით ტექსტებს, გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ პრომეთესა და ამირანის შესახებ ინფორმაციით.

	პრომეთე	ამირანი
ვინაობა		
ფიზიკური მონაცემები		
თვისებები		
გმირობა		

2. გამოიყენეთ წინა დავალება და შეადარეთ ისინი. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

მსგავსება	განსხვავება

3. დაუბრუნდით აკაკი წერეთლის ლექსს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) სად არის ამირანი მიჯაჭვული?

ბ) ვინ უკორტნის გულს ამირანს?

გ) რა არის ამირანის დასჯის მიზეზი, ლექსის მიხედვით?

დ) შეადარეთ ლექსი პრომეთესა და ამირანის მითებს. რა მსგავსება და განსხვავებაა აკაკი წერეთლის ლექსსა და მითებს შორის?

ხვამლის მთა

4. წაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვას - თქვენი აზრით, რა კავშირი აქვს ხვამლის მთას არგონავტებისა და ჰერაკლეს მოგზაურობებთან?

ხომლის მთა, იგივე ხვამლი მდებარეობს რაჭა-იმერეთ-სამეგრელოსა და სვანეთს შორის მოქცეულ ულამაზესი კუთხის ლეჩხუმის კლდე დაღმართზე ცხენისწყლისა და რიონის ხეობებს შორის, ზღვის დონიდან 2002 მეტრზე.

5. წაიკითხეთ ინფორმაციები და შეადარეთ თქვენს ვერსიებს.

მითოლოგიიდან ცნობილია, რომ მთაზე მიჯაჭვული პრომეთეს გასათავისუფლებლად წასული ჰერაკლე მდინარე ფაზისს უნდა აჰყოლოდა, იქ გამოქვაბულიდან გადმომდინარე ჩანჩქერი გადაეგდო, გამოქვაბულში შესულიყო და ისე გაეთავისუფლებინა პრომეთე.

მართლაც, ხვამლის მთის ქვაბულიდან გაზაფხულზე წყლის ნაკადი ისე მოქუხს, რომ მდინარე რიონს თითქმის კეტავს. უცნაურია, მაგრამ წლის სხვადასხვა პერიოდში წყლის ნაკადი ხან ცხენისწყლის ხეობისკენ მიდის, ხან – რიონისკენ. ამასთან დაკავშირებით ლეგენდაც კი არსებობს: თურმე, იქ გველეშაპია გაწოლილი და საითაც გადაბრუნდება, წყალსაც იმ მიმართულებით უცვლის გეზსო. მხოლოდ შემოდგომით შეიძლება გამოქვაბულში შესვლა.

ალექსანდრიელი პოეტი და მეცნიერი <u>აპოლონიოს როდოსელი</u> (295-215ძვ.წ.) თავის „არგონავტიკაში“ წერს, რომ არგონავტებს მდინარე ფაზისის (რიონი) გადაცურვისას მთიდან პრომეთეს გმინვა ესმოდათო. იმ მთის აღწერილობა კი ზუსტად ემთხვევა ხვამლისას.

„მგლური კანონები“

1. **გაიხსენეთ ინფორმაცია მგლების შესახებ. წაიკითხეთ ვაჟა ფშაველას მოთხრობა - „ამოდის, ნათდება!“ და უპასუხეთ შეკითხვებს:** რისი სახე-სიმბოლოა აქ მგელი? რა უპირისპირდება მგლობას ნაწარმოებში? რისი სიმბოლოა მთვარე?

2. **რით იწყება მოთხრობა? რა მიანიშნებს იმაზე, რომ აქ გადმოცემული ამბავი საკმაოდ ძველია? წაიკითხეთ ნაწყვეტები და უპასუხეთ შეკითხვებს.**

ამოდის, ნათდება!

(შემოკლებით)

1. ვინ ამბობს ამას? სად ან როდის? ღამეა. თოვლით გადალესილა მთა-ბარი; სულშეხუთულია, ისე შებოჭილი, რომ დედამიწის ძვლებს ჭყრიალი, ჭახჭახი გააქვს. ბუნება თითქოს კუბოში წევს, სუდარაში გახვეულა. არაფერი ხმა, არც მოძრაობა, არც ცელქის მთის ნაკადულის ჩხრიალი არსად ისმის. ნიავიც განგებ შეჩერებულა, რომ არ დაუშალოს ბუნებას ძილი, განსვენება. ტყე დაბარდნილია თოვლით, ხეებს ტანი და ტოტებიც აღარ ეტყობათ...

აი, ამ დროს ერთ კურუმ გორაზე მგლის ჯოგი გროვდებოდა. ზოგნი მოსულიყვნენ ადრე და სხვების მოლოდინიც ჰქონდათ. ყმუილით, ნელის ბოხის ხმით აუწყებდენ ამხანაგებს: „მოდით, ნუ დაიგვიანებთო!“.

ა) როგორ ხატავს ვაჟა ზამთრის სურათს?

ბ) რაზე მიანიშნებს ვაჟა, როცა ამბობს - ბუნება სუდარაში გახვეულაო?

2. შორს სოფლიდან გაურკვეველი ჟრიამული ისმოდა. სახლებიდან ამონადენი ბოლი ნისლად, გადასწოლოდა სოფელს, საბნად ეხურა. მგლები ამაღამ სოფელს უნდა ესტუმრონ. - ესაა მათი ფიქრი და განზრახვა. თავს იმიტომ იყრიდენ ერთად, რომ ტყეში აღარაფერი ეგულებოდათ საჭმელი. ერთი კვირაა მშივრები დალასლასებენ. მოგროვდენ, დიდი ჯოგი გაკეთდა. ყველანი კბილებს აკაწკაწებდენ. შიოდათ, ძალიან შიოდათ! ერთმანეთს ათვალიერებდენ და ნატრობდენ, ერთიმეორის ტანზე ერთი წვეთი სისხლი მაინც შეენიშნათ, რომ ამით საბუთი ჰქონოდათ და თავისი თანამოძმე ლუკმა-ლუკმა გაეგლიჯათ. რომელ ერთს ეყოფოდა ერთი მგელი, თითო ლუკმა არც კი შეხვდებოდათ! მაგრამ ცოტათი მაინც შიმშილის ჟინს მოიკლავდენ.

ა) რისთვის იკრიბებიან მგლები? რა განზრახვა აქვთ მათ?
ბ) რატომ ათვალიერებდნენ მგლები ერთმანეთს და რას ნატრობდნენ ისინი?
გ) რის თქმა სურს ამ ეპიზოდით ვაჟას? რაში მჟღავნდება მგლების მზაკვრობა?
დ) რა არის ვაჟასთვის „მგლობა“?

3. საგულისხმო სანახავი იყო ამ დროს მგლების კრება: ზოგი იწვა თოვლზე, სხვა დაყუნტებულიყო, რიგიც იდგა ფეხზე კუდებდაშვებული, ხოლო ყველას პირები ჰქონდა დაღებული. ასე თათბირობდენ თარეშის, ლაშქრობის შესახებ.

- კარგი დრო გავიდა, კარგი, ბიჭებო! როგორ ბნელა! აბა, ვისაც თავის იმედი აქვს, ეხლა უნდა ეცადოს, - ამბობდა მოხუცი მგელი ტოტია, - თუ სხვას ვეღარას მოვიგდებთ გარეთ, ძაღლები მაინც მოვიტაცოთ. ხომ იცით ჩემი ამბავი? თქვენ ჩაგასაფრებთ, მე გამოვიტყუებ, გავუთამაშებ, ჩავუკვდებ-მოვუკვდები ქედანას, შემოგაგდებთ ზედ და მაშინ თქვენ იცით, როგორც გაირჯებით!

ა) ვინ არის ტოტია?
ბ) რას ეუბნება ბებერი წინამძღოლი ახალგაზრდა მგლებს?
გ) რატომ ცდილობს ტოტია თავის ახალგაზრდა თანამოძმეებთან იმის დამტკიცებას, რომ ის არც ისე ბებერია და ზედმეტი? რისი ეშინია მას?

4. თათბირობდენ ფარეხის გატეხაზე. ცხვრის მოგონებაზე ყველამ დაღებული, ცეცხლით ანთებული ლაშები უფრო დააღეს და ნაკვერჩხლებად გამოაჩინეს დიდრონი კბილები. გაჰკრეს, გაუსვეს კბილი-კბილს.

აიშალნენ იმ იმედით, რომ გაძღებოდენ. დაეშვნენ თავქვე, წინ ჩაუძღვათ ტოტია, გორის პირს ჩამომწკრივდენ. იმედი უღვივოდათ გულში, მაგრამ დახეთ, რომ ბედმა უმუხთლა. რასაც არ მოელოდენ, ის მოხდა - აღმოსავლეთით ცის პირი ნათდებოდა. შეჯგუფდენ და მიაპყრეს იქით თვალები. ცოტა ხნის შემდეგ მთვარემ წვერი ამოჰყო. ამოვიდა მთვარე და გაანათა ტყე, მთა, ბნელი კუნჭულები. შეჯგუფებული მგლები ბრაზმორეულნი იძახდენ: “ამოდის, ამოდის, ნათდება!” მთვარისაკენ მიპყრობილ მგლების თვალებიდან ზიზღის, სიძულვილის, სისხლის ძიების ისრები იყო გაძაფული. როგორ სწყევლიდენ მის ამოსვლას! ყველაზე უფრო წყრებოდა, ბორგავდა ერთი ბებერი მგელი.

- ბევრჯელ მომიკალ გული. - ამბობდა იგი, ბევრჯელ დამაღონე, შე წყეულო, შე შეჩვენებულო; ბევრჯელ გამიმწარე სიცოცხლის დღენი. ბევრის ცხოველის სისხლით ბევრჯელ შევიღებე ცხვირ-პირი, ტოტები და მკერდი; ნეტავი, მთვარევ, ერთხელ შენთვისაც გამესვა ჩემი ბასრი კბილი, ნეტა შენის სისხლითაც დაემშვენებინა მხარბეჭი და თითები ლეგჩოხა ბიჭს ტოტიას. -

დანარჩენებიც ამასვე ფიქრობდენ კვლავ ლაშდაღებულნი და შეჩერებოდენ მთვარეს:

მთვარე კი ამოდიოდა ზევით და ზევით, ამომაღლდა ცაზე; გაანათა ტყეში ხისა და კლდის ძირები, ბნელი ხევები, გაანათა სოფლად ბნელი კუნჭულები... გაცრუვდა ყოველი იმედი თარეშობისა. რაღა ქნან? იმედი გადაუწყდათ, სასოება დაჰკარგეს, ერთმანეთს-ღა დაუწყეს თვალიერება; ფიქრობდენ, არჩევდენ, ვინ არის ჩვენში შესაჭმელიო. ერთი მზად იყო მეორეს ძგერებოდა და შუაზე გაეგლიჯა.

ა) რამ შეუშალა მათი განზრახვის ასრულებას ხელი?

ბ) როგორ ფიქრობთ, რას გადაწყვეტენ მგლები?

5. მოხუცი ტოტია ფიქრებში იყო გართული.

- ტოტიავ, ეი, არ გესმის?! რას გარინდებულხარ, ვერა ხედავ რა ამბავია? ვიღუპებით შიმშილით, ლამის მგლის ნათესაობა, ჯილაგი გაწყდეს პირისაგან ქვეყნისა. რასა სწერს შენი კარაბადინი, ბიძიავ? - უთხრა მას ერთმა მგელმა და თან ტოტი გაუქნია თავში.

- რას სჩადი, შე ბრიყვო, შე გაუზრდელო? - სთქვა წყრომით მოხუცმა მგელმა. სხვა მგლებმაც ყურები აცქვიტეს, იგრძნეს საქმის ვითარება.

- ჰოდა რა?! - იღრიალა ყველამ ერთად: - ძალიან კარგად გიშვრება, შენისთანა ბრიყვზე ერთი ტოტის დაკვრა კიდევაც ცოტაა. კბილი გაუსვით მაგას, კბილი; ეს სინათლე სულ მაგის ბრალია! - ღმუოდენ ყველანი. დიდხანს აღარ აცალეს და თათებს კბილებიც მიაშველეს...

1. როგორ ფიქრობთ, რატომ იწყებენ მგლები დამნაშავის ძიებას?
2. ვის დასდეს ბრალი მთვარის ამოსვლაში მგლებმა?
3. რისთვის და რა საბაბით გაწირეს მგლებმა ტოტია?

- ბიჭო, ჭკვიანად, ჭკვიანად! რას ჩადით, თქვე ბრიყვებო? - ღმუთუნებდა ტოტია და უღრენდა კბილს ხან ერთს, ხან მეორეს, მაგრამ იმისი ღრენა ვის შეაშინებდა? ერთ წამში გათავდა ტოტიას სიცოცხლე; ბეწვიც აღარსად ეგდო, ოდნავ თუ სადმე ნასისხლარს შეამჩნევდით, ის იყო. მგლებს ცოტათი გული დაუმშვიდდათ, მაგრამ კიდევ შიოდათ. შეხედეს ერთმანეთს, შეეშინდა ერთს მეორისა, ალბათ იმიტომ - ახლა მე არ შემჭამონო. შეეშინდათ და გაფრთხენ. ერთი მეორეს გაურბოდა,

ჯაგიანებში ჩხლაკა-ჩხლუკი ისმოდა და თან თოვლის ჭყრიალი... მთვარე კი ამოვიდა, ამოცურდა მაღლა, თითქმის შუა ცაზე, ნათლად კაშკაშებდა და იქიდან, როგორც დარაჯი, უფთხობდა ქვეყანას მტერსა... მგლები კი გარბოდნენ უგზო-უკვლოდ ტყეში და ყველას პირზე ეკერა: "განათდა, განათდა!"

1896 წ.

1. რა გააკეთეს მთვარისგან დამარცხებულმა მგლებმა?
2. მიუხედავად იმისა, რომ ტოტიაც ერთი იმათგანი იყო, გიჩნდებათ თუ არა მის მიმართ სიბრალული? რა გიჩენთ სიბრალულს ტოტიას მიმართ?
3. როგორ აღწერს ვაჟა მოძმეთა მზაკვრობასა და ტოტიას თავგანწირულ ბრძოლას სიცოცხლისათვის?
4. ეყოფა ამ ხროვას ეს ერთი მსხვერპლი? დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე? თავად მგლები რას ფიქრობენ? რას აკეთებენ ისინი?

1. წაიკითხეთ შოთა ნიშნიანიძის ლექსი და უპასუხეთ შეკითხვებს.

მგლური კანონის ბალადა

ბაბილონიდან,
რომიდან,
სულაც არ ვამბობ ტყუილს,
და კიდევ უფრო შორიდან
მგლური კანონი ყმუის.

მიწაზე,
წყალში, ჰაერში
მგლური კანონი მეფობს,
ომებისა და თარეშის
მწარეს ვკითხულობთ ეპოსს.

თუ ტყეში მშიერ მგელივით
არ გაძუნძულდა შიში, -
ირმებისა და შველ-ნუკრის
გადაშენდება ჯიში.

შოთა ნიშნიანიძე

I. რას ნიშნავს „მგლური კანონი"?

II. რის შესახებ არის ლექსში საუბარი? შემოხაზეთ სწორი პასუხი და დაასაბუთეთ ლექსის მიხედვით.

ა) მგლების ხროვაში მოქმედ კანონებზე;
ბ) ადამიანთა საზოგადოებაში მოქმედ მგლის შესაფერის კანონებზე;
გ) ადამიანთა ისტორიაზე ბაბილონიდან დღემდე;
დ) ზოგადად, კანონებზე.

III. რა არის ცალკეული სტროფის სათქმელი?

ზეცისკენ ლტოლვა - თავისუფლების წყურვილი

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი და მისი "პატარა უფლისწული"

1. გაეცანით სვეტში მოცემულ ინფორმაციას და შეასრულეთ მითითებები.

ა) უპასუხეთ შეკითხვას.

საიდან ჩანს, რომ ის პროფესიონალი მფრინავი იყო?

ბ) მოძებნეთ რუკაზე მარსელი და მიუთითეთ.

დაასახელეთ:

რომელ კონტინენტზე და რომელ ქვეყანაში მდებარეობს.

2. წაიკითხეთ ეპიზოდი „პატარა უფლისწული" და დაასათაურეთ.

ერთხელ, ამ ექვსიოდე წლის წინათ, საჰარის უდაბნოში იძულებით დავეშვი. ჩემს თვითმფრინავს რაღაც დაუზიანდა და, ვინაიდან არც მექანიკოსი მყავდა და არც - მგზავრი, გადავწყვიტე, თავად შემეკეთებინა დაზიანებული ნაწილი. ახლა ამაზე იყო დამოკიდებული ჩემი სიკვდილ-სიცოცხლე. სასმელი წყლის მარაგი დიდი-დიდი ერთი კვირა თუ მეყოფოდა. ღამით სილაზე დავიძინე დასახლებული ადგილიდან მრავალი ათასი მილით დაშორებულ უდაბნოში. გემის დაღუპვის შემდეგ შუაგულ ოკეანეში ტივზე შერჩენილი მეზღვაურიც კი არ იქნებოდა ჩემსავით მოწყვეტილი მთელ ქვეყანას და წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა სისხამ დილით უცნაურმა წკრიალა ხმამ გამაღვიძა:

- თუ შეიძლება... დამიხატე ბატკანი!

ელდანაკრავივით წამოვვარდი ზეზე, თვალები მოვიფშვნიტე და ყურადღებით მიმოვიხედე. ჩემს წინ საოცარი ბიჭუნა იდგა და ყურადღებით შემომცქეროდა.

გაოცებული მივჩერებოდი ამ მოულოდნელ ზმანებას და თვალებს არ ვუჯერებდი.

- კი მაგრამ... აქ რას აკეთებ?

პასუხად მან ძალიან ნელა და დინჯად გამიმეორა:

- თუ შეიძლება... დამიხატე ბატკანი, - და მეც დავუხატე.

ასე გავიცანი პატარა უფლისწული, რომელმაც თავისი სევდიანი ამბავი მიამბო.

ანტუან დე სენტ ეგზიუპერი - ფრანგი მწერალი და მფრინავი.

ამერიკაში ცხოვრებისას დაწერა თავისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები «პატარა უფლისწული».

1944 წლის 31 ივლისს დაიღუპა ერთ-ერთი სადაზვერვო მისიის შესრულებისას.

1998 წელს მარსელთან ახლოს, ზღვაში, ერთმა მეთევზემ იპოვა სამაჯური, რომელზეც ანტუანისა და მისი ცოლის სახელები ეწერა. მოგვიანებით, ზღვაში, 70 მეტრ სიღრმეში, აღმოაჩინეს ნარჩენები იმ თვითმფრინავისა, რომელიც სენტ ეგზიუპერის ეკუთვნოდა.

3. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) გაიხსენეთ, სად არის საჰარის უდაბნო და რა იცით მის შესახებ?

ბ) ვინ ჰყვება ამბავს?

გ) საიდან ჩანს, რომ ავტორი პერსონაჟიცაა? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი ტექსტის მიხედვით.

დ) ვინ ნახა მთხრობელმა უდაბნოში?

ე) რამ გააოცა ამბის მთხრობელი?

ვ) რა სთხოვა პატარა უფლისწულმა მას?

4. მოცემული ნაწყვეტი დააკავშირეთ ეგზიუპერის ცხოვრებაში მომხდარ შემთხვევასთან. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა მოხდა 1935 წლის 30 დეკემბერს?

ბ) ვისთან ერთად იმყოფებოდა ეგზიუპერი?

გ) სად ჩამოვარდნენ ისინი?

დ) რა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ისინი?

5. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

<u>რაზე მიუთითებენ ეს სიტყვები?</u>

ა) რეალობის არასწორად აღქმაზე

ბ) ადამიანის ავადმყოფობაზე

გ) ბუნების საოცრებაზე

უდაბნოში, სადღაც საჰარისკენ, სადაც პატარა უფლისწული მოხვდა, ეგზიუპერი 1935 წლის 30 დეკემბერს მეგობართან ერთად მართლაც ჩამოვარდა. ისინი რამდენიმე ყურძნის, თერმოსში შემორჩენილი ყავის, ფორთოხლისა და ცოტა ღვინის იმედზე დარჩნენ. ცოტა ხანში მირაჟისა და ჰალუცინაციების ხილვები დაეწყოთ. მეოთხე დღეს ერთმა ბედუინმა ორივე იპოვა და სიკვდილისაგან გადაარჩინა.

მირაჟი - მოჩვენებითი გამოსახულება

ხილვა – ჩვენება, ზმანება

ჰალუცინაცია - ბოდვა, მოჩვენება

ბედუინი - მომთაბარე არაბი

6. დაუბრუნდით ეპიზოდს „პატარა უფლისწულიდან“ და შეადარეთ ეგზიუპერისა და მისი მეგობრის ამბავს. რა მსგავსება და რა განსხვავებაა მათ შორის? - სად მოხდა? როგორ მოხდა? ვისთან ერთად იყო? და ა.შ.

	მსგავსება	**განსხვავება**
„პატარა უფლისწული“		
რეალური ისტორია		

7. გამოიყენეთ წინა დავალება და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) როგორ ფიქრობთ, ის, რაც ეგზიუპერიმ აღწერა «პატარა უფლისწულში», რეალური ამბავია თუ არა?

ბ) თუ რეალური ამბავია, ვინ არის და საიდან გაჩნდა პატარა უფლისწული? იყო თუ არა ეს ეგზიუპერის ხილვა უდაბნოში?

1. გაეცანით ინფორმაციას - როგორ დაიწერა „პატარა უფლისწული“? და უპასუხეთ შეკითხვებს.

ფრანგი მწერალი, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი თავის წიგნებში წერდა თავის მეგობარ მფრინავებზე, იმ ადგილებზე, სადაც თვითმფრინავით დაფრინავდა, წერდა ცაზე. ეგზიუპერი თითქოს ყოველთვის ზევიდან, ღრუბლებიდან დასცქეროდა დედამიწას. ასეთი სიმაღლიდან კი უკვე აღარ მოჩანს საზღვრები ქვეყნებს შორის - ხედავ ერთ დიდ დედამიწას, რომელიც ყველა ადამიანის სამშობლოა; საყვარელი სახლია, რომელიც შეიძლება დატოვო, მაგრამ ყოველთვის დაბრუნდები უკან. ანტუანსაც საოცრად უყვარდა დედამიწა და ყველა ცოცხალი არსება, რომელიც დედამიწაზე ცხოვრობს.

სენტ-ეგზიუპერის ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია ზღაპარი „პატარა უფლისწული“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწერა. მისი ილუსტრაციები მწერალმა თვითონ დახატა. ცნობილია, რომ ეგზიუპერის ბავშვობიდან უყვარდა ხატვა. ის ხატავდა ყველგან - კაფეში თუ სტუმრად ყოფნისას; ხატავდა ყველაფერზე, რაზედაც ხატვა შეიძლებოდა - ქაღალდის ნაგლეჯებზე, დღიურებში, ბლოკნოტებში... „პატარა უფლისწულის“ დაწერის იდეაც ნახატიდან წარმოიშვა: 1942 წელს ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი თავის ამერიკელ მეგობრებთან ერთად ვახშმობდა ნიუ-იორკში. ვახშმობის დროს ანტუანმა პირდაპირ სუფრაზე დახატა პატარა ბავშვის გამოსახულება. ნახატი ყველას მოეწონა, ერთ-ერთმა მეგობარმა, ელისაბედ რეინალმა კი ურჩია ანტუანს, დაეწერა წიგნი პატარა ბავშვებისათვის.

ეგზიუპერიც შეუდგა „პატარა უფლისწულის“ წერას. ზღაპარზე მუშაობის დროს იგი ხშირად წერდა წერილებს თავის მეგობარს, ლეონ ვერტს, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობდა. წერილებში იგი მეგობარს უყვებოდა უფლისწულის ისტორიას. ბევრ წერილში დახატულია პატარა ბავშვი, რომელიც ხან ღრუბლებზე დგას და მიფრინავს, ხან მიწაზე დგას მოწყენილი სახით...

„პატარა უფლისწულის“ დამთავრების შემდეგ ანტუანმა პროფესიონალ მხატვარს, ბერნარ ლამოტს სთხოვა ილუსტრაციების შექმნა ზღაპრისათვის. ლამოტმა დახატა კიდეც რამდენიმე ილუსტრაცია, მაგრამ მხატვრის ხელით შესრულებულ ნახატებს აკლდა სიმარტივე. არადა, ეგზიუპერის მარტივი და უბრალო ნახატები სჭირდებოდა. ანტუანმა გადაწყვიტა, თვითონ შეექმნა ილუსტრაციები. იყიდა ფანქრები, აკვარელის საღებავები და დაიწყო ნახატებზე მუშაობა.

ზღაპრის დაწერის შემდეგ სენტ-ეგზიუპერი ბრძოლაში დაიღუპა - იგი სამხედრო დავალების შესასრულებლად გაფრინდა თავისი თვითმფრინავით და უკან აღარ დაბრუნებულა. მისი თვითმფრინავი ეძებეს, მაგრამ ვერსად ნახეს - მწერალი პატარა უფლისწულივით დაიკარგა ცაში.

- როგორ მოჩანს დედამიწა ღრუბლების სიმაღლიდან?
- როგორ გაჩნდა ზღაპრის შექმნის იდეა?
- მიუთითეთ, რა საერთო აქვთ პატარა უფლისწულსა და სენტ-ეგზიუპერის? უპასუხეთ ბოლო აბზაცზე დაყრდნობით.

2. გაეცანით მწერალ ანდრე მორუას მოგონებებს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) სად ცხოვრობდა სენტ-ეგზიუპერი?

ბ) როდის იყო ხოლმე ეგზიუპერი განსაკუთრებით მხიარული?

გ) რით ართობდა ის მეგობრებს?

დ) რას აკეთებდა ხოლმე ეგზიუპერი მუშაობის პროცესში?

ანდრე მორუას მოგონებები

მე ვყოფილვარ მასთან ლონგ-აილენდზე, როცა ანტუანი „პატარა უფლისწულს“ წერდა. ის და კონსუელო (მეუღლე) ნაქირავებ დიდ სახლში ცხოვრობდნენ. სენტ-ეგზი ღამღამობით მუშაობდა. საღამოობით, სადილის შემდეგ, გამხიარულდებოდა ხოლმე - ყვებოდა ამბებს, მღეროდა, ოხუნჯობდა, ბანქოს ქაღალდით ფოკუსებს უჩვენებდა ნაცნობ-მეგობრებს. შუაღამისას, როცა ყველანი დასაძინებლად წავიდოდით, ის საწერ მაგიდას მიუჯდებოდა. ღამის ორ საათზე ანტუანის ხმა ჩამესმოდა, გამოვიდოდა კიბეზე და კონსუელოს ასძახებდა: „კონსუელო! კონსუელო! მომშივდა, ერბო-კვერცხი შემიწვი!“ კონსუელოც ჩამოვიდოდა, მეც საბოლოოდ ვფხიზლდებოდი და გავდიოდი მათთან. სენტ-ეგზი ისევ ალაპარაკდებოდა, ბევრს ლაპარაკობდა, **ენაწყლიანიც** იყო, დანაყრდებოდა და ისევ მიუჯდებოდა მაგიდას. მე და კონსუელო კი ვცდილობდით **თვალი მოგვეტყუებინა,** მაგრამ ორი საათიც არ იყო გასული, რომ ხელახლა გვესმოდა მისი ყვირილი: - კონსუელო! მომეწყინა, ჩამოდი, ერთი ხელი ჭადრაკი ვითამაშოთ! შემდეგ, როცა ყველანი ისევ **მოვიყრიდით თავს**, ანტუანი გვიკითხავდა იმწუთას დაწერილ სტრიქონებს.

3. მონიშნეთ მცდარი ინფორმაცია და გაასწორეთ.

ა) სახლი, სადაც ეგზიუპერი „პატარა უფლისწულს“ წერდა, მისი მეუღლის იყო.

ბ) ეგზიუპერის ღამით უყვარდა მუშაობა.

გ) ის საკმაოდ მკაცრი და სიტყვაძუნწი იყო.

დ) მას ძალიან უყვარდა მეგობრების წრეში ყოფნა.

ე) ეგზიუპერი მთელი ღამის განმავლობაში თავაუღებლად მუშაობდა.

ვ) მას არ უყვარდა საკუთარი ნაწერების სხვებისთვის წაკითხვა.

4. ტექსტებში მოცემული ინფორმაციები დააჯგუფეთ სათანადო თანამიმდევრობის დაცვით „პატარა უფლისწულის“ შექმნის ეტაპების მიხედვით. იმუშავეთ რვეულში.

დაწერამდე	წერის დროს	დაწერის შემდეგ

„ეძებეთ პატარა პრინცი არა ცაში, არა ვარსკვლავების გადახედვაში, არამედ საკუთარ თავში. იმიტომ, რომ ეს არის ის ჩვენი ბავშვობა, რომელიც დავივიწყეთ“ –

გიორგი ეკიზაშვილი,

„პატარა უფლისწულის“ მთარგმნელი

1. წაიკითხეთ ტექსტის შემოკლებული ვარიანტი დანართში და შეასრულეთ დავალებები.

I. გაიხსენეთ წინა გვერდებზე მოცემული ტექსტები და თავიდან ისაუბრეთ ანტუან დე სენტ ეგზიუპერის - ავტორისა და პერსონაჟის შესახებ.

ა) როგორ მოხვდა ეგზიუპერი საჰარის უდაბნოში?

ბ) როგორ მოხვდა საჰარის უდაბნოში წიგნის პერსონაჟი?

გ) ვინ არიან ერთიცა და მეორეც პროფესიით?

დ) საიდან ჩანს, რომ ავტორი და პერსონაჟი ერთი და იგივე პირია?

II. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) საიდან მოევლინა პატარა უფლისწული უდაბნოში ჩამოვარდნილ მფრინავს?

ბ) ვის ან რას გამოექცა ის თავისი პლანეტიდან და რატომ? (უპასუხეთ მე-7 ეპიზოდის მიხედვით).

გ) რა იყო მისი გასართობი საკუთარ პლანეტაზე? (უპასუხეთ მე-4 ეპიზოდის მიხედვით)

დ) რამდენჯერ და როგორ შეეძლო დაისის ნახვა უფლისწულს?

ე) ვინ შეხვდა დედამიწაზე ჩამოსულ უფლისწულს პირველად?

ვ) რამდენი ხანი გაგრძელდა მისი მოგზაურობა დედამიწაზე და რით დასრულდა?

ზ) რა ჰგვრიდა მფრინავს განსაკუთრებულ აღტაცებას უფლისწულში? (უპასუხეთ მე-9 ეპიზოდის მიხედვით)

თ) რომელია ეგზიუპერის ვარსკვლავი და ვინ ცხოვრობს იქ?

„ანტუან დე სენტ ეგზიუპერის ეს ალეგორიული ნოველა პირველად 1943 წელს გამოქვეყნდა ნიუ-იორკში. ეს ის პერიოდია, როცა ევროპაში ფაშიზმი მძვინვარებდა და მწერლის მშობლიური საფრანგეთიც ნაცისტების მიერ იყო ოკუპირებული. ამიტომაც ,,პატარა უფლისწული“ უდაბნოში მღაღადებელი თავისუფლების სულის ძახილივით გაისმა.

საფრანგეთში ის მეოცე საუკუნის საუკეთესო ფრანგულ ტექსტად აღიარეს. თარგმნილია მსოფლიოს 250-ზე მეტ ენასა და დიალექტზე.

ტექსტის ასეთ პოპულარობას, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ერთი მიზეზი ჰქონდეს... ერთ-ერთი იქნებ ისიც არის, რომ ადამიანი, როგორც საკუთარი ბავშვობის სამოთხიდან გამოძევებული მგრძნობიარე არსება, მუდამ ესწრაფვის ამ სამოთხეში დაბრუნებას და ამაში მას პატარა პრინცი ძალიან ეხმარება“...

გიორგი ლობჟანიძე

„პატარა პრინცი - არა ცაში, საკუთარ თავში“, 01.11.2013, https://www.radiotavisupleba.ge

III. <u>გამოიყენეთ წიგნი, მოიძიეთ ინფორმაცია და შეავსეთ ცხრილი.</u> იმუშავეთ რვეულში.

ა) **პატარა უფლისწული:**

ვინაობა და საცხოვრებელი	
ასაკი და გარეგნობა	
გართობა და საქმოიანობა	
გრძნობები და ემოციები	
ურთიერთობები და დამოკიდებულებები	
მეგობრები	

ბ) **ასტეროიდი ბ612:**

ა) მდებარეობა

ბ) სიდიდე

გ) გარემო - ბუნება, რელიეფი

დ) დამატებით ინფორმაცია

IV. <u>უპასუხეთ შეკითხვებს მეექვსე ეპიზოდის მიხედვით.</u>

ა) რომელ ყვავილზეა საუბარი და რატომ იყო ეს ყვავილი პატარა უფლისწულისათვის განსაკუთრებული?

ბ) რით განსხვავდებოდა ის დანარჩები ყვავილებისაგან?

გ) რა იგრძნო პატარა უფლისწულმა, როცა მისი კოკორი ნახა?

დ) როგორ ექცეოდა უფლისწული ყვავილს და პირიქით, ყვავილი - უფლისწულს?

ე) რატომ თვლიდა პატარა უფლისწული თავს უბედურად?

V. <u>გადახაზეთ სიტყვა, რომელიც არ შეეფერებოდა უფლისწულის ყვავილს.</u>

კეკლუცი, მზისდარი, ამპარტავანი, მომხიბვლელი, ჭირვეული, უსამართლო

1. წაიკითხეთ და დააკავშირეთ ნახატებთან. დანომრეთ ნახატები თანმიმდევრულად.

დედამიწამდე პატარა უფლისწულმა ექვსი პლანეტა შემოიარა. გაიცნო მეფე, რომელსაც ჰგონია, რომ ვარსკვლავებს განაგებს; პატივმოყვარე, რომელსაც უნდა, რომ გარშემო მყოფნი მისით აღფრთოვანდნენ და თაყვანს სცემდნენ; ლოთი, რომელიც სვამს იმიტომ, რომ რცხვენია და რცხვენია იმიტომ, რომ სვამს; საქმოსანი, რომელიც მუდამ ვარსკვლავებს ითვლის და ისინი საკუთრად მიაჩნია, რადგან ვარსვლავები არავისია; მეფარნე, რომელიც სიტყვის კაცია და წუთში ერთხელ აქრობს და შემდეგ ანთებს ფარანს; გეოგრაფი, რომელიც წიგნში მოგზაურთა მონათხრობებს იწერს, თავად კი არ მოგზაურობს, რადგად გეოგრაფია და არა - მოგზაური.

2. წაიკითხეთ და დაასახელეთ, ვისზეა საუბარი.

ა) მის თვალში ყველა ადამიანი მისი თაყვანისმცემელია.

ბ) მისთვის ყველაზე მთავარი ის იყო, რომ უყოყმანოდ დამორჩილებოდნენ მის ბრძანებას. იგი ვერ იტანდა ურჩობას. იგი აბსოლუტური მონარქი იყო.

გ) მისი აზრით, დედამიწას კარგი რეპუტაცია აქვს. ამიტომაც ურჩია მან პატარა უფლისწულს, დედამიწას სწვეოდა.

დ) მას ვარსკვლავების მფლობელად იმიტომ მიაჩნია თავი, რომ აქამდე მათ სხვა არავინ დაპარტონებია. ის არაფერს არ რგებს მათ, მხოლოდ გაუთავებლად ითვლის.

ე) იქნებ ამ კაცის ცხოვრება უაზროა, მაგრამ არც ისე უაზრო, როგორც მეფის, პატივმოყვარისა და საქმოსნის... მის სამუშაოს ხომ რაღაც აზრი მაინც აქვს... იმათ შორის მხოლოდ ეს არ არის სასაცილო, ალბათ მარტო თავის თავზე რომ არ ზრუნავს, ამიტომ.

3. წაიკითხეთ დიალოგები და დაასახელეთ, ვის ელაპარაკება პატარა უფლისწული.

- აა, აი, ჩემი თაყვანისმცემელიც! - წამოიძახა, როგორც კი თვალი მოჰკრა პატარა უფლისწულს.
- რა არის თაყვანისცემა?
- თაყვანისცემა იმის აღიარებას ნიშნავს, რომ ამ პლანეტაზე მე ყველაზე ლამაზი, ყველაზე მოხდენილი, ყველაზე მდიდარი და ყველაზე ჭკვიანი კაცი ვარ.
- კი, მაგრამ, შენ ხომ მარტო ხარ ამ პლანეტაზე?
- მასიამოვნე და მეცი თაყვანი!
- კარგი, გცემ თაყვანს, მაგრამ რად გინდა ეს თაყვანისცემა?

4. დაასახელეთ სწორი ვარიანტი.

<u>თაყვანისცემა არის:</u>

ა) მისალმების განსაკუთრებული ფორმა;

ბ) ბოდიშის მოხდა;

გ) მეტისმეტი პატივისცემა და სიყვარული.

5. დააკავშირეთ მოცემული ფრაზები დიალოგებთან.

ა) „თვალი ბრმაა, ადამიანი გულით უნდა ხედავდეს!“

ბ) „პატივმოყვარე კაცს ქების გარდა არაფერი ესმის!“

გ) „ვარსკვლავები იმიტომ კიაფობენ, რომ ადრე თუ გვიან ყველამ თავისი ვარსკვლავი იპოვოს!“

დ) „პატივმოყვარე კაცის თვალში ყველა ადამიანი მისი თაყვანისმცემელია!“

- ლამაზია ვარსკვლავები, უფრო იმიტომ, რომ იქ, სადღაც, ერთი ყვავილი ხარობს, რომელიც აქედან არ ჩანს.
- მართალი ხარ, - მივუგე მე.
- უდაბნოც ლამაზია! იცი, რატომ არის უდაბნო ლამაზი? იმიტომ, რომ სადღაც მის წიაღში წყარო იმალება.
- მართალი ხარ. ლამაზი ის არის, რაც არ ჩანს...
- შენი პლანეტის ადამიანები კი ვერ პოულობენ იმას, რასაც დაეძებენ იმიტომ, რომ ვერ ხედავენ!

6. როგორ ახასიათებს პატივმოყვარე კაცი საკუთარ თავს? მოძებნეთ დიალოგში და წაიკითხეთ.

7. დაუბრუნდით მეორე დიალოგს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რატომ არის უფლისწულისათვის ვარსკვლავები ლამაზი?

ბ) რით ჰგავს უდაბნოს სილამაზე ვარსკვლავების სილამაზეს?

გ) ვინ ამბობს: „ლამაზი ის არის, რაც არ ჩანს“?

დ) დაასახელეთ, რას ხედავს თვალი და რას - გული?

1. **მიუბრუნდით მერვე ეპიზოდს -** პატარა უფლისწული ვარდებით მოფენილ ბაღში **- და მოძებნეთ პასუხები ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე.**



ა) როგორ მოხვდა პატარა უფლისწული ვარდების ბაღში?

ბ) რატომ შემოაწვა გულზე საშინელი სევდა ვარდების ნახვის შემდეგ? რამ აატირა ის?

გ) რის გამო იგრძნო გაცრუება პატარა უფლისწულმა?

დ) ვის შეხვდა უფლისწული ბაღში?

2. **წაიკითხეთ ფრაზები და დაასახელეთ, როდის ამბობს პატარა უფლისწული ამ სიტყვებს -** მელიასთან საუბრამდე თუ მელიასთან საუბრის შემდეგ?

ა) „ჩემი ვარდი თქვენისთანაა, მაგრამ იგი ყველა ვარდზე ძვირფასია ჩემთვის იმიტომ, რომ იგი ჩემი ვარდია“.

ბ) „თურმე ჩვეულებრივი ვარდის პატრონი ვყოფილვარ!“

გ) „მხოლოდ გული ხედავს კარგად, თვალს არ ძალუძს დაინახოს ის, რაც მთავარია და არსებითი“.

3. **რით იყო მნიშვნელოვანი პატარა უფლისწულის შეხვედრა მელიასთან? რა დაუბრუნა მელიამ მას?**

4. **დაუბრუნდით ტექსტს. ამოწერეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი ადგილები და ფრაზები და გააცანით ერთმანეთს.** განმარტეთ, რა აზრი დევს ამ ფრაზებში და ახსენით, რატომ არის ისინი თქვენთვის მნიშვნელოვანი.

გოდერძი ჩოხელი და მისი „ცასწავალა“

5. გაეცანით ბიოგრაფიულ მონაცემებს და დაასახელეთ, რაზე მიანიშნებს მწერალ გოდერძი ჩოხელის გვარი - წარმომავლობაზე, დაბადების ადგილსა თუ პროფესიაზე?

6. წაიკითხეთ მცირე ამონარიდი გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი მოთხრობიდან - „ადამიანთა სევდა“. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა ადარდებთ ადამიანებს? რა არის მარტოობა?



1954წ. - 2007წ.

დაიბადა დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში, უფრო ზუსტად, გზად სოფელ ბურსა-ჭირისკენ. სოფელი ჩოხი წმინდა ადგილად ითვლებოდა და ამიტომ დედამისი მთაში წავიდა თავის დედ-მამასთან. მან ადგილამდე ვერ მიაღწია და გოდერძი გზაში გააჩინა.

„- რა გადარდებს?

- მარტოობა მადარდებს. ადამიანი ხშირად ხალხშია, მაგრამ მაინც მარტოდ გრძნობს თავს. ზოგჯერ თავის თავიც კი ეუცხოვება, საკუთარ თავს გაურბის. რატომ ხდება ეს? არ ვიცი. საიდან მოვედით ან სად მივდივართ? არც ეს ვიცი...“ - **„ადამიანთა სევდა“**

7. დააკვირდით სურათს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა არის სურათზე გამოსახული?

ბ) რას აკეთებენ და რაზე ფიქრობენ, თქვენი აზრით, ისინი?

გ) მათ ერთმანეთთან რაღაც აერთიანებთ. როგორ ფიქრობთ, რა აქვთ მათ საერთო?

1. წაიკითხეთ მოთხრობის („ცასწავალა“) დასაწყისი და შეადარეთ თქვენს ვერსიებს.

მეტნაკლებად ყველას აქვს ცაში წასვლის სურვილი. პოეტები ვარსკვლავებს უმღერიან, ხეები ზეცას შეჰღაღადებენ, დამშეული მგლებიც ცას შეჰყმუიან. ყველას აქვს ზეცაში ამაღლების სურვილი. იმათ შორის პატარა ცისფერთვალება ჩიტსაც, რომელსაც ცასწავალას ეძახიან.

2. იმსჯელეთ თქვენ შესახებ.

ა) თქვენ თუ გქონიათ ჩიტივით ცაში ფრენის სურვილი?

ბ) ვის უნატრია ჩიტად ყოფნა და რატომ?

გ) გიოცნებიათ იმაზე, რომ ფრთები გქონოდათ?

დ) რას იზამდით, ფრთები რომ გქონდეთ?

3. დაუბრუნდით გოდერძი ჩოხელის მოთხრობას - „ცასწავალა“. რას გეუბნებათ მისი სათაური? დააკვირდით სურათებს და გამოთქვით ვარაუდები ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით.

ა) რატომ ჰქვია ამ „პატარა ცისფერთვალება ჩიტს“ ცასწავალა?

ბ) რაზე მიანიშნებს მისი სახელი?

გ) რაზე ოცნებობს ცასწავალა?

დ) რატომ აქვს ცასწავალას ცისფერი თვალები? ზოგადად, რა ფერის თვალები აქვთ ფრინველებს? „ცისფერით “ რის ხაზგასმას ახდენს მწერალი?

ე) რა ხდება მეორე სურათზე? რაზე ბჭობენ ფრინველები?

ვ) თქვენი აზრით, რა ამბები დატრიალდება ცასწავალას თავს?

4. წაიკითხეთ მოთხრობის პირველი ეპიზოდი და შეასრულეთ მითითებები.

ცასწავალა

(შემოკლებით)

ვუძღვნი პატარა უფლისწულის ხსოვნას.

1. ცასწავალა ღობემძვრალაზე ოდნავ დიდი თუ იქნება, ძალიან პატარა ფრთები აქვს, ძალიან პატარა ნისკარტი. ცასწავალა აყვავებულ მთის ფერდობზე გავიცანი. ზაფხულობით ჯერ თეთრად გადაიპენტება ხოლმე გუდამაყრის მთები, - ეს თეთრი ყვავილებია, გუდამაყრელები კანკეშას ეძახიან. მერე ლურჯი ყვავილებიც ამოვა და ფარდაგს დაემსგავსება სათიბები.

ცხვარს ვედექი. ირგვლივ გაყუჩებული იყო ყოველივე. გახურებული მზე ზეცის სილურჯეში ლივლივებდა და ისეთი ლურჯი ცა იყო, თვალს ვერ მოსწყვეტდი. თეთრად აყვავებულ კანკეშებში გულაღმა ვიწექი და ცაში წასვლაზე ვოცნებობდი. უცებ, ჩემს ქვემოთ, ერთი პატარა ჭრელი ჩიტი ამოფრინდა და ცაში აიჭრა, თან წკრიალა ხმით იძახდა: ცასწავალ! ცასწავალ!

სიჩუმეში ისე დაირხა მისი ხმა, ყველა მას შესცქეროდა: გუთნისჩიტები, ბოლოცეცხლები, ჩხიკვები, კლდის ქიმზე შემომჯდარი ორბებიც კი და ყვავილებიც კი შეიშმუშნენ.

ცასწავალამ ერთხანს იფრინა ასე და უცებ ისევ დაბლა დაეშვა. მოდიოდა და ახალა იმას იძახდა: ვტყუი! ვტყუი! ვტყუი!

ჩამოვიდა და ბალახებში გაუჩინდარდა. მერე რამდენჯერმე კიდევ აფრინდა ცაში გაგულისებული ძახილით: - ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ! - რაღაც ზღვარს მიაღწევდა, ღონე გამოელეოდა და ისევ ქვემოთ დაეშვებოდა: - ვტყუი! ვტყუი! ვტყუი! - ამით თითქოს თავს იმართლებდა. თავის უღონობას მალავდა, რათა სხვებს არ გაეგოთ, რომ ცაში წასვლა არ შეეძლო.

ჯერ უთმინეს ფრთოსნებმა ეს ტყუილი. მერე კი, ეტყობა, საწყენად მიიღეს, ჩემს იქით, კანკეშიან გორზე, იწყეს შეკრება. მოვიდა ყველა ჯურის ფრინველი. ეტყობა, რაღაც თავისებური უმავთულო ტელეფონები აქვთ, თორემ როგორ გააგებინეს ასე უცებ ერთმანეთს: მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ათასნაირად ჩაცმულები. გორზე ტევა აღარ იყო. როცა ყველანი შეიკრიბნენ, რაღაც ითათბირეს და გაისუსნენ.

I. <u>უპასუხეთ შეკითხვებს.</u>

ა) ვინ ყვება ამბავს? ვინ არის მთხრობელი და რას საქმიანობს ის?

ბ) სად გაიცნო მან ცასწავალა? გაიხსენეთ, რას აკეთებდა მწყემსი, როდესაც პირველად გაიგონა ცასწავალას ხმა.

გ) რა იყო პატარა ჩიტის სურვილი? საიდან ჩანს, რომ ის თავდაუზოგავად ცდილობდა მის ასრულებას?

დ) რით განსხვავდებოდა ცასწავალა სხვა ფრინველებისაგან? საიდან ჩანს?

ე) რას აკეთებდა ცასწავალა თავისი უღონობის დასამალად და რატომ?

ვ) როგორ ადევნებდა თვალს ფრთოსანთა საზოგადოება საკუთარი წევრის „ახირებას“?

ზ) რამ გაანაწყენა ისინი? საიდან ჩანს?

II. <u>სწორია თუ არა მოცემული ინფორმაცია? მონიშნეთ ცხრილში სათანადო უჯრა I ეპიზოდის მიხედვით.</u>

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს I ეპიზოდში
ცასწავალა მარტო ცხოვრობდა.			
ცასწავალა ღონის გამოცლამდე მიფრინავდა ცისკენ.			
ცასწავალას ცაში აჭრას მხოლოდ ფრთოსნები ადევნებდნენ თვალს.			
ფრინველებს არ მოსწონდათ ცასწავალას უცანური საქციელი.			
გორაზე ყველაზე ბოლოს ორბები მოფრინდნენ.			
ცასწავალამ მხოლოდ ერთხელ სცადა ცაში აჭრა.			

III. <u>გაასწორეთ მცდარი ინფორმაცია.</u>

1. გაიხსენეთ როგორ დამთავრდა პირველი ეპიზოდი და უპასუხეთ შეკითხვებს. როგორ ფიქრობთ,

ა) რატო შეიკრიბა ფრინველთა სამყარო?

ბ) რა ითათბირეს და რა გადაწყვიტეს?

2. დააკვირდით ნახატს და დააკავშირეთ წინა დავალებასთან. ისაუბრეთ ნახატის შესახებ.

ა) რა ხდება სურათზე?

ბ) ვინ დასვეს ჩიტებმა მოსამართლედ და რატომ?

გ) ვისთვის მოაწყვეს სასამართლო და რატომ?

დ) როგორ აღმოჩნდა ცასწავალა სასამართლოზე? მიიყვანეს თუ თვითონ მივიდა? თუ მიიყვანეს, როგორ და სხვა.

- აღწერეთ გარემო, სადაც მოქმედება ვითარდება;
- აღწერეთ და დაახასიათეთ პერსონაჟები.

3. გამოიყენეთ ნახატი და დაწერეთ - „ჩიტების სასამართლოზე“**. ყურადღება მიაქციეთ მოცემულ სქემას და ისე გააცოცხლეთ ნახატზე გამოსახული ეპიზოდი.**

I. **დასაწყისი**

ა) აღწერეთ გარემო, სადაც სასამარლო იმართება (როგორი ბუნებაა, დღის რომელი მონაკვეთია, როგორი ამინდია და სხვა).



ბ) ვინ არის მოსამართლე, როგორ გამოიყურება, რა აცვია?...

გ) ვინ ესწრება სასამართლოს?

დ) ვისთვის მოაწყვეს სასამართლო?

ე) რისთვის უნდა გაასამართლონ?

II. **შუა ნაწილი**

ა) როგორ აღმოჩნდა ცასწავალა სასამართლოზე? (1. დაიჭირეს და ისე მიიყვანეს; 2. ცასწავალას აინტერესებდა, რა ხდებოდა იქ და მივიდა...)



ბ) დიალოგი მოსამართლესა და ცასწავალას შორის:

<u>რა აინტერესებს მოსამართლეს?</u>

1. ვინ არის და სად ცხოვრობს?
2. ვისთან მიფრინავს და რატომ?
3. რატომ ატყუებს ის ფრინველებს?..

III. **დასასრული**



ა) რით დასრულდა სასამართლო?

ბ) რა გადაწყვიტეს ფრინველებმა?

4. გააცანით ერთმანეთს თქვენი ნაწერები და შეადარეთ ვერსიები.

5. წაიკითხეთ მოთხრობის გაგრძელება და შეადარეთ თქვენს ვერსიებს. დაასახელეთ, რა დაემთხვა და რა - არა.

2. ბალახებიდან ისევ ამოფრინდა ცასწავალა და ცაში აიჭრა: ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ! - ყვიროდა ის, მერე მიაღწია რაღაც ზღვარს და ქვემოთ დაეშვა: - ვტყუი! ვტყუი! ვტყუი! - ის-ის იყო, ბალახებში უნდა ჩამალულიყო, რომ გორზე შეკრებილ ფრინველებს ორი მიმინო გამოეყო, ეცნენ ცასწავალას და გაკოჭეს, აღარ აცალეს დამალვა. მიმინოებმა ცასწავალა გორზე შეკრებილ ფრთოსნებს მიჰგვარეს. იმათ ამოირჩიეს მოსამართლე და დაიწყო სასამართლო.

მე, ჩუმად, ახლოს მივიწიე, რომ კარგად დამენახა, რა მოხდებოდა.

მოსამართლე ყვავმა თავისი ადგილი დაიკავა და დაიწყო:

- მოქალაქე ცასწავალა, თქვენ ბრალად გედებათ აქ შეკრებილი საზოგადოების მოტყუება. მითხარით, ვინა გყავთ ცაში?

- არავინ, - თქვა სევდიანად ცასწავალამ.

- ვაა! - აღმოხდა ყვავს, - როგორ თუ არავინ, მაშ ვისთან მიდიოდი?

- ისე, ცაში მინდოდა წასვლა.

- ვისთან, ვინ დაგპატიჟათ, რა მიზეზით?

- არა, არავის დავუპატიჟნივარ, მაგრამ...

- „მაგრამ“ აქ გამორიცხულია, მოქალაქე ცასწავალა, თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ აქ დამსწრე საზოგადოებას. განა შეიძლება ამდენი ტყუილი? მეტი საქმე არა გაქვს, რომ მთელი დღე გვატყუებ, ცასწავალ, ცასწავალ! და მერე ურცხვად იმეორებ, ვტყუი, ვტყუი!

- ვინ არის შენი მოსატყუებელი. უფროსებისა მაინც არა გრცხვენია? სახლში ვინა გყავს?

- არავინ.

- ობოლი ხარ?

- დიახ... - თქვა საბრალო ცასწავალამ და თავი მუხლებში ჩამალა.

- საზოგადოების მოტყუებისათვის ცასწავალას მიესაჯოს ერთი დღე-ღამით თავისუფლების აღკვეთა, კანკეშის ღეროზე მიბმით, - გამოიტანა მოსამართლემ განაჩენი, შემდეგ გაგრიხეს გრძელი მარსლები, ცასწავალა ფრთებითა და ფეხებით კენკეშის ღეროზე მიაბეს და საკრებულო ნება-ნება დაიშალა. ყველაზე ბოლოს მოლაღული შემორჩა, მივიდა ცასწავალასთან, კარგახანს იდგა დაფიქრებული, მერე ცას ახედა, ამოიოხრა და მოწყენილი გაფრინდა.

1. **რა მოხდა შემდეგ და როგორ დასრულდა ცასწავალას ცაში აჭრის ამბავი?** აირჩიეთ სასურველი ვარიანტები და დაასრულეთ ამბავი. დაასათაურეთ ბოლო ეპიზოდი.

I. <u>ვინ და რატომ დასტრიალებს ყვავილის ღეროზე მიბმულ ცასწავალას?</u>

ა) ის ცასწავალას მეგობარია;

ბ) ის ცასწავალას დარაჯია. იცავს მას, რომ არ გაიქცეს.

II. <u>როგორ გათავისუფლდა ცასწავალა?</u>

ა) მეგობარმა ჩიტმა გაათავისუფლა.

ბ) ფრინველებმა გაათავისუფლეს.

გ) ამბის მთხრობელმა გაათავისუფლა.

დ) თვითონ გათავისუფლდა.

III. <u>რა გააკეთა გათავისუფლებულმა ცასწავალამ?</u>

IV. <u>რა მოხდა ცაში?</u>

ა) მზის მხურვალებისაგან ცასწავალას ფრთები დაეწვა და ჩამოვარდა;

ბ) მას შიშისაგან / სიხარულისაგან / გაოცებისაგან... გული გაუსკდა;

გ) რაღაცის შეეშინდა და ის დედამიწაზე დაბრუნდა.

V. <u>როგორ მოიქცნენ ფრინველები? რა გააკეთეს მათ?</u>

2. წაიკითხეთ ამბის დასასრული და შეადარეთ თქვენს ვერსიას. იმსჯელეთ მოცემულ შეკითხვებზე.

3. - გამაგრდი, ცასწავალა! - ჩამოსძახა კანკეშაზე მიბმულ ცასწავალას.
ჩამოვარდა სიჩუმე. საწყალმა ცასწავალამ ამაოდ სცადა მარსლების გაწყვეტა. მე ჯერ დავაპირე ამეშვა, მაგრამ მერე ვიფიქრე, ვაითუ, ფრთოსნებმა მათი განაჩენის დარღვევა შეურაცხყოფად მიიღონ და ცასწავალას რაიმე დაუშაონ-მეთქი, ისევ გაცლა ვამჯობინე, ცხვარი ქვემოთ გავრეკე, დავტოვე ცასწავალა მარტოკა, მიწისა და ზეცის ამარა. მთელი ღამე არ მეძინა, მეშინოდა, მელიას არ მიეგნო დაბმული ცასწავალასთვის.

დილით ადრე გავირეკე მთისაკენ ცხვარი, იმ ადგილას რომ მივედი, ჯერ ვერ დავინახე ცასწავალა, მერე კინაღამ ზედ შევდექი, ფოთლები ეფარა ზედ და ეძინა. ეტყობა, მოლაღულმა დააფარა, რომ მელიას ვერ დაეინახა. მართლაც, რამდენიმე წუთში საიდანღაც მოფრინდა მოლაღული და ფოთლები მიმალ-მომალა, რომ ფრთოსნებს არ ენახათ.

შუადღემდე დაბმული იყო ცასწავალა. შუადღისას ისევ შეიკრიბნენ ფრთოსნები და ახსნეს, ჯერ უგონოდ დაეცა, ეტყობა ფრთები ეტკინა. მოლაღულმა ნისკარტით წყაროს წყალი მოარბენინა და მოასულიერა ცასწავალა.

- გაგვითავისუფლებიხარ, ცასწავალავ, ოღონდ ერთი პირობით: მეტი აღარ მოიტყუო, - უთხრა ყვავმა.

- არა, აღარ მოვიტყუებ, - პირობა მისცა ცასწავალამ.

წავიდ-წამოვიდნენ ფრთოსნები და ახლომახლო აყვავებულ ბალახებში ჩასხდნენ.
ცაზე მსუბუქად მოცურავდა ყვითელი მზე. ლურჯი, ძალიან ლურჯი ცა თითქოს თავის სიღრმეში სანავარდოდ იხმობდა ყველას.

ცასწავალა კარგა ხანს იჯდა დაფიქრებული. მერე, ეტყობა, მოსწყინდა ასე ყოფნა, ფრთები გაშალა და ცაში აიჭრა:

- ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ! - იძახდა ცასწავალა და ისე მაღლა წავიდა, ოდნავღა ჩანდა, გასცდა იმ ზღვარს, სადამდისაც ადრე მიდიოდა ხოლმე - უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდა და ერთი სურვილით შეპყრობილი, მიწაზე დარჩენილ ფრთოსნებს ჩამოსძახოდა: ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ!

ყველანი მას შეჰყურებდნენ.

ის წერტილივით ჩანდა.

უკანასკნელი ამოსუნთქვისთვისღა ეყო ღონე და გული გაუსკდა.

უკან მსუბუქად და მდუმარედ ეშვებოდა. მერე ასევე მსუბუქად დაეცა თავის საყვარელ ბალახებში.

საწყალი ცასწავალა ფრთოსნებმა იმ გორაკზე დაასაფლავეს, სადაც გუშინ სასამართლო მოუწყვეს. ყვავმა გრძელი სიტყვა წარმოთქვა. მოლაღულმა ბევრი იტირა, სხვებიც ვიშვიშებდნენ, თავს აქეთ-იქით აქნევდნენ. მერე დაიშალნენ და დარჩა გორზე პატარა სასაფლაო. ეს ოდნავ ცისკენ ამოწეული მიწა ზემოთ დარჩენილთ თითქოს იმას მიანიშნებდა, რომ მის ქვეშ ზეცაში წასვლის სურვილით შეპყრობილი ცასწავალა იწვა, და ვინც კი ნახავდა, გული სწყდებოდა: ეს სურვილი ხომ მეტ-ნაკლებად ყველას გვაქვს, ზოგი ვამჟღავნებთ, ზოგი გულში ვიმარხავთ სამუდამოდ.

ა) რისი სიმბოლოა ცასწავალა და რას ნიშნავს ზეცაში სწრაფვა?

ბ) რატომ უძღვნის გოდერძი ჩოხელი ამ მოთხრობას პატარა უფლისწულს?

გ) როგორ ფიქრობთ, რა მსგავსებაა ცასწავალასა და პატარა უფლისწულს შორის?

1. **დაყავით ტექსტი აზრობრივ მონაკვეთებად და დაასათაურეთ.** შეადარეთ ნამუშევრები ერთმანეთს - *ვინ რამდენ ეპიზოდად დაყო, რომელი ეპიზოდები გამოყო, სად დაიწყო და სად დამთავრდა ესა თუ ის ეპიზოდი, რატომ/რის მიხედვით შეურჩია ესა თუ ის სათაური* და ა.შ.

2. **შეავსეთ ცხრილის მეორე სვეტი, რატომ იქცევიან ასე.** პერსონაჟთა დახასიათება და მათი ქცევის გააზრება:

რას აკეთებდნენ / რა გააკეთეს?	**რატომ?**
ცასწავალა ბალახიდან ამოფრინდებოდა და ცაში აიჭრებოდა ხოლმე.	
ბალახებში ჩავარდნილი ცასწავალა იძახდა: „ვტყუი, ვტყუი!“	
მოლაღურმა ბაბუაწვერაზე თოკით მიბმულ ცასწავა-ლას ფოთლები დააფარა.	
ფრთოსნებმა ცასწავალა გაათავისუფლეს, ოღონდ ერთი პირობით, მეტი აღარ მოიტყუოო.	
ცასწავალას დასაფლავების დროს მოლაღურმა ბევრი იტირა, სხვებიც ბევრს ვიშვიშებდნენ, თავს აქეთ-იქით აქნევდნენ.	

3. **ჩაწერეთ, როგორია და მიუთითეთ, საიდან ჩანს.**

როგორია?	**საიდან ჩანს?**
ცასწავალა:	
მოლაღური:	
ყვავი:	

4. **გამოიყენეთ მოცემული კითხვები და ისაუბრეთ ცასწავალას შესახებ.**

ცასწავალას სურვილი და უღონობა

1. ვინ იყო და სად ცხოვრობდა ცასწავალა?
2. როგორი იყო გარეგნულად?
3. რატომ ერქვა ცასწავალა?
4. რას აკეთებდა ხოლმე?
5. რით მთავრდებოდა ეს?
6. როგორ და რატომ მალავდა თავის უღონობას?

ცასწავალას გასამართლება

1. რა მოუწყვეს ფრთოსნებმა ცასწავალას?
2. როგორ მიიყვანეს ის პროცესზე?
3. ვინ იყო მოსამართლე?
4. რაში დაადანაშაულა მან ცასწავალა?
5. რა მიუსაჯეს ცასწავალას?
6. სად და რა მდგომარეობაში დატოვეს ის ფრთოსნებმა?

5. გამოხატეთ თქვენი შთაბეჭდილებები მოთხრობასთან დაკავშირებით.

ა) გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი?

ბ) რა მოგეწონათ და რა - არა მოთხრობაში?

გ) იმოქმედა თუ არა პატარა ჩიტის ისტორიამ თქვენზე? რამ იმოქმედა განსაკუთრებით?

დ) რა ემოცია გამოიწვია თქვენში და რატომ?

ე) რომელი ეპიზოდი / პერსონაჟი / ადგილი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად და რატომ?

ვ) თქვენი ნება რომ იყოს, შეცვლიდით თუ არა რამეს ტექსტში? რას შეცვლიდით და რატომ?

6. კიდევ ერთხელ გაიხსენეთ ინფორმაციები გოდერძი ჩოხელის შესახებ და მოამზადეთ ინტერვიუ ავტორთან.

წარმოიდგინეთ, თქვენ ხართ ჟურნალისტი და ინტერვიუ უნდა აიღოთ გოდერძი ჩოხელისაგან. თქვენი მიზანია, მოამზადოთ ის შეკითხვები, რომლებიც გაინტერესებთ და გინდათ, რომ დაუსვათ მწერალს. შეკითხვების შერჩევაში სრული თავისუფლება გაქვთ.

<u>კარგად გაეცანით მოცემულ სტრატეგიებს და გამოიყენეთ მუშაობის პროცესში.</u>

ა) <u>წერის დაწყებამდე:</u>

საჭირო ცოდნის გააქტიურება

გაიხსენეთ თქვენთვის საინტერესო დეტალები, ისტორიები, თემები და ა.შ., რომლებმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილებები მოახდინა თქვენზე.

იდეების ბანკი

ჩამოწერეთ სურვილები, ინტერესები, თემები - რის შესახებ დაუსვამდით შეკითხვას;

დამატებით რისი გაგება გენდომებოდათ მისგან.

შეკითხვების პაკეტი

თქვენი მოსაზრებები, სურვილები და ინტერესები აქციეთ შეკითხვებად, ანუ შექმენით შეკითხვების ბანკი.

ბ) <u>წერის პროცესი:</u>

შავი ვარიანტი

შეადგინეთ ჯერ შავი ვარიანტი.

→

დააკვირდით:

ხომ არ მეორდება შეკითხვები?

გასაგებად არის თუ არა შეკითხვა ფორმულირებული?

საინტერესო იქნება თუ არა თქვენი შეკითხვები რესპონდენტისთვის?

საჭიროების შემთხვევაში, შეიტანეთ ცვლილება - შეცვალეთ შეკითხვა, თემა და ა.შ.

გ) <u>წერის დასრულების შემდეგ:</u>

შავი ვარიანტი

გაასწორეთ ენობრივი შეცდომები **(გრამატიკული, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური)**;

ლოგიკური თანმიმდევრობით დაალაგეთ თქვენი შეკითხვები (იფიქრეთ, რომელი შეკითხვით დაიწყებთ, შემდეგ რომელი შეკითხვით გააგრძელებთ და რატომ? რომელი შეკითხვით დაასრულებთ).

→

საბოლოო ვარიანტი

გადაათეთრეთ ნაწერი.

გთავაზობთ იმ სავარაუდო თემებისა და კითხვითი სიტყვების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა გამოიყენოთ შეკითხვების აგებისას.

<u>სავარაუდო თემები:</u> ბავშვობა, სკოლა, გართობა, პირველი წიგნი, პირველი ფილმი, „ცასწავალას“ წერის პროცესი, პერსონაჟების შერჩევა და ა.შ.

<u>კითხვითი სიტყვები:</u> **ვინ? რა? სად? როდის? როგორ? რატომ? როგორი? რომელი?**

<u>შეკითხვების დასაწყებად:</u> ბატონო გოდერძი, ... გაიხსენეთ, ... თქვენი აზრით, როგორი .... იქნებ გაიხსენოთ, რომელი .... და ა.შ.

ნახატით გაცოცხლებული ლექსი და მუსიკა

1. დააკვირდით იმპრესიონისტი მხატვრის - კლოდ მონეს ცნობილ ტილოებს და ისაუბრეთ თქვენს შთაბეჭდილებებსა და განწყობებზე.

ა) რა განწყობა გეუფლებათ მათი ყურებისას? რა ქმნის ამ განწყობას თქვენში?

ბ) დაასახელეთ, რომელი დეტალები გიქმნით განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას და რატომ?

გ) დაასახელეთ სიტყვები, რომლებიც დაუფიქრებლად მოგდით თავში მათი ყურებისას.



„შთაბეჭდილება, მზის ამოსვლა“



სერიიდან „თივის ზვინები“

2. წაიკითხეთ ლექსი და დააკავშირეთ შესაბამის ტილოსთან.

მზემ წყალზე ზოლად მეწამული დატოვა კვალი
და ნავსადგურში განაბნია ღამე ლანდებად.
ქალაქის თავზე იფანტება თანდათან კვამლი
და იისფერი გამელანდება.
დილის ნისლებში იხილება მზე ამოსული -
ლიბრგადაკრული, სამყაროს თვალი.
სივრცის სიღრმეში თვლემს ქალაქი ბინდით მოცული,
ნისლში აქა-იქ სილუეტები ჩნდებიან მკრთალი;
ნამძინარები, ბარბაცებენ წყალზე ჩრდილები;
უთუოდ, მათი სიზმრები თუ იქცნენ ნისლებად;
იზმორებიან, ეზარებათ გამოფხიზლება,
გაბრუებულებს ამოსულ მზის შთაბეჭდილებით.

მამუკა სალუქვაძე

3. მოისმინეთ მუსიკა. რა ემოცია შემოდის თქვენში? გადმოეცით თქვენი შთაბეჭდილებები წერილობით - სად ხართ და რა ხდება თქვენს ირგვლივ? წელიწადის რა დროა, როგორი ამინდია და ა.შ.

1. წაიკითხეთ თქვენი ნაწერები და ისაუბრეთ, ვინ რა და როგორ დაინახა ამ მუსიკაში.

2. დააკვირდით ნახატს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) ხედავთ თუ არა რაიმე მსგავსებას მხატვრის ემოციასა და თქვენს ნაწერებს შორის?

ბ) რა განწყობა გეუფლებათ ამ ნახატის ყურებისას?

გ) წელიწადის იგივე დროა თუ არა გადმოცემული ამ ნახატში, რაც თქვენ დაინახეთ მუსიკის მოსმენისას?

3. წაიკითხეთ გალაკტიონის ლექსი და დააკავშირეთ ნახატთან.

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს
ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!
შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის.

4. ისაუბრეთ, როგორ არის გადმოცემული პოეტის ემოცია მხატვართან? რას გრძნობს და რას ხედავს მხატვარი ამ ლექსში? როგორ გადმოსცემენ პოეტი და მხატვარი უამინდობისა და არეულობის საოცარ შეგრძნებას?

5. მოისმინეთ ამ ლექსზე შექმნილი სიმღერები და გადმოეცით თქვენი შთაბეჭდილებები - რომელი შესრულება იწვევს თქვენში განსაკუთრებულ ემოციას და რატომ.

ფანტაზიის გაკვეთილები

ნახატებით გადმოცემული ისტორიები

გავაკეთოთ რეკლამა

ლიტერატურული სალონი

„გაფრენა დაბრუნების გარეშე“

პროექტები - რეკლამები; „მარსი ერთი“



ძირითადი კომუნიკაციური მიზნები

- ილუსტრაციების „წაკითხვა“ და საკუთარი პოზიციების, ვარაუდებისა და შეფასებების გამოხატვა;
- მოვლენათა თანმიმდევრობის დადგენა და მისი გამოხატვა;
- მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციის გაგება;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და მათი გაგება-გააზრება;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების გაგება და გამოყენება;
- ნახატების გამოყენებით პატარა ამბების შექმნა;
- შემოქმედებითი წერა - მოცემული პირობის მიხედვით მოთხრობის შექმნა;
- რეკლამების გაგება და შექმნა.

ნახატებით გადმოცემული ისტორიები

1. დააკვირდით ნახატს და შეასრულეთ მითითებები.

ა) დაასახელეთ, რომელი ხილი და ბოსტნეულია ნახატზე.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს.

1. რა არის ამ ნახატში არაბუნებრივი და რატომ?
2. მოგწონთ თუ არა ნახატი? კონკრეტულად რა მოგწონთ და რა - არა? რატომ?
3. თქვენი აზრით, ვინ ცხოვრობს ამ სახლში? ვისია ეს სამზარეულო? კარგად დააკვირდით ნახატს და ისე უპასუხეთ. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

გ) წაიკითხეთ რეპლიკები და დააკავშირეთ ნახატთან - ვინ ვის ეუბნება?

1. - ნახე, რა სასაცილოდ სძინავს, ცოტაც და გადავარდება!
2. - თქვენ მართლაც მშვენივრად გამოიყურებით, როგორი ღაჟღაჟა ლოყები გაქვთ!
3. - მიდი, ცოტა ამოდი და ხელს მოგკიდებ!

დ) შეადგინეთ მსგავსი რეპლიკები და მინიდიალოგები და გააცანით ერთმანეთს.

4. აღწერეთ ნახატი წერილობით.

5. დააკვირდით ნახატებს და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

მხატვარი: ნინო ჩანკვეტაძე

I. <u>უპასუხეთ შეკითხვებს:</u>

ა) ვინ არიან ნახატებზე გამოსახული?

ბ) აღწერეთ მათი გარეგნობა - როგორები არიან? რა აცვით? როგორ გამოიყურებიან და ა.შ.

გ) წელიწადის რა დროა პირველ ნახატზე? საიდან ჩანს? როგორი ამინდია?

დ) სად არიან ისინი პირველ ნახატზე? მეორე ნახატზე?

ე) დააკვირდით მათ ქცევასა და განწყობას - როგორ იქცევიან და რას აკეთებენ? რას ფიქრობენ? რას განიცდიან?

6. დაასაბუთეთ საკუთარი პოზიციები, *მაგ.: რატომ გგონით, რომ ასე ფიქრობს / ამას განიცდის?... რატომ აქვს მას გაკვირვებული სახე? თქვენი აზრით, რა უკვირს და რატომ? როგორ ფიქრობთ, რამ ჩააფიქრა ის? და ა.შ.*

II. <u>დაასრულეთ ფრაზები ნახატების მიხედვით და მიუთითეთ, რომელი ნახატია.</u>

ა) გვიანი შემოდგომის ცივი და წვიმიანი ამინდია.

ბ) ბაბუა გაკვირვებული უყურებდა პატარა ბიჭს.

გ) ხომ არ დაიკარგა? - ფიქრობდა ბაბუა.

დ) პატარა ბიჭი მოწყენილი მიდიოდა გზაზე.

ე) ბაბუას გზაზე ერთი პატარა ბიჭი შეხვდა.

ვ) ბიჭს სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაც აწუხებდა და ა.შ.

III. <u>მოიფიქრეთ მსგავსი რეპლიკები ნახატების მიხედვით და გააცანით ერთმანეთს.</u>

მოიფიქრეთ ამბავი

1. დააკვირდით სურათებს და ჩაინიშნეთ თქვენი ვერსიები.

ა) რატომ არის გოგონა მოწყენილი პირველ სურათზე?

ბ) ვისია ეს ლეკვი და რატომ აღმოჩნდა ასე შორს სახლიდან?

გ) რას ელაპარაკება გოგონა ლეკვს?

დ) წელიწადის რომელი დროა? საიდან ჩანს?

ე) სად მიფრინავენ ფრინველები?

ვ) რატომ უყურებენ გოგონა და ლეკვი ფრინველებს? რას ფიქრობს გოგონა ამ დროს?

მხატვარი: ნინო ჩანკვეტაძე

2. დააკავშირეთ სამივე ნახატი ერთმანეთთან და ისე იმუშავეთ ნახატის პერსონაჟის სახის შექმნაზე.

თქვენი მონაცემები ჩაინიშნეთ რვეულში.



3. **განსაზღვრეთ სურათებზე ასახული მოქმედების დრო და ადგილი -** სად და როდის ხდება მოქმედება?

4. **გამოიყენეთ მოცემული ყალიბი და შეადგინეთ პატარა ამბავი გოგონას შესახებ.**



ერთ მშვენიერ დღეს...
ერთხელ...

ამის შემდეგ...
უცებ...

ბოლოს...

5. **დააკვირდით და აღწერეთ ისინი მოცემული კითხვების დახმარებით. ყურადღება მიაქციეთ პერსონაჟთა ემოციურ მხარეს.**

ა) რა ხდება სურათზე?

ბ) ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის?

გ) სად არის სახლი? რატომ ფიქრობთ ასე?

დ) წელიწადის რა დროა? საიდან ჩანს?

ე) რას აკეთებენ სურათზე გამოსახული პერსონაჟები?

ვ) აღწერეთ მათი ემოცია.

მხატვარი: ნინო ჩანკვეტაძე

6. **გამოიყენეთ ზემოთ მოცემული სქემები და მოიფიქრეთ ამბავი.**

არ დაგავიწყდეთ!

- პერსონაჟებისთვის სახელების მოფიქრება.
- ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის.
- სად და ვისთან ერთად ცხოვრობენ ისინი.
- რა უყვართ და რა აინტერესებთ.
- რატომ აქვთ ბავშვებს ასეთი სახეები და რას ყვება ბაბუა.
- რას აკეთებს ბუ და ა.შ.

1. წაიკითხეთ და გააცანით თქვენი ამბები ერთმანეთს.

გავაკეთოთ რეკლამა

2. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა არის რეკლამა და რა ფუნქცია აქვს მას?

ბ) სად გხვდება რეკლამები?

გ) რის შესახებ საუბრობენ ხოლმე რეკლამაში?

3. წაიკითხეთ და მონიშნეთ სავარაუდო პასუხები. წაიკითხეთ ინფორმაცია დანართში (გვ. 320) და შეამოწმეთ.

1. რეკლამა ლათინური სიტყვაა და ნიშნავს:

ა) სიხარულს

ბ) ყვირილს

გ) ბევრ ფულს

2. პირველი სატელევიზიო რეკლამა გავიდა:

ა) ამერიკაში

ბ) გერმანიაში

გ) ჩინეთში

3. პირველი სარეკლამო გმირი, რომელიც კომპიუტერით შექმნეს, იყო:

ა) მიკი მაუსი, რომელიც მაჯის საათს იკეთებს;

ბ) სანტა კლაუსი, რომელიც კოკა-კოლას მანქანას მართავს;

გ) თეთრი დათვი, რომელიც კოკა-კოლას მიირთმევს.

4. პირველი სატელევიზიო რეკლამა საქართველოში გაუკეთეს:

ა) ქართულ ჩაის

ბ) ქართულ ღვინოს

გ) ხილის ჯემს

ეს საინტერესოა

- მსოფლიოში პირველ სარეკლამო გაზეთად ითვლება ხელით დაწერილი რომაული გაზეთი - „ყოველდღიური ამბები“.

- მე-15 საუკუნის ბოლოს და მე-16 საუკუნის დასაწყისში ვენეციელმა წიგნის გამყიდველმა მანუციმ, მომხმარებლის მიზიდვის მიზნით, დაიწყო წიგნების სათაურების ცალკე ფურცლებზე ბეჭდვა და თავისი მაღაზიის წინ, ვიტრინებში გამოფენა.

4. წაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) უყურებთ თუ არა რეკლამას ტელევიზიით?

ბ) რატომ უყურებთ, ან რატომ არ უყურებთ?

გ) ძირითადად, რის რეკლამებს უყურებთ?

დ) რომელია თქვენი საყვარელი რეკლამა და რა მოგწონთ იქ?

ე) რომელი რეკლამა არ მოგწონთ და რატომ?

ვ) განსაკუთრებით რით გამახსოვრდებათ რეკლამა - მუსიკით, შინაარსით, იმ ადამიანებით, რომლებიც რეკლამას უკეთებენ? და ა.შ.

ზ) თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს რეკლამა, რომ დაგამახსოვრდეს?

5. თქვენ თუ გაგიკეთებიათ რეკლამა? როგორი უნდა იყოს, თქვენი აზრით, სარეკლამო ტექსტი? მეწყვილეებთან ერთად მოიფიქრეთ მოცემული სურათებისათვის სარეკლამო ტექსტები, დაწერეთ და გააცანით ერთმანეთს.

1. გაეცანით სარეკლამო ტექსტის ძირითად პარამეტრებს. დაუბრუნდით თქვენს დაწერილ სარეკლამო ტექსტებს და გამართეთ ისინი ამ პარამეტრების მიხედვით.

სარეკლამო ტექსტის ძირითადი მოთხოვნები:

I. <u>გამოკვეთეთ რეკლამის ფუნქცია და მისი მომხმარებელი.</u>

ა) მყიდველის დარწმუნება;
ბ) ინფორმირება;
გ) გაფრთხილება;
დ) გართობა და სხვა.

II. <u>გაითვალისწინეთ ძირითადი მომხმარებლის ასაკი და ინტერესები.</u>

III. <u>გამოკვეთეთ სარეკლამო პროდუქტის ძლიერი მხარეები:</u>

დაიმახსოვრეთ: ამბობთ მხოლოდ კარგს და არაფერს - ცუდს!

IV. <u>ყურადღება მიაქციეთ ტექსტის ფორმას და ენას:</u>

ტექსტი უნდა იყოს: მარტივი, ყველასათვის გასაგები და მცირე ზომის.

2. წაიკითხეთ რეკლამა და უპასუხეთ შეკითხვებს.

გაინტერესებთ, როგორი ბავშვები იყვნენ და რაზე ოცნებობდნენ ცნობილი ადამიანები? გსურთ, იცოდეთ საკუთარი უფლებები და მოვალეობები? გაინტერესებთ თქვენი ქალაქისა თუ სოფლის ისტორია? გინდათ, გაიგოთ, რა ხდება საინტერესო ამბების სამყაროში? გჭირდებათ ექიმის რჩევები? უყურეთ "მიკროფონს", ამ ყველაფერს თქვენ პატარა ჟურნალისტებისაგან გაიგებთ!

I. <u>ვისთვის არის ეს რეკლამა განკუთვნილი?</u>

ა) ტელემაყურებლებისთვის
ბ) რადიომსმენელებისთვის
გ) მკითხველისთვის
დ) ყველასთვის

II. <u>რა არის ამ რეკლამის ფუნქცია? შემოხაზეთ ყველა სწორი ვარიანტი.</u>

ა) მაყურებლის დარწმუნება
ბ) მაყურებლის ინფორმირება
გ) მაყურებლის გაფრთხილება
დ) მაყურებლის გართობა

III. <u>გამოკვეთილია თუ არა რეკლამაში გადაცემის ძლიერი მხარეები?</u> დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.

IV. <u>გაგიჩნდათ თუ არა სურვილი, უყუროთ „მიკროფონელების“ გადაცემებს და რატომ? იმოქმედა თუ არა თქვენზე რეკლამამ? კონკრეტულად რამ დაგაინტერესათ რეკლამაში?</u>

V. <u>თავიდან წაიკითხეთ რეკლამა და ისე შემოხაზეთ სწორი ვარიანტები.</u>

ა) შინაარსის მიხედვით, როგორი წინადადებებია მოცემული რეკლამაში? შემოხაზეთ შესაბამისი ვარიანტები.

- თხრობითი
- კითხვითი
- ბრძანებითი

ბ) რას გამოხატავს ბრძანებითი წინადადება?

- სურვილს
- რჩევას
- ვარაუდს
- აუცილებლობას

3. გაეცანით სიტუაციებს. დაიყავით ჯგუფებად და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

ა) ადგილობრივი ტელევიზიით ეთერში უნდა გავიდეს ახალი საბავშვო გადაცემა.

I. მოიფიქრეთ გადაცემის თემატიკა, შინაარსი და ფორმატი და დაწერეთ ამ გადაცემისათვის სარეკლამო ტექსტი.

II. გააცანით ერთმანეთს თქვენი სარეკლამო ტექსტები და, რეკლამის მოთხოვნების გათვალისწინებით, შეარჩიეთ საუკეთესო ტექსტი.

ბ) დაგიკვეთეს ახლადგახსნილი საბავშვო გასართობი ცენტრის რეკლამირება.

I. მოიფიქრეთ, რას სთავაზობს ეს ცენტრი ახალსა და განსაკუთრებულს.

II. რით იქნება გამორჩეული უკვე არსებული ცენტრებისაგან.

III. არ დაგავიწყდეთ ცენტრის სახელისა და მისამართის მითითება.

გ) საბავშვო საკვები პროდუქციის რეკლამა.

I. აირჩიეთ პროდუქცია და ჩამოთვალეთ მისი ყველა სასარგებლო თვისება.

II. გამოკვეთეთ თქვენი პროდუქციის გამორჩეულობა / უნიკალურობა / უპირატესობა დამატებითი ინფორმაციით (ხარისხი, ფასი, მისაწვდომობა; კვლევის შედეგები, მაგალითები და ა.შ.).

III. არ დაგავიწყდეთ იმის მითითება, სად შეიძინოს ან შეუკვეთოს მომხმარებელმა რეკლამირებული პროდუქცია.

ლიტერატურული სალონი

1. ერეკლემ თავის ბლოგზე დაწერა ახალი პოსტი უცხოპლანეტელების შესახებ. გაეცანით ერეკლეს ბლოგს და შეასრულეთ მოცემული დავალებები.

ამ ბოლო დროს უცხოპლანეტელების თემამ დამაინტერესა. გუშინ წავიკითხე სადღაც, თითქოს ორ თვეში უცხოპლანეტელები აპირებენ დედამიწაზე ჩამოსვლას ☺ დიდი ამბავია ამტყდარი ინტერნეტსივრცეში. ზოგს ეცინება, ზოგი სერიოზულად უდგება ამ ამბავს, ზოგს ეშინია და თურმე თავშესაფარს ეძებს ☺ მოკლედ, გადავწყვიტე, პოსტი დამეწერა ამ თემაზე. ზოგს შეიძლება, სასაცილოდაც არ ეყოს ეს, მაგრამ ხომ არიან ისეთებიც, რომლებსაც სჯერათ მათი არსებობისა? ჰოდა, ვიფიქრე, რომ სწორედ მათთვის იქნებოდა ეს პოსტი საინტერესო. მე რამდენიმე ფაქტს მოგაწვდით და თქვენ გადაწყვიტეთ, გჯერათ თუ არა. აქვე ჩემს პოზიციასაც დავაფიქსირებ წინასწარ. მე, რა თქმა უნდა, ასეთი უცნაურობების არ მჯერა, მაგრამ ახსნასაც ვერ ვუძებნი. თან, ეს ფოტოებიც რომ არსებობს?!

მოკლედ, მე ფაქტებს დავდებ და თქვენი პოზიცია დააფიქსირეთ! ☺

- აშშ-ში 1947 წელს „საიდუმლოთა წიგნი“ დაიწერა. მისი წაკითხვის უფლება მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტებს აქვთ. წიგნში უცხოპლანეტელების შესახებაა მოთხრობილი. თუ უცხოპლანეტელები არ არსებობენ, რატომღა ასაიდუმლოებენ „საიდუმლოთა წიგნს“?
- 2006 წელს, მთვარეზე გაფრენიდან 37 წლის შემდეგ, ტელეარხმა “დისქავერიმ” დოკუმენტური ფილმი („აპოლო-11“ - გაუმხელელი საიდუმლო“) გადაიღო. ფილმში 76 წლის ბაზ ოლდრინი ამბობს, ილუმინატორიდან სფეროსმაგვარ მფრინავ ობიექტს ვხედავდით, მაგრამ ყვირილი არ დაგვიწყია, რადგან ვიცოდით, რომ მილიონობით ადამიანი გვისმენდაო.
- როდესაც „აპოლო-12“-ის ეკიპაჟი მთვარის ზედაპირზე გადავიდა, მათ დაინახეს პირამიდისებრი გამჭვირვალე ობიექტი, რომელიც რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე იყო მთვარის ზედაპირიდან და მთვარის შავ ცაზე ცისარტყელას ფერებს აფრქვევდა.
- მთვარის ფოტოებზე მისიის მართვის ერთ-ერთ სპეციალისტს ასეთი კომენტარი აქვს გაკეთებული: „ჩვენმა ბიჭებმა მთვარეზე აღმოაჩინეს ქალაქის ნანგრევები, გამჭვირვალე პირამიდები, გუმბათები და, ღმერთმა იცის, კიდევ რა, რაც ახლა ღრმად იმალება ნასას სეიფებში. მე თავს ისე ვგრძნობ, როგორც რობინზონ კრუზო, რომელმაც გაიგო, რომ კუნძულზე, მის გარდა, სხვა ადამიანიც იყო... მეცნიერები ამბობენ, რომ ეს შეიძლება ბუნებრივი წარმოშობის იყოს. სჯობს, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ ისინი ხელოვნურია, განსაკუთრებით, გუმბათები და პირამიდები. უცხო ცივილიზაცია ჩვენთან ძალიან ახლოს აღმოჩნდა, თუმცა ჩვენ მზად არ ვიყავით ამისთვის და ზოგიერთი ადამიანი ახლაც ღრმად არის დარწმუნებული, რომ ჩვენ მარტონი ვართ!“ ☺

ახლა რაც შეეხება ფაქტებს ჩვენი რეალობიდან: ჩემი ერთ-ერთი მეგობრის მონაყოლს თუ დავუჯერებთ, მან მფრინავი თეფში დაინახა აივნიდან, მე-9 სართულის სიმაღლიდან. ამოუცნობი ობიექტი მის თვალწინ გაჩნდა და შემდეგ უცბად გაუჩინარდა. მასთან ერთად იმ მომენტში შუახნის ქალიც იმყოფებოდა, რომელმაც ასევე დაადასტურა ეს ფაქტი მოგვიანებით. მეორე შემთხვევა კი ჩემს კლასელ გოგონას უკავშირდება. მის სახელსა და გვარს არ დავაკონკრეტებ. სახლში მიდიოდა, როდესაც თავისი კორპუსის თავზე რაღაც მრგვალი, თეფშის ფორმის, მფრინავი ობიექტი შეამჩნია. იფიქრა, დაღლილობის ბრალიაო და მეორე მხარეს გაიხედა, მაგრამ იქაც კვლავ „მფრინავი თეფში“ დაინახა. როგორც ამბობს, ამოუცნობი ობიექტი მცირე ზომისა იყო, რომელსაც ერთ ადგილას წითელი შუქი ჰქონდა. ეს ობიექტი მალევე გაუჩინარებულა. ☺

2. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რატომ გადაწყვიტა ერეკლემ ამ თემაზე პოსტის დაწერა?

ბ) ვისთვის დაწერა ეს პოსტი ერეკლემ?

გ) როგორია ამ თემასთან დამოკიდებულება ინტერნეტსივრცეში?

დ) როგორია თავად ერეკლეს დამოკიდებულება?

ე) კონკრეტულად, რა ფაქტმა დააინტერესა ერეკლე?

ვ) არის თუ არა ეს ახალი ინფორმაცია? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით. წაიკითხეთ ფრაზა, რომელიც ამაზე მიუთითებს.

ზ) ფიქრობთ თუ არა, რომ ერეკლეს მაინც არ აქვს მყარი პოზიცია უცხოპლანეტელების არსებობასთან დაკავშირებით? დაასაბუთეთ თქვენი პასუხები ტექსტის მიხედვით. მოიტანეთ ფრაზა, რომელიც თქვენს პასუხებს გაამყარებს.

3. როგორია თქვენი პოზიცია? იმსჯელეთ მოცემული შეკითხვების გარშემო.

ა) რა არის კოსმოსი და რა ხდება იქ?

ბ) მარტო ვართ თუ არა ამხელა სამყაროში? დედამიწის გარდა, არსებობს თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტაზეც?

გ) არსებობენ თუ არა უცხოპლანეტელები?

დ) რა იცი, ზოგადად, უცხოპლანეტელების შესახებ - როგორები არიან ისინი? განსხვავდებიან თუ არა ისინი ჩვენგან და რით? რას უწოდებენ დედამიწელები მათ კოსმოსურ ხომალდს და რატომ?

4. დაუბრუნდით ერეკლეს პოსტს. უარყავით ან დაადასტურეთ ქვემოთ მოცემული ინფორმაციის სისწორე. მოძებნეთ სათანადო ფრაზა, რომელიც თქვენს პასუხებს დაასაბუთებს და წაიკითხეთ.

ა) დედამიწაზე უცხოპლანეტელების შესაძლო ჩამოსვლამ ინტერნეტსივრცეში პანიკა გამოიწვია.

ბ) მოსახლეობის გარდა უცხოპლანეტელების არსებობის არავის სჯერა.

გ) ერეკლეც ბოლომდე არ არის დარწმუნებული, მართლა არსებობენ თუ არა უცხოპლანეტელები.

1. დაახარისხეთ ერეკლეს მიერ მოყვანილი ფაქტები, ცალკეულ შემთხვევაში მიუთითეთ კონკრეტული წყარო (ვისგან მოდის ეს ინფორმაცია) და ამის მიხედვით ისაუბრეთ მათ სანდოობაზე.

წყარო არ არის მითითებული	წყარო მითითებულია	
	მეცნიერები, სპეციალისტები...	ნაცნობი ადამიანები

2. უპასუხეთ შეკითხვებს ფაქტებზე დაყრდნობით და დაასაბუთეთ პასუხი.

ა) რის საფუძველზე მიიჩნევენ, რომ: „საიდუმლოთა წიგნში“ უცხოპლანეტელების არსებობა დადასტურებულია? მოიტანეთ სათანადო ფრაზა.

ბ) რატომ ფიქრობენ „აპოლო 11“-ისა და „აპოლო 12“-ის ეკიპაჟები, რომ უცხოპლანეტელები არსებობენ?

გ) რაში ეწინააღმდეგება მთვარეზე მისიის მართვის ერთ-ერთი სპეციალისტი მეცნიერებს?

დ) სპეციალისტის ნაამბობის მიხედვით, აღიარებენ თუ არა მეცნიერები მთვარეზე უცხო ცივილიზაციის არსებობას?

3. დაუბრუნდით ერეკლეს მიერ მოყვანილ ფაქტებს. რაზე მეტყველებენ ისინი?

4. შემოხაზეთ ვარიანტი, რომელსაც ემხრობით და დაასაბუთეთ სათანადო მაგალითებით. იმუშავეთ მეწყვილესთან ერთად.

ა) ყველა ფაქტი ადასტურებს იმას, რომ უცხოპლანეტელები მართლაც არსებობენ;

ბ) ფაქტები მხოლოდ იმას ადასტურებენ, რომ სამყარო ამოუცნობია;

გ) ფაქტები ბოლომდე ვერ ადასტურებენ უცხოპლანეტელების არსებობას. ყველა ფაქტი მხოლოდ ვარაუდს ემყარება.

5. ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიციები წერილობით და გააცანით კლასელებს.

6. გამოეხმაურეთ ერეკლეს პოსტს და გამოხატეთ თქვენი პოზიციები.

7. ვინ არის სტივენ ჰოკინგი? წაიკითხეთ ტექსტის პირველი აბზაცი და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

„გამარჯობა. ჩემი სახელია სტივენ ჰოკინგი. ფიზიკოსი, კოსმოლოგი და რაღაც კუთხით მეოცნებეც ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ვერ ვმოძრაობ და ლაპარაკში კომპიუტერი მეხმარება, გონებით თავისუფალი ვარ, თავისუფალი, რათა გამოვიკვლიო სამყარო და დავსვა ისეთი მნიშვნელოვანი კითხვები, როგორებიცაა:

1. არსებობენ თუ არა უცხოპლანეტელები?
2. თუ არსებობენ, სად შეიძლება მათი პოვნა?
3. როგორ გამოიყურებიან?
4. რისგან შედგებიან?
5. არიან თუ არა ინტელექტუალურები?
6. თუკი მათ ვიპოვით, როგორი გავლენა ექნება ამას კაცობრიობაზე?

მსოფლიოს რომელ წერტილშიც არ უნდა ჩავიდე, ხალხი ყოველთვის მეკითხება: „არსებობენ უცხოპლანეტელები?“ ეს კარგი კითხვაა, რადგან იმ საკითხს უკავშირდება, თუ როგორ მოვიაზრებთ ჩვენს ადგილს სამყაროში.

ვართ თუ არა მარტონი ამ პატარა, მრგვალ, ლურჯ ბურთულაზე? მე ვფიქრობ, რომ არა. სამყარო დიდია, ძალიან დიდი. ჩვენი პლანეტა ერთი რიგითია მზის გარშემო მოძრავი 8 პლანეტიდან, მზე კი ჩვენი გალაქტიკის, ირმის ნახტომის, უზარმაზარ სივრცეში არსებული 200 მილიარდი ვარსკვლავიდან ერთ-ერთია. ჩვენი გალაქტიკა იმდენად დიდია, რომ ზოგჯერ მისი აღქმაც კი მიჭირს. ირმის ნახტომიც კი ერთი პატარა წვეთია კოსმოსურ ოკეანეში, ერთ-ერთია 100 მილიარდი გალაქტიკიდან, რომლებიც ქმნიან უზარმაზარ ქსელს, გადაჭიმულს ყველა მიმართულებით...

ასე რომ, ჩემი მათემატიკური ტვინისთვის მხოლოდ რიცხვებიც კი სავსებით რაციონალურს ხდიან უცხოპლანეტელების არსებობას. მთავარი საკითხი იმის გაგებაა, როგორ გამოიყურებიან ის არსებები, რომლებიც სამყაროს შორეულ წერტილში ცხოვრობენ.“

8. დაუბრუნდით მოცემულ აბზაცს და იმ კითხვებს, რომლებსაც სვამს ჰოკინგი.

ა) რას ეხება ეს კითხვები?

ბ) არის თუ არა ისინი მართლაც მნიშვნელოვანი?

გ) თქვენი აზრით, რომელია მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი? ნაკლებად მნიშვნელოვანი? რატომ?

დ) რომელ კითხვაზე პასუხი იწვევს ან არ იწვევს თქვენში ეჭვს და რატომ?

ე) როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა სტივენ ჰოკინგს ამ კითხვებზე პასუხები?

ვ) თქვენ რა კითხვას დაუსვამდით მეცნიერს, ამის შესაძლებლობა რომ გქონოდათ? რატომ?

1. დაადასტურეთ ან უარყავით მოცემული ინფორმაცია და დაასაბუთეთ თქვენი პოზიციები ტექსტის მიხედვით.

ა) სტივენ ჰოკინგს სჯერა უცხოპლანეტელების არსებობისა;

ბ) ის ფიქრობს, რომ უცხოპლანეტელები, შესაძლოა, დედამიწაზეც იყვნენ;

გ) მზის ნახტომი ერთადერთი გალაქტიკაა სამყაროში.

2. უპასუხეთ შეკითხვებს ტექსტზე დაყრდნობით.

ა) რა არგუმენტი მოჰყავს სტივენ ჰოკინგს იმის საილუსტრაციოდ, რომ უცხოპლანეტელები შეიძლება არსებობდნენ?

ბ) საიდან ჩანს, რომ სამყარო მართლაც ძალიან დიდია?

გ) როგორ ადასტურებენ რიცხვები უცხოპლანეტელების არსებობას?

დ) რატომ ფიქრობს მეცნიერი, რომ უცხოპლანეტელები „სამყაროს შორეულ წერტილში ცხოვრობენ“?

3. მონიშნეთ სწორი ვარიანტი და დაადასტურეთ თქვენი გადაწყვეტილებები ტექსტის მიხედვით.

<u>სტივენ ჰოკინგი:</u>

ა) ვარაუდობს უცხოპლანეტელების არსებობას;

ბ) დარწმუნებულია უცხოპლანეტელების არსებობაში;

გ) ეჭვით უყურებს მათ არსებობას.

საიდან ჩანს? მოიტანეთ 2 მაგალითი.

<u>სტივენ ჰოკინგისათვის რიცხვები:</u>

ა) მისი მათემატიკური ტვინის ვარჯიშისათვის საუკეთესო საშუალებაა;

ბ) მისტიური და ამოუცნობი ფენომენია;

გ) სამყაროს გასაღებია.

საიდან ჩანს? მოიტანეთ მაგალითი.

4. წაიკითხეთ მორიგი ნაწყვეტი სტივენ ჰოკინგის წერილიდან და დაასახელეთ - რას ფიქრობს თავად ჰოკინგი უცხოპლანეტელების არსებობის შესახებ?

„მიუხედავად იმისა, სიცოცხლის წარმოშობის შესახებ რომელი თეორიაა სწორი, ამის შემდგომ იწყება ის ეტაპი, რომელიც გადარჩენას ეხება. გადარჩენა მოითხოვს ენერგიის წყაროს, რომელსაც ჩვენ საკვებს ვუწოდებთ... უცხოპლანეტელებზე ნადირობის საქმეში საჭიროა ისეთი ადგილის ან ადგილების პოვნა, სადაც იქნებოდა წყალი. თუკი წყალს ვიპოვით, შესაძლოა, ახლოს უცხოპლანეტელები სახლობდნენ...

ნებისმიერი ვარსკვლავის გარშემო არსებობს რეგიონი, რომელიც არც ძალიან ცხელია და არც ძალიან ცივი, არამედ რაღაც საშუალო. ჩვენი მზის შემთხვევაში, ამ ზონაში ორი პლანეტაა მოქცეული: დედამიწა და მარსი. სწორედ ამ მიზეზის გამო მივიჩნევ, რომ ერთ დღესაც ამ პლანეტას ვეწვევით. რობოტები მარსს 70-იანი წლებიდან იკვლევენ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შეძლეს მასზე სიცოცხლის არსებობის მტკიცებულების აღმოჩენა. მე არ ვფიქრობ, რომ უნდა დავნებდეთ...

იმედი მაქვს, ერთ დღესაც გამოინახება საჭირო თანხა, რათა მარსზე ადამიანები გავგზავნოთ. ეს მთელი კაცობრიობის ყურადღებას მიიპყრობს ისევე, როგორც „აპოლოს“ მთვარის მისიებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება 60-იან წლებში. თუკი ისინი შეძლებენ და თუნდაც მიკრობებს აღმოაჩენენ, ჩემი აზრით, ეს იქნება ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი აღმოჩენა. მაგრამ თუნდაც მარსი უნაყოფო იყოს, არსებობს სხვა ადგილები, სადაც შეიძლება თხევადი წყალი ვეძებოთ. ერთ-ერთი მათგანი მარსიდან 50 მილიონი კმ-ის მოშორებითაა - პატარა იდუმალი თანამგზავრი, რომელიც გიგანტურ პლანეტა იუპიტერს უვლის გარს. ეს გახლავთ ევროპა... ვიმედოვნებ, რომ ერთ დღესაც ევროპას საიდუმლოებების ფარდას ავხდით, თუმცა მანამდე ნამდვილად ღირს, განვაგრძოთ ჩვენი მოგზაურობა უცხოპლანეტელების ძიებაში, ოღონდ უფრო ფართო მასშტაბით. ვფიქრობ, ამისთვის მზის სისტემას უნდა გავცდეთ და ღია კოსმოსში გავიჭრათ.“

5. დაუბრუნდით ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რა წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმის გადარჩენისათვის აუცილებელ საკვებს?

ბ) სად არის შესაძლებელი ცოცხალი ორგანიზმების არსებობა, დედამიწის გარდა?

გ) რა მეტყველებს მარსის სასარგებლოდ?

დ) კიდევ რომელ პლანეტას ასახელებს ჰოკინგი?





1. გამოიყენეთ წინა გვერდზე მოცემული ტექსტი და მონიშნეთ ცხრილში სათანადო უჯრა. რას ფიქრობს სტივენ ჰოკინგი?

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს ტექსტში
ა) წყლის აღმოჩენა უცხოპლანეტელებთან მიგვიყვანს.			
ბ) მარსზე შეუძლებელია სიცოცხლის არსებობა.			
გ) ადამიანები ვერასოდეს გაფრინდებიან მარსზე.			
დ) მარსის გამოსაკვლევად 3 მილიონი დოლარია საჭირო.			
ე) მზის სისტემაში აზრი არ აქვს უცხოპლანეტელების ძებნას.			
ვ) უცხოპლანეტელები აუცილებლად მზის სისტემის გარეთ უნდა ვეძებოთ.			

2. დაასაბუთეთ თქვენი გადაწყვეტილებები სწორ და არასწორ პასუხებთან დაკავშირებით. მოძებნეთ და წაიკითხეთ სათანადო ადგილები.

3. თქვენი აზრით, რატომ ფიქრობს სტივენ ჰოკინგი, რომ იუპიტერის თანამგზავრ ევროპაზე სიცოცხლე, შესაძლოა, არსებობდეს? წაიკითხეთ დანართში (გვ. 321) ინფორმაცია მის შესახებ და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

4. გაიხსენეთ ტექსტი იუპიტერის თანამგზავრის - ევროპას შესახებ, მოძებნეთ მცდარი ინფორმაცია და გაასწორეთ.

შეცდომაა!	უნდა იყოს!
ევროპა ძალიან პატარაა. მისი ფართობი 3200 კმ-ც კი არაა, ამასთან ის ძალიან ცივია. ტემპერატურა აქ -160°C-ია. ევროპის უმეტესი ნაწილი დაფარულია სქელი ყინულით, რომელიც, სავარაუდოდ, 24 კმ სიგრძეზეა გადაჭიმული, თუმცა მის ქვემოთ, შესაძლოა, სითბოს წყაროც არსებობდეს... ეს სითბო, შეიძლება, საკმარისიც იყოს ყინულის ქვედა ფენის გასალღობად, რაც წარმოშობს თხევადი წყლის ტბას, რომელიც ზემოდან ყინულის მყარი ფენით არის დაცული. თუკი ეს ასეა, შესაძლოა, იქ ცხოვრობდნენ უცხოპლანეტელები - არსებები, რომლებიც განვითარდნენ, რათა აითვისონ ეს ბნელი და უძველესი წყლიანი სამყარო.	

5. შეამოწმეთ თქვენი ნაწერი დანართში მოცემული ტექსტის მიხედვით.

6. გაეცანით სტივენ ჰოკინგის წერილის დასასრულს, მოძებნეთ პასუხები ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე და დაასახელეთ.

<u>ჰოკინგის ვარაუდით:</u>

ა) როგორი იქნება ის პლანეტა, რომელზეც შესაძლოა, სიცოცხლე არსებობს?
ბ) როგორები იქნებიან უცხოპლანეტელები და რატომ?
გ) ექნებათ თუ არა მათ ისეთივე ინტელექტი, როგორიც დედამიწელებს აქვთ?
დ) ჰოკინგის წარმოდგენით, რას ფიქრობენ და როგორ აზროვნებენ ისინი?
ე) რა მოჰყვება მათ გამოჩენას დედამიწაზე და როგორი იქნება შედეგი?

„სადღაც კოსმოსში, შეიძლება, არც ისე შორს, არის ქვის პლანეტა, რომელიც დედამიწას ჰგავს. პლანეტა თხევადი წყლით, რომელზეც არსებობს სიცოცხლე. იქ მყოფი უცხოპლანეტელებიც, შესაძლოა, საოცრად ნაცნობები იყვნენ, თუმცა არა ერთი შეხედვით. უცხოპლანეტელებს, რომლებიც ჭამენ, უნდა ჰქონდეთ პირი. ასევე, თუკი ისინი მყარ ზედაპირზე ცხოვრობენ, სჭირდებათ ფეხები, რომლებიც შეიძლება რაღაცით განსხვავებული იყოს. თუკი პლანეტა კარგადაა განათებული, თითქმის გარდაუვალია თვალების არსებობა. მათი მეშვეობით ცოცხალი ორგანიზმი ზუსტად შეიგრძნობს გარემოს...

მე ვფიქრობ, რომ სულაც არაა არსებითი ის საკითხი, თუ რისგან შედგებიან უცხოპლანეტელები. ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, თუ რა შეუძლიათ მათ. ფიქრობენ თუ არა ისინი ჩვენნაირად კოსმოსის შესახებ? ცდილობენ თუ არა, ჩვენ მსგავსად ამოხსნან სამყაროს საიდუმლოებანი? განვითარდნენ თუ არა ისინი ჩვენ მსგავსად და შეიძინეს თუ არა ინტელექტი?

თუკი სამყარო სავსეა ინტელექტუალური და კოსმოსში მოგზაური უცხოპლანეტელებით, ვფიქრობ, ზოგიერთი მათგანი მაინც დაინტერესებული იქნება ჩვენით, თუნდაც ცნობისმოყვარეობის გამო. რა თქმა უნდა, ბევრ ადამიანს სჯერა, რომ ისინი უკვე გვეწვივნენ. გადმოცემები უცხოპლანეტელთა მიერ ადამიანების გატაცების შემთხვევებზე ჯერ კიდევ 1950-იანებში გახდა ჩვეულებრივი ამბავი, როცა სტუდენტი ვიყავი. სხვების მსგავსად, მეც ხშირად ვუყურებდი ფილმებს, რომლებშიც ერთი და იგივე რამ ხდება: <u>მარტოხელა ადამიანი ღამით გზაზე მშვიდად მიდის და უცებ აღმოაჩენს შემოვლით გზას, რომელიც მალე იკარგება. შემდეგ კი მფრინავი თეფში გამოჩნდება და მას იტაცებენ.</u> მსგავსი ამბების მოსმენისას ყოველთვის ეჭვი მიპყრობდა. ჩემი აზრით, უცხოპლანეტელები მართლაც რომ აქ იყვნენ, გაზეთები ამ ამბით აჭრელდებოდა. თუკი მათ დაფარვაში მთავრობები არიან ჩარეულნი, ამით ნამდვილად კარგ საქმეს აკეთებენ...

მაღალგანვითარებული, ცივილიზებული უცხოპლანეტელების არსებობის შემთხვევაში, უცხოპლანეტური ტექნოლოგია ჩვენთვის ისეთივე განსაცვიფრებელი იქნება, როგორც კოსმოსური ხომალდი გამოქვაბულის ადამიანისათვის...

თუკი უცხოპლანეტელები ოდესმე გვესტუმრებიან, ვფიქრობ, შედეგი იგივე იქნება, როგორიც ქრისტეფორე კოლუმბის ჩასვლისას ამერიკის კონტინენტზე - ადგილობრივი მკვიდრი ამერიკელებისათვის ამას კარგი შედეგი არ მოჰყოლია...

იმედი ვიქონიოთ, რომ თუკი უცხოპლანეტელები გვეწვევიან, მათი განზრახვა მშვიდობიანი იქნება“.

1. წაიკითხეთ და დაადასტურეთ ან უარყავით ისინი წერილის მიხედვით. მოიტანეთ ადგილი წერილიდან, რომელიც თქვენს პასუხებს დაასაბუთებს.

ა) სტივენ ჰოკინგს უცხოპლანეტელების გარეგნობაზე მეტად მათი ინტელექტი აინტერესებს;

ბ) მეცნიერი დარწმუნებულია, რომ უცხოპლანეტელები არსებობენ;

გ) მას სჯერა, რომ უცხოპლანეტელებს კეთილი განზრახვა ექნებათ ჩვენ მიმართ.

2. გამოიყენეთ წიგნში მოცემული ყველა ტექსტი და შეავსეთ ინფორმაციით სტივენ ჰოკინგის მოსაზრებებზე დაყრდნობით. იმუშავეთ მეწყვილესთან ერთად რვეულში.

მათი არსებობა:

1. შესაძლებელია თუ არა?
2. რა შემთხვევაში?
3. სად?

ინფორმაცია, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებს მეცნიერს:

ვარაუდები მათს გარეგნობასთან დაკავშირებით:

უცხოპლანეტელები და დედამიწელები:

1. ინტერესები:
2. მოლოდინები:
3. სავარაუდო შედეგები:

3. დაუბრუნდით სტივენ ჰოკინგის მოსაზრებებს, გამოიყენეთ ისინი და ისაუბრეთ, ზოგადად, უცხოპლანეტელების არსებობა-არარსებობის შესახებ.

4. იმსჯელეთ სტივენ ჰოკინგის მიერ მოყვანილ ფაქტებსა და ვარაუდებზე. გამოხატეთ თქვენი პოზიციები მათ შესახებ და დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.

5. გაეცანით მოცემულ სქემებს და მოემზადეთ მოთხრობის დასაწერად.

რა არის მოთხრობისათვის საჭირო:

ფაბულა (ის, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მოთხრობის სიუჟეტს; ამბავი, რომელიც უნდა განვითარდეს);

დრო და სივრცე (სად და როდის ვითარდება მოვლენები);

პერსონაჟები (მთავარი და დამატებითი პერსონაჟები).

დრო და სივრცე

მოვლენათა განვითარების დრო: როდის იწყება და როდის მთავრდება; როდიდან როდემდე გრძელდება *(წელიწადის რა დროს, დღე-ღამის რომელ მონაკვეთში, რომელ საათზე* და ა.შ.);

მოვლენათა განვითარების ადგილი: სად დაიწყო, სად გაგრძელდა და სად დასრულდა (მაგ., *ტყეში, ქალაქის გარეუბანში, ტრიალ ველზე, მიტოვებულ სახლში, უცხოპლანეტელების ხომალდ-ზე; იქ, სადაც დაიწყო; იქიდან ძალიან შორს* და ა.შ.).

პერსონაჟები

მთავარი პერსონაჟ(ებ)ი: ის ადამიანი ან ადამიანები, რომელთა გარშემოც ამბავი უნდა განვითარდეს;

დამატებითი პერსონაჟები:

ის ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ დროსა და სივრცეში მთავარ პერსონაჟ(ებ)თან პირდაპირ თუ ირიბად ურთიერთობენ; მოვლენების განვითარებაში მონაწილეობენ.

სიუჟეტი

- შესაძლებელია, დაიწყოს მთავარი პერსონაჟის გაცნობით;
- აღიწეროს ის გარემო, სადაც მოვლენები უნდა დაიწყოს და განვითარდეს;
- მეტი ემოციურობისათვის, შესაძლებელია, პირდაპირ დაიწყოს მოქმედება და ა.შ.

- აქ ყველაფერი უნდა გაიხსნას. არ უნდა დარჩეს მკითხველი გაურკვეველ მდგომარეობაში და არ უნდა დასვას კითხვა: *კი, მაგრამ, როგორ დამთავრდა, მერე რა მოხდა?!...*
- მკითხველმა უნდა გამოიტანოს დასკვნა, რა იყო მოთხრობის მთავარი გზავნილი.

ა) მოვლენები უნდა განვითარდეს ლოგიკური თანამიმდევრობით (ქრონოლოგიური, მიზეზშედეგობრივი და ა.შ.: რა მოხდა ჯერ და რა - შემდეგ და რატომ?);

ბ) მათ შორის უნდა არსებობდეს ლოგიკური ბმები; ისინი რაღაც ნიშნით უნდა უკავშირდებოდნენ ერთმანეთს;

გ) გაადვილების მიზნით, შეადგინეთ სიუჟეტის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელსაც გაჰყვები.

1. წაიკითხეთ და შეასრულეთ მოცემული მითითებები რვეულში.

I. გულდასმით წაიკითხეთ ფაბულად შერჩეული ფრაზა (ტექსტში ხაზგასმული წინადადებები) და მოიფიქრეთ სიუჟეტი. ყურადღება მიაქციეთ დასმულ შეკითხვებს.

ვინ არის ეს ადამიანი? სად და რატომ მიდის ღამით? მარტო მიდის თუ ვინმესთან ერთად? რატომ გადაწყვეტს შემოვლითი გზით წასვლას? რომელი მხრიდან და როგორ გამოჩნდება მფრინავი თეფში? რა მოჰყვება მის გამოჩენას? სად წაიყვანენ უცხოპლანეტელები მას და რატომ? რა მოხდება იქ - რა მოჰყვა მათ შეხვედრას განსაკუთრებული, დამეგობრდნენ, დაეხმარნენ ....? რით დამთავრდება ეს ყველაფერი - საბოლოოდ წაიყვანეს ის თუ დააბრუნეს? და ა.შ.

<u>აუცილებლად უნდა გამოჩნდეს კონკრეტული მიზანი, მაგალითად,</u>

- უცხოპლანეტელებს კეთილი მიზნები ამოძრავებთ;
- მათ უნდათ ადამიანებთან დაახლოება;
- დედამიწაზე განსაკუთრებული მისია ჰქონდათ შესასრულებელი და სხვა.

II. მოიფიქრეთ მთავარი და დამატებითი <u>პერსონაჟები</u> და შეადგინეთ მათ შესახებ საჭირო ინფორმაცია (მათი რაოდენობა განსაზღვრეთ საჭიროების მიხედვით).

	პირადი მონაცემები (ვინაობა, ასაკი, საქმიანობა)	**გარეგნობა** (ფიზიკური მონაცემები, ჩაცმულობა)	ხასიათის **თვისებები, ემოციები, ინტერესები...**
1.			
2.			
3.			
4.			

III. დაუბრუნდით პერსონაჟებს და იმუშავეთ მათზე.

ა) <u>მოიფიქრეთ, რატომ არიან</u> ისინი ასეთები (მაგალითად, ***კარგი / ცუდი; ჭკვიანი / სულელი; ბოროტი / კეთილი*** და ა.შ.). მოინიშნეთ სავარაუდო სიტუაციები, სადაც ისინი ამ თვისებებს ავლენდნენ ან გამოავლენენ, საჭიროების შემთხვევაში.

ბ) <u>მოიფიქრეთ, რატომ აირჩიეს</u> უცხოპლანეტელებმა მაინცდამაინც ის ***(იმიტომ, რომ ჭკვიანია, თავისი საქმის პროფესიონალია ან ბოროტია, ცუდია და უცხოპლანეტელებთან შეხვედრამ ის მთლიანად უნდა შეცვალოს, სხვა ადამიანად უნდა აქციოს*** და სხვა).

გ) მოიფიქრეთ და გამოკვეთეთ მათი განცდები და ემოციები სხვადასხვაგვარად:

- მისი ქცევით, რეაქციით (მაგ., ***შიშისაგან ერთ ადგილზე გაშეშდა / კანკალი დაიწყო / მუხლებში ძალა გამოეცალა...; სიხარულისაგან ერთ ადგილზე ხტუნვა დაიწყო...***
- მისი რეპლიკებით (მაგ., როგორ მიხარია თქვენი ნახვა! რა საშინელებაა!...)
- თქვენი შეფასებით.

IV. შესაძლო (სავარაუდო) გარემოებების (მოვლენების) გათვალისწინებით, ჩამოწერეთ საჭირო ლექსიკა, რომლებსაც სავარაუდოდ გამოიყენებთ კონკრეტულ პერსონაჟთან მიმართებაში.

გარემოება (სიტუაცია)	**განცდა/ემოცია** (როგორია?)	**ქცევა/მოქმედება** (რას აკეთებს, რა გააკეთა?)
მარტო მიდის გზაზე, ღამეა.	ჩაფიქრებული, დარდიანი... მხიარული შეშინებული	მღერის, უსტვენს... ტელეფონზე საუბრობს... თავის თავს ხმამაღლა ელაპარაკება... აკანკალებული აქეთ-იქით იყურება...
უცებ მფრინავი თეფში გამოჩნდა.	აცახცახებული. თვალებდაჭყეტილი...	კაცი ერთ ადგილზე გაშეშდა; ხელების ქნევა დაიწყო; ყვირილი ატეხა; გაიქცა; ერთ ადგილზე ხტუნვა დაიწყო; ხის უკან დაიმალა; ორმოში ჩაძვრა ...
და ასე შემდეგ		

V. რაიმეს აღწერისას შეეცადეთ, გამოიყენოთ ხუთივე გრძნობა:

ა) **სმენა** (რა გაიგონა? - ზუზუნი, რაღაც უცნაური ხმები, ფოთლების შრიალი...)

ბ) **მხედველობა** (რა დაინახა? - წითელი შუქი, მკვეთრი სინათლე, მრგვალი საგანი...)

გ) **გემოვნება** (როგორი გემო ჰქონდა? - ტკბილი, მწარე, უცნაური...)

დ) **ყნოსვა** (რისი სუნი იგრძნო? - დამწვარი რეზინის, ნაცნობი არომატის, ახალგამომცხვარი პურის...)

ე) **შეხება** (როგორია? - მაგარი, რბილი, ცივი, ცხელი...)

ნიმუში:

უცბად ჩაბნელებულ ცაზე მფრინავი თეფში გამოჩნდა - დიდი, მრგვალი და წითელი შუქით განათებული. ზუზუნით მოფრინავდა.

ხმა თანდათან გაძლიერდა და ბოლოს უცბად შეწყდა. კაცი ჯერ ერთ ადგილზე გაშეშდა, შემდეგ ხეს ამოეფარა და შიშისაგან აცახცახებულმა აქეთ-იქით ყურება დაიწყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვარდისფერი კვამლი დაინახა და რაღაც უცნაური სუნიც იგრძნო...

VI. ჩამოწერეთ დროისა და სივრცის გამომხატველი ის სიტყვები და ფრაზები, რომელთაც სავარაუდოდ გამოიყენებთ.

დროში ორიენტაცია	სივრცეში ორიენტაცია
მალე, ცოტა ხანში, ამასობაში, ერთი საათის განმავლობაში, მცირე ხნის შემდეგ, მეორე დღეს, მოულოდნელად, მაშინვე, ერთ წამში, იმ დროს ... როცა...; მაშინ... როცა...; ისევე სწრაფად, როგორც ...; მაშინათვე, პირველად, საბოლოოდ ...	მეზობელ ქალაქში, ქალაქგარეთ, ერთ პატარა სოფელში, სადღაც შორს, ათიოდე მეტრში, ერთ კილომეტრში, იმ ადგილიდან შორს / ახლოს; იქ, სადაც; ტყეში / ტყის პირას / ტყისკენ; ორ ნაბიჯში; ... თან ახლოს / შორს...

VII. გამოკვეთეთ თქვენი პოზიციები და მოინიშნეთ ძირითადი ენობრივი საკითხები.

პოზიცია	ენობრივი საკითხები
ა) ხარ მხოლოდ ავტორი; ბ) ხარ ავტორიც და პერსონაჟიც; გ) გამოკვეთე, მთავარი პერსონაჟი ხარ თუ არა; დ) ხარ დედამიწელი თუ უცხოპლანეტელი.	<u>იფიქრეთ:</u> დაგჭირდებათ თუ არა და სად I და II პირთა კომბინაციების გამოყენება; სად და როგორ გამოიყენებთ შეფასება-დამოკიდებულების გამომხატველ ლექსიკას; სად და როდის გამოიყენებთ სხვათა სიტყვებს (დიალოგში, მონოლოგში) და რა ფორმით (პირდაპირი და ირიბი ნათქვამი).
ა) გადმოსცემ, რა მოხდა ერთხელ წარსულში; ბ) გადმოსცემ მიმდინარე მოვლენებს; გ) გადმოსცემ სხვის მონაყოლს; დ) ყვები უცნაურ სიზმარს; და ა.შ.	რა შემთხვევაში დაგჭირდებათ შესრულებული (ან შესასრულებელი) მოქმედების გამოსახატავად სხვადასხვა ფორმის გამოყენება...

VIII. შეადგინეთ მოთხრობის გეგმა.

<u>რეკომენდაცია:</u> საჭირო არ არის, სრული წინადადებების გამოყენება. მთავარია, თანამიმდევრულად ჩამოწეროთ ძირითადი მოვლენების (ეპიზოდების) მოკლე მონახაზი.

ნიმუში:

1. კაცს ურეკავენ. სასწრაფოდ უნდა მივიდეს ავადმყოფთან. შუაღამეა.
2. გზაში მანაქანა ფუჭდება და ფეხით აგრძელებს გზას.
3. დაინახავს შემოვლით გზას და ა.შ.

IX. გამოკვეთეთ თქვენი პოზიციები და მოინიშნეთ ძირითადი ენობრივი საკითხები.

მაგალითად:

1. პერსონაჟის განწყობის, ემოციის უკეთ გამოსაჩენად (მაგ., ***თუ პერსონაქი მშიშარაა, მის შიშს აძლიერებს მოულოდნელი ქარის ამოვარდნა; სადღაც უეცარი ხმაური, ფოთლების შრიალი*** და ა.შ.);
2. სიტუაციის დასაძაბად და, პირიქით, სიტუაციის განსამუხტად (***მოულოდნელად ამინდი აირია / დაწყნარდა; ქარი ამოვარდა / ჩადგა; თავსხმა დაიწყო...***).

X. **გასაადვილებლად შეგიძლიათ, გამოიყენოთ მოთხრობის სქემაც ნიმუშის მიხედვით.**



XI. სათაურის შერჩევა. მაგალითად:

სათაური შეგიძლიათ, შეარჩიოთ წერის პროცესშიც, თუმცა უკეთესი იქნება, თუ წერის დასრულების შემდეგ დაფიქრდებით მასზე.

ეცადეთ, სათაური იყოს მარტივი და შეიცავდეს მოთხრობის მთავარ სათქმელს.

თემიდან და სიუჟეტიდან გამომდინარე, შეგიძლიათ, სათაურშივე ჩადოთ რაიმე ინტრიგა, მაგალითად:

ჩემი მარსიანელი მეგობარი;

მოგზაურობა უცნაურ არსებებთან ერთად და ა.შ.

XII. დასასრული

კარგად მოიფიქრეთ ფრაზა, რომლითაც მოთხრობა უნდა დაამთავროთ.

ნიმუში:

- როცა თვალი გაახილა (გავახილე), ისევ იქ იყო (ვიყავი), საიდანაც...
- იმ შემთხვევის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ...
- კაცი დიდხანს ფიქრობდა იმ ....
- ამ ამბავმა მთლიანად შეცვალა მისი ცხოვრება. მან მყარად გადაწყვიტა ...

გამოიყენეთ თქვენი სამუშაო ვარიანტები და შეადგინეთ მოთხრობა (სიტყვების მინიმალური რაოდენობა - 150).

დაიმახსოვრეთ!

- პირველივე ფრაზა უნდა იყოს საინტერსო.
- თხრობას ჩაანაცვლეთ დიალოგი.
- აღწერის დროს გამოიყენეთ ხუთივე გრძნობა.
- ყურადღება მიაქციეთ მოვლენათა თანამიმდევრობას.
- სწორად შეარჩიეთ ენობრივი მასალა.

„გაფრენა დაბრუნების გარეშე“

1. გაეცანით ინფორმაციას და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

დასასრულს უახლოვდება უპრეცედენტო მასშტაბის კომერციული პროექტის - „გაფრენა დაბრუნების გარეშე“ მომზადება.

იდეის ავტორის, ილონ მასკის გეგმით, Space X-მა მარსზე სამეცნიერო ზონდი Dragon 2018 წელს, ხოლო პირველი ადამიანი უკვე 2024 წელს უნდა დასვას.

მოხალისეები, რომლებიც პროექტში ჩაერთვებიან, ხელს მოაწერენ იმაზე, რომ წავლენ შორეულ, მკაცრ, ცივ და სახიფათო პლანეტაზე და აღარასოდეს დაბრუნდებიან შინ.

ა) <u>წაიკითხეთ და დაასახელეთ, რომელია, თქვენი აზრით, სწორი ვარიანტი?</u>

1. იგულისხმება ახალი ჰოლივუდური ფილმი, რომელშიც პროფესიონალი მსახიობების ნაცვლად უბრალო ადამიანები ითამაშებენ;
2. ეს ეხება ტელეშოუს, რომელშიც ერთ-ერთ პლანეტაზე ადამიანების დასახლების იმიტაციას გაითამაშებენ;
3. ასეთ პლანეტაზე მოხალისეების რეალურად გაგზავნა იგეგმება.

ბ) <u>დაასახელეთ, რომელი პლანეტა იგულისხმება.</u>

გ) <u>უპასუხეთ შეკითხვებს.</u>

1. რას ნიშნავს **“უპრეცედენტო მასშტაბის პროექტი”** და რატომ არის ის ასეთი?
2. რა უნდა გააკეთონ პროექტში ჩართვის მსურველმა მოხალისეებმა და რატომ?

დ) <u>დააკვირდით პროექტის განხორციელების გეგმას და უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს.</u>



ე) <u>დაუბრუნდით პროექტს. არის თუ არა პროექტის განხორციელება შესაძლებელი და რა რისკები შეიძლება არსებობდეს? მოიტანეთ სათანადო არგუმენტები და იმსჯელეთ მათ შესახებ.</u>



3. <u>გაეცანით რისკებს და შეადარეთ თქვენს ვერსიებს. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა ამ რისკების შემცირება და პროექტის განხორციელება?</u> დაასაბუთეთ თქვენი პოზიციები.

1. ყველაზე უარესი სცენარით, ასტრონავტები, რომლებსაც მხედველობა დაბინდული აქვთ და ძვლები – მყიფე, მარსზე დასხდებიან და მაშინვე ფეხს მოიტეხენ.

- ✓ უწონადობისას ხდება ძვლების განლევა. გამოსავალია ენერგიული ვარჯიშები, თუმცა კოსმოსურ სადგურზე გამოყენებული უზარმაზარი აღჭურვილობა ზედმეტად მძიმეა მარსზე ამისთვის.

- ✓ სადგურზე ზოგიერთ ასტრონავტს სერიოზულად გაუუარესდა მხედველობა, როგორც ჩანს, იმ მიზეზით, რომ ტვინში სითხე გროვდება და თვალს აწვება.

2. რადიაცია კიდევ ერთი საფრთხეა.

- ✓ კოსმოსურ სადგურზე ასტრონავტები მეტწილად მაინც დაცულები არიან დედამიწის მაგნიტური ველით. მარსზე მოგზაურობისას კი მათზე გავლენას მოახდენს მზეზე აფეთქებებისა და კოსმოსური სხივების რადიაცია.

- ✓ კოსმოსური სხივები განსაკუთრებით აზიანებენ დნმ-სა და თავის ტვინის უჯრედებს – რაც ნიშნავს, რომ ასტრონავტები მარსზე უკვე ცოტა ჭკუანაკლულები შეიძლება ჩავიდნენ.

3. ასტრონავტების მხოლოდ სასმელი წყლითა და სასუნთქი ჰაერით უწყვეტი მომარაგებაც პრობლემაა.

4. მარსზე კონფლიქტები გარდაუვალი იქნება.

ექსპერტების თქმით, მარსზე მისიისთვის ცივი გონების ადამიანებია საჭირო. ისეთები, რომლებსაც შეუძლიათ გაუძლონ იზოლაციასა და მოწყენილობას ხანგრძლივი მოგზაურობის დროს, შემდეგ კი გააქტიურდნენ მარსზე.

1. მოძებნეთ მოცემულ შეკითხვებზე პასუხები ტექსტში და დაასახელეთ.

ა) რა რეაქცია მოჰყვა „მარს ერთის“ პროექტს საზოგადოებაში და საიდან ჩანს ეს?
ბ) როგორი წესით შეარჩევენ მოხალისეებს?
გ) რას გულისხმობს კონკურსის პირობები?
დ) რა შემთხვევაში შეუძლია ნებისმიერ მსურველს პროექტში მონაწილეობა?
ე) რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ ისინი?
ვ) საკმარისი იქნება თუ არა კონკურსში გასვლა მარსზე გასაფრენად?
ზ) თქვენი აზრით, რას გულისხმობს ამ მისიისათვის რვაწლიანი მომზადება? დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.
თ) რას ჰპირდება კომპანია დედამიწელებს?
ი) რა არის კომპანიის საბოლოო მიზანი?

ჰოლანდიურმა კომპანია „მარსი ერთმა“ გამოაცხადა კონკურსი მოხალისეებისათვის, რომელთაც წითელ პლანეტაზე დასახლების სურვილი აქვთ. პროექტის ხელმძღვანელის განმარტებით, მოხალისეები დედამიწაზე აღარ დაბრუნდებიან, რადგანაც დაბრუნებისთვის საჭირო ტექნოლოგიები ჯერჯერობით არ არსებობს.

კოსმოსში გაფრენა ნებისმიერ მსურველს შეეძლება, თუკი შემდეგ პირობებს დააკმაყოფილებს. ის უნდა იყოს:

- 18-დან 40 წლამდე ასაკის;
- ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღი;
- ამტანი, ახალ გარემო პირობებთან იოლად შემგუებელი, ცნობისმოყვარე, რისკიანი და შემოქმედებითი;
- კარგად უნდა ესმოდეს მისიის შინაარსი;
- უნდა შეეძლოს კარგი ურთიერთობების დამყარება;
- უნდა ჰქონდეს თვითანალიზისა და ნდობის მოპოვების უნარი.

კანდიდატი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე, თუმცა აუცილებელია ინგლისური ენის მინიმალური ცოდნა. ასევე, მსურველებმა უნდა გაიარონ ამ მისიისათვის რვაწლიანი მომზადება.

აღსანიშნავია, რომ მარსზე დასახლების სურვილი, მსოფლიოს მასშტაბით, 200 000-ზე მეტმა ადამიანმა გამოთქვა. მათგან ჟიურიმ ჯერჯერობით 100 აპლიკანტი შეარჩია - 50 ქალი და 50 მამაკაცი.

შერჩეულ 100 კანდიდატს შორის 39 ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებიდანაა, 31 - ევროპიდან, 16 - აზიიდან, 7 - აფრიკიდან, 7 კი ოკეანეთიდან. საბოლოოდ, 24 ადამიანს შეარჩევენ, რომლებიც დედამიწას ეტაპობრივად დაემშვიდობებიან.

კომპანიის გადაწყვეტილებით, შეიქმნება რეალითი შოუ, რომელშიც დედამიწელები გაეცნობიან მოხალისეებს, იხილავენ მათ ყოველდღიურ მომზადებას და შეარჩევენ მარსზე გასაგზავნ პირველ ჯგუფს. ტელეშოუს დროს გადაიცემა მარსზე მიმდინარე პროცესები. ასევე გადაიღებენ დოკუმენტურ ფილმს.

კომპანიის ხელმძღვანელების განცხადებით, პირველი მისიონერების გადასხმის შემდეგ, ყოველ ორ წელიწადში ახალი მოხალისეები გაემგზავრებიან და ასე დაიწყება კოლონიზაცია და ახალი ცხოვრება წითელ პლანეტაზე.

პროექტი

1. გაეცანით სიტუაციას და შეასრულეთ დავალება.

ადამიანებმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჰოლანდიური კომპანიის მიერ გამოცხადებულ პროექტში - *„მარსი ერთი“* - მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მოხალისეებმა წარადგინეს ავტობიოგრაფიები, საკუთარი დახასიათებები და დამატებით სხვა საინტერესო ინფორმაციები.

2. გაეცანით ხუთი მსურველის შესახებ ინფორმაციას და უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს.

უთე შმიდტი - 37 წ. გერმანიიდან.

ჰყავს მოხუცი მშობლები და ერთი ძმა.

პროფესიით ფსიქოლოგია. მუშაობს ფსიქოლოგიის ინსტიტუტში წამყვან ფსიქოლოგად. აქვს კერძო კლინიკაც.

არის კომუნიკაბელური და მშვიდი. უყვარს კლასიკური მუსიკა. მარტივად შეუძლია პრობლემების გადაჭრა.

ვერ იტანს აგრესიულ და გაუწონასწორებელ ადამიანებს.

აქვს დახურული სივრცისადმი შიში.

ფიზიკურად ჯანმრთელია.

ჟორჟ რენო - 32 წ. ფრანგი. ამჟამად ინგლისში ცხოვრობს.

ოჯახი არ ჰყავს. გაიზარდა ბავშვთა სახლში. ამბობს, რომ იქ ცხოვრების დიდი გამოცდილება მიიღო.

ნაკლებად ენდობა ადამიანებს. უკან არასოდეს იხევს და უარსაც არაფერზე ამბობს. არავის და არაფრის ეშინია. შეუძლია, ნებისმიერ სიტუაციაში თავი გაიტანოს.

ხშირად ხვდება კონფლიქტებში იმის გამო, რომ უსამართლობას ვერ იტანს.

მხიარულია. უყვარს სპორტი.

ოსტაპ შევჩენკო - 28 წ. უკრაინელი.

ჰყავს მშობლები და ერთი შვილი, რომელიც დედასთან ცხოვრობს. ახალი ოჯახი არ ჰყავს.

არის პოლიციის კაპიტანი. აქვს სამი წლის მუშაობის გამოცდილება.

ყოფილი სპორტსმენია (თამაშობდა რაგბის ეროვნულ ნაკრებში). სპორტს ტრავმების გამო დაანება თავი.

ფიზიკურად ძლიერია. ამჟამად არაფერი აწუხებს. არ სვამს და არ ეწევა.

მიაჩნია, რომ კანონზე მაღლა არავინ უნდა იდგეს.

მარტა იენსენი - 29წ. ნორვეგიელი, ბერგენიდან. ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ოსლოში.

მარტა ახალგაზრდა პერსპექტიული მედიკოსია. დაინტერესებულია კლონირებით და ჩართულია ახალ ექსპერიმენტებში.

შეუძლია, 24 საათის განმავლობაში იმუშაოს.

მომთხოვნია როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

უყვარს სიცოცხლე და მისდევს ჯანსაღი ცხოვრების წესს.

ნიკოლას მეიერი - 39 წ. ტეხასის შტატიდან (აშშ). პროფესიით აგროტექნიკოსი. ითვლება ტეხასის შტატში მემცენარეობის ერთ-ერთ საუკეთესო ტექნოლოგად.

რამდენიმე წლის წინ ნიკოლასს გარდაეცვალა მეუღლე. შვილები არ ჰყავს.

მეიერმა თავი დაანება საჯარო სამსახურს, შეიძინა მიწა და ხელი მიჰყო ფერმერობას.

უყვარს მიწის დამუშავება, ახალი მცენარეების გამოყვანა, ცხოველებთან ურთიერთობა და, საერთოდ, ბუნება.

თავისუფალ დროს ბევრს კითხულობს. აქვს განსხვავებული ინტერესები. ამ ბოლო დროს გატაცებულია უახლესი ტექნოლოგიების დაუფლებითა და უძველესი ცივილიზაციების კულტურის შესწავლით.

3. დაუბრუნდით ინფორმაციებს მოხალისეთა შესახებ და შეასრულეთ დავალება.

ამ ხუთი მოხალისედან მარსზე წასვლის შანსი მხოლოდ ორ მოხალისეს აქვს. კიდევ ერთხელ გაეცანით კომპანიის პირობებს და დაასახელეთ, თქვენი აზრით, რომელ ორს აქვს ყველაზე დიდი შანსი და რატომ? დაასაბუთეთ თქვენი გადაწყვეტილებები.

გრამატიკა

ბრუნვათა ძირითადი ფუნქციები

ბრუნვა	ფუნქცია
სახელობითი **(-ი / 0):**	<u>გადმოიცემა:</u> 1. ქვემდებარე (S) 2. პირდაპირი დამატება (O) 3. შედგენილი შემასმენლის (ზმნის) სახელადი ნაწილი (მაგ., ექიმი / მხიარული იყო)
მოთხრობითი **-მა / -მ):**	ეს არის ქვემდებარის (S) ბრუნვა
მიცემითი **(-ს):**	<u>უთანდებულო ფორმით გამოიხატება</u>: 1. ქვემდებარეს (S) 2. პირდაპირ დამატებას (O) 3. ირიბ დამატებას (O) 4. შედგენილი შემასმენლის (ზმნის) სახელად ნაწილს (მაგ., საინტერესოს ხდის) 5. დროის გარემოებას (მაგ., საღამოს დაიწყება)
ნათესაობითი **(-ის):**	<u>უთანდებულო ფორმა გამოხატავს:</u> 1. უბრალო დამატებას რამდენიმე ზმნასთან (მაგ., ეშინია, რცხვენია... რის?) 2. უბრალო დამატებას საწყისთან (მაგ., ბურთის თამაში...) 3. მასალას (რისგან?), კუთვნილებას (ვისი / რისი?), დანიშნულებას (რისი?) <u>თანდებულიანი ფორმა გამოხატავს:</u> 1. ადგილს (მაგ., სახლისკენ, სახლის წინ...) 2. დროს (მაგ., ორი წუთის წინ, შემდეგ...) 3. მიზეზს (რის გამო?) 4. მიზანს (რისთვის?)
მოქმედებითი **(-ით)**	<u>გამოხატავს</u>: 1. მოქმედების იარაღს, ინსტრუმენტს (რით ვაკეთებ?) 2. ქონა-ყოლას, თანაობას (დედა შვილებით); 3. მიზეზს (ტკივილით შეწუხებული); 4. ვითარებას (ყურადღებით უსმენს)
ვითარებითი **(-ად / -დ)**	<u>გამოხატავს</u>: 1. თანაობას (შვილებიანად მოვიდა); 2. ვითარებას (ქალაქად იქცა; უარესად გახდა; შავად შეღება); 3. ადგილს, დროს (მინდვრად; ძველად...) 4. მიზანს (სათამაშოდ წავიდა...)
წოდებითი **(-ო / -ვ / 0)**	<u>გამოხატავს</u> მიმართვას - ძმაო! გიორგი! წყაროვ

1. დაასახელეთ, რომელ ბრუნვაში დგას ხაზგასმული სიტყვები და მიუთითეთ მათი ფუნქცია რას გამოხატავენ ისინი?

1) ის კაცი ესპანელი იყო.
2) დალის ერთი უმცროსი და ჰყავდა.
3) ლიას ძალიან ეშინოდა ობობის.
4) მას უნდა, რომ მამის კვალს გაჰყვეს.
5) მე არასოდეს მქონია პრობლემები.
6) ჩემი სახლი ქალაქის ძველ უბანში დგას.
7) მე წვრილი ქვით მოკირწყლულ ქუჩაზე ვცხოვრობ.
8) ჩემს სახლთან დიდი ჭადრის ხე დგას.
9) მამაჩემი სანადიროდ წავიდა.
10) გლეხებმა ტყე გაჩეხეს.
11) მე მოგზაურობით კმაყოფილი ვარ.
12) გუშინ დილით სად იყავი?
13) მე საღამოს სახლში ვიყავი.
14) ის სიცივის გამო კანკალებს.
15) მამამ ფეხბურთის ბურთი მომიტანა.
16) სკოლაში ყოველთვის მეტროთი მივდივარ.
17) გიორგი, მომეცი ეს წიგნი!

2. დაუბრუნდით წინა დავალებაში ხაზგასმულ სიტყვებს და დაასახელეთ ბრუნვა, ბრუნვის ნიშანი და ფუძე.

ნიმუში: კაცი = დგას სახელობით ბრუნვაში, ბრუნვის ნიშანია –ი, ფუძეა კაც.

მოქმედების შესრულების დრო

I.

ახლანდელი	ხდება თქმის დროს
წარსული	ხდებოდა ან უკვე მოხდა თქმამდე
მომავალი	მოხდება თქმის შემდეგ
ზოგადი დრო	მოქმედება, რომელიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია საგნისთვის ან მოვლენისთვის.
	მოქმედება, რომელსაც ადამიანი ჩვეულებრივ ასრულებს.

1. წაიკითხეთ წინადადებები და მიუთითეთ მოქმედების შესრულების დრო.

1) დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს.
2) სოფელში აუცილებლად უნდა წავიდე.
3) თევზი ცურავს, ნიანგი მიწაზე დახოხავს, კურდღელი კი დახტის.
4) დედაჩემი სკოლაში ასწავლის.
5) შარშან ზღვაზე დავისვენე.
6) ჩემი ძმა კარგად ხატავს, მე კი ლექსებს ვწერ.
7) ბიძაჩემი საავადმყოფოში მუშაობს.
8) მე გაღვიძებისთანავე ვდგები და ვვარჯიშობ.
9) დათო ყოველთვის არ უნდა აგვიანებდეს სკოლაში.

II. დროის გამოხატვის ენობრივი მარკერები:

ზმნის სხვადასხვა მწკრივის ფორმები	წერს, წერდა, დაწერა, უნდა დაწეროს, არ დაუწერია...
დროის ზმნიზედები	ახლა, წეღან, წუხელ, უწინ, გუშინ, შარშან, ხვალ, ზეგ, ჯერ, შემდეგ, გვიან, მალე ...
სახელები და საწყისები	ორშაბათს, ზაფხულში, მთელ ზაფხულს, დილით, გაღვიძებისთანავე, პირველად, ორ საათზე, წასვლის წინ ...
შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები	რთული წინადადება, რომელშიც გამოხატულია მასში მოცემულ ამბებსა თუ მოვლენებს შორის დროითი მიმართება. გამოიყენება შესაბამისი წევრ-კავშირები: როდესაც, როცა (მაშინ - როდესაც / როცა); მანამ - სანამ; როგორც კი (- მაშინვე) ...

2. წაიკითხეთ წინადადებები და მიუთითეთ, რით არის გამოხატული კონკრეტული დრო ცალკეულ შემთხვევაში. დაასახელეთ ყველა ენობრივი მარკერი.

1) მამა დილით ადრე წავიდა სამსახურში.
2) წუხელ ძლიერი ქარი ქროდა.
3) მე მაშინ მოვალ, როცა შენ მეტყვი.
4) როგორც კი წვიმა დაიწყო, მაშინვე სახლში წავედი.
5) დათომ ეს დავალება აუცილებლად უნდა დაწეროს.

6) ლიას წასვლის წინ ველაპარაკე.
7) ჯერ ზაზა დაიწყებს, შემდეგ შენ გააგრძელებ.

III. არსებობს ზმნები, რომელთა ერთი კონკრეტული ფორმა სხვადასხვა დროს გამოხატავს. თუ რომელ დროს გამოხატავს, ამაზე კონტექსტი მიუთითებს, მაგალითად:

ასწავლის	დედას არ სცალია, ჩემს ძმას ასწავლის.
	დედა აუცილებლად ასწავლის ამას ჩემს ძმას.
ათამაშებს	ნახე, როგორ კარგად ათამაშებს თავის პატარა დას!
	ჯერ იმეცადინებს და შემდეგ ათამაშებს თავის დას.

3. განსაზღვრეთ მოქმედების დრო კონტექსტის მიხედვით. მიუთითეთ, რა დაგეხმარათ სწორი პასუხის პოვნაში.

1) დათო კომპიუტერთან ზის, ნანა კი თავის პატარა დას ამეცადინებს.
2) ცოტას დავისვენებ და მერე ვათამაშებ.
3) ჩემი ძმა შემპირდა, რომ აუცილებლად მავარჯიშებს.
4) უკვე ნახევარი საათია, რაც მამა უფროს შვილს ავარჯიშებს.
5) ის თავის ნებაზე ათამაშებს თავის უფროს დას.

აწმყო რას აკეთებს?	გამოხატავს ფაქტს. მიუთითებს, რომ თქმის მომენტში ხდება მოქმედება: ახლა ის **თამაშობს,** მე კი წიგნს **ვკითხულობ.**
აწმყოს კავშირებითი რას (უნდა) აკეთებდეს?	გამოხატავს მთქმელის აზრს, ვარაუდს, სურვილს ისეთი მოქმედების მიმართ, რომელიც თქმის დროს: ა) სრულდება ბ) უნდა სრულდებოდეს, მაგრამ არ სრულდება გ) როგორც წესი, ასე ხდება ხოლმე დ) უნდა, რომ შესრულდეს.
I თურმეობითი რა გაუკეთებია?	ასახავს მოქმედების შედეგს აწმყოში, აწმყოს ვითარებას: ის ლექსები ანას ახლაც წიგნაკში **უწერია.**

4. წაიკითხეთ და დაასახელეთ აწმყოს კავშირებითის ფუნქცია კონკრეტულ წინადადებაში.

1) ჩემი აზრით, დათო ახლა არ უნდა **თამაშობდეს** და უნდა კითხულობდეს.
2) შენ ასე გვიან არ უნდა **მიდიოდე.**
3) მაკა, ამ დროს უნდა **იძინებდე!**
4) ის ახლა უნდა **მეცადინეობდეს!**
5) ზაზა გვიანობამდე არ უნდა **ერთობოდეს!**
6) ნეტა, ზღვაზე **ვისვენებდე!**

5. დაასახელეთ, რომელ წინადადებაშია საუბარი ახლანდელ დროზე. მიუთითეთ, რა მიანიშნებს ამაზე.

1) გიორგი დიდხანს იჯდა კომპიუტერთან.
2) ის საათობით არ უნდა იჯდეს კომპიუტერთან!
3) გიორგი, უკვე ორი საათია, კომპიუტერთან ზის.
4) მე მგონი, ის ახლა კომპიუტერთან ზის.
5) ჩემი აზრით, ის ახლა კომპიუტერთან უნდა იჯდეს.
6) გიორგი, ამდენ ხანს კომპიუტერთან არ უნდა იჯდე!

წარსული დროის გამოხატვა ზმნით

წარსულში შესრულებულ მოქმედებას, შესაძლოა, განსხვავებული შინაარსი ჰქონდეს.

უწყვეტელი რას ვაკეთებდი?	მიუთითებს მხოლოდ დაუსრულებელ, უწყვეტ მოქმედებაზე, მოქმედების პროცესზე: ვწერდი, ვამბობდი, მივდიოდი...
წყვეტილი რა გავაკეთე?	გამოხატავს დასრულებულ (ან დაუსრულებელ) მოქმედებას; მიუთითებს მოქმედების შედეგზე: დავწერე (ვწერე), ვთქვი, წავედი, ვიტირე... არ დავწერე, ვერ დავწერე...
I თურმეობითი რა გამიკეთებია?	ა) მიუთითებს მოქმედების შედეგზე: დამიწერია, მითქვამს, წავსულვარ, შემშინებია... ბ) მიუთითებს უნახავ მოქმედებაზე: (თურმე) დაუწერია, წასულა...

1. უპასუხეთ შეკითხვებს ცხრილზე დაყრდნობით.

1) რა აქვს საერთო უწყვეტელსა და წყვეტილს?
2) რა განსხვავებაა მათ შორის?
3) რა აქვს საერთო წყვეტილსა და I თურმეობითს?
4) რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან?
5) კიდევ რას გამოხატავს I თურმეობითი?

2. დააკონკრეტეთ ზმნით გამოხატული მოქმედების შინაარსი. რაზე მიუთითებს ხაზგასმული ზმნა ცალკეულ შემთხვევაში?

1) გუშინ ძალიან ბევრი ვიკითხე.
2) "მერი პოპინსი" ბავშვობაში წავიკითხე.

3) ჩემს ძმასაც წაუკითხავს ეს წიგნი.

4) ამ წიგნს ერთი კვირის წინ ვკითხულობდი, მაგრამ ვერ დავამთავრე.

5) ძალიან მინდოდა, მაგრამ ვერ წავედი.

6) გიორგი გუშინ წასულა სოფელში.

7) ეს წერილი დღეს არ დამიწერია.

8) ჩვენ ერთად ვუყურებდით ამ ფილმს.

9) ლიამ მთელი დღე წერა ეს დავალება.

I თურმეობითი - ფუნქციები:

ზოგადი აწმყო	ასახავს მოქმედების შედეგს აწმყოში, აწმყოს ვითარებას: ის ლექსები ახლაც წიგნაკში უწერია.
ზოგადი წარსული	გამოხატავს მოქმედების შედეგს წარსულში ისე, რომ არ აკონკრეტებს, როდის? - მე არაერთხელ მითქვამს ეს შენთვის;
უნახავი მოქმედება (თურმე)	მიუთითებს ისეთი მოქმედების შედეგზე, რომელიც მთქმელს თავად არ შეუსრულებია და არც დასწრებია მისი შესრულების პროცესს: წინა კვირას ყოფილა ის გადაცემა; გიას დაუხატავს ის ნახატი.
შეუსრულებელი მოქმედება წარსულში	მთქმელი მიუთითებს მხოლოდ შედეგზე და არ გამოხატავს თავის პოზიციას, რატომ არ შეასრულა: მე არ მინახავს ეს ფილმი; არ დამიწერია დავალება...

3. უპასუხეთ შეკითხვებს.

1) რა ფუნქციები აქვს I თურმეობითს?

2) დაასახელეთ, რა აერთიანებს ამ ფუნქციებს ერთმანეთთან. რა აქვს მათ საერთო?

4. დაასახელეთ, რას გამოხატავს ზმნით გამოხატული მოქმედება კონკრეტულ წინადადებაში?

1) ნოიშვანშტაინი მძინარე მზეთუნახავის შთაგონება გამხდარა.

2) ლუდვიგ ბავარიელი სასახლის დასრულებას არ მოსწრებია.

3) მას ხშირად უვახშმია წარმოსახვით სტუმრებთან ერთად.

4) მას არაერთხელ განუცხადებია მისთვის ამის შესახებ.

5. შეადარეთ მოცემული წინადადებები ერთმანეთს. დაასახელეთ:

- რომელ მწკრივში დგას ხაზგასმული ზმნები?
- რის შესახებ იძლევა ისინი ინფორმაციას?
- რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

1) ნახე, რა მიხატია რვეულში?

2) ჯერ არ დამიხატავს, დრო არ მქონდა.

3) წამოგიდგენია, გიას <u>დაუხატავს</u> ეს სურათი.

4) ხშირად <u>დამიხატავს</u> ეს პეიზაჟი.

1) ლიას ჩანთაში ფანქრები <u>უწყვია</u>.

2) ეს ფანქრები ლიას <u>ჩაუწყვია</u> ჩანთაში.

1) ოთახში ქაღალდები <u>ყრია</u>.

2) მას არაერთხელ <u>დაუყრია</u> ქაღალდები ძირს.

II თურმეობითი - ფუნქციები:

წარსულში შესასრულებელი მოქმედება	გამოხატავს ამ მოქმედებისადმი დამოკიდებულებას: რატომ არ დაწერე? უნდა დაგეწერა ეს დავალება! შეგეძლო, არ გაგეკეთებინა! უნდა აეშენებინა ეს სახლი, მაგრამ არ ააშენა; გადაწყვიტა წასულიყო; უნდა შეხვედროდა, მაგრამ ვერ შეხვდა.
წარსულში შესრულებული მოქმედება	ა) გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც უნებლიეთ, მოულოდნელად მოხდა: წყალი მაგიდაზე დამექცა; გიას წაექცა ეს ჭიქა და გატყდა; არ მინდოდა, მაგრამ შემომეჭამა; წავიქეცი და კაბა გამეხა.
	ბ) გამოხატავს მთქმელის სურვილის, ნების საწინააღმდეგო მოქმედებას: არ უნდა წასულიყავი კინოში; არ უნდა დამეწერე ეს წერილი.
მომავალში შესასრულებელი მოქმედება	გამოხატავს სათანადო დამოკიდებულებას: რატომ არ მიდიხარ? კარგი იქნებოდა, რომ წასულიყავი! კარგი იქნებოდა, მეც რომ მიმეღო მონაწილეობა ხვალინდელ გამოფენაში!

6. წაიკითხეთ დიალოგები და შეასრულეთ მოცემული დავალებები.

ა) - არ დაწერე დავალება?

- არა, უნდა დამეწერა?

- აბა, არ უნდა დაგეწერა?

- გუშინ კინოში ვიყავი და სულ დამავიწყდა დაწერა.

- არ უნდა დაგვიწყებოდა და კინოშიც არ უნდა წასულიყავი!

ბ) - ხვალისთვის რას შვრები, მოდიხარ დაბადების დღეზე?

- არ ვიცი, რაღაც არ ვარ ხასიათზე, თანაც ხვალ ბევრი საქმე მაქვს.

- ისე, კარგი იქნებოდა, რომ წამოსულიყავი, კარგად გაერთობი!

გ) - ხელზე რა მოგივიდა?

- დავეცი და მეტკინა.

- ნახე, კაბაც გახეული გაქვს!

- ვიცი, რომ დავეცი, ეტყობა, მაშინ გამეხა!

- მოძებნეთ II თურმეობითის ფორმები და დაასახელეთ.
- მიუთითეთ, რა ფუნქციით არის ის გამოყენებული ცალკეულ შემთხვევაში?
- შეუწყვეთ მოცემულ ფორმებს პირები და მიუთითეთ, რომელია სუბიექტი. დაასახელეთ სუბიექტის ნიშანი.
- დაუბრუნდით დიალოგებში მოცემულ ზმნებს და მიუთითეთ, რომელი ტიპის ზმნებს მიეკუთვნება კონკრეტული ზმნა - ვინიანს თუ მანიანს?

მომავალი დროის გამოხატვა ზმნით

აწმყო	გამოხატავს წინასწარ დაგეგმილ მოქმედებას - რას ვშვრები ხვალ / ერთი საათის შემდეგ / მომავალ წელს?... ერთ კვირაში სოფელში მივდივარ; ხვალ ვწერთ საკონტროლოს; მომავალ წელს ვაბარებ უმაღლესში...
მყოფადი	გამოხატავს მომავალში შესასრულებელ მოქმედებას, როგორც ფაქტს - რას ვიზამ? - მე დავხატავ ამას; ის წაიკითხავს წიგნს; ხვალ რომ წავალ, ვიყიდი; ექიმი რომ გავხდები, გიმკურნალებ...
	გამოხატავს შესასრულებელი მოქმედების აკრძალვას: ნუ დაწერ! ნუ წახვალ!...
ხოლმეობითი	გამოხატავს მომავალში შესასრულებელ მოქმედებასთან დამოკიდებულებას - რას ვიზამდი? (**რომ ვიყო / მქონდეს / მქონოდა / შეიძლებოდეს + ხოლმეობითი**): ექიმი რომ ვიყო, გიმკურნალებდი; ფული რომ მქონდეს, ვიყიდდი; რომ შეიძლებოდეს, დროში ვიმოგზაურებდი ...
მყოფადის კავშირებითი	გამოხატავს მომავალში შესასრულებელ სასურველ მოქმედებას, რჩევას - რას ვიზამდე? (**კარგი იქნება, (რომ) + მყოფადის კავ.**): კარგი იქნება, ჯერ დაწერდე და მერე დაიძინებდე!
წყვეტილი	გამოხატავს ბრძანებას: რა ქენი? - დაწერე! დახატეთ! წავიდეთ!
II კავშირებითი	გამოხატავს შესასრულებელ მოქმედებასთან დამოკიდებულებას - რა (უნდა) ვქნა?
	გამოხატავს შესასრულებელი მოქმედების აკრძალვას: არ გააკეთო! არ იმღერო!
II თურმეობითი	გამოხატავს შესასრულებელ მოქმედებასთან დამოკიდებულებას - რა მექნა? (**კარგი იქნებოდა / (არ/ხომ) შეიძლებოდა + II თურმეობითი**): კარგი იქნებოდა, ხვალ რომ წასულიყავი! ხომ შეიძლებოდა, მერე რომ გამეკეთებინა?!

1. უპასუხეთ შეკითხვებს ცხრილზე დაყრდნობით.

1) რა შემთხვევაში გამოხატავს აწმყო მომავალ დროს?

2) რომელი მწკრივები გამოხატავს ბრძანებას? რა განსხვავებაა მათ შორის?

3) შესასრულებელ მოქმედებასთან როგორ დამოკიდებულებას გამოხატავს II თურმეობითი?

4) რით განსხვავდება მყოფადის მწკრივი მყოფადის კავშირებითისაგან ფუნქციის (შინაარსის) თვალსაზრისით?

2. წაიკითხეთ წინადადებები და შეასრულეთ მოცემული დავალებები.

- დაასახელეთ, რას გამოხატავს ზმნით შესრულებული მოქმედება;
- დაასახელეთ, რომელ მწკრივშია ზმნა ცალკეულ შემთხვევაში.
- შეუწყვეთ ზმნებს პირები და მიუთითეთ, რომელია სუბიექტი. დაასახელეთ, რა ტიპის ზმნაა - **ვ**ინიანი თუ **მ**ანიანი?

ნიმუში: <u>შეგიძლია</u> შენ ის, სუბიექტია **შენ**. შეგიძლია არის **მ**ანიანი ზმნა.

1) ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეგიძლია, ტურისტული სააგენტოს აბრა ამოიკითხო.

2) სად უნდა ვიყიდო ბილეთები?

3) დაფიქრდი, იქნებ წამოხვიდე, კარგად გაერთობი, დამიჯერე!

4) ჩემი მეგობრები ხვალ იაპონიაში მიფრინავენ.

5) კარგი იქნებოდა, ჩვენც რომ წავსულიყავით!

6) ფული რომ გვქონოდა, ჩვენც გავფრინდებოდით.

მიმღეობა

მიმღეობები მომდინარეობენ ზმნებისაგან, მაგრამ წინადადებაში ისინი ზედსართავი სახელის ფუნქციას ასრულებენ. მიმღეობა ნაზმნარი ზედსართავია.

ზმნა	მიმღეოაბა
წერს	დაწერილი / დასაწერი / დამწერი / ნაწერი...
კითხულობს	წაკითხული / წასაკითხი / წამკითხველი...
აშენება	ასაშენებელი / აუშენებელი / აშენებული ...

<u>კითხვები:</u> როგორი? რომელი?

ფუნქციები:

ა) იძლევა ინფორმაციას მოქმედების შემსრულებელზე (ვინ არის / რა მდგომარეობაშია): მშენებელი. მკერავი, მცოცავი, მშველელი, მტირალი, მოთამაშე, მბრწყინავი, მძინარი...

ბ) გამოხატავს სამოქმედო საგნის მდგომარეობას: წასაღები, გასაკეთებელი, შეუსრულებელი, დამჭკნარი, დახატული, მოტყუებული ...

მიმღეობას აქვს: ბრუნვა, რიცხვი; დრო, ასპექტი, გეზი, ორიენტაცია, კონტაქტი

ბრუნვა	აშენებული (სახლი) - აშენებულმა (სახლმა)... აშენებულით...
რიცხვი	მშენებელი - მშენებლებმა; ასაშენებელი - ასაშენებლები...
დრო	(უკვე) აშენებული - (მომავალში) ასაშენებელი
ასპექტი	მშენებელი - ამშენებელი; მკეთებელი - გამკეთებელი
გეზი და ორიენტაცია	მიშენებული, ამოშენებული; წასული, მოსული, შესული...
კონტაქტი	მკეთებელი - გამკეთებინებელი

მიმღეობას შეუძლია გამოხატოს უარყოფითობა (რაღაცის შეუსრულებლობა, გაუკეთებლობა):

უ	დაუხატავი სურათი (სურათი, რომელიც არ/ვერ დახატეს)...
უ _ ელ	მოუჭრელი ტოტი (ტოტი, რომელიც არ/ვერ მოჭრეს)...

1. მოძებნეთ წინადადებებში მიმღეობები და დაასახელეთ. დაუსვით შეკითხვები და მიუთითეთ ფუნქცია.

1) ოკეანეში ჩაღვრილი ნავთობი წყლის დიდნაწილს ფარავს.
2) მე შენი მშველელი ვიქნებიო, - უთხრა მან.
3) დაბინძურებულმა გარემომ, შესაძლებელია, ეკოლოგიური კრიზისი გამოიწვიოს.
4) მკვდარი ზღვა გაუმდინარი მლაშე ტბაა.
5) სადღაც შორს მბრწყინავი შუქი გამოჩნდა.

2. დაუბრუნდით წინა დავალებას და ისაუბრეთ კონკრეტულ მიმღეობაზე: არის თუ არა გამოხატული: ბრუნვა, რიცხვი, ასპექტი, მიმართულება, კონტაქტი. მიუთითეთ, საჭიროებისამებრ.

3. შეცვალეთ მოცემული ფრაზები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: სურათი, რომელიც არ დახატეს. ⟶ დაუხატავი

1) ტბა, რომელიც არ არის გამდინარე.
2) მდინარე, რომელიც დააბინძურეს.
3) ის, ვინც თამაშობს.
4) ფოტო, რომელიც არ დაბეჭდეს.
5) ის, რაც მიზეზს იწვევს.
6) ნავთობი, რომელიც უნდა ჩაიღვაროს.
7) მითითება, რომელიც არ შესრულდა.

4. აირჩიეთ სწორი ფორმა კონტექსტის მიხედვით და დაასახელეთ. გადაწერეთ წინადადებები რვეულში.

1) ეს წიგნი აუცილებლად არის ...?... (წაკითხული / წასაკითხი / წაუკითხავი).
2) ამ ფოტოზე ...?.... ადამიანები ცნობილი მეცნიერები არიან (აღბეჭდილი / აღსაბეჭდი / აღმბეჭდავი).
3) აი, ეს არის ჩვენი ...?... დავალება (შემსრულებელი / შესასრულებელი).
4) იშვიათად ნახავთ აქ ...?... ადგილს (დამბინძურებელი / დაუბინძურებელი / დასაბინძურებელი).

დაიმახსოვრეთ!

I. რიცხვში მონაცვლე ზმნების თავისებურებები აისახება მათგან ნაწარმოებ მიმღეობებშიც.

ერთზე ითქმის:	ბევრზე ითქმის:
დამჯდარი **ჩამომჯდარი** ქვაზე დამჯდარი ბაყაყი; სკამზე ჩამომჯდარი ბიჭი...	**დამსხდარი** **ჩამომსხდარი** ქვაზე დამსხდარი ბაყაყები; სკამზე ჩამომსხდარი ბიჭები, ხალხი...
დაგდებული **გადაგდებული** ძირს დაგდებული ქაღალდი; მდინარეში გადაგდებული ქვა...	**დაყრილი** **გადაყრილი** ძირს დაყრილი ქაღალდები; მდინარეში გადაყრილი ქვები, ნაგავი...
დავარდნილი **ჩავარდნილი** მიწაზე დავარდნილი ფოთოლი; ორმოში ჩავარდნილი ვაშლი...	**დაცვენილი** **ჩაცვენილი** მიწაზე დაცვენილი ფოთლები; ორმოში ჩაცვენილი ვაშლები, ხილი...

II. ზოგიერთი მიმღეობა მხოლობითისა და მრავლობითის ფორმებს განარჩევს ზმნისწინის მეშვეობით.

მხოლობითი (გა-)	**მრავლობითი (და-)**
გათლილი ვაშლი, ფანქარი...	**და**თლილი ვაშლები, ფანქრები...
გაგზავნილი წერილი, ამანათი...	**და**გზავნილი წერილები, ამანათები...
გარეცხილი თეფში, ვაშლი...	**და**რეცხილი ჭურჭელი, ხილი...

III. **მ-** თანხმოვნით დაწყებული ზმნისაგან ნაწარმოებ მიმღეობაში ორი **მ** იქნება:

მართვა → **მმ**ართველი

მორჩილება → და**მმ**ორჩილებელი...

5. უპასუხეთ შეკითხვებს.

1) რას გულისხმობს „რიცხვში მონაცვლეობა“?
2) რომელია რიცხვში მონაცვლე ზმნები? დაასახელეთ ისინი.
3) რა განსხვავებაა „გათლა“ და „დათლა“ ფორმებს შორის?
4) რა მიუთითებს ამ ტიპის ფორმებში მრავლობით რიცხვზე?

6. წაიკითხეთ წინადადებები და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

- დაასახელეთ, წინადადების რა წევრებია ხაზგასმული სიტყვები (ზმნა, სუბიექტი, ობიექტი თუ განსაზღვრება?)
- ისაუბრეთ კონკრეტული ფორმის შესახებ - მიუთითეთ ბრუნვა, რიცხვი, პირი, ასპექტი, გეზი და ორიენტაცია...

1) სკამზე **ჩამომსხდარი** ბიჭები მზესუმზირას აკნატუნებდნენ და ჩენჩოებს პირდაპირ ქუჩაში **ყრიდნენ.**
2) მოხუცი **მეეზოვე ჩამოცვენილ** ფოთლებს ერთ კუთხეში აგროვებდა.
3) კოხტად **გამოწყობილი** ბავშვები ინტერესით ათვალიერებდნენ **გამვლელებს.**
4) მაკამ **დათლილი** ვაშლები თეფშზე ლამაზად **დააწყო** და სტუმარს მიართვა.
5) ბავშვები **საზეიმოდ გაწყობილ** სუფრას **შემოუსხდნენ.**
6) **გამარჯვებულმა მაყურებლებს** თავი დაუკრა და გავიდა.
7) **გამგზავნმა** კიდევ ერთხელ გადაათვალიერა **დასაგზავნი** ბარათები.
8) ქალაქის **მმართველმა მშენებლებს** დიდი მადლობა გადაუხადა.

IV. ზოგიერთი ზმნის მიმღეობის ფორმები მთელ რიგ თავისებურებას ამჟღავნებენ.

1. ფორმა და შინაარსი ერთმანეთს არ ემთხვევა. ასევე იყენებენ განსხვავებულ აფიქსებს:

მიუთითებს სუბიექტზე:

მოყვარული - ის, ვისაც უყვარს

მოხარული - ის, ვისაც უხარია

მომწონებელი - ის, ვინც მოიწონებს.

მძინარე - ის, ვისაც სძინავს.

მღვიძარე - ის, ვისაც ჰღვიძავს.

მომხმარე - ის, ვინც მოეხმარება.

მომხმარებელი - ის, ვინც მოიხმარს.

დასვენებული - ის, ვინც დაისვენა.

მიუთითებს ობიექტზე:

საყვარელი - ის, ვინც ან რაც უყვართ.

სიხარული - ის, რაც უხარია.

მოსაწონი - ის, რაც მოსწონთ.

საწყენი - ის, რაც სწყინს ადამიანს.

დასასვენებელი - ის, სადაც ისვენებენ (ადგილი)

2. ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა შინაარსს გამოხატავს:

მომსწრე:
1. ის, ვინც უკვე მოესწრო.
2. ის, ვინც შემდეგ მოესწრება.

შეუბრალებელი:
1. ის, ვინც არ იბრალებს.
2. ის, ვინც არ შეიბრალეს (ნაკლებად იხმარება).

დაუჯერებელი:
1. ის, ვინც არ იჯერებს (დაუჯერებელი ბავშვი).
2. ის, რაც არ არის დასაჯერებელი (დაუჯერებელი ამბავი).

დამსვენებელი:
1. ის, ვინც დაასვენა სხვა.
2. ის, ვინც თავად ისვენებს.

7. წაიკითხეთ წინადადებები და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

- დაასახელეთ, რაზე მიუთითებენ ხაზგასმული ფორმები.
- წინადადების რომელი წევრია კონკრეტულ შემთხვევაში?
- დაასახელეთ ზმნები, რომლებისაგანაც ისინი მომდინარეობენ.

1) გიორგი კარგად **დასვენებული** ჩამოვიდა სოფლიდან.

2) ის ჩვენი მაღაზიის აქტიური **მომხმარებელია.**

3) აქ მისი **მოსაწონი** არაფერია.

4) ნახე, როგორი **საყვარელი** ლეკვია!

5) საწყენია, რომ ჩვენთან ერთად ვერ მოდის!

6) დიდ **სიხარულს** გისურვებთ!

7) ფეხბურთის **მოყვარულებმა** სტადიონი გაავსეს.

8) ის კარგი **დასასვენებელი** ადგილი იყო.

9) ჩემი ძმის **მოსაწონი** ვერაფერი გავაკეთე.

8. დაასახელეთ სწორი ვარიანტი კონტექსტის მიხედვით. გადაწერეთ წინადადებები რვეულში.

1) გიორგი ოპერის ...?...ა (საყვარელი / მოყვარული).

2) ის შენი ...?... ფილმი ნამდვილად არ იყო (მოყვარული / მოსაწონი).

3) სულ გვერდით მიდგას, ჩემი დიდი ...?... (მომხმარებელია / მომხმარეა).

9. დაასახელეთ, რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვები კონტექსის მიხედვით.

1) ის ყოველთვის ასე იქცევა, ძალიან **შეუბრალებელი** ვინმეა.

2) თავისნათქვამა და **დაუჯერებელი** ვინმეა. ხშირად ვყოფილვარ ამის მომსწრე.

3) მე იქ **დამსვენებელი** აღარ ვარ!

საწყისი

I. ენაში არსებობს სიტყვები, რომლებიც შესაბამისი ზმნების ლექსიკურ მნიშვნელობებს ატარებენ. ისინი ნაზმნარი არსებითი სახელებია და ვიყენებთ კიდეც, როგორც არსებით სახელებს.

- მე ძალიან მიყვარს **ხატვა** (რა?)
- მას მარტო **გართობა** (რა?) და **თამაში** (რა?) აინტერესებს...

II. საწყისები დაირთავენ ზმნისწინს და გამოხატავენ მიმართულებას. აგრეთვე აწარმოებს ასპექტს და შეუძლია, გადმოგვცეს კონტაქტიც.

მიმართულება	წასვლა / მოსვლა / შესვლა; გაგზავნა / გამოგზავნა...
ასპექტი	კეთება / გაკეთება; წერა / დაწერა; კითხვა / წაკითხვა...
კონტაქტი	გაკეთება / გაკეთებინება, აშენება / აშენებინება...

III. საწყისებს, როგორც წესი, არ აქვთ მრავლობითი რიცხვი, მაგრამ თუ ისინი მთლიანად გაწყვეტენ ზმნასთან კავშირს, შეუძლიათ აწარმოონ რიცხვიც.

განცხადება - აცხადებს / განაცხადა: მათ თამამი განცხადებები გააკეთეს.

კითხვა - კითხულობს / ჰკითხა: მათ საინტერესო კითხვები დასვეს...

IV. წინადადებაში საწყისი არის: ქვემდებარე, დამატება და გარემოება.

ქვემდებარე (სუბიექტი)	მასთან **შეხვედრამ** ყველაფერი შეცვალა...
დამატება (ობიექტი)	გიორგიმ მასთან **შეხვედრა** გადაწყვიტა...
უბრალო დამატება	ის **შეხვედრით** კმაყოფილია. შეხვედრაზე ის **მეგობართან ერთად** წავიდა.
გარემოება (ზმნიზედა)	მასთან **შეხვედრის** შემდეგ ყველაფერი შეიცვალა...

V. ზოგიერთ ზმნას საწყისი არ აქვს. საჭიროებისამებრ, ეს ზმნები იყენებენ სახელებს.

ლაპარაკობს: **ლაპარაკი;** საუბრობს: **საუბარი;** ბაასობს: **ბაასი...**

1. უპასუხეთ შეკითხვებს.

1) რა ფუნქცია აქვს საწყისს წინადადებაში?
2) რით ჰგავს და რით განსხვავდება საწყისი სახელისა და ზმნისაგან?
3) რა შემთხვევაში შეუძლია საწყისს მრავლობითის ფორმების წარმოება?
4) დაასხელეთ, რა მიუთითებს საწყისში მიმართულებაზე, ასპექტსა და კონტაქტზე?
5) დაასახელეთ, რა მსგავსება აქვს საწყისსა და მიმღეობას ერთმანეთთან და რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?

2. მოძებნეთ საწყისები წინადადებებში და ისაუბრეთ მათ შესახებ მოცემული შეკითხვების გათვალისწინებით.

- რა ფუნქციით არის ის წინადადებაში ნახმარი?
- რას გამოხატავს, რაზე მიუთითებს კონკრეტული ფორმა?
- რომელ ბრუნვაშია კონკრეტული ფორმა? დაასახელეთ ბრუნვა და მიუთითეთ ბრუნვის ნიშანი.

1) მიწისძვრას ცუნამი და ატომური ელექტროსადგურის დაზიანება მოჰყვა.
2) პირობების გაუარესების გამო, აფრიკული ლომების განადგურება რეალური გახდა.
3) მკვდარ ზღვაში შესაძლებელია არა მხოლოდ ცურვა და წოლა, არამედ ჯდომაც, დგომაც და სიარულიც.
4) მზის აბაზანის მიღება ყოველგვარი დამწვრობის გარეშე შეიძლება, ვინაიდან ულტრაიისფერი გამოსხივება აქ თითქმის ნულის ტოლია.
5) ისინი წვიმების სეზონის დაწყების წინ ცეცხლს უკიდებდნენ გამხმარ ხეებს.
6) მოსავლის აღების შემდეგ, მიწის „დასვენების“ მიზნით, სხვა ნაკვეთის დამუშავებას იწყებენ.

7) ადამიანებმა გადაშენების პირას მისული მცენარეებისა და ცხოველების დაცვისა და გადარჩენისათვის ფიქრი დაიწყეს.

8) მიუღებელია ადამიანის შექმნაში ამგვარი ფორმით მონაწილეობის მიღება.

სიტყვათა რიგი

ქართულში სიტყვათა რიგი შედარებით თავისუფალია, თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა სიტყვათა წყობა გავლენას ახდენს ფრაზაზე.

1. <u>იცვლება შინაარსი:</u>

   1) **დიდ** ოთახში **პატარა** მაგიდა იდგა.

   პატარა ოთახში **დიდი** მაგიდა იდგა.

   2) **იქ მოჭრილ** ფულს მონეტა ეწოდა.

   იქ ეწოდა მოჭრილ ფულს მონეტა.

2. <u>არ იცვლება შინაარსი, თუმცა ხდება კონკრეტულ სიტყვაზე ხაზგასმა:</u>

   1) **იქ** მოჭრილ ფულს ეწოდა მონეტა.

   2) **მონეტა** იქ მოჭრილ ფულს ეწოდა.

3. <u>ირღვევა სტილი, ან საერთოდ გაუგებარი ხდება აზრი:</u>

   1) ერთ-ერთ უჯრაში წავაწყდი სამ სამართებელს.

   2) უჯრაში წავაწყდი ერთ-ერთ სამ სამართებელს.

   3) სამ უჯრაში წავაწყდი ერთ-ერთ სამართებელს.

1. გამოიყენეთ მოცემული სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები. წაიკითხეთ და შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.

1) გოგონა ბაღი ყვავილები პატარა ულამაზესი კრეფა

2) გადაწყვეტილება ერთი თავისი მშვენიერი პატარა დღე სოფელი წასვლა გოგონა

3) ორი სახლი დიდი ცხოვრება პატარა ერთი ბიჭი

სიტყვათა რიგი მარტივ წინადადებაში

I. <u>სიტყვათა რიგი უსუბიექტო (და უობიექტო) წინადადებაში:</u>

1) ზმნა, ჩვეულებრივ, ბოლოში დგას.
2) გარემოება (/ზმნიზედა), რომელიც ახლავს ზმნას, წინ უსწრებს მას.
   - ძალიან ცხელოდა.
   - გუშინ ცხელოდა.
   - აქ ცხელოდა.
3) თუ ზმნას სამივე სახის გარემოება ახლავს, მათი წყობა, როგორც წესი, ასეთია:

   დრო + ადგილი + ვითარება + ზმნა

   (როდის) (სად) (როგორ)

   - გუშინ აქ ძალიან ცხელოდა.

II. <u>არ შეიძლება გაითიშოს სახელზმნა (საწყისი / მიმღეობა) და მასთან აზრობრივად დაკავშირებული სიტყვები (უბრალო დამატება ან გარემოება).</u>

ეს სიტყვები წინ უსწრებენ სახელზმნას:

- სიცივისაგან აკანკალებული
- ქალაქიდან (სოფელში) დაბრუნებული
- ძლიერ გამბედავი
- ორმოში ჩაყრილი
- სახლიდან (სხვაგან) წასვლა...

III. <u>როცა ერთპირიან ზმნურ კონსტრუქციაში წინადადებას იწყებს დროის გარემოება (/დროის ზმნიზედა), **მას:**</u>

1) ჩვეულებრივ, მოსდევს ქვემდებარე, ზმნა კი წინადადების ბოლოშია.
   - მალე გაზაფხული დაიწყება.
   - საღამოს დედა ადრე დაბრუნდება.
2) ზმნა იმ შემთხვევაში შეიძლება მოსდევდეს დროის გარემოებას, თუ მთქმელი მასზე აკეთებს ხაზგასმას.
   - **მალე** დაიწყება გაზაფხული.
   - **საღამოს** დაბრუნდება დედა.

IV. <u>ორპირიან ზმნურ კონსტრუქციაში:</u>

1) ჩვეულებრივი წყობაა:

- **სუბიექტი - ობიექტი - ზმნა:** კაცმა მონეტები იპოვა.
- **სუბიექტი - ზმნა - ობიექტი:** კაცმა იპოვა მონეტები.
- **ობიექტი - სუბიექტი - ზმნა:** მონეტები კაცმა იპოვა.

2) თუ სუბიექტსა და ობიექტს დამატებითი ინფორმაციაც ახლავს, მაშინ ეს ინფორმაცია იმ სიტყვის წინ დგას, რომელსაც ის აზრობრივად უკავშირდება.

ერთმა გლახაკმა კაცმა ძველი მონეტები იპოვა.

1) თუ წინადადებაში არის სხვადასხვა სახის გარემოებაც, მაშინ ისინიც, ჩვეულებისამებრ, უსწრებენ ზმნას, თუმცა აუცილებელი არ არის, უშუალოდ მის წინ იდგნენ.

- ერთხელ **ერთმა გლახაკმა კაცმა** მოულოდნელად გზაზე **ძველი მონეტები** იპოვა.
- ერთხელ **ერთმა გლახაკმა კაცმა** გზაზე მოულოდნელად **ძველი მონეტები** იპოვა.
- **ერთმა გლახაკმა კაცმა** ერთხელ გზაზე მოულოდნელად **ძველი მონეტები** იპოვა.

V. <u>სამპირიან ზმნურ კონსტრუქციაში (ლაპარაკია ჩვეულებრივ თხრობით წინადადებაზე).</u>

ბუნებრივია, როცა წინადადებას სუბიექტი ან მიცემითბრუნვიანი დამატება (ირიბი O) იწყებს, ზმნა კი წინადადების ბოლოში ან შუაშია:

1) ფრენკმა კლიენტებს კრედიტის გახსნა შესთავაზა.
2) კლიენტებს ფრენკმა კრედიტის გახსნა შესთავაზა.
3) ფრენკმა კლიენტებს შესთავაზა კრედიტის გახსნა.

1. უპასუხეთ შეკითხვებს.

1) რა არის, თქვენი აზრით, მარტივი წინადადება?

<u>მარტივი წინადადებაა ის, სადაც:</u>

- ცოტა სიტყვაა.
- ერთი აზრია მოცემული.
- დამხმარე სიტყვები არ არის.

2) ძირითადად, რომელ ადგილას დგას ზმნა მარტივ წინადადებაში?

3) რას ნიშნავს „უსუბიექტო წინადადება“?

4) როგორი თანამიმდევრობით ლაგდება გარემოებები უსუბიექტო წინადადებაში?

5) როგორც წესი, რა ადგილს იკავებს წინადადებაში დროის გარემოება (როდის?)?

6) როგორ გესმით: ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნური კონსტრუქციები? დაასახელეთ მაგალითები.

7) რა შემთხვევაში მოსდევს ზმნა დროის გარემოებას ერთპირიანი ზმნური კონსტრუქციის შემცველ წინადადებაში?

8) რომელი სიტყვები იძლევა მთავარ ინფორმაციას წინადადებაში?

9) როგორია სიტყვათა ბუნებრივი წყობა ორ და სამპირიანი ზმნური კონსტრუქციის შემცველ წინადადებაში?

2. წაიკითხეთ წინადადებები და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

- გამოყავით მთავარი ინფორმაცია და დაასახელეთ.
- დაასახელეთ დამატებითი ინფორმაცია. მიუთითეთ, რომელ სიტყვას უკავშირდება და კონკრეტულად რის შესახებ იძლევა ის ინფორმაციას?
- დაასახელეთ, რამდენპირიანი ზმნური კონსტრუქციის შემცველია კონკრეტული წინადადება.

1) გემზე უჯრებიანი კარადა აღმოვაჩინე.

2) მოულოდნელად საშინელი ქარი ამოვარდა.

3) ერთმა გლეხმა აღებული ფულით ხბორები იყიდა.

4) სიტყვა „მონეტა“ ქალღმერთ იუნონას ერთ-ერთ ეპითეტს წარმოადგენდა.

5) ივნისში ქუთაისის „ოქროს ჩარდახში“ მონეტების გამოფენა მოეწყო.

6) 1933 წელს აუქციონზე ორმაგი არწივის ოქროს მონეტა გაიყიდა.

3. დაუბრუნდით წინა დავალებას და შეცვალეთ წინადადებებში სიტყვათა წყობა ისე, რომ არ დაირღვეს მოცემული აზრი. იმუშავეთ რვეულში. წაიკითხეთ და შეადარეთ სხვების ვარიანტებს.

4. ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული მითითებები და შეასრულეთ ისინი რვეულში.

- ქვემოთ მოცემული სიტყვები აზრობრივად დააკავშირეთ ერთმანეთთან.
- გამოიყენეთ აზრობრივად დაკავშირებული სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები.
- შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები და იმსჯელეთ არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე.

1) სხვადასხვა იყენებდნენ დროიდან მიზნითაც მონეტებს უძველესი

2) მონეტებისაგან ავადმყოფის ხმალს დამზადებულ საწოლთან ჩინელები კიდებდნენ

პირდაპირი ნათქვამი

I. პირდაპირი ნათქვამის დროს მთხრობელი სხვის სიტყვებს უცვლელად, სიტყვასიტყვით იმეორებს.

- კურდღელმა თქვა: «ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო!»
- ჩემმა მეგობარმა მითხრა, თოვლის კაცი არსებობსო.

II. პირდაპირ ნათქვამს ახლავს **მთხრობელის სიტყვები,** რომელშიც ჩანს ამ სიტყვების ავტორი და ადრესატი.

- რა იყო ის? - **ჰკითხა სანდრომ მამას.**

შენიშვნა: დიალოგის შემთხვევაში შესაძლებელია, რომ პირდაპირ ნათქვამს არ ახლდეს მთხრობელის/ავტორის სიტყვები.

- თოვლის კაცი მართლა არსებობს?
- რა ვიცი, ამბობენ, არსებობსო!
- შენ თუ გჯერა?
- მე? მე - არა!

III. პირდაპირ ნათქვამს ხშირად დაერთვის სიტყვასიტყვითი ნაწილაკები.

ო	იხმარება III პირის ნათქვამის გადმოსაცემად: **მან** თქვა, მალე მოვალ**ო**.
-თქო	დაერთვის ისეთ ნათქვამს, რომელიც II პირმა უნდა გადასცეს სხვას: **შენ** უთხარი, მალე მოდი-**თქო**.
-მეთქი	იხმარება I პირის ნათქვამის გადმოცემისას: **მე** ხომ ვთქვი, მალე მოვალ-**მეთქი!**

შენიშვნა 1: თუ ზმნის I პირის ფორმა მრავლობითში დგას, **მეთქი**-ს ნაცვლად იქმნება ო: ხომ გითხარით, **ჩვენც** მალე მოვალთ**ო**!

შენიშვნა 2: პირდაპირი ნათქვამი, რომელსაც არ დაერთვის სიტყვასიტყვითი ნაწილაკები, ბრჭყალებში ჩაისმის.

5. წაიკითხეთ წინადადებები და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

- დაასახელეთ წინადადებები, რომლებშიც სხვისი სიტყვებია გადმოცემული.
- დაასახელეთ, ვინ გადმოსცემს სხვის ნათქვამს ცალკეულ შემთხვევაში. მიუთითეთ, ვინ არის მთხრობელი.
- წაიკითხეთ წინადადებები, რომლებშიც სხვათა ნათქვამი სიტყვასიტყვით არის გადმოცემული.

1) „მე პანკი ვიყავი და ჩხუბისთავი“, - განაცხადა ბრიუს ლიმ მოგვიანებით.
2) - აბა, ერეკლე, როგორ მოგწონს აქაურობა? - ჰკითხა მეგობარმა მას.
3) ქუჩებში დავდიოდი და ქართულ წარწერებს ფოტოებს ვუღებდი.
4) როცა მოგესურვება, მაშინ შეგიძლია, შინ დაბრუნდე-მეთქი! - გავუმეორე მას.
5) როგორც მან მითხრა, ქართველი იყო და დედამისს ჩემი ნახვა უნდოდა.
6) რიპსტონმა მითხრა: თუ გინდა, შეგიძლია, ჩვენი პუდინგი არ ჭამოო.
7) უთხარი, ქუჩაში დგომას თავი დაანებე და წიგნს მოკიდე ხელი-თქო.
8) ხომ შევპირდით, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთო!

6. მოძებნეთ არასწორი წინადადებები, დაასახელეთ, რა არის იქ შეცდომა და გაასწორეთ ზეპირად. სწორად გადაწერეთ ისინი რვეულში.

1) ჩვენთან ერთად წამოხვალ თუ დარჩები-თქო, - მკითხა მან.

2) წავიდეთ და ახლავე საქმეს შევუდგეთო, - ვუთხარით მას, მაგრამ მან უარი გვითხრა.

3) ჩემთან წამოდი, ფულს მე გადავიხდი-თქო, - შევთავაზე.

4) წადი და უთხარი, იმ წიგნს ხვალ გათხოვებო.

5) რით შემიძლია დაგეხმარო-თქო? - ჰკითხე და პასუხი მომიტანე.

ირიბი ნათქვამი

I. თუ სხვისი სიტყვები გამეორებულია არა სიტყვასიტყვით, არამედ გადმოცემულია მთხრობელის სიტყვებით, საქმე გვაქვს ირიბ ნათქვამთან.

ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ თოვლის კაცი არსებობს.

II. ირიბი ნათქვამი პირდაპირი ნათქვამის გადაკეთების შედეგად არის მიღებული.

პირდაპირი ნათქვამი: - წადი სახლში! - სთხოვა ნანამ გიორგის.
ირიბი ნათქვამი: ნანამ სთხოვა გიორგის, რომ ის სახლში წასულიყო.

III. შინაარსის მიხედვით ირიბი ნათქვამი ყოველთვის თხრობითია, ზმნები კი III პირის ფორმებითაა წარმოდგენილი.

IV. ირიბი ნათქვამი **რომ** ან **თუ** კავშირით უერთდება ავტორისეულ წინადადებას.

რომ კავშირით	თხრობითი და ბრძანებითი პირდაპირი ნათქვამების ირიბად გადაკეთებისას: 1) ნიკომ თქვა, **რომ** არსებობს. 2) უბრძანა, **რომ** მშვიდად დაჯდეს.
თუ კავშირით	კითხვითი პირდაპირი ნათქვამის ირიბად გადაკეთებისას: 1) ლადომ იკითხა, **თუ** არსებობს. 2) ის დაინტერესდა, ვიყავი **თუ** არა მეც.

V. ირიბად გადაკეთებისას პირდაპირ ნათქვამში მოცემული ზმნები გადმოიცემა:

- **საწყისი ფორმებით:** მან ბიჭს აფთიაქში **წასვლა** და წამლის **ყიდვა** სთხოვა.
- **II თურმეობითით**: მან სთხოვა ბიჭს, რომ აფთიაქში **წასულიყო** და წამალი **ეყიდა.**
- **II კავშირებითი:** მან სთხოვა ბიჭს, რომ აფთიაქში **წავიდეს** და წამალი **იყიდოს.**
- **წყვეტილით** ან **უწყვეტელით:** ის დაინტერესდა, თუ რა **დახატა** გიორგიმ.

1. უპასუხეთ შეკითხვებს.

1) რა მსგავსება და განსხვავებაა პირდაპირ და ირიბ ნათქვამებს შორის?
2) ვისი სიტყვებით გადმოიცემა სხვისი სიტყვები ირიბ ნათქვამში?
3) რა გზით და როგორ არის ირიბი ნათქვამი მიღებული?
4) რომელი კავშირები მონაწილეობენ ირიბი ნათქვამის შექმნაში და რა განსხვავებაა, ამ თვალსაზრისით, მათ შორის?
5) რა ფორმებით გადადის პირდაპირ ნათქვამში მოცემული ზმნები ირიბ ნათქვამში?

2. დაუბრუნდით როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ნათქვამის შესახებ არსებულ ინფორმაციებს და შეადარეთ ისინი ერთმანეთს - რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის:

- წინადადების აგებულების თვალსაზრისით?
- წინადადების შინაარსის მიხედვით?

3. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები და დაასახელეთ:

- რით არის გადმოცემული ზმნა - საწყისი თუ პირიანი ფორმით?
- რომელ მწკრივში დგას კონკრეტული ზმნა?

1) მას აინტერესებდა ის, თუ რას ფიქრობდა რეზო ამის შესახებ.
2) გიორგიმ მოითხოვა, რომ ერთად დაეგეგმათ ის შეხვედრა.
3) მან გადაწყვიტა, რომ თვითონ დაელაპარაკოს გიას ამის შესახებ.
4) მან მოინდომა ეზოში ჩასვლა და თამაში.

4. გადააკეთეთ პირველ და მეორე დავალებებში მოცემული წინადადებები ირიბ ნათქვამად. იმუშავეთ რვეულში.

სიტყვათა რიგი მთხრობელისეულ წინადადებაში

I. მთხრობელის სიტყვები შეიძლება:

- **უსწრებდეს** პირდაპირ ნათქვამს;
- **მოსდევდეს** მას;
- პირდაპირი ნათქვამი **იყოს შუაში.**

უსწრებს	**ბეთჰოვენმა სიკვდილის წინ წამოიძახა:** - დაუკარით ტაში, კომედია გათავდა!
მოსდევს	- აქ რატომ ზიხარ? - **ჰკითხა მოხუცმა ბიჭს.**
შუაშია	„როგორც ჩანს, აღარ მოვა!“ - **გაიფიქრა მან და დასძინა**: - მე მაინც დაველოდები!

II. როგორია სიტყვათა რიგი მთხრობელისეულ წინადადებაში, ეს დამოკიდებულია იმაზე, უსწრებს ის პირდაპირ ნათქვამს, მოსდევს მას თუ მის შუაშია.

1. <u>უსწრებს პირდაპირ ნათქვამს.</u>

S + ზმნა	კაცმა ჰკითხა: - რას აკეთებ, აქ რატომ ზიხარ?
S + O + ზმნა	ბიჭმა კაცს უპასუხა: - არ ვიცი, რა გავაკეთო, ცუდ ხასიათზე ვარ.
S + ზმნა + O	კაცმა მიუგო ბიჭს, ყველაფერი ისე არ არის, შენ როგორც გინდაო.

შენიშვნა 1: იშვიათად სუბიექტიც შეიძლება შეგვხვდეს ბოლოში:

- უპასუხა კაცს **ბიჭმა:** “ ... “
- ბოლოს ჰკითხა **მან:** “ ... ?”

შენიშვნა 2: თუ გარემოებაც არის წინადადებაში, მაშინ <u>ვითარების</u> გარემოება, ჩვეულებრივ, ზმნის წინ დგას, <u>დროის გარემოება,</u> როგორც წესი, იწყებს წინადადებას, ხოლო <u>ადგილის გარემოება</u> შეიძლება იწყებდეს წინადადებასაც და იდგეს ზმნის წინაც.

- კაცმა **ალერსიანად** ჰკითხა: « ...?»
- **მაშინ** კაცმა მიუგო: « ... «
- **გზიდან** კაცმა დაუძახა: « ... «
- მან **სახლიდან** გამოსძახა: « ... «

2. <u>მოსდევს პირდაპირ ნათქვამს ან ჩართულია</u> <u>პირდაპირ ნათქვამში:</u>

ზმნა + S	ა) - კი, ბატონო, მართალი ბრძანდებით! - მიუგო დავითმა. ბ) აბა, როგორ? - ჰკითხა ბიჭმა. - შენ ხომ ასე მითხარი?
ზმნა + O + S	ა) გიორგი არ მოსულა? - ჰკითხა სანდრომ დას. ბ) ჩხუბი მოგივიდა?! - ჰკითხა მეგობარს სანდრომ. - რატომ, რა მოხდა?
ზმნა + S + O	ა) წამოდი, ჩემთან წავიდეთ! - შესთავაზა მაკამ მეგობარს. ბ) „ალბათ, ეს არის!“ - გაიფიქრა ბიჭმა და მეგობარს მიუბრუნდა: - ჩქარა, გავიქცეთ!

შენიშვნა: თუ ზმნას ახლავს ვითარების გარემოება, ის ან მის წინ დგას, ან მოსდევს მას, ან წინადადების ბოლოშია.

1) - რა თქვი? - **ჩურჩულით** იკითხა ნანამ.

2) - ეს როგორ გააკეთე?! - მკითხა **გაბრაზებით** მამამ.

3) - წასულან! - თქვა ბიჭმა **სინანულით.**

II. მთხრობელის ნათქვამი შესაძლებელია, იყოს რთული წინადადება. იმის გათვალისწინებით, უსწრებს თუ მოსდევს ის პირდაპირ ნათქვამს, განსხვავებულია ამ წინადადების სტრუქტურა.

მთხრობელის ნათქვამი მოსდევს პირდაპირ ნათქვამს.
- აბა, ახლა მომიყევი, რა მოხდა ეზოში? - **უთხრა მამამ რეზოს**, **როცა სახლში შევიდნენ.**
მთხრობელის ნათქვამი უსწრებს პირდაპირ ნათქვამს.
როცა სახლში შევიდნენ, მამამ რეზოს უთხ-რა: - აბა, ახლა მომიყევი, რა მოხდა ეზოში?

1. აირჩიეთ სწორი ვარიანტი და დაასახელეთ.

1) მან სთხოვა იქ მყოფებს, ...?... (რომ / თუ) ყურადღებით ყოფილიყვნენ.
2) მე ვკითხე მას, ...?... (რომ / თუ) სად იყო აქამდე.
3) მათ სთხოვეს მშობლებს, ...?... (რომ / თუ) ეს ფილმი ენახათ.
4) შენ უბრძანე მათ, ...?... (რომ / თუ) არ წასულიყვნენ?
5) ის დაინტერესდა, ...?... (რომ / თუ) სად ვცხოვრობდი ბოლო ორი წლის განმავლობაში.
6) ბიჭმა გაიხსენა, ...?... (რომ / თუ) ის შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა.

2. წაიკითხეთ ნაწყვეტი რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან «პატარა ბიჭის წერილი დედას» და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

„დედა, აქ კიდევ ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. ერთ დღეს მზესუმზირას ვყიდულობდი და გამყიდველს შევეკითხე: საიდან ბრძანდებით-მეთქი. იმან მითხრა, დიდსერიდანო. რა გვარი ბრძანდებით-მეთქი, - ბერიძეო. მე დიდსერში ბებია მყავს-მეთქი. რა გვარიაო? ვუთხარი ჩვენი გვარი. მაშ, შენ ალექსანდრეს შვილიშვილი ხარო? დიახ-მეთქი. რას ამბობო! მე და პაპაშენი დიდი ძმაკაცები ვიყავით, ერთად ვქეიფობდით და სულ ჰარიჰარალოს ვიძახოდითო. ომშიც ერთად წაგვიყვანესო. პაპაშენმა ერთ მიტოვებულ სარდაფში კიტრის მწნილით სავსე კასრი იპოვა და იმდენი ვჭამეთ, კინაღამ დავიხოცენითო...“

1) მოძებნეთ ტექსტში სხვისი სიტყვები და მიუთითეთ, როგორ არის ის გადმოცემული - პირდაპირი თუ ირიბი ნათქვამით.

2) როგორ არის გადმოცემული პირდაპირი ნათქვამი - სიტყვასიტყვით თუ დაერთვის სხვათა სიტყვის ნაწილაკები?

3) ყოველთვის ახლავს თუ არა პირდაპირ ნათქვამს მთხრობელის სიტყვები? მიუთითეთ შესაბამისი ადგილი.

4) წაიკითხეთ მთხრობელის სიტყვები და დაასახელეთ, რომელი პირია.

5) მიუთითეთ, რომელი პირის ნათქვამს გადმოსცემს მთხრობელი?

6) დაუბრუნდით მთხრობელის სიტყვებს და მიუთითეთ მისი ადგილი ცალკეულ შემთხვევაში - უსწრებს პირდაპირ ნათქვამს, მოსდევს მას თუ მის შუაშია.

7) დააკონკრეტეთ სიტყვათა რიგი მთხრობელისეულ წინადადებაში.

3. დაუბრუნდით ტექსტს და შეასრულეთ შემდეგი დავალებები.

1) შეადგინეთ ბიჭისა და მზესუმზირის გამყიდველს შორის არსებული ორი დიალოგი შემდეგი მითითებების გათვალისწინებით:

- პირდაპირი ნათქვამი მოცემულია მთხრობელის სიტყვების გარეშე;
- პირდაპირ ნათქვამს ახლავს მთხრობელის სიტყვები.

2) წაიკითხეთ და დაასახელეთ, რა შეიცვალა.

რთული წინადადება

რთული წინადადება ორი ან მეტი წინადადებისაგან შედგება და აზრობრივად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს. მიიღება ორი გზით: **თანწყობით** და **ქვეწყობით.**

თანწყობა

რაობა	გულისხმობს ერთმანეთის მიმართ გრამატიკულად თანასწორი წინადადებების შეერთება-დაკავშირებას.
აზრობრივი მიმართება	თანწყობილი წინადადების შემადგენელ ნაწილები (ქვეწინადადებები) გამოხატავენ მოქმედებათა **ერთდროულობას, თანამიმდევრობას, დაპირისპირებას.**
შეერთების საშუალებები	**კავშირიანი** - გამოიყენება მაერთებელი კავშირები. იმის მიხედვით, როგორია ქვეწინადადებებ შორის აზრობრივი მიმართება, ვარჩევთ შესაბამის კავშირს. **უკავშირო** - წერის დროს გამოიყენება მძიმე, მეტყველების დროს - პაუზა, ინტონაცია.

აზრობრივი მიმართება:

ერთდოულობა	1. ყველა ქვეწინადადებაში მოქმედება ხდება ერთდროულად. მაგ.: ლია წიგნს კითხულობს და რეზო ტელევიზორს უყურებს. 2. ქვეწინადადებათა ადგილის შეცვლა შესაძლებელია. მაგ.: რეზო ტელევიზორს უყურებს და ლია წიგს კითხულობს.
თანამიმდევრობა	მეორე ქვეწინადადებით გამოხატული მოქმედება არის შედეგი პირველისა, მაგ., ბიჭმა კარი გააღო და ოთახში შევიდა; ზაფხული მოვა და ზღვაზე წავალთ...
დაპირისპირება	ქვეწინადადებები ერთმანეთს აზრობრივად უპირისპირდებიან, მაგ.: ტელევიზორის ყურება მინდა, მაგრამ დრო არ მაქვს; რეზო დარჩება აქ, შენ კი უნდა წახვიდე...

1. უპასუხეთ შეკითხვებს.

1) რა არის რთული წინადადება და რისგან შედგება ის?
2) რით განსხვავდება მარტივი და რთული წინადადებები ერთმანეთისაგან? დაასახელეთ თითო წინადადება.
3) დაუბრუნდით რთული წინადადების სტრუქტურას. როგორ გესმით ფრაზა: რთული წინადადება შედგება ორი ან მეტი წინადადებისაგან? დაასაბუთეთ პასუხი კონკრეტული მაგალითებით.
4) რას გულისხმობს თანწყობა რთულ წინადადებაში?
5) რა ურთიერთობა აქვს თანწყობილი წინადადებების ქვეწინადადებებს?
6) როგორ უკავშირდებიან ეს ქვეწინადადებები ერთმანეთს?
7) რა შემთხვევებში იხმარება რთულ თანწყობილ წინადადებაში მძიმე?

2. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები და შეასრულეთ მითითებები.

I. <u>დაასახელეთ:</u>

- რა აზრობრივი მიმართება არსებობს ქვეწინადადებებს შორის?
- როგორ უკავშირდებიან ქვეწინადადებები ერთმანეთს?
- რა არის კონკრეტული კავშირის ფუნქცია?

II. <u>მიუთითეთ, სად აკლია მძიმე.</u>

1) კარგია სოფელში დასვენება მაგრამ მე მაინც ზღვაზე მირჩევნია.
2) გიორგი გვიანობამდე დარჩა იქ სანდრო კი ადრე წავიდა სახლში.
3) ალექსანდრემაც სცადა ბედი და ცხენი მოათვინიერა.
4) ვერავინ შეძლო ბუცეფალის მოთვინიერება ალექსანდრემ კი ეს მოახერხა.
5) ალექსანდრე თავის შთაბეჭდილებებს უზიარებდა მასწავლებელს არისტოტელე კი საინტერესო დარიგებებს აძლევდა მას.
6) დიოგენეს პასუხმა სარდლები აღაშფოთა თუმცა ალექსანდრემ ისინი დააშოშმინა და თავისთვის ჩაილაპარაკა.

აბზაცი და მისი სტრუქტურა

I. ზოგადი ინფორმაცია:

რა არის აბზაცი?	მცირე მოცულობის ტექსტი.
რისგან შედგება აბზაცი?	ერთი თემის გარშემო მოცემული წინადადებებისაგან.
რა არის აბზაცის ფუნქცია?	ა) ახალი თემის დაწყება; ბ) წინა აბზაცში მოცემული თემის გაგრძელება; გ) დაწყებული თემის დასრულება.

II. აბზაცის ძირითადი წინადადებები:

წამყვანი წინადადება	ჩამოყალიბებულია: ა) აბზაცის თემა (მიუთითებს, რის შესახებ არის აბზაცში საუბარი); ბ) მთქმელის პოზიცია საკითხის, თემის გარშემო.
დამატებითი წინადადებები	აქ გაშლილია, განვითარებულია წამყვან წინადადებაში მოცემული სათქმელი, აზრი, პოზიცია.
დასკვნითი წინადადება	აჯამებს აბზაცში მოცემულ სათქმელს, აზრს. გამოაქვს დასკვნა.

III. წინადადებების ურთიერთობა აბზაცში:

1.	ყოველი მომდევნო წინადადება დამოკიდებულია წინამავალ წინადადებაზე. ის ავითარებს (განავრცობს) წინა წინადადებაში მოცემულ აზრს. მომდევნო წინადადებებში შეიძლება იყოს: ახსნა-განმარტება, შედარება-შეპირისპირება, მიზეზის ან შედეგის ჩვენება, მტკიცება-დასაბუთება...
2.	ყოველი მომდევნო წინადადება არ არის დამოკიდებელი მის წინამავალ წინადადებაზე. ისინი მხოლოდ თემატურად უკავშირდებიან ერთმანეთს.

1. უპასუხეთ შეკითხვებს.

1) რა აერთიანებს აბზაცში შემავალ წინადადებებს ერთმანეთთან?
2) რა ფუნქციები აქვს აბზაცს?
3) რა არის წამყვანი წინადადება?
4) სად არის საუბარი წამყვან წინადადებაში მოცემულ გარკვეულ სათქმელზე, პოზიციაზე?
5) რა ფუნქცია აქვს დასკვნით წინადადებას?
6) როგორ, რა გზით ხდება წამყვან წინადადებაში მოცემული აზრის გავრცობა?
7) რა ტიპის ურთიერთობები არსებობს წინადადებებს შორის აბზაცში?

2. წაიკითხეთ მოცემული აბზაცი და შეასრულეთ მითითებები.

1

„უმეტესად ერთფეროვნად ვცხოვრობდით. ყოველდღე ადრიანად ვდგებოდით, ერთსა და იმავე ქუჩებითა და შესახვევებით დავდიოდით და ერთსა და იმავე სამუშაოს ვასრულებდით. როცა მუშაობით საჭმლის ფულს ვერ ვშოულობდით, ერთსა და იმავე კალათებიდან სხვადასხვა წვრილმანს ვიპარავდით. ზოგჯერ ღორის ხორცსაც მივირთმევდით, ზოგჯერ კი შავი პურის ამარა ვრჩებოდით“.

1) რა არის აბზაცის ძირითადი თემა? დაასახელეთ სწორი ვარიანტი.

   ა) ქურდობა ქუჩაში

   ბ) ცხოვრება ქუჩაში

   გ) ქუჩის მრავალფეროვნება

2) წაიკითხეთ, რომელია მოცემული აბზაცის წამყვანი წინადადება?

3) დაასახელეთ, რის შესახებ იძლევა დამატებითი წინადადებები ინფორმაციას?

4) მიუთითეთ III ცხრილის მიხედვით, რა ურთიერთობა აქვს დამატებით წინადადებებს ერთმანეთთან?

5) არსებობს თუ არა დასკვნითი წინადადება I აბზაცში? დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ ეს წინადადება.

6) უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გაითვალისწინეთ დასკვნითი წინადადების ფუნქცია და ახსენით, რატომ არ აქვს.

3. წაიკითხეთ მოცემული აბზაცები და დაასახელეთ მათი ძირითადი თემა ანუ სათქმელი. შეასრულეთ წინა დავალების მითითებები.

2

„ამგვარად, ჩემი ბედი გადაწყდა. მე საკვამურების მწმენდავი უნდა გავმხდარიყავი, ეს საზიზღარი კაცი კი ჩემი პატრონი უნდა ყოფილიყო“.

3

„მათი ლაპარაკიდან სანუგეშო არაფერი ჩანდა. როგორი იმედი მქონდა, ამ საქმეს დავიწყებ-მეთქი! ამ იმედით გამოვიქეცი მამისეული სახლიდან და ბიჭებსაც ამიტომ გამოვყევი. ახლა აღმოჩნდა, რომ ეს საქმე მათაც უცდიათ, მაგრამ უსარგებლო გამომდგარა და თავი მიუნებებიათ“.

IV. <u>აბზაცების ურთიერთობა ტექსტში:</u>

მთავარი აბზაცი	გადმოცემულია ძირითადი ინფორმაცია, მთავარი აზრი, სათქმელი.
დამხმარე აბზაცი	ავითარებს (შლის) მთავარ აბზაცში მოცემულ აზრს, სათქმელს.
დასკვნითი აბზაცი	აჯამებს წინა აბზაცებში გამოთქმულ აზრს, სათქმელს.

4. დაუბრუნდით მოცემულ ტექსტებს და უპასუხეთ შეკითხვას.

<u>მოცემული სამი აბზაციდან, თქვენი აზრით, რომელია:</u>

1. მთავარი აბზაცი?
2. დამხმარე აბზაცი?
3. დასკვნითი აბზაცი?

ყურადღება მიაქციეთ საწყის წინადადებებს: **რომელი სიტყვით იწყება; გრძელდება სათქმელი, ახალი იწყება თუ დასკვნა კეთდება?**

დაასაბუთეთ პოზიცია ტექსტის მიხედვით.

ტექსტები

ეს ჩემი სამშობლოა

არგონავტები

1) 1970 წელი. ქართველი „არგონავტები“:

1970 წლის 25 ოქტომბერს ქართველი „არგონავტები“ იმ გზას დაადგნენ, რომელიც იაზონმა ელადის რჩეულ ვაჟკაცებთან ერთად “არგოთი” გაიარა. ქართველი „არგონავტების“ მარშრუტი შორაპნიდან დაიწყო და ფოთში დასრულდა. მოგზაურობა ერთი თვე გაგრძელდა... ქართული „არგო“ ფოთიდან შორაპანში ჩაიტანეს, იქ, სადაც მდინარე ყვირილა და ძირულა უერთდება ერთმანეთს, სწორედ აქედან იწყება ქართველი არგონავტების მოგზაურობა. კაპიტანი იყო რაულ ბაბუნაშვილი. ააგეს ძველი კოლხური ხომალდი, რომლსაც „ოქროს საწმისი“ დაარქვეს. ხომალდის ეკიპაჟს ისე ეცვა, როგორც ძველ ბერძნებს -ტუნიკა და ქალამნები.

2) 1984 წელი. ინგლისელი „არგონავტები“:

ინგლისელმა მეცნიერმა ტიმ სევერინმა თავის გუნდთან ერთად ძველი წელთაღრიცხვის მე-14 საუკუნისდროინდელი მეთოდით ააგო “არგოს” ფორმის გემი, რომლითაც არგონავტებმა იმოგზაურეს. მოგზაურობა **1984 წლის 3 მაისს დაიწყო. ახალი დროის ,,არგონავტებმა” კაპიტან ტიმ სევერინთან ერთად სტარტი ქალაქ** იოლკოსიდან (დღევანდელი ქ. **ვოლოსი) – არგოლიკისის ყურედან აიღეს, საიდანაც მოგზაურობა დაიწყო იაზონმა.** გაიარეს ეგეოსისზღვა, გაცურეს დარ დანელის სრუტე**,** შევიდნენ მარმარილოს ზღვაში, გაცურეს ბოსფორის სრუტე, საიდანაც მოხვდნენ შავ ზღვაში. შემდეგ გაუყვნენ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს (დღევანდელი თურქეთი) და მოვიდნენ ქ. ფოთამდე. ბოლოს ფოთიდან მდინარე რიონით ქუთაისში ჩავიდნენ.

ეკიპაჟი თითქმის სამი თვე ღია ზღვაში ებრძოდა გრიგალსა და უამინდობას. მძიმე სირთულეები შეექმნათ მდინარე რიონზეც. ათასგვარ დაბრკოლებას თან ერთოდა კოკისპირული წვიმები, უამინდობა, მდინარე რიონის ადიდება. მიუხედავად სირთულეებისა, მოგზაურებმა მშვიდობით მიაღწიეს ქუთაისამდე. ახალმა არგონავტებმა მოინახულეს სვანეთიც, როგორც ლეგენდარული ოქროს საწმისის ადგილსამყოფელი.

3) ბერძენი „არგონავტები“:

25 წლის შემდეგ (2009 წელს) იგივე მარშრუტი გაიმეორეს ბერძენმა მეზღვაურებმა კაპიტან აპოსტოლო კურტისის ხელმძღვანელობით. მათი ხომალდი „არგო“ ფოთის პორტში ბათუმიდან შევიდა.

მუზეუმები ღია ცის ქვეშ

ღია-ცისქვეშა მუზეუმები აგროვებენ და თავიდან აგებენ ძველ შენობებს იმ დროისთვის შესაფერისი ბუნებრივი გარემოს შეხამებით. მსოფლიოში ასეთი პირველი მუზეუმი ნორვეგიაში, ოსლოს სიახლოვეს, პატარა საკურორტო ქალაქ ლილეჰამერში დაუარსებია მეფე ოსკარ II-ს 1881 წელს. ლილეჰამერს მაიჰაუგენის სკანსენის, ანუ ღია ცის ქვეშ მუზეუმის გამო მუზეუმების ქალაქს ეძახიან. თვით მაიჰაუგენი კი მაისის მთას ნიშნავს.

ნორვეგიული წამოწყებით შთაგონებულმა არტურ ჰაზელიუსმა 1891 წელს სტოკჰოლმთან, კუნძულ იურგორდენზე დააფუძნა ცნობილი სკანსენი - მუზეუმი და ზოოპარკი, რომელიც შემდგომში მოდელი გახდა ამგვარი გარე მუზეუმებისთვის ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში, მოგვიანებით კი დანარჩენ მსოფლიოში. ის ყველაზე ცნობილი ღია-ცისქვეშა მუზეუმია მსოფლიოში.

თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ 1966 წლის 27 აპრილს დაარსდა. იდეა ეკუთვნის ცნობილ აკადემიკოსსა და ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელს გიორგი ჩიტაიას. ღია ცის ქვეშ გაშენებული „საქართველო“ თბილისში, კუს ტბის ფერდობის ჩრდილოეთ ნაწილში, 52 ჰექტარი მიწის ფართობზეა განთავსებული. ის ამ ტიპის პირველი ეთნოგრაფიული მუზეუმია კავკასიაში.

ბასიანის ბრძოლა

სულთნის ლაშქარს ბასიანში ბუნებრივი სიმაგრეებით დაცული პოზიცია ეკავა, ამიტომ ქართველებმა ხერხი იხმარეს: ღამით ჩუმად მტრის ბანაკს მიადგნენ და ჯარები საბრძოლველად დააწტვეს. მარჯვენა ფრთაზე “აფხაზნი და იმერელნი” იდგნენ, მარცხენაზე – “ამერელნი და ჰერნ-კახნი”, ცენტში – 30-40 ათასიანი რაზმი შალვა და ივანე ახალციხელებისა და “სხვათა თორელთა”. წინამებრძოლთა რაზმს სათავეში ედგა ზაქარია მხარგრძელი. ბრძოლის საერთო მეთაური იყო დავით სოსლანი.

ქართველებმა იერიშის წინ მტრის მოციქული გაათავისუფლეს და სანამ იგი რუქნადინთან დაბრუნდებოდა, ქართველთა მეწინავენი განთიადისას მტრის ბანაკში შეიჭრნენ. მოულოდნელმა თავდასხმამ სელჩუკთა ლაშქარში არეულობა გამოიწვია. რუქნადინდა შეძლო უკუქცეულთა შეჩერება, საბრძოლველად დაწყობა და შეტევაზე გადასვლა. ხელჩართულ ბრძოლაში ორივე მხარეს დიდი ზარალი მოსდიოდა. მთიანი ოღროჩოღრო ბრძოლის ველი ცხენოსანთა მოქმედებას ზღუდავდა, ამიტომ ქართველები ჩამოქვეითდნენ და ისე იგერიებდნენ იერიშებს. მტერმა ბრძოლაში ახალი ძალები ჩააბა. ქართველთა მეწინავეებმა მათი შეკავება ვეღარ შეძლეს. რუქნადინს ბრძოლა მოგებული ეგონა, მაგრამ ქართველებმა ჩასაფრებული მთავარი ძალები აამოქმედეს. ჯერ დავით სოსლანმა მარცხენა მხრიდან შეუტია, როცა რუქნადინმა თავისი ძალები მის წინააღმდეგ გადაისროლა, მარჯვენა ფრთიდან ამერთა და ჰერეთ-კახეთის რაზმები გადავიდნენ შეტევაზე. თურქებმა ვერ გაუძლეს ორმხრივ იერიშს და “ზარგახდილნი” (თავზარდაცემულნი) უკუიქცნენ.

ქართველებმა მტერს დაღამებამდე სდიეს, ხელთ იგდეს დიდი ალაფი, სულთნის დროშა და უამრავი ტყვე. დაჭრილი რუქნადინი ბრძოლის ველიდან არზრუმს გაიქცა.

ბაბილონის გოდოლის მშენებლობა

ამასთან დაკავშირებით, არსებობს ძველი ებრაული გადმოცემა, რომლის თანახმადაც მსოფლიო წარღვნის შემდეგ ადამიანებმა განიზრახეს ისეთი ქალაქისა და კოშკის აგება, რომელიც ცას მისწვდებოდა. ადამიანის თავხედობით განრისხებულმა ღმერთმა აურია მათ ენა და გაფანტა ისინი მთელ დედამიწაზე.

ძველი აღთქმა - დაბადება (თავი მეთერთმეტე)

1. ერთპირი იყო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველი.

2. როცა დაიძრნენ აღმოსავლეთიდან, ჰპოვეს ველი შინყარის ქვეყანაში და იქ დამკვიდრდნენ.

3. უთხრეს ერთმანეთს: მოდი, მოვზილოთ თიხა და გამოვწვათ. ქვის მაგივრად აგური ჰქონდათ, კირის მაგივრად ფისი.

4. თქვეს: აბა, ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი, და ცას მივუწვდინოთ მისი თხემი. აღვმართოთ ნიშანსვეტი, რომ არ გავიფანტოთ დედამიწის ზურგზე.

5. ჩამოვიდა უფალი, რომ ენახა ქალაქი და გოდოლი, რომელსაც ადამიანები აშენებდნენ.

6. თქვა უფალმა: აჰა, ერთი ხალხია ეს და ერთი ენა აქვს ყველას; რაკი ეს საქმე წამოუწყიათ, ამიერიდან დაუბრკოლებლივ გააკეთებენ ყველაფერს, რასაც კი განიზრახავენ.

7. აბა, ჩავალ და ენას ავურევ მათ, რომ ვერაფერი გააგებინონ ერთმანეთს.

8. გაფანტა ისინი უფალმა იქიდან მთელს დედამიწის ზურგზე და მათაც შეწყვიტეს ქალაქისა და გოდოლის შენება.

9. ამიტომაც ეწოდა სახელად ბაბილონი, რადგან სწორედ აქ აღრია უფალმა მთელი დედამიწის ენა და აქედან გაფანტა ისინი უფალმა დედამიწის ზურგზე.

სოფელი ფარცხნალი

ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი სოფელი არაჩვეულებრივი იმით გახლავთ, რომ აქ დაუჯერებლად ბევრი სახელოვანი ადამიანის აკვანი დაირწა. ამ პატარა სოფელმა დაბადა მეცნიერების, ხელოვნებისა თუ მწერლობის არაერთი ღირსეული წარმომადგენელი - 5 აკადემიკოსი და 40-ზე მეტი პროფესორი. აქ დაიბადნენ და გაიზარდნენ ადამიანები, რომლებმაც საქართველოში შვიდ მეცნიერებას დაუდეს სათავე. ამ სოფლის წარმომადგენლები წლების მანძილზე ხელმძღვანელობდნენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელს. სოფელში ხუმრობენ, - ფარცხნალს სასაფლაო არ სჭირდება, აქ ყოველი მეორე პანთეონის ბინადარი ხდებაო...

და მაინც, რატომ არის ფარცხნალი მსოფლიოში გამორჩეული სოფელი? ბევრ მეცნიერებას საქართველოში სწორედ ამ სოფლის მკვიდრებმა ჩაუყარეს საფუძველი. ამ სოფელთან ბევრჯერ არის დაკავშირებული სიტყვა „პირველი“.

ვინ არიან ეს ცნობილიადამიანები? -

ევგენი ხარაძე, საქართველოში ასტრონომიული მეცნიერების ფუძემდებელი (მანამდე საქართველოში არც ეს მეცნიერება და არც ობსერვატორია არ არსებობდა. სწორედ მან დააარსა პირველი ობსერვატორია საქართველოში), მისი ძმა კი, არჩილ ხარაძე, საქართველოს მათემატიკური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლდათ (საქართველოში მათემატიკური საზოგადოების ყოფილი პრეზიდენტი და ქართულად გამოცემული მათემატიკის სახელმძღვანელოს პირველი ავტორი); პეტრე ბუაჩიძე - საქართველოში პირველი სპეციალისტი დერმატოვენეროლოგიაში; იოსებ ბუაჩიძე - პირველი ჰიდროგეოლოგიური რუკის შემქმნელი (შექმნა საქართველოში პირველი ჰიდროგეოლოგთა სკოლა); რუსუდან ხარაძე - ეთნოგრაფთა პირველი თაობის წარმომადგენელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას - ქართველი ხალხისა და კავკასიის მთიელთა სოციალური ურთიერთობების შესწავლას. მისი და, ანა ხარაძე, ასევე პროფესორი გახლდათ, ქართული ბოტანიკის სათავეებთან მდგომი და ერთ-ერთი ფუძემდებელი მეუღლესთან, მიხეილ სახოკიასთან ერთად; ბიჭიკო ბრეგვაძე - პირველი ქართული საფოსტო მარკის შემქმნელი; კიტა ბუაჩიძე - ქართული დრამატურგიის კორიფე; რევაზ თაბუკაშვილი - ქართული დოკუმენტური კინოს სრულიად ახალი ჟანრის ფუძემდებელი; მერაბ თაბუკაშვილი - საქართველოს ტელევიზიის პირველი დიქტორი (დიქტორთა პირველი წარმომადგენელი); ტრიფონ თაბუკაშვილი - საქართველოში პედაგოგთა პირველი თაობის ღირსეული წარმომადგენელი; ბენიტო ბუაჩიძე - მწერალი, პუბლიცისტი, პროლეტარული მწერლობის დამფუძნებელი და ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე; ნიკოლოზ თაბუკაშვილი - აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მხატვართა პირველი სკოლისა და შემდეგ მხატვართა პირველი ინსტიტუტის დამაარსებელი, მისი დირექტორი და ა.შ.

თბილისური ჰანგები

ძველი თბილისი

აბანოთუბანი თბილისის უძველესი ნაწილია. სწორედ აქ იყო პირველი დასახლება. აბანოების უბანი გორგასლის მოედნის ოდნავ ქვემოთ იწყება და თაბორის მთის კალთის პატარა მონაკვეთზე ვრცელდება. გოგირდის ცხელი წყლის წყაროები ამ მთიდან იღებს სათავეს. აბანოების დიდ ნაწილს ირანული არქიტექტურის კვალი ატყვია. აბანოებში დარბაზები მიწის ზედაპირიდან ქვევით არის განლაგებული და ისინი სპეციალური ფარნებით ნათდება. შედარებით დიდი დარბაზები მარმარილოთია მოპირკეთებული.

ნარიყალა თბილისის მთავარი ციხესიმაგრე იყო. XVII ს-მდე ციხის შიგნითა ტერიტორიაზე, იქ, სადაც შემოსასვლელი გვირაბია, განლაგებული ყოფილა «მეფის სასახლე». 1827 წელს ციხის გალავნის დიდი ნაწილი მიწისძვრამ დააზიანა და დაანგრია. ადრეული მშენებლობის ნაშთები, რომლებიც დღესაც არის შემორჩენილი კოშკის კედლებში, ვახტანგ გორგასლისდროინდელია. ნარიყალას ორი მიწისქვეშა გასასვლელი ჰქონდა მტკვრისა და წავკისის წყლისკენ. მისი ერთ-ერთი კოშკი შუასაუკუნეებში ობსერვატორიად გამოიყენებოდა. შუასაუკუნეებშივე ნარიყალას ქვემო ეზოში იდგა ეკლესია, რომელიც ძველ გეგმებსა და ნახატებზე იყო შემონახული. დღეს ეს ეკლესია უკვე აღდგენილია.

ნარიყალას ციხე სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: «დედაციხე», «ნარიყალა», «შურის ციხე» და «კალას ციხე». ნარიყალა თავდაპირველად ციხე-კოშკის ყველაზე მაღალ ნაწილს ეწოდებოდა, შემდგომ გავრცელდა ეს სახელი მთლიანად ციხეზე. თავად სიტყვა «ნარიყალა» სპარსულია და შიდა ციხეს ნიშნავს. მანამდე მას კალას ციხეს უწოდებდნენ. მონღოლები კი მას «ნარინ ქალას» ანუ მცირე ციხეს უწოდებდნენ.

როგორ დაარსდა თბილისი

თხუთმეტი საუკუნის წინათ, მეხუთე საუკუნეში, საქართველოს ძლევამოსილი მეფე იყო ვახტანგ გორგასალი.

ყველაზე დაუვიწყარი სახსოვარი მეფემ თბილისის დაფუძნებით დატოვა. ის ადგილი, სადაც ახლა თბილისია, მანამდე ეჭირა ატეხილ ტყეს, რომელშიც მრავალი
ნადირ-ფრინველი ბუდობდა.

ვახტანგი ერთხელ ამ ადგილებში ნადირობდა; მან გაჩვეული მიმინო აფრენილ
ხოხობს დაადევნა. ხოხობიც და მისი მდევარიც ერთ ღრმა ხევში ჩაიკარგნენ და იქიდან
აღარ გამოჩენილან.

მაშინ ვახტანგი თავისი ამალით ჩავიდა იმ ხევში. მან იქ ნახა უხვად მომდინარე ცხელი
ნაკადული, რომელშიც მეფის მიმინო და ხოხობი მოხარშულიყვნენ.

მეფე მიხვდა ამ ცხელი წყლის მარგებლობას, აწონ-დაწონა ამ ადგილის მდებარეობა და
მოხერხებულად მიიჩნია ის ციხე-ქალაქის ასაგებად. ამიტომაც ბრძანა, გაეკაფათ ტყე და
შესდგომოდნენ სახლების აშენებას.

ასე დააფუძნა ვახტანგმა ახალი ქალაქი, რომელსაც დაარქვა თბილისი იმის გამო, რომ
თბილი წყლის პირას იდგა.

როცა თბილისი გადიდდა და გამშვენიერდა, იგი აღიარებულ იქნა დედაქალაქად,
ნაცვლად მცხეთისა და მასში იქნა გადმოტანილი სამეფო ტახტი.

იაკობ გოგებაშვილი

ბრძოლა თბილისისთვის

ისტორიის დაიჯესტი

მე-5 - მე-6 სს - თბილისი, თავისი მდებარეობის გამო, იქცა მეტოქეობის საგნად რეგიონის ისეთ ძლიერ სახელწფოებს შორის, როგორებიც იყვნენ სპარსეთი, ბიზანტიის იმპერია, არაბეთი და თურქ-სელჯუკები. სპასელებმა დაიპყრეს თბილისი და დაახლოებით, ათწლეულის მანძილზე მართავდნენ მას.

მე-8-მე-10 საუკუნები - მურმან-ყრუს შემოსევების შემდეგ VIII საუკუნის 30-იანი წლების დასასრულიდან თბილისი არაბთა ხელში გადადის. თბილისს ამირა განაგებს, რომელიც IX საუკუნის დამდეგიდან უკვე აღარ ემორჩილება ხალიფას. იწყება ბრძოლა ურჩი ამირას დასამორჩილებლად (ბუღა თურქის სისხლისმღვრელი ლაშქრობა). მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს დედაქალაქად ქუთაისი ითვლებოდა.

XI საუკუნიდან დაიწყო შიდა ბრძოლები თბილისისათვის, თუმცა ყველა შემთხვევა მეფისათვის წარუმატებელი აღმოჩნდა. ბაგრატ IV-მ ორგული დიდებულების გამო არაერთგზის დაკარგა თბილისის გათავისუფლების შესაძლებლობა. XI საუკუნის შუა წლებიდან საქართველოს თურქ-სელჩუკები უტევენ, რომლებმაც თბილისიც დალაშქრეს.

1122 წ. - მეფე დავით აღმაშენებელმა ბრძოლით აიღო თბილისი და ქართლის ყოფილი დედაქალაქი ერთიანი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქად აქცია. თბილისი საქართველოს და მთლიანად კავკასიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად იქცა.

მე-13 საუკუნე - 1226 წელს ხვარაზმშაჰ ჯალალედინმა თბილისი აიღო (100 ათასი მოწამე). ხვარაზმელთა თარეში 1231 წლამდე გაგრძელდა. 40-იანი წლებიდან კი თბილისი უკვე მონღოლების კონტროლის ქვეშ იმყოფება.

მე-14 საუკუნე - 1386-1403 წლებში თემურლენგი (შუააზიელი მხედართმთავარი, ემირი, გათურქებული მონღოლური ტომის წარმომადგენელი) რვაჯერ შემოესია საქართველოს. 1400 წ. საქართველოში მეექვსედ შემოჭრილმა თემურლენგმა სასტიკად მოაოხრა თბილისიც.

მე-15 საუკუნე - შავბატკნიანი თურქმანების სულთანმა ჯეჰან-შაჰ-ხანმა 1440 ააოხრა და ცეცხლს მისცა თბილისი, დააქცია ეკლესიები და მოსახლეობას დიდი ხარკი დააკისრა. 1477 წელს კი თეთრბატკნიანი თურქმანებმა უზუნ-ჰასანის მეთაურობით თითქმის უბრძოლველად დაიკავეს თბილისი.

მე-16 საუკუნე - დაიწყო ირანისა (ყიზილბაშების) და ოსმალების თარეში საქართველოში: 1522 წ. სოფ. ყიზილბაშების მიერ შაჰ-ისმაილ I-ის მეთაურობით თბილისის აღება და აოხრება; 1541 წ. შაჰ თამაზის შეჭრა თბილიში; 1578 წ. უკვე ოსმალები იღებენ თბილისს და სვამენ ფაშას.

მე-17 საუკუნე - ირანის ახალი შაჰის აბას I-ის გაძლიერება. შაჰ აბას I-ის გეგმა საქართველოში ქართველობის ამოგდება და მათ ნაცვლად ყიზილბაშების ჩამოსახლება დაიწყო. 1616 წ. შაჰ აბას I-მა თბილისი აიღო. აბას I-ის პოლიტიკა გააგრძელა და კახეთში მომთაბარე თურქმანების ჩამოსახლება დაიწყო ირანის შაჰმა აბას II-მ.

მე-17 საუკუნე -1709 წ. ვახტანგ VI-მ თბილისის ციხეები ყიზილბაშებისაგან გაწმინდა და იქ ქართველები ჩააყენა. 1712 წელს ირანის შაჰმა ქართლი ვახტანგის გამაჰმადიანებულ ძმას იესეს ჩააბარა, რომელიც ვახტანგის საპირისპირო პოლიტიკას ატარებდა. 1722 (1723) წ. ქართლში კვლავ ოსმალები შემოვიდნენ და თბილისი დაიკავეს. 30-იან წლებში ირანმა აიძულა ოსმალეთი, დაეტოვებინა აღმოსავლეთ საქართველო. ქართლი და თბილისი კვლავ ყიზილბაშების ხელში გადავიდა. 1747 წ. კახეთის მეფე ერეკლე II-მ აიღო მეტეხისა და თაბორის ციხეები და თბილისიდან ყიზილბაშები განდევნა. 1748 წ. შაჰის თხოვნით ერეკლემ მცირე ხნით თბილისის ციხეებში ჩააყენა 300 ყიზილბაში მეომარი, რომლებმაც 1749 წელს თბილისი დატოვეს. 1770 წ. რუსეთი გენერალ ტოტლებენის ხელით თბილისის ციხეების დაკავებასა და ხალხის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცებას შეუდგა, თუმცა ამ ეტაპზე უშედეგოდ.1783 წელს კი გეორგიევსკის ტრაქტატით ქართ-კახეთი სრულიად რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა. 1784 წლის იანვარში ერეკლემ საზეიმოდ მიიღო იმპერატორის ერთგულების ფიცი. 1795 წელს წელს აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი თბილისისკენ დაიძრა. 11 სექტემბერს კრწანისის ველზე გამართული ბრძოლა ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ბრძოლა იყო ქართული ერის ისტორიაში. ირანის შაჰმა თბილისი აიღო და საშინლად გადაწვა.

მე-19 საუკუნე - 1800 წლის 18 დეკემბრის პავლე I-ის მანიფესტით, ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და ის უშუალოდ რუსეთის შემადგენელი ნაწილი გახდა. 1801 წ. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა თბილისში სამეფოს გამგებელი დავით გიორგის ძე გადააყენა და ქვეყნის მმართველად გენერალი ლაზარევი დანიშნა. რუსეთმა უბრძოლველად მოახერხა ის რასაც ბრძოლით ირანი და ოსმალეთი ვერ ახერხებდნენ - საქართველო და მთლიანი კავკასია თავისი მმართველობის ქვეშ მოაქცია. თბილისი იქცა ამ რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრად და რუსეთის იმპერიის სამხედრო ბაზად ახლო აღმოსავლეთში.

ნიკო ფიროსმანი

ნიკო ფიროსმანაშვილი 1862 წელს კახეთში, სოფელ მირზაანში დაიბადა. ნიკო მხატვრობისადმი ინტერესს ბავშვობიდანვე ამჟღავნებდა, ბევრს ხატავდა კიდეც. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ნიკო თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. თბილისში ჩამოსული ნიკო ერთხანს ქალანთაროვებთან მუშაობდა.

1882 წელს ნიკომ ახალგაზრდა თვითნასწავლი მხატვარი - გიორგი ზაზიაშვილი გაიცნო და მასთან ერთად სამხატვრო სახელოსნო გახსნა, მაგრამ სახელოსნო მალევე დაიხურა. ერთხანს რკინიგზის სადგურზე მუშაობდა კონდუქტორად.

რკინიგზიდან წამოსვლის შემდეგ მან რძის დუქანი გახსნა. შემდეგ ამ საქმესაც დაანება თავი. უსახლკაროდ დარჩენილი ფიროსმანი მედუქნეებთან და მიკიტნებთან აფარებდა თავს. მოგვიანებით მედუქნეებს შეეკედლა და დუქნების მოხატვა დაიწყო. ხატავდა შეკვეთითაც - ხატავდა აბრებს, პორტრეტებსა და სხვა.

ის იმდენ ხანს რჩებოდა მათთან, რამდენ ხანსაც ხატავდა. ყველაზე დიდხანს მედუქნე ბეგო იაქიევთან იყო. ნიკო თითქმის 5-6 წელი ცხოვრობდა ბეგოს დუქანში რიყის ქუჩაზე. ბეგოს დუქნიდან ფიროსმანი ისევ კიბისქვეშა ბნელ სარდაფში გადავიდა საცხოვრებლად.

1913 წლის 11 თებერვალს გაზეთი "თემი" წერდა: "... თბილისში სცხოვრობს სწავლა მიუღებელი სახალხო მხატვარი ფიროსმანაშვილი, რომელსაც ნიჭი ეტყობა. ეს მხატვარი მარტო დუქნებში ხატავს კედლებზე... მხატვარი ამჟამად 50 წლისა ყოფილა. მისი ადრესია სარდაფი "კარდანახი", მალაკნების ქუჩა #23".

ნიკო ფიროსმანაშვილმა სიცოცხლის ბოლო წლები ერთ-ერთი სახლის კიბის ქვეშ გაატარა. აქედან წაიყვანეს ის საავადმყოფოში, სადაც 1918 წელს გარდაიცვალა. მისი საფლავი დღემდე უცნობია.

ფესვები

ქართველი ემიგრანტები საზღვარგარეთ

Pew Research Center-ის 2017 წლის მონაცემებით, ყველაზე მეტი ქართველი ემიგრანტი, 450 000 ადამიანი, რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს, მეორე ადგილზეა საბერძნეთი 80 000, შემდეგ მოდის უკრაინა 70 000 და აზერბაიჯანი 50 000, 40 ათასი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს სომხეთში, 30 ათასი აშშ-ში, გერმანიაში და კვიპროსში მათი რაოდენობა 20 -20 ათასია, იტალიაში კი - 10 ათასი. რა შეეხება მეზობელ თურქეთს Pew Research Center-ის მონაცემებით, აქ ქართველი ემიგრანტების რაოდენობა 10 ათასზე ნაკლებია.

„მიწის ყივილი"

(ივანე ჯავახიშვილი, ნაწყვეტები)

I.

სამშაბათს, ნასადილევს - ის დღე გულში მაქვს ჩარჩენილი - ისევ წაბლის ქვეშ ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი. ქვიშის ხრაშუნმა და ძალნატანმა ხველამ თვალები ამაწევინეს. ჩემი მოხუცი ისევ ჩემსკენ მოჩანჩალებს - დაბინდული თვალებით, უნდობარი მოწიწებით და მერყევი სიხარულით. ქუდი შორიდანვე მოუხდია. შესდგა და ოქრო-ვარაყი ააბზინა, ღია სარკმელი ააფარფატა.

- მობრძანდით, მესიე - დავასწარი: - პრენე ვოტრ პლას - აი თქვენი ალაგი. წამოვდექი, მკლავში მკლავი გავუყარე და დავსვი. _

- თუ ხელს გიშლით, წავალ, - და წასასვლელად გავიწიე. _

- რესტე - დარჩით, ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩემო. გვერდით მომისვა და აჭრაჭუნდა. _

- გეტყობათ, ჩემი აღარ გეშინიათ. - გავუღიმე. _

- არა, აღარ მეშინია. _

- პირველად რაღად გეშინოდათ? _

- იმიტომ, რომ თქვენ რუსეთიდან ბრძანდებით. _

- მერე რაო? _

- ხე-ხე! მერე ისა, რომ... ჯერ თავი დავანებოთ ამას. მერე იყოს. თქვენ სტუდენტი ხართ, არა? _

- დიაღ. _

- ქართველი - ჟორჟიენ? _

- ჟორჟიენ. _

- პარიზიდან ამოხვედით დასასვენებლად? _

- აგრეა - ვუ ზავე რეზონ. _

- მე უკვე გიცნობთ. ჩემმა შვილიშვილმა ცნობები მომიგროვა. - და ჩემი სახელი და გვარი დამისახელა, მერე თავისიც დაუმატა: - ანდრე კაშორ გახლავართ... დიაღ, კაშორია ჩემი გვარი. გაჩუმდა. შემომხედა. მუხლებზე წიგნი მედო. ისევ მაშინდელივით, მშიერივით დასწვდა. ნერვიულად ჰფურცლავს, თვალებს აცეცებს, თან ჩიფჩიფებს: _

- სეტ ეტონან, სელა - საკვირველია, საოცარია! _

- რა არის საკვირველი, ბატონო კაშორ? _

- ისე ვთქვი... არაფერი. _

წიგნი დამიბრუნა და მიყუჩდა. სდუმს და გაცრეცილ ტუჩებს აცმაცუნებს, განიერ წვერებს აცანცარებს, თითქო სათქმელი აქვს და შიგ გაეხირაო. მერე ცახცახა ხელი ხელზე დამადო, წვერ-ულვაში უარესად ააფრიალა და ხრინწიანი ჩურჩულით ჩამინიავა: _

- ახლა თქვენი აღარ მეშინიან... ქართული რაინდობის იმედი მაქვს... იმედი მაქვს, არ გამცემთ. _

- რა თქმა უნდა, ეგ რა სათქმელია! - დავამშვიდე. _

II.

- იმ სოფლის სახელი აღარ გახსოვთ, სადაც დაიბადეთ? _

კაშორი ნიკაპით ჯოხის თავს დაებჯინა და ჩაფიქრდა. _

- ნონ! - სთქვა დუმილის შემდეგ და თეთრი თავი გააქნია. - არა, არ მახსოვს. აღარ მახსოვს. _

- თქვენი მამის სახელი? _

თეთრი თავი თითქო კისერს მოსწყდა, მკლავებში ჩაუვარდა და იქ წაიკრუსუნა: _

- დამავიწყდა... ეგეც კი დამავიწყდა... ალბათ იმიტომ დამავიწყდა, რომ ფრანგები მამის სახელს არ ატარებენ. _

- დავიჯერო, დედის სახელიც აღარ გახსოვთ? - უხეშად ვძიძგნი ბებრის წყლულს. _

ჯოხი ძაგძაგებს, შემდეგ იდრიკება. _

- ოოჰ, ღმერთო ჩემო! - ახრიალდა კაშორი. - ეს ერთი ხანია დედის სახელიც დამავიწყდა... ზოგჯერ შვილი გამახსენებს ხოლმე, ან შვილიშვილი... ოოჰ, მიზერაბლ - შე უბედურო ჩემო თავო!.. დაწყევლილო სიბერევ!.. მამან... შერ მამან - დედა ჩემი... ჩემი ძვირფასი დედა... _

- შერ კაშორ, - ვამშვიდებ - შინ დაბრუნდებით, იქ გაგახსენებენ, არა ღირს მაგის გამო შეწუხება. დაწყნარდით... დამშვიდდით... _

თეთრი თავი დიდხანს ცახცახებს. განიერი ბეჭები ხტუნაობენ. წვერი ცანცარებს, ხოლო ჯოხი ისევ თრთის და იღუნება. _

- მამან... შერ... მამან... - სლუკუნებს თეთრ წვერებში და უარესად იღუნება. ძლივს დამშვიდდა. თავი ცალ მკლავზე დაიდო, გვერდულად შემომხედა და ბავშვივით მომეაჯა: _

- მიამბეთ რამე, მონ შერ, გამახსენეთ. ჩემი ქვეყნისა არაფერი ვიცი... არც უწინ მცოდნია. _

ყინული გალხვა: "ჩემი ქვეყანა" ახსენა. და მეც გავახსენე, რაც მომაგონდა: ჩვენი მთები, ველ-მინდვრები, მდინარენი, ქალაქები, ზნე-ჩვეულება, ტანისამოსი, კაშორი ხან იღიმება, ზოგჯერ იჭმუხნება: იგონებს და ვერაფერი გაუხსენებია - არც ერთი მთა, არც მდინარე, არც კუთხე, არაფერი! აღარაფერი! _

- კახეთი... ქართლი, - რიგრიგად ვთვლი პროვინციებს, - იმერეთი, გურია, სამეგრელო... _

- არ მახსოვს... არ მაგონდება. და მწუხარებით იქნევს თოვლიან თავს. _

- იქნება ხევსური ხართ... ან რაჭველი... ან კიდევ თუში, ფშავი, აჭარელი? _

- ნონ, მონ შერ, ნონ, აღარ მაგონდება, არა... ვაი მე, უბედურს, ვაი მე, საბრალოს! _

ყოველივე ცხრაკლიტურია მისთვის, ყველანი და ყველაფერი დაეკეტა, დაემალა, დაეკარგა. რკინის ყუთი გაუტეხელია, გაუბზარავი. ტყუილად ვუვლი და ვუჩხიკინებ. კაშორი კი ისევ ციხის ტყვესავით იმუდარება: _

- რაკონტე ანკორ - კიდევ მიამბეთ რამე, კიდევ. _

და მეც უიმედოდ ვუვლი ირგვლივ მიუვალ ციხეს: ვუამბობ მოკლედ ჩვენს ისტორიას, ვინაობას. ახალსა და ძველს, ავსა და კარგს. ხოლო, მოხუცისა ყოველივე მისმენს: დაღებული პირი, ბანჯგვლიანი ყურები, გაღვივებული თვალები, ცანცარა წვერიც, მთრთოლვარე თავიც და უჩინარი გულიც, თან დროგამოშვებით ბუტბუტებს, ან იძახის: _

- ტიენ!.. საოცარია!.. საშინელია!.. დიდებულია!.. _

შემდეგ უცებ წამწვდა ხელში და მკითხა - თითქო ამის დავიწყებისაც ეშინოდაო: _

- დიტ მუა - მითხარით, როგორ ითქმის ქართულად პაპა ე მამან - მამა და დედა? და ისევ ყველაფრით ჩამაშტერდა: თვალებით, კბილებით, ყურებით და გულით. _

- ფრანგულად “პაპა” მამას ნიშნავს, ქართულად კი - პაპას, მამის ან დედის მამას.

- ტიენ! - შეკრთა მოხუცი.

- თქვენებური “მამან” - დედა - ჩვენებურად მამას უდრის. ქართულად კი ასე გამოითქმის: დედა... დე-და!

- საოცარია, საკვირველია! დედა... დე-და! - და ამ სიტყვას ფრჩხილებით, სულით და კბილებით დაეჭიდა: - დე-და... - იმეორებდა. - დე-და. დედა... დე-და! - მერე მოტყდა და დაიკვნესა: - მაინც რა მაგონდება, ეს სიტყვაც აღარ მაგონდება, ოოჰ, უბედურო ჩემო თავო! საბრალო სიბერევ! ორევუარ, მონ შერ, ნახვამდის! დავიგვიანე... ალბათ მეძებენ. და ოხვრით, ბურტყუნით და ბარბაცით წაფორხილდა - თითქო ბრაზით, დარდით და ურვით დატვირთულ ტომარას მიათრევდაო.

III.

- მაშ, შვილო, ახლო მოიწიე... არავინ გაგვიგოს, - და ყურში ჩამიხრიალა: - უნდა წავიდე... უნდა დავბრუნდე.

- თქვენ? თქვენ უნდა დაბრუნდეთ?

- ჰო, მე, ანდრო კაიშაური. რას იტყვი?

ანდრო კაიშაური უნდა დაბრუნდეს. ოთხმოცდარვა წლის მოხუცმა, თითქმის დამბლად დაცემულმა, ასეთი შორი გზა უნდა გადაიტანოს. მერე რისთვის? ვისთვის? ვისთან მივა. ვინ დაუხვდება? არც ენა იცის, არც ნათესავს იცნობს. ან შერჩა კი ნათესავი? ან იქამდე ვინ ჩაიყვანს?

- გაოცდი, განა, მონ შერ!

- დიაღ... არ მესმის, რა გინდათ საქართველოში?

- დედა! - წამოიძახა ქართულად.

- თქვენი ოჯახი ხომ რუსეთში გადასახლდა. მაშ თქვენი დედაც იქ იქნება დასაფლავებული.

- მართლა, რუსეთში მოკვდა. - და კისერი მოედრიკა.

- კარგად ყოფილხართ მოწყობილი - ვცადე მისი საჭმუნავის წაშლა. - ყველაფერი გქონიათ: სახლი, ბაღი, ოჯახი...

- კან მემ - შემაწყვეტინა - მაინც წავალ. უნდა ვნახო იქაურობა, ხალხი, ნათესავები. გარდა ამისა, ჩემი სამშობლო ხელახლად დაბადებულა... ხომ მართალია?

- მართალია...

- მაშ მარტო ამისთვისაც რომ წავიდე, ესეც საკმარისია, ახალი ქვეყანა... ახალი ხალხი. ჩემი ქვეყანა, ჩემი ხალხი. ყველანი ჩემი შვილები და ნათესავები არიან.

- ნათესავები აქაც ბლომად გყოლიათ.

- არა, შვილო, არა. ესენი აქაურები არიან - ფრანგები, ფრანგი ქალის შვილები.

ანდრო კაიშაურს კი მხოლოდ იქა ჰყავს ნამდვილი ნათესავები - იქ, “ან ჟორჟი”. ისინი ალბათ სხვანაირები არიან - ბუნებაც, ხალხიც, ცხოვრებაც. კაშორ თუ კაიშაურს არაფერი ახსოვს, მაგრამ გრძნობს და იცის, რომ...

- ნონ, ნონ! - ისე წამოიწია, თითქო მაშინვე აპირებდა ქუდის აღებას და საქართველოში წამოსვლას. - არა, არა! უნდა წავიდე... უეჭველად უნდა წავიდე. ედდე მუა, მიშველე, მონ შერ, მასწავლე და მიშველე.

წამოიწია, მაგრამ ფეხი ვერ გაისწორა და ტანიც ვეღარ აიტანა. მერე მუდარით მომანათა გაცვეთილი თვალები და წყალწაღებულივით შემეხვეწა: _

- აგრე როგორ გაგიძნელდა, შვილო, გზის ჩვენება და დარიგება? მიშველე-მეთქი, მითხარი... _

- დამშვიდდი ა, მესიე. ახლავე გასწავლით ყოველივეს. _

და ვასწავლე: დავჯექი და მთელი თაბახი დავწერე: კაიშაურის ვინაობა, თავგადასავალი და თხოვნა, რომ სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მისცენ მას, "საწყალ მოხუცს, გზადაკარგულს, უპატრონოს".

IV.

ანდრო კაიშაური საქანელა სკამზე გაშოტილა და ჭერს უღიმის - უცნაურის, წმინდანის, საიმქვეყნო ღიმილით, თანაც მთრთოლვარე ხელს აფათურებს სივრცეში. და უცებ მკაფიოდ აჩურჩულდა - სუფთა ქართულით, ჩვენებური გამოთქმით: _

- ჩემი დედა ელენე... მამა ჩემი სოლომონი... ვილაჟ ანანური. _

წამოვიჭერი - თითქო ცეცხლზე ვიჯექიო - თავთ დავადექი და სულგანაბულმა ყური მივუგდე. _

კაიშაური ბუტბუტებს, თითქოს უჩინარს ეუბნებაო - ზოგს ქართულად, ზოგსაც ფრანგულად. _

- ვილაჟ ანანური... მაგონდება, მაგონდება: ღრმა ხეობა... შიგ ვილაჟ... სოფელი ანანური - და გარკვეული ქართულით დააყოლა: - არაგვის წყალი. _

გარინდული ვდგევარ. გული მძლავრად მიფეთქავს. მეშინია - ვიღაც თუ რაღაც არ დავაფრთხო. _

- გრანდ ეგლიზ ე ფორტერეზ - და უმალვე ქართულად გადათარგმნა: - დიდი ეკლესია და ციხე... ძველი ციხე... ტყე... მთები... მწვანე მთები. ხე-ხე-ხე! _

სიხარულისაგან ჩაიხითხითა, ხელები მოიფშვნიტა, აცმუტუნდა. ადგილი მოვინაცვლე, წინ ავეტუზე და ქართულად ვკითხე: _

- ანდრო, მიცანით? _

ჯერ გაოცდა, შემდეგ გაუხარდა: _

- ჩემი შვილი... ჩემი ვაჟი. ხომ ხედავ, ხომ გესმის, რა დამემართა? _

- მესმის, ვხედავ... გაგახსენდათ, ქართული გაგახსენდათ. _

- ღმერთო, მიშველე! გამახსენდა... ყველაფერი მომაგონდა. ვხედავ... ვიცნობ... - და აკანკალებული თითები თვალების წინ ააცმაცუნა. - აი, აქვე სდგანან ყველანი... ვხედავ დედა ჩემს... მაღალი, ლამაზი, შავგვრემანი... შავი მანდილი აქვს წამოსხმული... აი, აქვე ზის ჩემს თვალწინ... მუხლებზე მე ვყევარ - ცხრა თუ ათი წლის ბალღი ვარ... ჩემს თავსაც ვხედავ. ვიცინი და ვეხვევი... დედას ვეხვევი... მკოცნის და მიღუტუნებს... ოოჰ, დედი... დედილო! _

ხელები თვალებზე აიფარა. მერე ისევ განაგრძო: _

- მამა ჩემი ბაღში მიდის. მეც მივდევ ცუნცულით... მიწაზე ხილი ჰყრია. ვკრეფავ... კალთა სავსე მაქვს. შაქროსაც ვაძლევ, სოფოსაც, ტიტესაც... მერე ჩილიკას ვთამაშობთ. _

- მერე?.. მერე?.. - ჩავჩურჩულებ.

- კიდევ მაგონდება, ყველაფერი მაგონდება. რაღაც მოხდა... მამა ყველაფერს ჰყიდის... ურემზე ვსხედვართ და მივდივართ... დარიალა. ძაუგი. მოზდოკი. იქ ვიზრდები... ქართული თანდათან მავიწყდება. მერე რუსეთის ქალაქები... შეთქმულება... ბრძოლა... აკატუის კატორღა. ოოჰ, ღმერთო ჩემო, რა ლამაზი და დიდი ქვეყანა გამიცოცხლდა!

შატილი

ქ. დუშეთიდან 115 კმ-ში, ზღვის დონიდან 1000 მ, პირიქითა ხევსურეთში, მდინარე არღუნისა და შატილისწყლის (შატილურა) შესართავთან, არღუნის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი შატილი.

შატილი ისტორიულად ერთდროულად წარმოადგენდა საცხოვრებელსაცა და ციხესიმაგრესაც. ციხე-ქალაქებიდან ის ერთ დროს ერთ-ერთი ყველაზე კარგად ორგანიზებული ციხე-ქალაქი იყო საქართველოში. სოფელში ორი გვარის ხალხი სახლობდა – ჭინჭარაული და ანატორელი. ჭინჭარაულები (თავიდან ჯინჭარაულები) ძველი დასახლებულები იყვნენ. ანატორელები კი შედარებით გვიან – XVIII საუკუნეში დასახლდნენ იქ. 1920-იან წლებში იქ 50-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობდა.

X-XI სს-ში აშენებული ციხე-ქალაქი ოთხი უბნისგან შედგებოდა (ზენაუბანი, შუა სოფელი (ქავი), ქვენაუბანი და ანატორელთკარი), რომლებიც ერთმანეთს ვიწრო გასასვლელებით უკავშირდებოდნენ.

შატილი ერთადერთი სოფელია ხევსურეთში, და ალბათ, საქართველოშიც, სადაც აქამდე შემორჩა სოფლის საერთო თავშეყრის ადგილი – „საფიხვნო“. ეს ერთსართულიანი შენობა ტერასულად განლაგებული ციხე-კოშკებისაგან მოშორებით სოფლის შესასვლელში დგას. საფიხვნო ქვა-ყორით ნაგები სიპით გადახურული დაბაზია. საფიხვნო წინ ღიაა და შიგ ქვის სკამებია გამართული. საფიხვნოში მხოლოდ მამაკაცები იკრიბებიან და დედაკაცს იქ მისვლა არ შეუძლია. შესასვლელში, საფიხვნოს თავში, უფროსებისა და ხატის მსახურთა სკამებია გამართული; შატილელები აქ იკიბებიან კვირა-უქმეებში, საქმობენ და თან საუბრობენ; სასოფლო და რჯულის საქმეებიც აქ ირჩევა.

მუცო

მუცო მდინარე არდოტის (არღუნის მარჯვენა შენაკადი) ხეობის შუა წელზე მდებარე პირიქითა ხევსურეთის უძველესი ციხე-სოფელია. შატილიდან 12-15 კმ-ითაა დაშორებული სოფელი ზღვის დონიდან 1880 მეტრზე მდებარეობს. პირიქითა ხევსურეთის შემორჩენილი ნასახლარებიდან მუცო უძველესია. ის სიდიდით მეორეა შატილის შემდეგ.

შატილის მსგავსად, მუცოც ერთდროულად ციხე-სიმაგრეც იყო და საცხოვრებელიც. ოდესღაც ხევსურეთის შემოსასვლელის ისტორიული დარაჯისა და დამცველის ფუნქცია ჰქონდა. მუცოს აშენება შუა საუკუნეების გმირის - თორღვა ძაგანის სახელს უკავშირდება. თორღვამ აღკვეთა მეზობელი ტომების თარეში და ააშენა ციხე-სოფელი მუცო აუღებელი ციხე-კოშკებით. განსაკუთრებული არქიტეტურული წყობით, სამშენებლო ხელოვნებით და შეუვალობით გამოირჩევა მუცო. ეს გახლავთ

საომარი კოშკების, საცხოვრებელი ქვითკირების, საკულტო ძეგლებისა და სამკვდრო აკლდამების განსაცვიფრებელი ერთიანობა.

1769 წელს მუცო გადაუწვავთ და ნანგრევებათ უქცევიათ, ხოლო 1820 წელს შამილის მოლაშქრეების შემოსევის შემდეგ ციხე-სოფელში სიცოცხლე თითქმის აღარ განახლებულა. მუცოში, დაახლოებით, 40-მდე ციხე-კოშკი იყო, რომელთაგან დღეს რამდენიმეღაა შემორჩენილი, მათ შორის, ლეგენდარული თორღვას ციხე და კოშკი.

მუცოში, ძირითადად, ორი გვარი სახლობდა – შეთეკაურები და დაიაურები (საჭინჭარაულო). სოფელიც, ძირითადად, ორ ნაწილად იყო გაყოფილი - ზემოთ უფრო ძველი შეთეკაურთ უბანი და მეორე, შედარებით ახალი - დაიაურთ უბანი.

მეგანძურენი და მედროშენი

მუცოელებს საკუთარი ხატის - მთავარანგელოზის საგანძური და დროშა ჰქონდათ. საგანძურის სამალავი მხოლოდ ორმა კაცმა იცოდა, ასევე ორმა სხვა ადამიანმა იცოდა დროშის სამალავი. ეს საგანძური და დროშა მხოლოდ ხევსურთათვის უდიდეს დღესასწაულზე - "ათენგენობაზე" ან რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოჰქონდათ. ჩამოატარებდნენ ზარ-ზანზალაკებიან დროშას მედროშენი და ხვდებოდნენ ხატის ყმები მას მუხლმოყრილნი. მაგრამ დაუდგა საქართველოს მძიმე პერიოდი და ისე წავიდნენ მეგანძურნიცა და მედროშენიც, რომ არავისთვის გაუნდიათ სამალავების საიდუმლოება. ლეგენდად დარჩა სადღაც მუცოს მიუვალ კლდეებში განძიცა და დროშაც. ლეგენდავე გვეუბნება, რომ მათ ვერავინ იპოვის, ვიდრე თვითონ მუცოს მფარველი ხატი არ ამოარჩევს ღირსეულს, რომელსაც ძილში უჩვენებს მათ ადგილსამყოფელს და აპოვნინებსო.

განთქმული მონადირეები და მეომრები

მუცოს მკვიდრთ განსაკუთრებული მშვილდ-ისარი ჰქონდათ, რომელთაც ჯიხვის რქისაგან ამზადებდნენ. მშვილდი მოკლე და იმდენად ძნელად მოსადრეკი იყო, რომ გუდანის ჯვარში დღემდე შემონახული მშვილდის მოდრეკა ყველაზე ღონიერ ახალგაზრდებსაც კი უჭირთ. ისრის პირებს კი დღესაც პოულობენ მუცოს კლდეებში ჩარჩენილს.

ერთი თქმულების თანახმად მუცოელი მამა-შვილი სანადიროდ წასულა. მამას ნადირი დაუფრთხია და იქით გაურეკავს, სადაც შვილი იყო ჩასაფრებული, თვითონ კი კლდეს ამოფარებია. შვილის ნასროლმა ისრებმა მამას თავზე გადაუფრინა. გაბრაზებულა მამა, ყველა როგორ ააცდინაო. შვილს კი თურმე ისეთი ძალითა და სისწრაფით უსვრია ისრები, რომ ისარგაყრილი ფრინველები ისევ განაგრძობდნენ ფრენას.

თორღვაის ციხე

მუცოს ციხე-ქალაქში ფრიალო კლდეზე განცალკევებით დგას თორღვაის ციხე, რომელიც

ერთადერთი ქონგურებიანი კოშკია მთელს პირიქითა ხევსურეთში.

თორღვას შესახებ ასეთი ლეგენდა არსებობს: „კახთა მეფე მტერს გამორიდებია და ერთი წლის განმავლობაში მუცოსთვის შეუფარებია თავი. შეჰყვარებია შეთეკაურთ ქალი და ამ სიყვარულის ნაყოფიაო თორღვაი.

ძაგანს ბეჭებზე მზისა და მთვარის გამოსახულება ჰქონია. მუცოს ბელადი იყო, ლაშქრობდა ჩეჩნეთში და ლეკეთში, თუშეთი და ფშავი ბეგარას უხდიდა. კახთა მეფეს, თავის მამას წილს სთხოვდა თურმე. იმხელა ლაშქარი ჰყოლია, რომ ციხის აგებისას ანატორიდან მუცომდე, დაახლოებით 8 კილომეტრის მანძილზე ქვები ხელიდან ხელში გადაცემით მიუტანიათ. მის ჯაჭვის პერანგს ქაჯეთში შვიდ წელიწადს ქსოვდნენ თურმე. პერანგი იქ იკუმშებოდა თურმე ბრძოლის დროს, სადაც ტყვია ან ისარი უნდა მოხვედროდა...“

ადამიანი და საზოგადოება

ნოდარ დუმბაძე

ქართველი მწერალი ნოდარ დუმბაძე 1928 წლის 14 ივლისს დაიბადა თბილისში ქართულ ინტელიგენტურ ოჯახში. 9 წლისამ 30-იანი წლების რეპრესიების გამო დაკარგა მშობლები. მამა ვლადიმერ (აკაკი) დუმბაძე 1937 წელს დახვრიტეს, დედა ანა ბახტაძე გადაასახლეს. ობლად დარჩენილი ნოდარი ჯერ სოხუმში იზრდებოდა დეიდებთან სამი წლის განმავლობაში, შემდეგ კი ბებია - ოლღა ხინთიბიძე და ბაბუა - ქიშვარდი დუმბაძე ზრდიდნენ გურიაში, ჩოხატაურის რაიონის მშობლიურ სოფელ ხიდისთავში. საშუალო სკოლაც იქვე დაამთავრა და იმავე წელს სწავლის გასაგრძელებლად თბილისში დაბრუნდა. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკურ ფაკულტეტზე.

მწერალს აღიარება მოუპოვა პირველივე რომანებმა: “ მე, ბებია, ილიკო და ილარიონი” (1960 წ) და “მე ვხედავ მზეს “ (1962). 1975 წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია.

დუმბაძის თხზულებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, მოლდავურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, პოლონურ, იაპონურ, თურქულ, არაბულ და სხვა ენებზე. მისი რომანების მიხედვით დადგმულია სპექტაკლები, გადაღებულია ფილმები.

ნოდარ დუმბაძე გარდაიცვალა 1984 წელს. დაკრძალული იყო საბავშვო ქალაქ ,,მზიურში”.

2009 წელს მისი ნეშტიმთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს.

HELLADOS

I.

მეორე დღეს იანგული და პეტია სკოლის ალაყაფთან დაგვხვდნენ მე და ჩემს დეიდაშვილ კოკას. ერთი კი შემიქანდა გული, მაგრამ ისე ჩავუარე ორივეს, თითქოს გუშინ არაფერი მომხდარიყოს.

- სკრიპკა! - ხმა პეტიასი იყო, მე გავჩერდი.

- უნდა გელაპარაკო! - მომიახლოვდა იანგული.

- რაზე?

- აქ უხერხულია! - თქვა მან და სკოლიდან გამოსულ ბავშვებს და მასწავლებლებს გახედა.

- აბა, სად? - ვკითხე მე.

- რკინიგზის გაღმა, ხიდის ქვეშ.

- სადაც გინდა! - ვუპასუხე და გავყევი…

იანგული რკინიგზის ხიდის ქვეშ დადგა. აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა. კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. ჩვენც გავჩერდით.

- აჰა, მოვედი, რა გინდა? - ვკითხე იანგულის. იანგულიმ თავი ჩაღუნა, ერთხანს ასე იყო, რაღაცას ფიქრობდა. უცებ თავი ასწია.

- შენ გუშინ უბანში შემარცხვინე. ერთი დარტყმით დამსვი... არ ველოდი და იმიტომ დამსვი, პასუხი იმიტომ არ მიიღე, რომ ვერ ავდექი. მინდოდა ადგომა, მაგრამ ვერ ავდექი.

მისმა მშვიდმა და გულახდილმა ლაპარაკმა სულ გამაფუჭა.

- მე ამ უბნის ყოჩი ვარ და ყოჩად დავრჩები... - განაგრძო მან.

- მე არ მინდა შენი უბნის ყოჩობა, თავი დამანებე! - გულწრფელად ვუთხარი მეც.

- შენ რომ ჩემზე დიდი იყო, დაგანებებდი, მაგრამ შენ ჩემზე ერთი წლით პატარა ხარ, ამიტომ ვერ დაგანებებ თავს. უბანში ორი ყოჩი არ შეიძლება, ან შენ უნდა იყო, ან მე... უნდა ვიჩხუბოთ.

- ვიჩხუბოთ! - დავთანხმდი მე.

- პატიოსნად ვიჩხუბოთ! - თქვა იანგულიმ.

- პატიოსნად რას ჰქვია? - გამიკვირდა მე.

- არც პეტია, არც კოკა ჩხუბში არ უნდა ჩაერიონ. ქვა არ იყოს, წაქცეულის ცემა არ იყოს!

- ეგრე იყოს!

- თუ მოგერიე, ხვალ იმავე უბნის ბიჭებთან გცემ, რომლებთანაც დამსვი, მერე მოგეშვები! - გამაფრთხილა.

- ცემა მორევაზეა! - ვუთხარი მე.

არაფერი არ მიპასუხა, შავი სატინის ხალათი გაიხადა და მიწაზე დააგდო. გულმა რეჩხი მიყო, იმხელა გაშლილი მკერდი ჰქონდა, მარცხენა ძუძუს ზემოთ ლურჯი ლათინური ასოებით დასვირინგებული ჰქონდა სიტყვა HELLADOS...

ჩხუბი ორ-სამ წუთს გაგრძელდა. მე შეკრული მუშტებით ვჩხუბობდი. იანგული გაშლილი ხელით. ჩემი დარტყმული ყრუ ხმას გამოსცემდა, მისი კი ქვეყანას აზანზარებდა, ისეთი ლაწალუწი გაუდიოდა ჩემს ყბებზე. ცხვირიდან სისხლი წამსკდა. ვიდრე სისხლს ვიხოცავდი, იანგულიმ კიდევ ერთი სილა მაჭამა და ზუსტად ისე დავჯექი მიწაზე, როგორც გუშინ იანგული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იანგულის გუშინ არ შეეძლო ადგომა, მე კი შემეძლო, მაგრამ ჩემს ადგომას ფასი აღარ ჰქონდა - ჩხუბი წაგებული იყო.

II.

მეორე დღეს სკოლაში არ წავსულვარ, ჭრილობებს ვიშუშებდი.

მესამე დღეს რკინიგზის გადასასვლელი სავსე იყო უბნელი ბიჭებით. მთელმა ბირჟამ იცოდა უკვე ჩემი ცემის ამბავი. ყველა აქ იყო იანგულის გარდა. არავისთვის ხმა არ გამიცია, ჩანთა დავაგდე, ზედ დავჯექი და იანგულის მოსვლას დაველოდე.

- იანგული მოდის! - დაიძახა უცებ ვიღაცამ.

- ახლა დაიწყება ცირკი! - თქვა მეორემ.

- გამარჯობათ! - თქვა საერთო სალამი იანგულიმ და, მე რომ დამინახა ჩამომჯდარი, გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა.

- უნდა მეჩხუბო!

იანგული შეჩერდა და თვალი თვალში გამიყარა:

- მე მკრთალსახიანს ორი ხელით არ ვეჩხუბები. იგი დღეს ცალი ხელით უნდა გაილახოს. პეტია, გამოდი და შემიკარი ხელი!

ბიჭებმა აღტაცების ყიჟინა გაისმა. მე ელდა მეცა. პეტია მოვიდა, ქამარი წელზე შემოარტყა ისე, რომ მარცხენა ხელი შიგ მოაყოლა.

- ნუ არტისტობ, ხელი ამოიღე და ისე ვიჩხუბოთ! - ვუთხარი დაკარგული ხმით.

- მე შენთან ორი ხელით ჩხუბს არ ვიკადრებ, - თქვა იანგულიმ. ბიჭებს კვლავ აღტაცების ყიჟინა აღმოხდათ.

- მაშინ არ მინდა! - ვთქვი მე და ჩანთა ავიღე.

- გეშინია? - მკითხა იანგულიმ.

- კი არ მეშინია, არ მინდა. ხელი ამოიღე და ისედაც გცემ!

- მეჩხუბე, თორემ გცემ! - თქვა გაღიზიანებით იანგულიმ.

მე ჯიუტად გავიქნიე თავი. იანგული მომიახლოვდა და სილა გამაწნა. სახეზე ისე წამეკიდა ცეცხლი, თითქოს მდუღარე შემასხესო, მაგრამ ხელი არ შევუბრუნე. იანგულიმ მეორედ გამაწნა სილა, მერე მესამედ, შევატყვე, გამეტებით არ მირტყამდა, ეს უფრო გასილაქებას ჰგავდა, ვიდრე ჩხუბს. რომ არ შევუბრუნე ხელი, გაჩერდა. მე შევტრიალდი და წრიდან გავედი, ბიჭები უხმოდ ჩამომეცალნენ.

- ეე, სკრიპკა! - მომესმა ზურგს უკან პეტიას ხმა და უცებ გავიგონე გაშლილი ხელის საშინელი ლაწანი: ეს უკვე პეტიას ყბაზე გაღებული იანგულის ხელის ხმა იყო.

უკან არ მიმიხედავს, რადგან ვტიროდი და არ მინდოდა ბიჭებს ჩემი ცრემლი დაენახათ. ერთს კი მივხვდი - დღევანდელი ჩხუბი იანგულიმ წააგო.

III.

მეორე დღეს საღამოს ხიდის ქვეშ ველოდი იანგულის. მოვიდა. ხმა არ გაუცია ჩემთვის, ვირი ღობეს მიაბა, ხალათი გაიხადა, ვირის კეხზე გადაჰკიდა და მე კვლავ წავიკითხე მის გაშლილ მკერდზე მაგიური სიტყვა - HELLADOS.

დღეს ჩვენი ჩხუბის მოწმე მხოლოდ ვირი იყო.

ჩხუბი ამჯერად უფრო დიდხანს გაგრძელდა. პირველმა იანგულიმ დამარტყა, მაინც დამასწრო. არ წავქცეულვარ, მხოლოდ წავიფორთხილე. მეორე რომ მომიქნია, თავი უკან გადავწიე და მისმა გაშლილმა ხელმა შხუილით ჩამიქროლა ცხვირწინ. მოქნეული, ისე ძლიერად იყო, იანგულიმ თავი ვერ შეიკავა და ახლა იგი გვერდულას იდგა ჩემს წინ. ვიდრე კვლავ შემოტრიალდებოდა, რაც ძალი და ღონე მქონდა, მუშტი ყბაში მოვდე. იანგული სახით სილაში ჩაემხო. ერთხანს გაუნძრევლად იდო. არ მეგონა, თუ ადგებოდა, მაგრამ უცებ წამოხტა და საოცარი სისწრაფით გამოქანდა ჩემკენ. მისი გაშილილი ხელი და ჩემი მუშტი ერთდროულად მოხვდა მიზანს, დავრეტიანდი, ცალ მუხლზე დავიჩოქე და უნებურად სახეზე ხელები ავიფარე. ხელები რომ მოვიცილე და თვალი გავახილე, იანგული ზუსტად ისეთივე პოზაში იყო ჩაჩოქილი, როგორც მე, გახეთქილი ტუჩიდან სისხლს იხოცავდა. მეც მჟონავდა სისხლი ცხვირიდან. თავს ძალა დავატანე და წამოვდექი. წამოდგა იანგულიც.

დიდხანს ვუცქეროდით ერთმანეთს უხმოდ. მე მისი მძიმე და ღრმა სუნთქვა მესმოდა, ალბათ იმას - ჩემი. ყოველ წუთს ველოდი თავდასხმას. მაგრამ საოცარი ის იყო, ჩხუბის აღარც ხალისი მქონდა, აღარც სურვილი. რაღაც შინაგანი კმაყოფილება დამეუფლა. მივხვდი, რომ დღეიდან იანგული ველარასოდეს დამჩაგრავდა.

- გვეყოფა! - თქვა იანგულიმ და მკლავები ჩემოუშვა.

- გვეყოფა! - ვთქვი მეც და შვებით ამოვისუნთქე. ოღონდ ხვალ ბიჭებთან უნდა ვიჩხუბოთ! - დავაყოლე ყოველი შემთხვევისთვის.

- არ გინდა, ბიჭებს მე ვეტყვი, რომ მაგარი ხარ, ოღონდ ყოჩობას ვერ დაგითმობ. - ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა მან.

- არც მინდა! - ვთქვი მე.

- თუ გინდა, მეორე ყოჩი იყავი! - შემომთავაზე მოადგილეობა.

- არ მინდა, შენ შენთვის, მე ჩემთვის! - ვიუარე ისევ, შემოვტრიალდი და წამოვედი.

- მოიცა! - მითხრა მან. მე გავჩერდი. - ასე არ ივარგებს. ყოველდღე ხომ არ ვიჩხუბებთ, მოდი ხვალიდან ვაგინოთ ერთმანეთს, ვინც აჯობებს, იმის იყოს!

- იმისი იყოს! - დავთანხმდი.

მეორე დღეს მე და იანგული კვლავ ბიჭების წრეში ვიდექით და უშვერი სიტყვებით ვამკობდით ერთმანეთს. ასე გრძელდებოდა მთელი ნახევარი წელიწადი.

IV.

მზიანი დღე იყო. მე და კოკა სკოლიდან ვბრუნდებოდით. რკინიგზის გადასასვლელთან რომ მივედით, იანგულმა დამინახა თუ არა, თამაშს თავი დაანება და ჩემკენ წამოვიდა. არ დამასწროს-მეთქი და გინება გზაზე შევაგებე.

- იანგული, შენი დედა ვატირე! - იანგული მონუსხულივით შედგა და თვალებში შემომხედა. დიდხანს ველოდი პასუხს, მაგრამ ხმას არ იღებდა.

- შენი დედა ვატირე, იანგული! - გავიმეორე მე.

იანგულიმ თავი დახარა, შეტრიალდა და ასე თავდახრილი ნელი ნაბიჯით წავიდა. მე გაკვირვებული ვუცქერდი სახლისაკენ მიმავალ იანგულის.

- ნახე, როგორ გაიძურწა, გათავდა მაგის ყოჩობა! - ვუთხარი კოკას.

- გათავდა კი არა, ახლა დაიწყო! - მიპასუხა კოკამ და ცალყბად გაიღიმა.

- როგორ?

- გაჯობა და ისე!

- მაშ, რატომ არ შემაგინა?

- გუშინ მკითხა, ჯემალის დედა სად არისო. მე ვუთხარი, აღარ არის-მეთქი, იმიტომ არ შეგაგინა,- თქვა კოკამ.

ელდა მეცა...

იმ დღიდან იგი ერთი ათად გაიზარდა ჩემს თვალში. ჩვენ შორის სამუდამოდ დამთავრდა ომი და ქიშპობა, მაგრამ მე და იანგული დიდი მეგობრები მაინც არ გავმხდარვართ. შეხვედრისას უბრალოდ ხელის აწევითა და ღიმილით ვესალმებოდით ერთმანეთს.

ჩესტერფილდის წერილი ვაჟიშვილს

ჩემო კარგო ბიჭო,

1. ყოველ კაცს დიახაც უნდა შესწევდეს იმის უნარი, სხვებს მოაწონოს თავი, მაგრამ ამ უნარის შეძენა არც ისე იული საქმეა. არა მგონია, საამისოდ გარკვეული წეს-კანონები არსებობდეს, ასე რომ საკუთარი ჭკუა და დაკვირვება უფრო მეტს გიკარნახებს, ვინემ ჩემი რჩევა და დარიგება.

2. მოექეც სხვებს ისე, როგორც შენ თვითონ გინდა მოგექცნენ, იმაზე უტყუარი ხერხი მე სხვა არც მეგულება. კარგად დაუკვირდი, სხვებში რა მოგწონს და ადვილი შესაძლებელია, შენშიაც იგივე მოეწონოს სხვებს. შენი სულისკვეთება იმ საზოგადოებაში გამეფებული სულისკვეთებას სადაც იმყოფები, ნუ შეეცდები საკუთარი მოახვიო თავს. არ უნდა შეაწყინო ხალხს თავი რაიმე ამბის მოყოლით. შენ თუ გულითა და სულით მოწადინებული ხარ კეთილგანწყობა და მეგობრობა მოიპოვო ამა თუ იმ ხალხისა, შეეცადე გამოიცნო, რა არის ყველაზე დიდი ღირსება ან ყველაზე სუსტი მხარე მათი ხასიათისა.

3. შენ სულ ადვილად შეგიძლია გამოიცნო ყოველ კაცს პატივმოყვარეობის რა ჭია ღრნის, უკეთუ მიაქცევ ყურადღებას , რაზე უფრო უყვარს ლაპარაკი. მცდარად არ გამიგო და არ იფიქრო, თითქოს სულმდაბალ, სამარცხვინო ლიქნობას გირჩევ. თავშიც არ გაივლო, ვისიმე ბიწიერება ან ბოროტი საქმენი შეაქო. **მაგრამ ამ ქვეყნად კაცი ვერ იცხოვრებს, თუ გულმოწყალებას არ გამოიჩენს სხვებისს პატარა ცოდვებისა და სინამდვილეში უწყინარ, თუმცა ხანდახან სასაცილო პატივმოყვარეობის მიმართ.** თუკი მამაკაცს უნდა უფრო ჭკვიანად მიიჩნიონ, ვიდრე სინამდვილეში არის, ქალს კი უფრო ლამაზად, ეს მცდარი წარმოდგენა ორივესთვის სასიკეთოა, ირგვლივ მყოფთათვის კი უვნებელი. პატარა ყურადღება სხვა უფრო დიდი სამსახურზე მეტად აამებს ხოლმე ადამიანის თავმოყვარეობას, ვინაიდან აფიქრებინებს, ლამის მთელი შენი ზრუნვა და მონდომება მარტოოდენ იმისკენაა მიმართული,

რაიმეთი ასიამოვნო.

4. აი, პატარა საიდუმლოებანი, რაც უთუოდ უნდა იცოდეს მაღალ საზოგადოებაშო მოხვედრილმა კაცმა. ნეტამც შენს ასაკში უკეთ მცოდნოდა ეს ამბები, მაშინ ჩემი ცხოვრების ორმოცდაცამეტ წელს აღარ შევალევდი ამ ცოდნის შეძენას, ამიტომაც **წინააღმდეგი არ ვიქნები, თუ ჩემი არც ისე მცირე გამოცდილებით ახლავე ისარგებლებ და შენდა სასიკეთოდ მოიხმარ მას.**

მშვიდობით!..

გრაფი ჩესტერფილდი

ჩარლი ჩაპლინის წერილი ქალიშვილს

ჩემო გოგონა,

ახლა ღამეა. შობა ღამე. ჩემს პატარა ციხესიმაგრეში ყველა უაბჯრო მეციხოვნემ ძილს მისცა თავი. სძინავს შენს და-ძმას. დედაშენსაც კი ჩაეძინა. შენ ისე შორს ხარ ჩემგან... მაგრამ დაე, თვალისჩინი წამერთვას, თუ ახლაც, ამ წუთს, შენს სურათს არ ვუმზერდე. ის აქ არის, მაგიდაზე, ჩემს გულთან ახლოს. შენ კი სადა ხარ? შორს, ზღაპრულ პარიზში. ელისეს მინდვრების თეატრში. დიდებულ სცენაზე ცეკვავ. ხომ კარგად ვიცი ეს, მაგრამ მაინც, წყნარი ღამის მდუმარებაში თითქოს ცხადად ჩამესმის შენი ნაბიჯების ხმა. ვხედავ შენს თვალებს, ზამთრის ცაზე გაბნეული ვარსკვლავებივით რომ კიაფობენ. ვიცი, ამ ღამაზ სპექტაკლში ხანისგან დატყვევებული სპარსელი მზეთუნახავის როლს ასრულებ. იყავი მზეთუნახავი და იცეკვე. იყავი ვარსკვლავი და იკაშკაშე. მაგრამ თუკი მაყურებლის მადლობამ და აღტაცებამ დაგათროს, თუ მორთმეული ყვავილების სურნელებამ თავბრუ დაგასხას, განმარტოვდი სადმე კუთხეში და ჩემი წერილი წაიკითხე, ყური მიუგდე მამაშენის ხმას. მე მამაშენი ვარ, ჯერალდინა! მე ჩარლი ჩაპლინი ვარ, ჩარლი ჩაპლინი!

...იცი კი, რამდენჯერ დამთენებია შენს სასთუმალთან? სულ პაწია ზღაპრებს გიყვებიდი! – ხან მძინარე მზეთუნახავისას, ხან ბოროტი გველეშაპისას. ხოლო როცა ჩემს ბებერ თვალებს ძილი წამოეპარებოდა, დავცინოდი მას და ასე ვეუბნებოდი: "გამშორდი! მე ჩემი გოგოს ოცნებები მეზმანებიან!" მე ვხედავდი შენს ოცნებებს, ჯერალდინა. ვხედავდი შენს მომავალს, შენს დღევანდელ დღეს! ვხედავდი სცენაზე მოცეკვავე ასულს, ცაზე მოფარფატე ფერიას. მესმოდა, როგორ ლაპარაკობდნენ ხალხში: "ხედავთ ამ გოგონას? ერთი ბებერი კლოუნის ქალიშვილია, არ გახსოვთ ჩარლის რომ ეძახდნენ?"

ჰო, მე ჩარლი ვარ! ბებერი მასხარა. დღეს შენი ჯერია. იცეკვე! მე ფართხუნა, დაკონკილი შარვლით ვცეკვავდი, შენ პრინცესას აბრეშუმის სამოსი გმოსავს. ეგ ცეკვა და ტაშის გრიალი დროდადრო ცაში აგტყორცნის. გაფრინდი, გაფრინდი იქით... მაგრამ ხანდახან მიწაზეც დაეშვი! შენ უნდა ნახო ხალხის ცხოვრება – ცხოვრება იმ ქუჩის მოცეკვავეებისა, შიმშილისაგან დაოსებულნი, სიცივითა და სიღატაკით ათრთოლებულნი რომ როკავენ! მათი ხვედრი მეც მიწვნევია, ჯერალდინა. იმ ჯადოსნურ ღამეებში, შენ რომ ჩემს ზღაპრებთან იძინებდი, მე არ მეძინა. დავყურებდი შენს საყვარელ სახეს, ვუსმენდი შენი გულისფეთქვას და ჩემს თავს ვეკითხებოდი: "ჩარლი, ნუთუ ეს ღლაპი შენ ოდესმე გაგიცნობს?" შენ არ მიცნობ მე, ჯერალდინა... იმ შორეულ ღამეებში უამრავ ზღაპარს გიყვებოდი, მაგრამ ჩემი ზღაპარი არასოდეს მიამბია... ისიც ძალიან საინტერესო ზღაპარია, ჯერალდინა. ზღაპარი მშიერი

მასხარისა, ლონდონის ღატაკთა კვარტლებში რომ მღეროდა და ცეკვავდა, მერე კი ... მოწყალებას აგროვებდა! აი, ჩემი ზღაპარი! მე ვიცი, რა არის შიმშილი, ვიცი, რას ნიშნავს უსახლკარობა! ეგ კიდევ რაა, მე გამოვცადე დამამცირებელი ტკივილი მოხეტიალე მასხარისა, რომლის მკერდში მობობოქრე სიამაყის ოკეანე სამოწყალოდ გადაგდებულ მონეტებს უნდა დაეშრო. მაგრამ მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ცოცხალი ვარ, ცოცხლებზე კი მუდამ ცოტას ლაპარაკობენ.

შენ ჩემი გვარისა ხარ – ჩაპლინი! ლამის ნახევარი საუკუნე ეს გვარი მთელს დედამიწას აცინებდა. მაგრამ ის სიცილი რაა იმასთან, რაც მე მიტირია, ჯერალდინა. სამყარო, სადაც შენ ცხოვრობ, მარტო ცეკვის და მუსიკის საუფლო როდია!...

... ჯერალდინა! შუაღამისას იმ დიდებული დარბაზიდან რომ გამოხვალ, დაივიწყე შენი მდიდარი თაყვანისმცემლები, მაგრამ არ დაგავიწყდეს ტაქსის შოფერს ცოლის ამბავი გამოჰკითხო. შეიძლება ცოლი ფეხმძიმედ ჰყავს და იმის ფულიც არა აქვთ, რომ თავიანთი პირმშოსათვის სახვევები იყიდონ. თუ ასეა, ადექი და ჩაუდე ფული ჯიბეში. მე ბანკში ნათქვამი მაქვს, რომ ეს ხარჯები გაგისტუმრონ. სხვას კი მუდამ ყველას ზუსტად გადაუხადე! დროდადრო მეტროში ჩადი. ქალაქი დაათვალიერე, იარე ფეხით ან ავტობუსით. ხალხს დააკვირდი! ქვრივ-ობლებს შეხედე! და თუნდაც დღეში ერთხელ მაინც შენს თავს უთხარი: "მეც ერთ-ერთი ამათთაგანი ვარ!"

დიახ, შენ ერთ-ერთი იმათაგანი ხარ, ჩემო გოგონა. ხელოვნება, სანამ ცაში ასაფრენად ფრთებს უბოძებდეს ადამიანს, ჯერ ფეხებში ურტყამს... როცა დადგება წამი და იგრძნობ, როგორ მაღლდები მაყურებელზე, მაშინვე გადი სცენიდან. პირველივე ტაქსი დაიჭირე და პარიზის გარეუბნებს მიაშურე. მე კარგად ვიცნობ ამ უბნებს. იქ იხილავ მოცეკვავე ქალიშვილებს – შენსავე მსგავსთ, შენზე უფრო გრაციოზულებს, შენზე ამაყებს. შენი თეატრის პროჟექტორების თვალისმომჭრელ ელვარებას იქ ვერსად ნახავ! მათი სცენის პროჟექტორი მთვარეა. დააკვირდი, აბა, კარგად დააკვირდი: შენზე უკეთ ხომ არ ცეკვავენ? გამოტყდი, ჩემო გოგონა. ცოტას როდი შეხვდები ისეთს, ვინც შენზე უკეთ ცეკვავს, ვინც შენზე კარგად თამაშობს. და ეს გახსოვდეს: ჩარლის ოჯახში არასოდეს ყოფილა ვინმე ისეთი ხეპრე, რომ მეეტლესათვის უკმეხი სიტყვა ეთქვას ან სენის სანაპიროზე მჯდარი მათხოვრისთვის დაეცინოს...

ჩარლი წავა, ჯერალდინა, და შენ იცოცხლებ... მე არ მინდა, ოდესმე სიღატაკე გამოსცადო. ამ წერილთან ერთად გიგზავნი ჩეკის წიგნაკს – ხარჯე, რამდენსაც მოისურვებ, ოღონდ გახსოვდეს: ორ ფრანკს რომ დახარჯავ, შენს თავს უთხარი, მესამე მონეტა ჩემი არ არის-თქო. იგი ეკუთვნის ვინმე სხვას, უცნობს, ვისაც ის ერთი ფრანკიც სანატრელი აქვს. მისი პოვნა არ გაგიჭირდება. საკმარისია მოინდომო და ამ უცნობ ღატაკებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახავ. ფულზე იმიტომ გელაპარაკები, რომ კარგად ვიცი ამ დემონის მაცდური ძალა...

ჯერალდინა, მე დიდხანს გამოვდიოდი ცირკში და მუდამ შიშით შევცქეროდი ბაგირზე ასულ ჯამბაზებს, მაგრამ აი, რა მინდა გითხრაჩემო გოგონა... ადამიანს ძირს, მყარ მიწაზე უფრო ადვილად შეიძლება ფეხი დაუცდეს, ვიდრე ჯამბაზს იმ ვერაგ თოკზე. შეიძლება ამ საღამოს თვალი მოგტაცოს რომელიმე ბრილიანტის ელვარებამ და მაშინ შენი დაცემა გარდაუვალია. შეიძლება დადგეს დღე და უცხო პრინცის მშვენიერმა სახემ დაგატყვევოს. იმ წუთიდან შენ უცადი მუშაითი ხარ, გამოუცდელებს კი ბაგირი მუდამ ღალატობს, ნუ გაყიდი შენს გულს ოქროსა და სამკაულისთვის. იცოდე, ყველაზე დიდი ბრილიანტი მზეა, ის კი, ჩვენდა საბედნიეროდ, ყველას ერთიანად დაგვნათის.

ხოლო, როცა ჟამი დაჰკრავს და სიყვარული გეწვევა, გულით შეიყვარე შენი რჩეული...სამუშაო ძნელი გაქვს, ვიცი... სხეულს სიფრიფანა აბრეშუმის ნაჭერი გიფარავს. ხელოვნების სახელით

სცენაზე შეიძლება შიშველიც გამოხვიდე, მაგრამ იქიდან კიდევ უფრო უმწიკვლო და შემოსილი უნდა დაბრუნდე...

მე ბებერი ვარ და ჩემი სიტყვები შეიძლება სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ მაინც, ასე მგონია, შენი შიშველი სხეული იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც შენს გაშიშვლებულ სულს შეიყვარებს. რა ვუყოთ მერე, თუ ჩემი შეხედულება ამ საკითხზე მოძველებული გამოჩნდება, თუ ასე ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ფიქრობდნენ. ნუ გეშინია, ეგ ათი წელი ვერ დაგაბერებს... ჯერალდინა, მე მინდა რომ შენ ამ შიშველთა კუნძულის უკანასკნელი ქვეშევრდომი იყო...

მე ვიცი, მამებს და შვილებს ნიადაგ ბრძოლა აქვთ ერთმანეთში. მეომე ჩემო გოგონა, ჩემს აზრებს ეომე. მე არ მიყვარს მორჩილი შვილები. და ვიდრე ამ ბარათს ჩემი ცრემლი არ დასდენია, მინდა მჯეროდეს, რომ ეს შობაღამე სასწაულების ღამეა. მინდა მოხდეს სასწაული და შენ მართლა გაიგო ყველაფერი, ყველაფერი, რაც შენთვის მინდოდა მეთქვა.

ჩარლი დაბერდა, ჯერალდინა! ადრე თუ გვიან თეთრი სასცენო კაბის მაგიერ შავებში უნდა გამოეწყო და ჩემს საფლავზე მოხვიდე. ახლა არ მინდა გული გატკინო, მაგრამ ხანდახან სარკეში ჩაიხედე – იქ მე დამინახავ. შენს ძარღვებში ჩემი სისხლი ჩქეფს. მე მინდა, რომ მაშინაც კი, როცა ჩემს ძარღვებში სისხლი დინებას შეწყვეტს, არ დაივიწყო მამაშენი ჩარლი. მე ანგელოზი არ ვყოფილვარ, მაგრამ მუდამ ვცდილობდი, ადამიანი ვყოფილიყავი. ეცადე შენც.

გკოცნი, ჯერალდინა

შენი ჩარლი.

ადამიანი და ბუნება

მეცნიერების შეშფოთება

მეცნიერები შემაშფოთებელ განცხადებებს აკეთებენ - მსოფლიოს სხვადასხვა ადგილიდან თანდათან ქრებიან მცენარეთა და ცხოველთა გარკვეული სახეობები. თუ ასე გაგრძელდა, სავარაუდოდ, 25 წელიწადში საერთოდ გაქრება გველებისა და ფუტკრების ყველა სახეობა.

გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა ლომების, ლეოპარდების, ავაზებისა და, განსაკუთრებით, ვეფხვების რაოდენობა. ორი ათწლეულის შემდეგ შეიძლება აღარც იარსებოს დიდი კატების უმეტესობამ.

ტიპპი დეგრე

ტიპპი ბენჯამინ ოკანტი დეგრე, ეს ფრანგი გოგონა “მაუგლის” ნამდვილი სახელია, რომელმაც ბავშვობა აფრიკაში გაატარა.

ფრანგმა ფოტოგრაფებმა, სილვია რობერტიმ და ალენ დეგრემ, ერთმანეთი კალაჰარის უდაბნოში გაიცნეს. 1990 წელს კი მათ ნამიბიაში ქალიშვილი ტიპპი შეეძინათ, რომელიც ველურ ცხოველებთან ერთად იზრდებოდა.

„ის ძალიან იღბლიანი პატარა გოგონა იყო, რადგან დაიბადა და 10 წლამდე სრულიად ველურ გარემოში იზრდებოდა. აქ მხოლოდ ჩვენ სამნი ვცხოვრობდით ცხოველებთან ერთად, ადამიანთა გარემოცვის გარეშე. ტიპპი ყოველთვის ამბობდა, რომ ყველა რაღაც ნიჭით იყო დაჯილდოვებული და ეს მისი ნიჭი იყო. მას სჯეროდა, რომ ცხოველები მისი მეგობრები იყვნენ და ასეთ განსხვავებულ პირობებში საცხოვრებლად მას თავისი წარმოსახვა ეხმარებოდა“, - იგონებს სილვია.

მოგვიანებით მასზე არაერთი დოკუმენტური ფილმი გადაიღეს. გამოიცა წიგნები მის შესახებ, დაიწერა სტატიები, დაიბეჭდა მისი ინტერვიუები.

ის ახლა პარიზში ცხოვრობს დედასთან ერთად, თუმცა თავს აფრიკელად მიიჩნევს. ნამიბიის მოქალაქეობა სურს და ცხოვრების მთავარ მიზნად გარემოზე ზრუნვას ასახელებს. ის ველური ბუნების დაცვის საერთაშორისო საბავშვო ფონდის სპიკერია. ტიპპი დეგრეს მთავარი დევიზია - სანამ ძალიან გვიან არ იქნება, გადავარჩინოთ ველური ბუნება!

ფიროსმანი და ვაჟას შველი

„მიხომ მთხოვა, კარგი რამე დამეხატა მის დუქანში, ბუფეტის მოპირდაპირე დიდ კედელზე. მე გამეხარდა და დავიწყე ხატვა. მიხოს მოსწონდა დახატული ტყე, მთები, პატარა წყარო და მიქებდა კიდეც ნახატებს. მაგრამ შემდეგ, როდესაც წითელი საღებავებით შევაფერადე შვლის მოჭრილი ყელი და ბალახზე დაღვრილი სისხლი, მიხუამ წამაშლევინა ნამუშევარი. მის ნაცვლად კი მეზურნეები, მედოლე ბაგრატა და მოცეკვავე ყარაჩოღელები დამახატინა. სამი დღის ნამუშევარი წყალში გადამიყარა და ვერ შევძელი თქვენი მოთხრობის თემაზე სურათის დახატვა“.

პარალელები

აღმოაჩინე შენს თავში პატარა უფლისწული!

„პატარა უფლისწული“

1. კარგა ხანი მოვუნდი იმის გაგებას, თუ საიდან მოვიდა იგი ამ უდაბნოში. პატარა უფლისწული კითხვებს კითხვებზე მაყრიდა, ჩემს კითხვებზე კი სიტყვას ბანზე მიგდებდა. შემთხვევით თუ წამოსცდებოდა თითოოროლა სიტყვა, რომელთა შემწეობითაც თანდათან აეხადა ფარდა ყველაფერს.

ასე მაგალითად, პირველად რომ დაინახა ჩემი თვითმფრინავი (თვითმფრინავს არ დავხატავ, რადგან იგი გაცილებით უფრო ძნელი დასახატია), შემეკითხა:

- რა საგანია ეს?

- ეს საგანი არ არის. ამან ფრენა იცის. ეს თვითმფრინავია, ჩემი თვითმფრინავი. და მე თავმომწონედ ვამცნე მას, რომ ფრენა შემეძლო.

- როგორ! შენ ციდან ჩამოვარდი?! - წამოიძახა მან.

- ჰო, - გულიბრყვილოდ მივუგე მე.

- საოცარია... მაშ, შენც ციდან მოხვედი! რომელია შენი პლანეტა? ამ სიტყვებმა უეცრად მოფინა ნათელი მისი აქ მოსვლის საიდუმლოს და საჩქაროთ შევეკითხე:

- შენ სხვა პლანეტიდან ხარ?...

- იქ, სადაც მე ვცხოვრობ, ყველაფერი ძალიან პატარაა! - დინჯად შენიშნა პატარა უფლისწულმა.

2. უაღრესად საყურადღებო რამ შევიტყვე: პლანეტა, საიდანაც პატარა უფლისწული მოვიდა, სახლზე ოდნავ დიდი ყოფილა მხოლოდ. მაგრამ მე ეს არ გამკვირვებია. კარგად ვიცოდი, რომ გარდა ისეთი დიდი პლანეტებისა, როგორიცაა დედამიწა, იუპიტერი, მარსი და ვენერა, რომლებსაც ჩვენ სახელებიც კი შევაქვით, არსებობს მრავალი სხვა პლანეტა, რომელთა შორისაც ზოგი ისეთი პატარაა, რომ მათი დანახვა ტელესკოპითაც კი ჭირს. როცა ასტრონომი ასეთ პლანეტად აღმოაჩენს, იგი მას სახელის ნაცვლად ნომრით აღნიშნავს. მაგალითად, „ასტეროიდი 3251“. მე სერიოზული საფუძველი მქონდა მეფიქრა, რომ პლანეტა, საიდანაც პატარა უფლისწული მოვიდა, ასტეროიდი ბ612 უნდა ყოფილიყო. ეს ასტეროიდი მხოლოდ ერთხელ, 1909 წელს შენიშნა ტელესკოპით ერთმა თურქმა ასტრონომმა. ამ აღმოჩენის შესახებ მან ვეებერთელა მოხსენება წარუდგინა საერთაშორისო ასტრონომიულ კონგრესს. მაგრამ, რადგან ასტრონომს ეროვნული ტანსაცმელი ეცვა, არავინ დაუჯერა. ასეთი უცნაური ხალხია ეს დიდები!

3. ყოველდღიურად რაღაც ახალს ვიგებდი უფლისწულის პლანეტაზე, იმაზე, თუ როგორ დატოვა მან იგი, ანდა, როგორ იმოგზაურა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიყვებოდა პატარა უფლისწული თავის ამბებს, როცა შემთხვევით სიტყვა მოიტანდა.

როგორც შევიტყვე, პატარა უფლისწულის პლანეტაზე, ისევე როგორც ყველა დანარჩენ პლენეტაზე, კარგი მცენარეებიც ხარობს და ცუდიც. კარგ მცენარეს კარგი თესლი გამოაქვს, ცუდს კი - ცუდი, მაგრამ თესლი უხილავია. მას მშვიდად სძინავს მიწის იდუმალ წიაღში, სანამ გამოღვიძებას არ მოისურვებს. და აი - პატარა თესლი თვალებს მოიფშვნეტს, გაიზმორებს და გაუბედავად აღმართავს მზისკენ მშვენიერ, უწყინარ, პატარა ყლორტს. თუ ეს ბოლოკის ან ვარდის ყლორტია, დე იხაროს, სადაც მოესურვება. მაგრამ თუ იგი ცუდი მცენარეა. მაშინვე უნდა ამოიძირკვოს.

4. ო, პატარა უფლისწულო. მე თანდათან შევიტყვე შენი სევდიანი ცხოვრების ამბავი. დიდი ხნის განმავლობაში შენი ერთადერთი გასართობი ჩამავალი მზის ცქერა ყოფილა. ეს ახალი აბავი ჩვენი გაცნობის მეოთხე დღეს შევიტყვე, როცა მითხარი:

- ძალიან მიყვარს მზის ჩასვლა: წამოდი, ვუცქიროთ.

- კი მაგრამ, საჭიროა დავიცადოთ... - რას უნდა დავუცადოთ? - მზის ჩასვლას.

პატარა უფლისწულის პატარა პლანეტაზე, საკმარისი იყო რამდენიმე ნაბიჯზე გადაგედგა სკამი და, როცა მოისურვებდი, მაშინ დაგენახა დაისი...

- ერთ დღეს ორმოცდასამჯერ ვუცქირე მზის ჩასვლას! და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დასძინა: - როცა ადამიანს უმძიმს, მზის ჩასვლის ცქერა უყვარს...

- მაშ იმ დღეს, როცა ორმოცდასამჯერ უცქირე მზის ჩასვლას, ძალიან გიმძიმდა?

პატარა უფლისწულმა ხმა არ გამცა.

5. - მე ერთი პლანეტა მეგულება, სადაც წითური კაცი ცხოვრობს. მას არასოდეს უყნოსია ყვავილის სურნელება, არასოდეს შეუხედავს ვარსკვლავებისათვის, არასოდეს ყვარებია ვინმე და რიცხვების შეკრება-გამოკლების მეტი არაფერი გაუკეთებია. მთელი დღე შენსავით ერთსა და იმავეს იმეორებს: საქმის კაცი ვარ, სერიოზული კაცი ვარო, და ამპარტავნად იბღინძება. მაგრამ იგი კაცი ხომ არ არის. იგი სოკოა!

- რა არის?

- სოკო!

პატარა უფლისწული მთლად გაფითრდა მრისხანებისაგან.

- მილიონი წლებია ყვავილები ეკლებს ისხამენ, მილიონი წლებია ბატკნები ყვავილებს მაინც ჭამენ. ნუთუ სერიოზული საქმე არ არის იმის გაგება, რატომ შრომობენ ყვავილები ეკლების გამოსასხმელად, რომლებიც მათ არაფრად არგიათ. ნუთუ არაფერია ის, რომ ბატკნები და ყვავილები ერთმანეთს მტრობენ? განა ეს უფრო მნიშვნელოვანი და უფრო სერიოზული არ არის, ვიდრე იმ ჩასუქებული წითელი ვაჟბატონის არითმეტიკა? თუ მე ქვეყნად ერთადერთი ყვავილი მეგულება, რომელიც მხოლოდ ჩემს პლანეტაზე ხარობს, და თუ პატარა ბატკანს ერთ მშვენიერ დღეს შეუძლია მოსპოს იგი, ისე რომ არც კი იცოდეს რას აკეთებს, განა ეს მნიშვნელოვანი არ არის?

პატარა უფლისწულს სახე წამოუფაკლდა. მან მეტი ვერაფერი თქვა და უეცრად აქვითინდა. ბინდი ჩამოწვა... აღარ ვიცოდი, რა მეთქვა, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, როგორ ჩავწვდომოდი მის სულს, როგორ ამოვდგომოდი მხარში... ცრემლების ქვეყანა ხომ ისეთი იდუმალებით მოცული სამყაროა.

6. მალე შემთხვევა მომეცა უფრო ახლოს გამეცნო ეს ყვავილი. პატარა უფლისწულის პლანეტაზე ყოველთვის ხარობდნენ უბრალო ყვავილები, რომლებსაც ფურცლები მხოლოდ ერთ წყებად ჰქონდათ, ძალიან მცირე ადგილი ეკავათ და არავის აწუხებდნენ თავიანთი არსებობით. დილით ისინი მორცხვად გამოიხედავდნენ ბალახებიდან და იმავე საღამოს ქრებოდნენ. ერთ დილას კი თესლიდან, რომელიც არავინ იცის, საიდან გაჩნდა პატარა უფლისწულის პლანეტაზე, მოულოდნელად ახალი ყლორტი ამოიზარდა. პატარა უფლისწული ყურადღებით დააცქერდა ახალ მორჩს, რომელიც მისი პლანეტის არცერთი სხვა მცენარის ღეროს არ ჰგავდა. ბუჩქმა მალე შეწყვიტა ზრდა და კოკორი გამოიღო. პატარა

უფლისწულმა, რომელსაც არასოდეს ენახა ასეთი კოკორი, მაშინვე იგრძნო, რომ რაღაც სასწაული უნდა მომხდარიყო. ყვავილი გულდასმით ირჩევდა ფერებს და ნელ-ნელა იმოსებოდა საგანგებოდ შერჩეული ნაირ-ნაირი ფურცლებით. მას არ სურდა ულაზათოდ მოსულიყო ამქვეყნად, როგორც ეს მინდვრის ყაყაჩოებს სჩვევიათ ხოლმე. სურდა ყველასათვის მოეჭრა თვალი თავისი სინატიფით. იგი დიდი კეკლუცი არსება იყო!

პატარა უფლისწულმა ვერ დაფარა თავისი აღტაცება:

- რა მშვენიერი ხართ! - მართლა? - ნაზად მიუგო ყვავილმა.

- მე ხომ მზესთან ერთად დავიბადე.

პატარა უფლისწული, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ იგი მაინცა და მაინც კდემამოსილი არ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, მომხიბვლელი რამ იყო!

მალე ყვავილმა თავისი ცუდმედიდობით და ჭირვეულობით მთლად გააწამა საბრალო უფლისწული. თუმცა პატარა უფლისწული თავს ევლებოდა თავის სატრფოს, მაგრამ მალე შეერყა მისდამი რწმენა. იგი გულდასმით უსმენდა მის უმართებულო სიტყვებს და ძალიან უბედურად თვლიდა თავს.

და პატარა უფლისწულმა თავისი პლანეტიდან გაქცევით უშველა თავს. მან ექვსი პლანეტა გამოიარა და მეშვიდე პლანეტა, რომელსაც იგი ეწვია, დედამიწა იყო.

7. დედამიწაზე რომ დადგა ფეხი, პატარა უფლისწულს ძალიან გაუკვირდა, რომ ვერავინ დაინახა. ვაითუ, სხვა პლანეტაზე მოვხვდი, გაუელვა ფიქრმა, მაგრამ ამ დროს სილაში რაღაც დაგორგლილი შეირხა, რომელსაც მთვარის სხივის ფერი დაჰკრავდა.

- საღამო მშვიდობისა, - გაეხმიანა მას პატარა უფლისწული ყოველი შემთხვევისთვის.

- საღამო მშვიდობისა, - მიუგო გველმა.

- რომელ პლანეტაზე ჩამოვედი? - იკითხა პატარა უფლისწულმა.

- დედამიწაზე, - მიუგო გველმა. - აფრიკაში.

- ა!.. დედამიწაზე ადამიანი არ ცხოვრობს?

- ეს უდაბნოა. უდაბნოში კი არავინ ცხოვრობს. დედამიწა დიდია, - უთხრა გველმა.

პატარა უფლისწული ქვაზე ჩამოჯდა და ზეცას მიაპყრო თვალი.

- ნეტავ რატომ კიაფობენ ვარსკვლავები, - ჩაილაპარაკა მან, - ალბათ იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან, ყველამ უნდა იპოვოს თავისი ვარსკვლავი. შეხედე, აი ჩემი პლანეტა - იგი სწორედ ჩვენს ზემოთაა, მაგრამ რა შორსაა აქედან!

- ლამაზი პლანეტაა, - თქვა გველმა. - რამ მოგიყვანა აქ?

- ყვავილს დავემდურე.

- ა!.. და ორივენი დადუმდნენ.

- ადამიანები სად არიან? - ისევ იკითხა პატარა უფლისწულმა, - უდაბნოში ცოტა არ იყოს, მარტოობაა...

- ადამიანთა შორისაც მარტოობაა, - მიუგო გველმა.

პატარა უფლისწული ყურადღებით დააქცერდა გველს.

- უცნაური არსება ხარ, - უთხრა მან ბოლოს, - თითივით წვრილი.

- სამაგიეროდ მე მეფის თითებზე მეტი ძალა მაქვს, - მიუგო გველმა.

პატარა უფლისწულს გაეღიმა.

- არც ისე ღონიერი ჩანხარ... ფეხებიც კი არა გაქვს... მოგზაურობასაც კი ვერ შეძლებდი...

- მე შემიძლია ყოველ ხომალდზე უფრო შორს წაგიყვანო, - უთხრა გველმა და ოქროს სამაჯურივით შემოეჭდო კოჭზე.

- ყველა სულდგმულს, რომელსაც კი შეევეხები, მიწას ვუბრუნებ, რადგან ყველა მიწის შვილია, - თქვა მან. - მაგრამ შენ წმინდა ხარ და ვარსკვლავიდან მოფრენილი...

პატარა უფლისწულმა არაფერი უპასუხა.

- მებრალები, - განაგრძნო გველმა. - მეტისმეტად უმწეო ხარ ამ დედამიწაზე, რომელიც გრანიტისაგან არის შექმნილი. როცა ძალიან ინანებ, რომ მიატოვე შენი პლანეტა, მე შემიძლია დაგეხმარო. მე შემიძლია...

8. პატარა უფლისწულმა მთელი უდაბნო გადასერა. ჯერ მხოლოდ ერთადერთ ყვავილს წააწყდა, სამფურცელა, პატარა ყვავილს. შემდეგ ერთ მაღალ მთაზე ავიდა, მაგრამ წაწვეტილი კლდეების გარდა ვერაფერი დაინახა. ბოლოს ქვიშრობზე, კლდე-ღრესა და თოვლში დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ პატარა უფლისწული გზას წააწყდა. დაადგა გზას და ვარდებით მოფენილ ბაღს მიადგა. ყველა ყვავილი მის ყვავილს ჰგავდა. საშინელი სევდა შემოაწვა გულზე. მისი ყვავილი სულ იმას ეუბნებოდა, ჩემი მსგავსი არსად მოიძებნება მთელ ქვეყანაზეო. აქ კი, მხოლოდ ერთ ბაღში, ხუთი ათასი მსგავსი ყვავილი ხარობდა! „თურმე ჩვეულებრივი ვარდის პატრონი ვყოფილვარ!“ - დაემხო უფლისწული მოლზე და ატირდა. ამ დროს მელია გამოჩნდა.

- მოდი მეთამაშე, - შესთავაზა პატარა უფლისწულმა, - ძალიან უბედური ვარ.

- შენთან თამაში არ შემიძლია, - მიუგო მელიამ, - მე მოუშინაურებელი მელია ვარ.

- შენ აქაური არ უნდა იყო, - უთხრა მელიამ, - რას დაეძებ აქ?

- ადამიანებს დავეძებ, - თქვა პატარა უფლისწულმა, - მე მეგობრებს დავეძებ. რას ნიშნავს „მოშინაურება“?

- ეს ისეთი რამაა, რაც დიდი ხანია დავიწყებას მიეცა. იგი მიჩვევას ნიშნავს.

- მიჩვევას?

- სწორედ მაგას, - მიუგო მელიამ, - შენთვის მე მხოლოდ ისეთი მელია ვარ, როგორიცაა ასი ათასი სხვა მელია. მაგრამ, თუ მომიშინაურებ, ჩვენ საჭირონი გავხდებით ერთმანეთისთვის. შენ ერთადერთი იქნები ამქვეყნად ჩემთვის და მეც ერთადერთი ვიქნები შენთვის...

- მგონი მიგიხვდი, - თქვა პატარა უფლისწულმა... - ერთ ყვავილს ვიცნობ... მან, მგონი, მომიშინაურა...

- წადი, ერთხელ კიდევ ინახულე ვარდები და დარწმუნდები, რომ შენი ვარდი ერთადერთია ქვეყნად. გამოსამშვიდობებდლად რომ მობრუნდები ჩემთან, ერთ საიდუმლოს გაგიმხელ და ჩემი საჩუქარიც ეს იქნება.

პატარა უფლისწული ვარდებისკენ გაემართა.

- თქვენ სრულებით არ გავხართ ჩემს ვარდს, - უთხრა მათ პატარა უფლისწულმა, - თქვენ ჯერ არარანი ხართ. თქვენ ჯერ არავის მოუშინაურებიხართ... რა თქმა უნდა, ჩემი ვარდი თქვენისთანაა, მაგრამ იგი ყველა ვარდზე ძვირფასია ჩემთვის იმიტომ, რომ იგი ჩემი ვარდია.

და პატარა უფლისწული მელიასთან დაბრუნდა.

- მშვიდობით... - უთხრა მან მელიას.

- მშვიდობით, - მიუგო მელიამ. - აი ჩემი საიდუმლოც. იგი ძალიან უბრალოა: მხოლოდ გული ხედავს კარგად, თვალს არ ძალუძს დაინახოს ის, რაც მთავარია და არსებითი.

- თვალს არ ძალუძს დაინახოს ის, რაც მთავარია და არსებითი, - გაიმეორა პატარა უფლისწულმა, რომ კარგად დაემახსოვრებინა ნათქვამი.

- თავს რომ ევლებოდი შენს ვარდს, მიტომაა იგი ასე ძვირფასი შენთვის.

- თავს რომ ვევლებოდი ჩემს ვარდს... - გაიმეორა პატარა უფლისწულმა, რომ კარგად დაემახსოვრებინა ნათქვამი.

- ადამიანებმა დაივიწყეს ეს ჭეშმარიტება, - თქვა მელიამ, - მაგრამ შენ არ უნდა დაივიწყო იგი. შენ ვალდებული ხარ იზრუნო იმაზე, ვინც მოიშინაურე. ვალდებული ხარ იზრუნო შენს ვარდზე...

- ვალდებული ვარ ვიზრუნო ჩემს ვარდზე... - გაიმეორა პატარა უფლისწულმა, რომ კარგად დაემახსოვრებინა ნათქვამი.

9. უკვე ერთი კვირა გავიდა, რაც ამ უდაბნოში მარცხი მომივიდა და სასმელი წყალიც გამომელია.

- მეც მწყურია... - მითხრა პატარა უფლისწულმა, - წამოდი, ჭა მოვძებნოთ...

მე უიმედოდ ჩავიქნიე ხელი: რა აზრი ჰქონდა ალალბედზე ჭის ძებნას ამ თავლუწვდენელ უდაბნოში. მაგრამ მაინც გავუდექით გზას. დიდხანს ვიარეთ ხმაამოუღებლად. დაღამდა. ცაზე ვარსკვლავები აენთნენ. წყურვილით ღონემიხდილი და გაოგნებული ძლივსღა ვარჩევდი ვარკვლავების ციმციმს. პატარა უფლისწულის სიტყვები მაინც მიტრიალებდა თავში.

- შენც იცი, რა არის წყურვილი? - შევეკითხე მე. მაგრამ პასუხი არ გამცა.

- წყალი გულსაც რგებს... - თქვა უბრალოდ.

იგი დაიღალა და სილაზე დაეშვა. მე გვერდით მივუჯექი. კარგა ხანს ვდუმდით. მერე კი თქვა:

- ლამაზია ვარკვლავები, მეტადრე იმიტომ, რომ იქ, სადღაც, ერთი ყვავილი ხარობს, რომელიც აქედან არა ჩანს...

- მართალი ხარ, - მივუგე მე და თვალი მოვავლე მთვარის შუქით განათებულ დატალღულ ქვიშას.

- უდაბნოც ლამაზია, - დასძინა მან.

მართლაც ლამაზი სანახავი იყო უდაბნო. მე ყოველთვის მომწონდა იგი. ზიხარ სილის ბორცვზე, ირგვლივ არაფერი ჩანს. არაფერი ისმის. და მდუმარებაში მაინც ანათებს რაღაც...

- იცი, რატომაა უდაბნო ასეთი ლამაზი? - თქვა პატარა უფლისწულმა, - იმიტომ, რომ სადღაც, მის წიაღში, წყარო იმალება...

მე გავვოცდი. მხოლოდ ახლა მივხვდი, რას მოასწავებდა ეს იდუმალი ელვარება, უდაბნოს სილა რომ გამოსცემს ხოლმე. ოდესღაც, პატარა რომ ვიყავი, ერთ ძველისძველ სახლში ვცხოვრობდი. ხალხში ხმა დადიოდა, ამ სახლში განძია დაფლულიო. ეს განძი, რა თქმა უნდა, არავის უპოვია, და ალბათ არც არავის უძებნია, მაგრამ სახლი გრძნეულებით იყო მოცული. თითქოს გულში რაღაც საიდუმლო აქვს ჩამარხულიო...

- მართალი ხარ, - მივუგე მე პატარა უფლისწულს, - სახლი იქნება, ვარსკვლავი თუ უდაბნო, ლამაზი მათში ის არის, რაც არა ჩანს.

- მიხარია, რომ ჩემს მელიას ეთანხმები, - მითხრა პატარა უფლისწულმა.

მერე კი ჩაეძინა. მე ხელში ავიყვანე იგი და გზა განვაგრძე. აღელვებული დავყურებდი მას. ასე მეგონა, თითქოს უძვირფასესი განძი მეჭირა ხელში და მასზე სათუთი არაფერი იყო ქვეყნად. დავცქეროდი მთვარის შუქით განათებულ ფერმკრთალ შუბლს, მინაბულ თვალებს და ოქროსფერ კულულებს, რომლებსაც ქარი ელამუნებოდა, და ჩემს თავს ვეუბნებოდი: რასაც ახლა ხედავ, ნაჭუჭია მხოლოდ, ყველაზე მთავარს თვალი ვერ ხედავს-მეთქი.

უფლისწულს ოდნავ გაპობილ ბაგეზე წყნარი ღიმილი გადაეფინა.

„ის რაც უფრო დიდ აღტაცებას მგვრის, - გავიფიქრე მე, არის მისი ერთგულება ყვავილისადმი, ვარდზე ოცნება, რომელიც ჩირაღდანივით ანთია მის სულში მაშინაც კი, როცა მას სძინავს...“ და ჩემთვის აშკარა გახდა, რომ იგი უფრო სათუთი იყო, ვიდრე მეგონა, მივხვდი, რომ ჩირაღდანს უნდა გაუფრთხილდე, თორემ ქარის ერთ შემოქროლვას შეუძლია ჩააქროს იგი...

განთიადისას ჭას წავაწყდი.

- ეს წყალი მწყუროდა, - თქვა პატარა უფლისწულმა, - დამალევინე.

ვედრო ტუჩებთან მივუტანე. მან თვალები მოხუჭა და წყალს დაეწაფა.

- შენი პლანეტის ადამიანებს, - მითხრა პატარა უფლისწულმა, - ერთ ბაღში ხუთი ათასი ვარდი აქვთ... მაგრამ მაინც ვერ პოულობენ იმას, რასაც დაეძებენ.

- ვერ პოულობენ... - დავუდასტურე მე.

- ხოლო ის, რასაც ისინი დაეძებენ, შეიძლება ერთადერთ ვარდში ან ერთ ყლუპ წყალში იპოვოს კაცმა.

- მართალია, - ისევ მივუგე მე.

- მაგრამ თვალი ბრმაა. ადამიანი გულით უნდა ხედავდეს...

- ხვალ წელიწადი შესრულდება, რაც დედამიწაზე ჩამოვვარდი. მცირე ხნის დუმილის შემდეგ კი დასძინა:

- ის ადგილი ძალიან ახლოა... და სახე წამოუფაკლდა. ისევ შემომაწვა გულზე უცნაური სევდა და შევეკითხე:

- მაშ, ამ ერთი კვირის წინათ, პირველად რომ დაგინახე, შემთხვევით არ დაეხეტებოდი მარტოდმარტო ამ უდაბნოში? იმ ადგილას ბრუნდებოდი, სადაც მაშინ ჩამოვარდი?

მას ისევ წამოუფაკლდა სახე.

- წელიწადი რომ შესრულდა, იმიტომ? - გაუბედავად დავძინე მე.

პატარა უფლისწული კვლავ წამოჭარხლდა. იგი არასოდეს მაძლევდა კითხვაზე პასუხს, მაგრამ განა გაწითლება დასტურს არ ნიშნავს?

- ვაი თუ... - მაგრამ პატარა უფლისწულმა სიტვა გამაწყვეტინა:

- დროა შენს საქმეს შეუდგე. მანქანას მიხედე. მე აქ დაგელოდები. ხვალ საღამოს მოდი...

მაგრამ ამან ვერ დამამშვიდა. მელიას ნათქვამი მაგონდებოდა - რაკი ვინმეს მოაშინაურებინებ თავს, ცრემლიც უნდა ღვარო.

10. მეორე დღეს, მუშაობა რომ მოვათავე და დავბრუნდი, შორიდანვე მოვკარი თვალი პატარა უფლისწულს. იგი კედელზე იჯდა. და შორიდანვე შემომესმა მისი ხმა:

- ნუთუ არ გახსოვს? - ეუბნებოდა იგი ვიღაცას, - კარგი შხამი გაქვს? დარწმუნებული ხარ, რომ დიდხანს არ მაწამებს?

თავზარდაცემული ადგილზე გავქვავდი. დაბლა დავიხედე და თოფნაკრავივით შევხტი. კედლის ძირას მოყვითალო გველი დავინახე, რომელსაც თავი პატარა უფლისწულისკენ აეღერა. კედლისკენ გავიქეცი და ხელში ავიტაცე ჩემი პატარა უფლისწული. მას თოვლის ფერი ედო...

- მიხარია, მანქანა რომ შეგიკეთებია. ახლა შეგიძლია დაბრუნდე შინ...

- საიდან იცი?

მან პასუხი არ გამცა და განაგრძო:

- დღეს მეც დავბრუნდები შინ... მერე კი ნაღვლიანად დასძინა: - ოღონდ ჩემი გზა უფრო შორია და უფრო ძნელი...

ვგრძნობდი, რომ რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო. ჩვილი ბავშვივით მივიხუტე იგი მკერდზე, მაგრამ ასე მეგონა, თითქოს ხელიდან მისხლტებოდა და უფსკრულში ვარდებოდა, მე კი ძალა არ შემწევდა შემეკავებინა...

- ყველას თავისი ვარსკვლავები ჰყავს. მაგრამ ეს ვარსკვლავები სხვადასხვანაირია. ზოგისთვის, მაგალითად, მოგზაურისთვის - ვარსკვლავები მეგზურებია. სხვებისთვის - მხოლოდ მოციმციმე სინათლეებია ცაზე. სწავლულისთვის ვარსკვლავები პრობლემაა, იმ საქმოსანისთვის კი - ოქრო იყო. მაგრამ ესენი მდუმარე ვარსკვლავებია. შენ კი ისეთი ვარსკვლავების მფლობელი იქნები, რომელთა მსგავსი არავისა ჰყავს...

- ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა.

- როცა ღამით ზეცას ახედავ, ყველა ვარსკვლავი შემოგცინებს, რადგან გეცოდინება, რომ ერთ-ერთ მათგანზე მე ვცხოვრობ და ვიცინი. მხოლოდ შენ გეყოლება ისეთი ვარსკლავები, რომლებიც იცინიან... შენ მუდამ ჩემი მეგობარი იქნები და მუდამ იცინებ ჩემთან ერთად. ფანჯარას რომ გამოაღებ და ცას

ახედავ, სიხარული მოგეფინება... შენს მეგობრებს გაუკვირდებათ, როცა დაინახავენ, როგორ შესცინი ცას.

... იმ ღამეს ვერც კი შევნიშნე, როგორ წავიდა. ჩუმად გაპარულიყო. რომ დავეწიე, მტკიცედ და სწრაფად მიაბიჯებდა.

- აი ის ადგილიც. ერთი ნაბიჯი გადამადგმევინე მარტოს. და ჩაიკეცა, რადგან ფეხზე დგომა აღარ შეეძლო.

- ხომ იცი... ჩემი ყვავილი... მე უნდა ვიზრუნო მასზე! იგი ხომ ისეთი სუსტი და ისეთი გულუბრყვილოა. ოთხი საცოდავი ეკლის გარდა არაფერი აქვს, რომ თავი დაიცვას...

მეც მომეკვეთა მუხლები და ჩავიკეცე.

- სულ ეს არის... - თქვა მან.

ცოტა ხანს კიდევ ყოყმანობდა. შემდეგ წამოდგა და ერთი ნაბიჯი გადადგა მხოლოდ. მე განძრევაც აღარ შემეძლო. უცებ მის ფეხებთან ყვითლად გაიელვა რაღაცამ. პატარა უფლისწული ერთ წამს უძრავად იდგა, არ დაუკვნესია. მერე კი ნელა წაიქცა, როგორც ხე. დაცემის ხმაც კი არ გამიგია, რადგან ირგვლივ უდაბნოს სილა იყო.

11. მას შემდეგ ექვსმა წელმა განვლო... მე არავისთვის არ მიამბნია ეს ამბავი. ჩემს ამხანაგებს უხაროდათ, უვნებლად რომ დავბრუნდი უდაბნოდან. მე ძალიან მიმძიმდა, მაგრამ ამხანაგებს ვეუბნებოდი, დავიღალე-მეთქი...

მერე ცოტათი დავმშვიდდი, თუმცა ამას დამშვიდება არ ეთქმის... მე მწამს, რომ იგი დაბრუნდება თავის პლანეტაზე, რადგან რომ ინათა, მისი სხეული ვერსად ვიპოვე. ის ხომ არც ისე მძიმე იყო... ღამ-ღამობით კი ვარსკვლავებს ვუსმენ ხოლმე. თითქოს ხუთასი მილიონი ეჟვანი წკრიალებს ციდან...

თუ ოდესმე აფრიკის უდაბნოში იმოგზაურეთ. ამ ადგილას თუ გაიაროთ, ნუ აჩქარდებით, შეჩერდით ერთ ხანს. სწორედ ამ ვარსკვლავის ქვეშ, და ყმაწვილი თუ დაინახოთ, რომელიც იცინის, შეკითხვაზე პასუხს არ იძლევა და ოქროსფერი თმა აქვს, უთუოდ მიხვდებით, ვინც არის იგი. და თუ ეს მოხდა, გთხოვთ მანუგეშოთ - შემატყობინოთ, რომ იგი დაბრუნდა.

ფანტაზიის გაკვეთილები

რეკლამის ისტორიიდან

რეკლამა არის კონკრეტული ინფორმაცია რაღაცის შესახებ და მიეწოდება საზოგადოების ფართო მასებს იმისათვის, რომ მიიპყროს მათი ყურადღება და გამოიწვიოს ინტერესი. სარეკლამო ინფორმაცია პოტენციურ მყიდველს აძლევს ინფორმაციას გასაყიდი საქონლის დანიშნულებაზე, თვისებებზე, გაყიდვის ადგილზე და სხვა.

ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მაუწყებლებს ეძახდნენ. მაუწყებლები დადიოდნენ ქუჩებში და ინფორმაციას გაჰყვიროდნენ. სწორედ აქედან გაჩნდა სიტყვა რეკლამა, ანუ წამოძახილი.

სარეკლამო განცხადებებს წერდნენ ძველ საბერძნეთსა და რომში.

მე-15 საუკუნის ბოლოს და მე-16 საუკუნის დასაწყისში ვენეციელმა წიგნის გამყიდველმა მანუციმ მომხმარებლის მიზიდვის მიზნით, დაიწყო წიგნების სათაურების ქაღალდის ცალკე ფურცლებზე ბეჭდვა და თავისი მაღაზიის წინ ვიტრინებში გამოფენა.

იცით თუ არა?

- რეკლამა ლათინური სიტყვაა და "ყვირილს" ნიშნავს.
- მსოფლიოში პირველი გაზეთი, რომელიც სარეკლამო შეტყობინენს აქვეყნებდა, იყო ხელით დაწერილი რომაული გაზეთი _ "ყოველდღიური ამბები».
- 1473 წელს ინგლისში გამოჩნდა პირველი ბეჭდური სარეკლამო განცხადება.
- 1611 წელს ლონდონში შეიქმნა მსოფლიოში პირველი სარეკლამო ბიურო.
- პირველი სატელევიზიო რეკლამა ეთერში გავიდა 1941 წლის 1 ივლისს აშშ-ში. ეს იყო ხელის საათის რეკლამა, რომელსაც ბეისბოლის თამაშის დროს აჩვენებდნენ. ბეისბოლის მატჩის შესვენების დროს გამოჩნდა საათების მწარმოებელი კომპანია "ბულოვა"-ს ხელის საათის რეკლამა, რომელშიც მან 4 ამერიკული დოლარი გადაიხადა.
- პირველი სარეკლამო გმირი, რომელიც მთლიანად კომპიუტერის დახმარებით შეიქმნა (1993 წ.), არის თეთრი დათვი, რომელიც კოკა-კოლას მიირთმევს.
- პირველი სატელევიზიო რეკლამა საქართველოში გავიდა 1950-იანი წლების ბოლოს. რეკლამა გაუკეთეს ჯემს და რეკლამას უწევდა ტელეწამყვანი ჟანეტა არჩვაძე.

ევროპა - იუპიტერის თანამგზავრი

ევროპა ძალიან პატარაა. მისი დიამეტრი 3200 კმ-ც კი არაა, ამასთან ის ძალიან ცივია. ტემპერატურა აქ -160°C-ია. ევროპის მთელი ზედაპირი დაფარულია სქელი ყინულით, რომელიც, სავარაუდოდ, 24 კმ სიღრმისაა, თუმცა მის ქვემოთ, შესაძლოა, სითბოს წყაროც არსებობდეს... ეს სითბო, შეიძლება, საკმარისიც იყოს ყინულის ქვედა ფენის გასალღობად, რაც წარმოშობს თხევადი წყლის ოკეანეს, რომელიც ზემოდან ყინულის მყარი ფენით არის დაცული.

თუკი ეს ასეა, შესაძლოა, იქ ცხოვრობდნენ უცხოპლანეტელები _ არსებები, რომლებიც განვითარდნენ, რათა აითვისონ ეს ბნელი და უძველესი წყლიანი სამყარო.